კანონმდებლობის გამოყენების
სასამართლო პრაქტიკა

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურება

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2013

უაკ. (UDC) 347.42+341.66+35.07
ა–283

ნაშრომი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ სარჩელებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საპროცესო აქტების კრებულს. მასში სისტემატიზებული და გარკვეულწილად გამარტივებული ფორმით არის მოცემული უზენაესი სასამართლოს განჩინებები (გადაწყვეტილებები), რომლებიც, ერთობლიობაში აღებული, გვევლინება ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკის ნიმუშად.

წიგნი დახმარებას გაუწევს მოსამართლეებს, ადვოკატებს, ადმინისტრაციული ორგანოს მუშაკებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და ყველას, ვისაც ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სურს. კრებულში მოტანილი საპროცესო აქტები, როგორც კვლევის ობიექტი, საინტერესო იქნება სამეცნიერო საქმიანობით დაკავებული პირებისთვისაც.

კრებული შეადგინა და დაამუშავა
ჯუმბერ რუსიაშვილმა

© ჯ. რუსიაშვილი
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

ISBN 978-9941-10-727-6

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 5
საძიებელი 10
თავი I. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავების განსჯადობა 24
თავი II. ზიანის ანაზღაურება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ 87
თავი III. სისხლის სამართლის საქმის წარმოებიდან გამომდინარე სარჩელები 157
თავი IV. სარჩელები სტიქიური და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებაზე 203
თავი V. სარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურებაზე 253
თავი VI. სარჩელები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანის ანაზღაურებაზე 326
თავი VII. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურება 441
თავი VIII. სხვა სახის სარჩელები ზიანის ანაზღაურებაზე 471

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ცალკეული კატეგორიის საქმეებზე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, რამაც თავისი ნორმატიული გამოხატულება პოვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში. მასში მოცემული ნორმების მიხედვით, საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ან სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საპროცესო აქტებში (განჩინებებში, გადაწყვეტილებებში) მოცემული დებულებების მეშვეობით ჩამოყალიბებული სასამართლოს პრაქტიკა განაპირობებს ყოველი ცალკეული საქმის განხილვის შედეგს.

სწორედ ამ გარემოებით გამოწვეული საკითხის აქტუალობის გამო შეიქმნა მოცემული კრებული, რომელშიც შევეცადეთ შეძლებისდაგვარად მარტივი (რამდენადაც ამის შესაძლებლობას საპროცესო აქტი იძლევა) და იოლად აღსაქმელი ფორმით გადმოგვეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ სარჩელებზე.

კრებულის დასახელებიდან გამომდინარე, მასში შეტანილია სასამართლოთა მიერ განხილული სარჩელები არა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, არამედ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ანუ სხვაგვარად, საქმეები, რომლებშიც ადმინისტრაციული ორგანო მოპასუხედ, ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებელ პირად გვევლინება, იმისდა მიუხედავად, მის მიერ არის მიყენებული ზიანი თუ არა. კრებულში არ არის მოყვანილი საქმეები, რომლებშიც თვით ადმინისტრაციული ორგანოები წარმოადგენდნენ მოსარჩელეებს ან მონაწილეობდნენ მესამე პირის სტატუსით.

კრებულში მოტანილი პროცესუალური აქტების ძირითად წყაროს წარმოადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საიტზე განთავსებული ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებები (გადაწყვეტილებები) და მათი რაოდენობიდან (თითქმის ასი) გამომ-

დინარე, ისინი მოიცავენ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციულ ორგანოთა მიმართ წარდგენილ და სასამართლოების მიერ განხილული სარჩელების საკმაოდ ფართო სპექტრს.

წარმოდგენილი საპროცესო აქტები მოიცავენ დროის საკმაოდ დიდ, ძირითადად, 2005 წლის და შემდგომ პერიოდს. გვხვდება უფრო ადრინდელი პერიოდის განჩინებებიც (გადაწყვეტილებები), რასაც თავის ობიექტური მიზეზი გააჩნია. მათში მოცემული დებულები აღარ გვხვდება შემდგომ განხილულ საქმეებში, ამიტომაც ისინი დღესაც აქტუალურნი არიან.

კრებულში მოტანილი განჩინებები (გადაწყვეტილებები) მიღებულია დროის საკმაოდ დიდი შუალედის განმავლობაში და რიგ შემთხვევებში მათში მითითებულმა ნორმატიულმა მასალამ (აქტებმა, ცალკეული მუხლების რედაქციამ) სახეცვლილება განიცადა. ტექსტის გადატვირთვისა და გართულების თავიდან ასაცილებლად, ისინი არ არის დაფიქსირებული, მით უფრო, რომ დავა განხილული და გადაწყვეტილია საქმის განხილვის დროს მოქმედი ნორმატიული აქტის საფუძველზე. ჩავთვალეთ, რომ ამ საკითხზე ორიენტირის მნიშვნელობა გააჩნია განჩინების (გადაწყვეტილების) სათაურში მოტანილ დებულებასთან ერთად მითითებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი საპროცესო აქტის მიღების თარიღს.

ბუნებრივია, ნაშრომში არ არის მოტანილი ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილ სარჩელების ყველა ნაირსახეობა, რასაც თავისი მიზეზი და გამართლება აქვს. კრებულში შეტანილია მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეები, ამიტომაც, ზიანის ანაზღაურების თაობაზე იმ სახის სარჩელები, რომლებმაც საკასაციო განხილვის სტადიამდე ვერ მიაღწიეს, კრებულს მიღმა დარჩნენ.

ნაშრომს არ აქვს პრეტენზია ადმინისტრაციული ორგანოების ქონებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტის მეცნიერულ გამოკვლევაზე, რაც დამოუკიდებელი შესწავლის საგანია. მასში სისტემატიზებული სახით, საკვანძო დებულებების გამოყოფით, მოტანილია უზენაესი სასამართლოს ის საპროცესო აქტები (განჩინებები, გადაწყვეტილებები), რომლებიც წარმოადგენენ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციულ ორგანოსთან დავის კანონის შესაბამისად გადაწყვეტის მაგალითს.

მოცემული კრებული არ ახდენს უზენაესი სასამართლოს

მიერ ბეჭდვითი სახით გამოცემულ კრებულებში შეტანილი ანდა უზენაესი სასამართლოს საიტზე განთავსებული განჩინებების (გადაწყვეტილებების) დუბლირებას. მათგან განსხვავებით, ნაშრომში უზენაესი სასამართლოს აქტები (განჩინებები, გადაწყვეტილებები) დაჯგუფებული და სისტემატიზებულია ცალკეულ თავებად, ერთი ზოგადი და შეძლებისდაგვარად დაკონკრეტებული კრიტერიუმის საფუძველზე. ეს უკანასკნელი მითითებულია შესაბამისი თავის დასახელებაში. თითოეული განჩინების (გადაწყვეტილების) სათაურში გამოტანილია ის საკვანძო დებულება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ზიანის ანაზღაურების თაობაზე კონკრეტული ნაირსახეობის დავის გადასაწყვეტად.

კრებულის დანიშნულება სასამართლო პროცესის მონაწილეებისათვის (მოქალაქე, ადმინისტრაციული ორგანო, კერძო სამართლის იურიდიული პირი) სრული სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მიწოდებაა, თუ როგორ წყდება ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელები. იმავდროულად, სარგებლობის გაიოლების მიზნით კონკრეტული პროცესუალური აქტები წარმოდგენილია რედაქტირებული, „გამარტივებული" ფორმით. ამასთანავე, ამგვარი სახეცვლილებისას დაცულია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები.

განჩინებები (გადაწყვეტილებები) დანაწევრებულია სასამართლო წარმოების ცალკეული სტადიების მიხედვით (სარჩელის წარდგენა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, სააპელაციო საჩივარი და ა. შ.). თითოეულ მათგანში მოტანილია ის აუცილებელი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნდათ და გათვალისწინებულ იქნენ საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაში.

განჩინებების (გადაწყვეტილებების) ტექსტში არ არის შეტანილი გარემოებები, რომლებსაც დასათაურებაში მოტანილ დებულებისათვის არ გააჩნიათ არსებითი მნიშვნელობა (საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა, ცალკეულ სასამართლო აქტების გამოტანის თარიღი). ასევე, როგორც წესი, არ არის მითითებული ზიანის ასანაზღაურებელი კონკრეტული თანხების ოდენობა და სხვა სახის ფაქტობრივი მონაცემები (მაგ., უძრავი ქონების ფართობი, მისი ადგილმდებარეობა), რადგანაც მათ მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ ცალკეული საქმისათვის, მისი ყველა კონკრეტული გარემოების ერთობლიობაში აღსაქმელად და არ წარმოადგენენ ზოგადი

ხასიათის ორიენტირს. ისინი განჩინებების (გადაწყვეტილებების) ტექსტში გვხვდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მათ შემხებლობა აქვთ საქმის სამართლებრივ ასპექტთან.

ნაშრომის პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, სარგებლობის გამარტივების მიზნით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სათანადო განჩინების (გადაწყვეტილების) სათაურში გამოგვეტანა მხოლოდ ერთი დებულება, იმისდა მიუხედავად, რომ თვით მოტანილ აქტში, არცთუ იშვიათად, დაფიქსირებული იყო უზენაესი სასამართლოს პოზიცია სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც. ამიტომაც, ზოგ შემთხვევაში, დათქმის სახით, მათზე მითითება სქოლიოში კეთდება.

სამართლებრივად ერთგვაროვანი დებულების შემცველი (მაგრამ ფაქტობრივი გარემოებებით განსხვავებული), უზენაესის სასამართლოს რამდენიმე განჩინების (გადაწყვეტილების) არსებობისას, ნაშრომის ტექსტის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად, მათი შინაარსის მოყვანის გარეშე, ისინი მიეთითება მხოლოდ ტექსტის სქოლიოში.

ჩვენ შევეცადეთ თავიდან აგვეცილებინა ნაშრომში მოტანილ სასამართლო აქტებში გადმოცემული ტექსტის დუბლირება (მაგ., საკასაციო სასამართლოს განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს დასკვნების, სააპელაციო პალატის განჩინებაში – პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში დასახელებული გარემოებების), მაგრამ მხოლოდ შეძლებისადაგვარად და არა სრულად. გამეორებები შენარჩუნებულ იქნა, რათა არ დარღვეულიყო სასამართლოს მსჯელობის ის ლოგიკური ჯაჭვი, რომლის შედეგსაც შესაბამისი სამართლებრივი მნიშვნელობის დასკვნა წარმოადგენდა. ამ მიზნით, მიუხედავად იგივეობისა, ზოგ შემთხვევაში, კრებულის შედგენის ზემოთ მითითებულ პრინციპების დაცვით, სრულად არის მოტანილი დამოუკიდებელ საქმეებზე განსხვავებული სასარჩელო მოთხოვნების საფუძვლად დასახელებული ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები.

კრებულის პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე შევეცადე, რომ მასში მოტანილი პროცესუალური აქტების ტექსტი, ზემოთ აღნიშნული გამარტივებების მიუხედავად, ემთხვევოდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი განჩინების (გადაწყვეტილების) ტექსტს. ამიტომაც, კონკრეტულ დავაზე სარჩელის (სააპელაციო და საკასაციო საჩივრების) წარდგენისას, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დადგენილი სასამართლო პრაქტიკის

საილუსტრაციოდ.

წინამდებარე ნაშრომი, ამ ფორმით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებების (გადაწყვეტილებების) კრებულის შედგენის პირველი მცდელობაა, ბუნებრივია, იგი არ არის თავისუფალი გარკვეული ხარვეზებისაგან, ამიტომაც ავტორი მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნას მისამართზე j.rusiashvili@mail.ru.

ჯუმბერ რუსიაშვილი

საძიებელი

თავი I. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავების განსჯადობა

1. იმისდა მიუხედავად, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ აღძრული სარჩელის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური ვალდებულებაა, იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

2. ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განიხილება, იმისდა მიუხედავად, რომ მის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის ნორმები წარმოადგენენ.

3. ლიცენზიის მქონე კერძო სამართლის იურიდიული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი, როდესაც ზიანის მიყენება არ არის დაკავშირებული ლიცენზიით ნებადართულ საქმიანობასთან, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

4. საწარმოს პრივატიზების გაუქმებით აქციონერისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

5. სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუ იგი არასათანადო მოპასუხეობის გამო კერძო სამართლის იურიდიული პირით არ შეიცვლება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

6. ფიზიკური პირის სარჩელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ, მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე სსიპ და შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

7. მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე ქ. თბილისის მთავრობის დაუსაბუთებელი უარით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზ-

ღაურებაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

8. შს სამმართველოს უფროსის მოადგილის მოქმედებით (ინტერვიუს მიცემით), რომელიც მის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებაში არ შედის, მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

9. ფიზიკური პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს უფროსის მიმართ, რომელიც საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველია.

10. სარჩელი კერძო სამართლის იურიდიულ პირის მიმართ, იძულებით გადაადგილებული პირისათვის საცხოვრებელი სადგომის სანაცვლო კომპენსაციის გადახდის თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

11. სარჩელი, პოლიციის საკუთრებაში მყოფი ავტომობილის მძღოლის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს რეგრესული სარჩელი, მისი თანამდებობის პირის მიმართ უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილი მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

13. პირველი ინსტანციის სასამართლოში საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილული სარჩელი, მისი შპს გარდაქმნის გამო, სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იყოს განხილული.

14. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგად, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლების

ანაზღაურების შესახებ სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

15. მართლმსაჯულების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის, სახელმწიფოსთან ერთად მოსამართლის სოლიდარულ პასუხისმგებლობის თაობაზე სარჩელი, უწყებრივად სასამართლოს განსჯადია, მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით დადასტურებულ, მოსამართლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი დარღვევის არსებობისას.

16. სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე საქმის განსჯადობა დამოკიდებულია სარჩელის განსჯადობაზე და არა მოპასუხის სტატუსზე.

თავი II. ზიანის ანაზღაურება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

1. ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის გამგეობა, როგორც წინამორბედი თვითმმართველი ერთეულის სამართალმემკვიდრე, ვალდებულია აანაზღაუროს რაიონის გამგეობის უმოქმედობით გამოწვეული ზიანი.

2. რაიონის გამგეობა ვალდებულია აანაზღაუროს სათანადო ფართობის მიწის ნაკვეთის გაუცემლობით მიყენებული ზიანი, ამასთანავე, მას არ ეკისრება შესაბამის თანხაზე, როგორც მიუღებელ შემოსავლზე, პროცენტის გადახდა.

3. მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებულია აუნაზღაუროს შპს-ს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის დროულად გადაუცემლობით მიყენებული ზიანი.

4. მოქალაქეს არ უნაზღაურდება მერიის გამგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთზე პროექტისა და ნებართვის გარეშე აშენებული პავილიონის დემონტაჟით მიყენებული ზიანი.

5. თვითმმართველი ერთეული არ არის პასუხისმგებელი ნაპირსამაგრი და მდინარის კალაპოტის გამწმენდი სამუშაოების

შეუსრულებლობის გამო მდინარის ადიდებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

6. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს, როგორც აღმასკომის სამართალმემკვიდრეს, ევალება მისი წინამორბედის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7. მერია ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მისი ბათილად ცნობილი დადგენილების საფუძველზე განხორციელებულ შენობის ლიკვიდაციით მხარეს მიადგა.

8. ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევის გამო ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა უპირობოდ არ წარმოადგენს მის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

9. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედებით (უმოქმედობით) გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებაზე.

10. მერიის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ზეპირი ფორმით ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, არ წარმოადგენს მის საფუძველზე ნაგებობის დანგრევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მერიისათვის დაკისრების საფუძველს.

11. კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ბინით დაკმაყოფილების მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქ. თბილისის რაიონის საკრებულოს გამგეობის მიერ გაცემული გარანტიის გამო, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ქ. თბილისის მერიას ეკისრება.

12. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ეკისრება შიდა სარგებლობის სატრანსპორტო გზის გაუმართავი მდგომარეობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

13. მერიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ბუნებრივი თავი-

სუფლების მდგომარეობაში მყოფი ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის.

თავი III. სისხლის სამართლის საქმის წარმოებიდან გამომდინარე სარჩელები

1. ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განხილვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადასინჯოს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული, კანონიერ ძალაში შესული საპროცესო აქტი.

2. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი განყოფილების უფროსს მხოლოდ მაშინ ეკისრებათ დანაშაულის დროულად გამოუძიებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ ეს გარემოება მის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენდა.

3. მალფუჭებადი პროდუქტის გაფუჭებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება საგამოძიებო ორგანოს, რომელმაც ნივთიერი მტკიცებულების სახით იგი ამოიღო.

4. ნივთიერი მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ამიტომაც დაზარალებულისათვის მათი დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ვალდებულებაა.

5. სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ წარმოადგენს სამსახურებრივი დაუდევრობით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გამომძიებლის გათავისუფლებისათვის საკმარის საფუძველს.

6. გამოძიების ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დარღვევებსა და ზიანს შორის მხოლოდ უშუალო და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

7. გასაჩივრებული სისხლის სამართლის პროცესუალური აქტების უცვლელად დატოვება გამორიცხავს პროკურორის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობას და არ

წარმოადგენს არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

8. სახელმწიფოს არ ეკისრება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

9. სისხლის სამართლის საქმეზე რეაბილიტაციიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სასარჩელო ხანდაზმულობა იწყება სისხლისსამართლებრივი საპროცესო აქტის მიღების დღიდან.

თავი IV. სარჩელები სტიქიური და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე

1. პირისათვის, როგორც სტიქიური უბედურებით (წყალდიდობით) დაზარალებულისათვის გამოყოფილ საკომპენსაციო თანხაზე, გავლენას არ ახდენს მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა, რომლებიც სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულებად არ არიან მიჩნეული.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის № 352 დადგენილების, „საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" თანახმად, საცხოვრებელი სახლის განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობას და არა საკრებულოს ეკისრება.

3. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის № 190 განკარგულების „სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების შესახებ" საფუძველზე, ზიანის საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება გააჩნიათ მხოლოდ იმ დაზარალებულებს, რომლებიც საცხოვრებელი სადგომის გარეშე დარჩნენ.

4. რეპრესირებულ პირთა მემკვიდრეებისათვის XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობა-

ზე სარჩელები ხანდაზმული და ამასთანავე, სათანადო კანონის არარსებობის გამო, უსაფუძვლოა.

5. ნორმატიული აქტები, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვთ.

6. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, ქ. თბილისის მერია და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.

7. დევნილთათვის დადგენილი ყოველთვიური შემწეობა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უკვე მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი, ან გამოხატეს მისი მინიჭებისაკენ მიმართული ნება.

8. თავისთავად ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პირი არ იყო შეყვანილი რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ, საცხოვრებელი ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა სიაში, არ ართმევს მას კომპენსაციის უფლებას.

თავი V. სარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურებაზე

1. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მისი უმოქმედობით, ხეების ამოძირკვის ვალდებულების შეუსრულებლობით, მიყენებულ მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად შეიძლება დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

3. მშობლებს გააჩნიათ უკანონო მსჯავრების შედეგად შვი-

ლის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული გარემოებებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება.

4. მორალური ზიანის წარმოშობა ყოველთვის არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, იგი შესაძლოა მოგვიანებითაც დადგეს, რაც გასათვალისწინებელია სასარჩელო ხანდაზმულობის დაწყების მომენტის განსაზღვრისას.

5. გადაწყვეტილების აღსრულებისათვის და რწმუნებულისათვის საზღაურის მიღებაში დაბრკოლების შექმნა, არ წარმოადგენს საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს.

6. ტელევიზიის მეშვეობით ადმინისტრაციული ორგანოს ცილისმწამებლურად მიჩნეული ინფორმაციით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავა განიხილება საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, საფუძველზე.

7. პოლიტიკური რეპრესიის შედეგად შვილის გარდაცვალების გამო, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განხილვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს სარჩელის სამართლებრივი საფუძვლის გარკვევას.

8. პროკურატურის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის აღძვრისას, საჭიროა დასახელდეს პროკურატურის კონკრეტული მუშაკი, რომლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებითაც პირს მიადგა ზიანი და დასაბუთდეს მისი ქმედების კანონშეუსაბამობა.

9. სასამართლოსა და მოსამართლეებისათვის მატერიალური ან მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს არ წარმოადგენს პერსონალური მონაცემების ამოღებისა და განადგურების თაობაზე, კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობა და პასუხის გაუცემლობა.

10. სახელმწიფო ანაზღაურებს აღკვეთის ღონისძიების სახ-

ით პატიმრობის უკანონოდ გამოყენებით მიყენებულ მორალური ზიანს.

11. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მორალური კომპენსაციის საკითხს არ აწესრიგებს და იგი უნდა გადაწყდეს ზოგადად, მორალური ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებით.

თავი VI. სარჩელები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე

1. ყოველთვიური სარჩოს გაცემა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს და მის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც იწყება მომენტიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ დასახიჩრების შედეგად ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ მოთხოვნა კანონისმიერი ვალდებულებაა და მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დაწესებული ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი.

3. დაჭრის ან დასახიჩრების შედეგად ინვალიდად ცნობილ სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში მის მეუღლეს გააჩნია ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება.

4. პოლიციის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების ანაზღაურება წესრიგდება სპეციალური კანონით „პოლიციის შესახებ" და ამ სახის ურთიერთობებზე სხვა ნორმატიული აქტების მოქმედება არ ვრცელდება.

5. პოლიციის თანამშრომლისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული დაზიანებისათვის კომპენსაციის გადახდა არ გამორიცხავს დაზიანებასთან დაკავშირებულ

მკურნალობის ხარჯების დამოუკიდებლად ანაზღაურებას.

6. ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნა, რომლის გამოც პირი არ იქნა ჩამოშორებული სამსახურს და რაც მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებოდა დამდგარ შედეგთან, არ გამორიცხავს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის მუშაკის დაღუპვისათვის კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.

7. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში ერთდროული კომპენსაციას გაცემის თაობაზე სარჩელის განხილვისას გადამწყვეტია სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს პოლიციელის სამუშაო ადგილას ან სამუშაო საათებში გარდაცვალებას.

8. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, უბედური შემთხვევის გამო, პოლიციის მუშაკის დაღუპვა წარმოადგენს კანონით დადგენილი კომპენსაციისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების საფუძველს.

9. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე ახლად აღმოჩენილ გარემოებას არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის № 93 ბრძანებულება.

10. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულ, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობას სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია არა მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებშიც მოპასუხეს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი წარმოადგენს.

11. ჯანმრთელობის დაზიანების ასანაზღაურებლად თანხის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა წარმოადგენს სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას და მისი რეალიზაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამოყენებული არის თუ არა გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა.

12. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ყოველთვიური სარჩოს სანაცვლოდ, ერთჯერადი კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ დანიშნული სარჩოს არსებობის შემთხვევაში.

13. დაზარალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება არ უტოლდება ერთჯერადი კომპენსაციის გაცემას და არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებული სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან.

14. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელმაც მიიღო ლიკვიდირებული საწარმოს ქონება და აიღო ვალდებულება დაეფარა მოსარჩელეთა დავალიანება, მასზე გადაცემული ქონების ფარგლებში წარმოადგენს საწარმოს სამართალმემკვიდრეს და საწარმოო ტრავმის საკომპენსაციო ანაზღაურების გაცემისთვის პასუხისმგებელ პირს.

15. მარჩენალის გარდაცვალების გამო დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებაზე უკანონო უარის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურება.

16. საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ სარჩოს გადახდის აღსრულებაზე უარის და დაფინანსების წყაროს საკითხის გარკვევამდე, აღსრულების შეჩერების საფუძველს.

17. მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა რაიონის განათლების განყოფილების ნაცვლად მის უფლებამონაცვლეს – საგანმანათლებლო რესურსცენტრს ეკისრება.

18. სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან წამლის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების მოქმედების იმ თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად პაციენტის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყ-

ენება წარმოადგენს მოპასუხეებისათვის მისი ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების საფუძველს.

თავი VII. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურება

1. კანონის დარღვევით ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობის შედეგად დაზარალებულს აუნაზღაურდება უშუალოდ მისგან გამომდინარე ზიანი.

2. აღმასრულებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია და მის სამართლებრივ საფუძველს წარმოდგენს არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი.

3. ადმინისტრაციული ორგანოსაგან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულად გადაცემა მხარემ უნდა მოითხოვოს საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" დადგენილი პროცედურების დაცვით, ხოლო მის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება – შესაბამისი სარჩელის წარდგენით.

4. ზიანის ანაზღაურების აღსრულების წესის შეცვლა – მოვალის ქონების დაყადაღება-რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ არ იცვლება სააღსრულებო ფურცელში დასახელებული მოვალე.

5. საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" დადგენილი, ქონებაზე ყადაღის დადების წესების დარღვევა, რამაც ქონების გასხვისება გამოიწვია, წარმოადგენს სააღსრულებო ბიუროს მიერ კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

6. სასამართლო აღმასრულებლის მიერ აუქციონზე გატანილი ქონების თაობაზე მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს, თუ აღმასრულებლის კანონსაწინააღმდეგო მოქ-

მედება ზიანის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენდა.

თავი VIII. სხვა სახის სარჩელები ზიანის ანაზღაურებაზე

1. სახელმწიფო წყობილების შეცვლა არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს 1991 წლამდე მიღებული ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილ ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

2. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ" 48-ე მუხლში მოცემულ სახელმწიფოს საშინაო ვალდებულებათა ჩამონათვალში მიუთითებლობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს სხვა სამართლებრივი აქტით ნაკისრი, ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლების სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურება არ ნიშნავს სასამართლოს მიერ ზიანის არსებობის ფაქტის აღიარებას და არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას.

4. ფინანსთა სამინისტროს სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველს არ წარმოადგენს საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირების გამო დარგობრივი სამინისტროს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით ზიანის მიყენება.

5. ქონებრივ და არაქონებრივ სასარჩელო მოთხოვნების თაობაზე საქმის განხილვისას ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არაქონებრივი სასარჩელო მოთხოვნის ღირებულებაც.

6. ადმინისტრაციული ორგანოს, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ საიჯარო ხელშეკრულების გაუფორმებლობა და არასაცხოვრებელი ფართის გადაუცემლობა, წარმოადგენს მხარისათვის სამეწარმეო საქმიანობის განუხორციელებლობით მიყენებულ ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

7. მძღოლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არარსებობა არ გამორიცხავს სამინისტროს საკუთრებაში მყოფი ავტომობილის მძღოლის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამინისტროსათვის დაკისრებას.

8. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აუნაზღაუროს ავტომობილის კეთილსინდისიერ მფლობელს, იმისდა მიუხედავად, რომ იგი მესაკუთრეს არ წარმოადგენს, კედლის ჩამონგრევის გამო, ავტომობილის განადგურებით მიყენებული ზიანი.

9. საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს მხოლოდ სათანადო წესით განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის არსებობა.

10. ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესების დარღვევა, თუ მან პირისათვის ზიანის მიყენება არ გამოიწვია, არ წარმოადგენს ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.

თავი I. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავების განსჯადობა[1]

1. იმისდა მიუხედავად, რომ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღძრული სარჩელის სამართლებრივი საფუძველი დელიქტური ვალდებულებაა, იგი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
19 ივნისის №ბს-523-499(გ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ლ. ი-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ, მესამე პირი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ერთობლივი კომპენსაციის . . . ლარის გადახდის დაკისრება შემდეგი საფუძვლით: ე.წ. „კოხის“ ტერიტორიაზე, რომელიც რუსული ჯარის გასვლის შემდეგ ეკუთვნოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მოძრაობის დროს, ნაღმის აფეთქების შედეგად, მოსარჩელემ მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება: გაუკეთდა ფეხის ამპუტაცია. ლ. ი-ძის მითითებით, თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო სამხედრო ნაწილების გაყვანისა და თავისუფალი ტერიტორიის ჩაბარების შემდეგ ტერიტორია გაეინაღმა, ან დაედგა გამაფრთხილებელი ნიშნები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, მოითხოვა ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად კომპენსაციის გადახდა.

---

1 ამ თავში მოცემულ განჩინებების გაცნობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26' მუხლის მესამე ნაწილი 2005 წლის 25 ივნისამდე სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავების გადაწყვეტის სხვა საპროცესო წესს ადგენდა: საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ზემდგომ და არა უშუალოდ უზენაეს სასამართლოში წარიმართებოდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლოს მითითებით, მოცემული დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იგი განსახილველად ექვემდებარებოდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება, ადგილი ქონდა დელიქტურ ვალდებულებას, რომელიც მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის ნორმებით და მასზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა მოპასუხის – თავდაცვის სამინისტროს დავალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისიტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ხოლო ამავე კოდექსის 24-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი ქმედების განხორციელების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამავე კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზია-

ნის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი, მოცემულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულების შესახებ, წესი. ამიტომაც, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რადგანაც დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალდებულება

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ი-ძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მართებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად კრიტერიუმად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, აკონკრეტებს ადმინისტრაციული დავის საგანს. მისი „დ" პუნქტით დადგენილია, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ად-

მინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს – თავდაცვის სამინისტროს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის სამოქალაქოდ მიჩნევის შესახებ, მხოლოდ დელიქტური ვალდებულების არსებობის გამო.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა სამოქალაქო კოდექსზე მითითებით პასუხისმგებლობის საფუძვლის დადგენაში, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი ადგენს მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების განსაკუთრებულ წესს და მხოლოდ ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ცალკეული ნორმები სამოქალაქო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, არ წარმოადგენს დავის სამოქალაქო კატეგორიისათვის მიკუთვნების განმსაზღვრელ კრიტერიუმს.

2. ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, იმისდა მიუხედავად, რომ მის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კოდექსის ნორმები წარმოადგენენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2010 წელი
8 თებერვლის №ბს-1479-1411 (გ-09) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. რ-ესმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ და მიყენებული ზიანის, სახელმწიფო ბაჟისა და იურიდიული მომსახურების საფასურის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2004 წლის 8 ოქტომბერს ე. ჩ-ლისაგან შეიძინა ქ. თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც თავის მხრივ ჩ-ელს შეძენილი ჰქონდა სს „. . . – გან".

ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ე. ჩ-ლის სასარჩელო განცხადების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ შენობაში მყოფი პირების გამოსახლების შესახებ, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გაიცა სააღსრულებო ფურცელი. ამასთანავე, ქ. თბილისის მერიის მოთხოვნით სასამართლომ შეაჩერა გადაწყვეტილების აღსრულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ქ. თბილისის მერიის განცხადება საქმისწარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. განჩინება გასაჩივრების შემდეგ დარჩა უცვლელად და შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიის განცხადების მოთხოვნა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე ემყარებოდა მცდარ გარემოებას, კერძოდ, განცხადების ერთადერთ ფაქტობრივ საფუძველად მითითებული იყო ის, რომ ა. რ-ესის კუთ-

ვნილი შენობა წარმოადგენდა ბაგა-ბაღს, რომელიც ქ. თბილისის მერიის ბრძანებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ჰქონდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და მეურვეობის საქალაქო სამსახურს. აღნიშნული გარემოების უსწორობა შემდგომში დადგენილ იქნა სასამართლოს მიერ.

მოსარჩელე – ა. რ-ესის მოსაზრებით, ქ. თბილისის მერიისათვის თავიდანვე ცნობილი იყო მისივე მოთხოვნის უკანონობა, ასევე ის, რომ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებითა და ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით ზიანი მიადგებოდა მოსარჩელეს. ქ. თბილისის მერიის აღნიშნული მოქმედებით მას მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა მოსარჩელის მიერ უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეშლის გამო შემოსავლის მიუღებლობაში. მოსარჩელე სარჩელის მოთხოვნებს აფუძნებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებზე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

3. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოლეგიამ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ სარჩელზე მოპასუხეს ქ. თბილისის მერია, ხოლო სარჩელის მოთხოვნას – ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა.

სამოქალაქო კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილებზე მითითებით მიიჩნია, რომ დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისათვის საჭირო იყო ორი სამართლებრივად მნიშვნელოვანი პირობის ერთდროულად არსებობა: კერძოდ, დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ერთერთი მხარე მაინც უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. მოცემულ დავაში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა, რაც შეეხება იმას, გამომდინარეობდა თუ არა დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, უნდა გარკვეულიყო საკითხი, თუ სამართლის რომელი სფეროს კანონმდებლობის რეგულირების საგანი იყო მოცემული დავა.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. რ-ესის სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული და იგი განსჯადობით განსახილველად ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაუქვემდებარა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილში კონკრეტულად არის განსაზღვრული, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. დასახელებული მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, კერძოდ, მითითებულია საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებზე მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის. ამიტომაც, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებს. ამიტომაც. დავის კატეგორიის განსაზღვრისათვის არსებითია სწორედ ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ამა თუ იმ სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნულის გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კონკრეტულად კი, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის და მის ადმინისტრაციული სამართალწარმოებით წესით განხილვის ძირითად კრიტერიუმად კანონმდებელმა განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხა თბილისის საქალაქო სა-

სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, რადგანაც მოსარჩელეს სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მითითებული ჰქონდა სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ამასთან, იგი ითხოვდა სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე ქ. თბილისის მერიის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ამიტომაც მოცემული დავა მატერიალური თვალსაზრისით, კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის ჭრილში შემოწმებას ექვემდებარებოდა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდებოდა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, რომლითაც დადგინდა შენობანაგებობიდან სს „. . .-ის" გამოსახლება, შეჩერდა ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელე – ა. რ-ესი ითხოვდა რა ქ. თბილისის მერიისაგან მის მიერ მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურებას, თვლიდა, რომ იგი გამოიწვია ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებამ, ხოლო მოთხოვნის უკანონობა წინასწარ ცნობილი იყო მოპასუხისათვის. ამიტომაც, მოცემულ საქმეზე დავის კატეგორიის დადგენისათვის, საჭირო იყო ზუსტად განსაზღვრულიყო გამომდინარეობდა თუ არა დავის საგანი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. კერძოდ, ქ. თბილისის მერია, სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის აღძვრისას მოქმედებდა თუ არა საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" მე-8 მუხლი (იმ დროს მოქმედი რედაქციით) განსაზღვრავდა ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას, ხოლო მისი 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, განათლების სფეროში – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების) მოვლა-პატრონობას, მათი მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას. ამავე პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას წარმოადგენდა სკოლამდელი დაწესებულებების საკითხების გადაწყვეტა. ქ. თბილისის მერია, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენდა დედაქალაქის მმართველობის ორგანოთა სისტემის რგოლს, რომელიც დედაქალაქის სტატუსის

შესაბამისად უზრუნველყოფდა ქალაქ თბილისის მიერ დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებას.

2005 წლამდე მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის №685 ბრძანებულებით დამტკიცებული, საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-10 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მერი არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი. ამავე დებულების მე-11 მუხლის „ს" ქვეპუნქტის თანახმად, ოფიციალური ურთიერთობებში იგი წარმოადგენს ქალაქ თბილისს და მოქმედებს მისი სახელით, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს. ამიტომაც, ქ. თბილისის მერს, ჰქონდა რა უფლებამოსილება, წარმოედგინა თბილისი ოფიციალურ, მათ შორის სასამართლოსთან ურთიერთობაში, გააჩნდა ვალდებულება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით ქ. თბილისის მერიის სახელით მიემართა სასამართლოსთვის, თუ მიიჩნევდა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით უფლებამოსილი პირის მიწვევის გარეშე გადაწყვეტილი იყო იმ ქონების უფლებრივი საკითხი, რომელიც ქ. თბილისის მერის ბრძანებით, სკოლამდელი აღზრდის ფუნქციის განსახორციელებლად, უზუფრუქტით, გადაცემული ჰქონდა ბაგა-ბაღს. ამიტომაც, ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისითაც, ქ. თბილისის მერია მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო. ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ, სფეროში შემავალი მმართველობით საკითხების გადაწყვეტისას წარმოშობილი კონფლიქტები ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებიან, ამიტომაც ისინი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნენ განხილული.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დავის ბუნებას არ ცვლიდა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის ნორმებს ემყარებოდა, რადგანაც ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განხილვისას სამოქალაქო კოდექსის დებულების გამოყენების შესაძლებლობაზე პირდაპირ უთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი.

3. ლიცენზიის მქონე კერძო სამართლის იურიდიული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი, როდესაც ზიანის მიყენება არ არის დაკავშირებული ლიცენზიით ნებადართულ საქმიანობასთან, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
29 აპრილის №ბს-1147-36-გ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ჭიათურის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა სს „ჭ. . .-მმა“ მოპასუხე შპს-ს დირექტორის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა სს „ჭ. . . -თვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ჭიათურის რაიონულ სასამართლოს განჩინებით, საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სს „ჭ. . .-ის“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს-ს დირექტორმა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას შემდეგი მოტივით:

მოცემული დავა განეკუთვნებოდა იმ სამართლებრივ დავათა კატეგორიას, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ადმინისტრაციული პალატის განსჯადი იყო. სასამართლოს აზრით, მხარეთა შორის არ არსებობდა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა და მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი მანგანუმის მადნის საბადოს მონაკვეთში უკანონოდ წარმოებული წიაღის დატაცების შესახებ დავა უნდა განხილულიყო საქართველოს კანონის „წიაღის შესახებ“ 50-ე და 52-ე მუხლებით და

„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონით.

3.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ აღნიშნული მოსაზრება არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში პროცესუალურ მხარეებს წარმოადგენდნენ კერძო სამართლის იურიდიული პირები, დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება, ხოლო მოთხოვნის საფუძველს – დელიქტური ვალდებულება. მოთხოვნა ემყარებოდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხემ დაიტაცა . . . ტ. მანგანუმის ნედლი მადანი, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით, მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. დელიქტური ვალდებულება მოწესრიგებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით და მხარეებს შორის წამოჭრილი დავა დაკავშირებული იყო იმ სამართალურთიერთობებთან, რომლებიც გამომდინარეობდა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, ამიტომაც სახეზე არ იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული დავის ადმინისტრაციულ საქმედ მიჩნევის წინაპირობა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქმე სამოქალაქო დავას წარმოადგენდა და მისი განხილვისას დაუშვებელი იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურის გამოყენება.

საქმე განსჯადობის თაობაზე საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. საკასაციო პალატამ მიიჩნია, სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილება დავა იმ სამართალურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. განსახილველ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნის სამართლებრივ

საფუძვლად მოსარჩელე სს „ჭ. . .-მი“ უთითებდა დელიქტური ვალდებულების არსებობაზე და ზიანის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე ითხოვდა. აპელანტი, შპს-ს დირექტორი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ მოტივით ითხოვდა, რომ არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები და საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა წარდგენილ მტკიცებულებებს.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შპს-ს სახელზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზიის არსებობა, რომელსაც განსახილველ საქმეში მხოლოდ ფაქტობრივი გარემოების დამდგენი მტკიცებულების მნიშვნელობა გააჩნდა.

შაკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სადავო ურთიერთობების მონაწილეებს წარმოადგენდნენ კერძო სამართლის იურიდიული პირები, სახელდობრ, შპს და სს „ჭ. . .-მი“. საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სადავო სამართალურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი ხასიათი, ამიტომაც, არც სადავო სამართალურთიერთობის შინაარსით და არც სამართალურთიერთობის სუბიექტების შემადგენლობით არ დასტურდებოდა განსახილველი დავის ადმინისტრაციული საქმეების კატეგორიისადმი კუთვნილება.

4. საწარმოს პრივატიზების გაუქმებით აქციონერისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე თაობაზე სარჩელი განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წელი
4 აპრილის № ბს-223-211(გ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. ბ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოსა“ და საიჯარო საწარმო „მ-

ის" მიმართ და მოითხოვა სს-ის დაფუძნების ბათილად ცნობით მისთვის, როგორც აქციონერისათვის, მიყენებული ზიანისა და გაუცემელი დივიდენდების ანაზღაურება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით ნ. ბ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

კოლეგიამ მიიჩნია, რომ, მართალია, ერთ-ერთ მოპასუხედ დასახელდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, მაგრამ დავის საგანს წარმოადგენდა აქციათა ღირებულებისა და გაუცემელი დივიდენდების ანაზღაურება, ანუ სარჩელის მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის იყო, რის გამოც მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართლის ნორმები და ნ. ბ-ძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელის განხილვის პროცესში ნ. ბ-ძემ სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული სასარჩელო განცხადება, რომელშიც მოპასუხედ კვლავ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო დაასახელა და მოითხოვა მისი დაზუსტებული სარჩელის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის განსჯადობით განსახილველად გადაცემა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმე განხილული უნდა ყოფილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართული იყო ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსადმი და მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისაგან თანხის გადახდას და ზიანის ანაზღაურებას.

კოლეგიამ განმარტა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას მხოლოდ სამართალსუბიექტობის პრინციპი არ იყო მთავარი და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილ-

ვის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენდა განსახილველი დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. დავის განხილვაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ განსაზღვრავდა დავის ხასიათს და უმთავრესი იყო, თუ რომელი კანონმდებლობიდან იყო აღმოცენებული დავა და რა იყო მისი არსი და საგანი. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ნ. ბ-ძე, იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია სასამართლოს მიერ, როგორც უკანონო, ბათილად იქნა ცნობილი, მან კი აქციებში გარკვეული თანხა გადაიხადა, მოპასუხისაგან მოითხოვდა კონკრეტული თანხის დაბრუნებასა და ზიანის ანაზღაურებას, რაზედაც მიუთითა კიდეც დაზუსტებულ სარჩელში. კოლეგიამ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო ან მეწარმეთა შესახებ კანონმდებლობიდან, მოსარჩელე არ მოითხოვდა აქციებს და არც რაიმე პრეტენზიები ჰქონდა მათ დაბრუნებაზე. იგი ითხოვდა მხოლოდ საწარმოს პრივატიზაციის გაუქმების გამო მისთვის, როგორც აქციათა მფლობელისათვის, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ აქციებში გადახდილი თანხის დაბრუნებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა გამომდინარეობდა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ნ. ბ-ძის სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო მოპასუხის დავალდებულებაზე ქმედების განხორციელების თაობაზე – მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე და, შესაბამისად, სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

ნ. ბ-ის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. საკასაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმის განხილვაზე უფლებამოსილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, მიუთითა, რომ ნ. ბ-ძემ თავდაპირველი სასარჩელო განცხადება წარადგინა მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოსა" და საიჯარო საწარმო

„მ.-ის" მიმართ და მოითხოვა მის მიერ აქციებში გადახდილი თანხის დაბრუნების და ზიანის ანაზღაურების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის, ხოლო დივიდენდების გაცემის სს „მ-თვის" დაკისრება. მოგვიანებით მან სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა დაზუსტებული სასარჩელო განცხადება, რომელშიც მოპასუხედ მიუთითა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, მოითხოვა მისი დაზუსტებული სარჩელის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის განსჯადობით განსახილველად გადაგზავნა. ამასთან, მოსარჩელის წარმომადგენელმა დააკონკრეტა სასარჩელო მოთხოვნის ნამდვილი შინაარსი და აღნიშნა, რომ მოითხოვდა არა აქციების ღირებულების, არამედ მის მიერ გადახდილი აქციების საფასურის, ასევე, სხვა სახის ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოტივაცია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა აქციათა ღირებულებისა და გაუცემელი დივიდენდების ანაზღაურება, ანუ სარჩელის მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის იყო, რის გამოც მოცემული დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართლის ნორმები და აქედან გამომდინარე, ნ. ბ-ძის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ არასწორად იქნა განსაზღვრული სარჩელის განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოებისათვის დადგენილი ნორმებით და იგი უნდა განეხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამ პროცესუალური ფორმით საქმის განხილვის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს განსახილველი დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ანუ რომელი კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობებიდან არის აღმოცენებული დავა და რა არის მისი არსი და საგანი, კონკრეტულ შემთხვევაში კი, სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო ან მეწარმეთა შესახებ კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვდა არა აქციების დაბრუნე-

ბას, არამედ – მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, იგი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ შესაბამისი მოთხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, თუმცა უშედეგოდ, ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის ნამდვილ შინაარსს, რაზეც მოსარჩელემაც მიუთითა, წარმოადგენს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ნ. ბ-ძის სარჩელთან დაკავშირებული დავა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის ფორმალურ წინაპირობად და სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სასამართლოს მიერ პრივატიზების უკანონოდ ცნობა, რის გამოც მას, როგორც სს-ის აქციათა მფლობელს, პრივატიზების უკანონოდ განხორციელებით, მიადგა ზიანი და, წარმოეშვა მისი ანაზღაურების ვალდებულება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე ნ. ბ-ძის სარჩელის გამო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო.

5. სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუ იგი არასათანადო მოპასუხეობის გამო კერძო სამართლის იურიდიული პირით არ შეიცვლება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის
29 მაისის №ბს-52-51განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. და გ. ბ-შვილებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს გორის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ და მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურებისათვის . . . ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვეს.

მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ სოფელ „. . .-ის" ტერიტორიაზე გამავალი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძის დაზიანებით ჩაწყვეტილმა სადენმა მოკლა მათ საკუთრებაში არსებული ძროხა, რომელიც ოჯახის ერთადერთი შემოსავლის წყარო იყო. თემის საკრებულოს მიერ შედგენილ იქნა აქტი. მოსარჩელეებმა მიმართეს გორის რაიონის გამგეობას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ამ უკანასკნელმა მიუთითა, რომ მოსარჩელეებს უნდა მიემართათ სადისტრიბუციო კომპანიისათვის და გაერკვიათ, თუ ვის საკუთრებაში იმყოფებოდა ელექტროგადამცემი ბოძები. თავის მხრივ, სს „ე. . . -ის" შიდა ქართლის ფილიალის გორის რაიონის მომსახურების ცენტრმა მიუთითა, რომ განცხადებაში მოყვანილი გაუმართავი საყრდენი და სადენი, აგრეთვე, სატრანსფორმატორო ქვესადგური იმყოფებოდა არა გორის რაიონის მომსახურების ცენტრის საკუთრებაში, არამედ გორის რაიონის გამგეობის ბალანსზე და შესაბამისად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მას არ ეკისრებოდა.

სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ სათანადო მოპასუხედ გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაასახელა.

2. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით . . . ლარის გადახდა

მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მთანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარება ის საქმეები, რომლებიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით წესრიგდება. დავაში ადმინისტრაციული ორგანოების მხოლოდ მონაწილეობა არ არის საკმარისი დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის საგანსა და საფუძველს. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო საკითხს აწესრიგებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1-ლი მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, სამოქალაქო-სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობები პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობებია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, სწორედ აღნიშნული ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ვინაიდან მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა ზიანის

ანაზღაურება, სარჩელი აღძრული იყო ადმინისტრაციული ორგანოს – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, განსახილველი დავა როგორც სუბიექტის, ისე სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გათვალისწინებით, მიეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური მოქმედებისაგან, ამიტომაც, ამ სახის დავების გადაწყვეტა საქართველოს ზოგადი ადმინისტაციული კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებით ხდება და ეს გარემოება არ ცვლის დავის არსსა და შინაარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული, რაც ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობასა და დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას.

5. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ გორის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადი იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის ანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული იყო გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ არ ყოფილა ცნობილი არასათანადო მოპასუხედ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, იგი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოადგენდა. დავის საგანი შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს

მიერ ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, სარჩელის თანახმად, სოფელ „. . .-ის“ ტერიტორიაზე გამავალი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძის დაზიანების მიზეზით ჩაწყვეტილმა სადენმა მოკლა მოსარჩელეების კუთვნილი ძროხა. მოსარჩელეები ითხოვდნენ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის მიყენებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით, განსაზღვრულია სამოქალაქო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება ადმინისტრაციულ ორგანოზე, თავად დავა კი განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ის გარემოება, რომ აპელანტი, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა, თავს არასათანადო მოპასუხედ მიიჩნევდა, არ წარმოადგენდა საქმის სამოქალაქო საქმეთა პალატისათვის გადაცემის საფუძველს. თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენდა, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეეძლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელის თანხმობით შეეცვალა თავდაპირველი მოპასუხე სათანადოთი. სათანადო მოპასუხედ კერძო სამართლის სუბიექტის ცნობა კი გამოიწვევდა განსჯადობის და შესაბამისად, საქმის განხილვის სამართალწარმოების წესის შეცვლას[1].

1 მოცემული საქმის არსებითი განხილვის თაობაზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ოქტომბრის №ბს-523-503(კ-10) განჩინება – მოცემული კრებულის გვ. 87

6. ფიზიკური პირის სარჩელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ, მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე სსიპ და შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის
29 იანვრის №ბს-1585-1539(გ-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ი-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიმართ და მოითხოვა მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ი-შვილმა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი საქმის განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

პალატამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. თუმცა, დავის ადმინისტრაციული წესით განხილვის მიჩნევისათვის, არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

ადმინისტრაციულმა პალატამ მიუთითა საქართველოს კანონ-

ის „საჯარო სამსახურის შესახებ“ მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. მათში საერთოდ არ არის დასახელებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში“ რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალშიც საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

ამავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ 1-ლი მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ცალსახად მიუთითებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოდ მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანო, დაწესებულება ან პირი, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა.

პალატის მოსაზრებით, ვინაიდან დასახელებული კანონი ადმინისტრაციულ ორგანოდ არ მიიჩნევს საზოგადოებრივ მაუწყებელს, შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანება ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ბრძანების კანონიერებასთან დაკავშირებული დავა (მოცემულ შემთხვევაში, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა) არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც საქმე წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შრომითი ურთიერთობი-

დან წარმოშობილ დავას მოქალაქესა და იურიდიულ პირს შორის და იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოტივაცია და თავის მხრივ მიუთითა: აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა გამომდინარეობდა არა პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ურთიერთობებიდან, არამედ წარმოადგენდა საჯარო-სამართლებრივ დავას ფიზიკურ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს (სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის ადმინისტრაციას) შორის, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და მიმართული იყო კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს (სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის ადმინისტრაციის) მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისკენ. ანუ, ამ შემთხვევაში, დავის საგანს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არასწორად გამოცემული ბრძანების გაუქმება წარმოდგენდა, რასაც პროცესუალურად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლი მიესადაგებოდა.

სააპელაციო პალატის განმარტებით, აღნიშნული სამართალურთიერთობის ერთ-ერთ სუბიექტს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც გააჩნდა მმართველობითი ღონისძიებების: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, რეალაქტისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების განხორციელების უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში, მხარე ასაჩივრებდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის შესაფასებლადაც სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების მაკვალიფიცირებელი ნორმების გამოყენება კანონსაწინააღმდეგო იქნებოდა.

პალატის მოსაზრებით, საქმის განხილვისას შესაფასებელი იყო, რამდენად სწორად გამოსცა სსიპ საქართველოს ტელევიზისა და რადიომაუწყებლობის ადმინისტრაციამ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საქმე განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარე იყო შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

მოსარჩელე გ. ი-შვილის მოთხოვნას წარმოადგენდა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ამიტომაც, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რა თვალსაზრისითაც საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობა, მაგრამ ამავდროულად საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს კანონს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", რომლის 1-ლი მუხლის „თ" პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიეკუთვნება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული ორგანო, დაწესებულება ან პირი, გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლობისა.

საქართველოს კანონის „საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ" 1-ლი მუხლის „ჰ" ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლობა არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლები-

საგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას. ამიტომაც, მიუხედავად „საზოგადოებრივი მაუწყებლობის“ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ვერ ჩაითვლება ადმინისტრაციულ ორგანოდ, ვინაიდან ის კანონები, რომლებიც აღნიშნულ ორგანოსთან დაკავშირებით იძლევა სპეციალურ რეგულაციებს, გამორიცხავენ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევის შესაძლებლობას.

სარჩელი მიმართული იყო „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ და ფიზიკური პირი მისგან ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. ამიტომაც, სამართალსუბიექტობის თვალსაზრისით, სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტს არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გამორიცხავდა მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესებით განხილვის შესაძლებლობას.

7. მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე ქ. თბილისის მთავრობის დაუსაბუთებელი უარით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
4 აპრილის № ბს-226-214(გ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ზ. ა-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა ქ. თბილისის მთავრობის მიმართ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ქმედებით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იყო სამხედრო ინვალიდი, ამასთან, 9 აპრილის მოვლენების მონაწილე და მოწამვლის შედეგად ჯანმრთელობაშეზღუდული პირი. საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით, მან მიმართა დაბა წყნეთის გამგეობას მიწის ფართის

გამოყოფის თაობაზე და იგი შეყვანილ იქნა მიწის ნაკვეთების მიმღებ ოჯახთა სიაში. საკითხის შემდგომი განხილვისათვის განცხადება გადაიგზავნა ქ. თბილისის მთავრობის მიწების განკარგვის საქალაქო კომისიაში, თუმცა მის საკითხზე კომისიისა და ქ. თბილისის მთავრობის მიერ გადაწყვეტილებები მიღებული არ ყოფილა.

მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს კანონის „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის და საქართველოს კანონი „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ" თანახმად, მას, როგორც სამხედრო ძალების ვეტერანს, უფლება ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად უფასოდ მიეღო საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. მოსარჩელეს, მისივე განმარტებით, დაუსაბუთებელი უარით მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენეს, რადგან მცირეფართიან ბინაში ცხოვრება უხდებოდა მრავალ პირს, რითაც მათი ცხოვრების პირობები ძლიერ გაუსაძლისი იყო.

ზ. ა-მა მოითხოვა მოპასუხის მიერ დაბა წყნეთის ტერიტორიაზე 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის გამოყოფა ან მისი საბაზრო ღირებულების ფულადი სახით ანაზღაურება, ასევე, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად – . . . ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ზ. ა-ნის სარჩელიდან მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმ მოტივით, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსით იყო მოწესრიგებული.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობა იყო ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო მოსარჩელე აღნიშნული ორგანოს ქმედებით (მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე დაუსაბუთებლად უარით) მიყენებული ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა, ანუ არსებობდა ადმინისტრაცი-

ული სამართალწარმოების წესით სარჩელის განხილვის ორი წინაპირობა, მესამე წინაპირობასთან (ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული დავა) დაკავშირებით კი, სასამართლომ აღნიშნა: მთლიანად სარჩელის მოთხოვნა – მიწის ნაკვეთის გამოყოფა ან სანაცვლო ღირებულების, ასევე, მოპასუხისაგან მორალური ზიანის ანაზღაურება, დამყარებული იყო ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობაზე. კერძოდ, მოსარჩელე თავისი მოთხოვნის საფუძვლად მიუთითებდა საქართველოს კანონებს: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ", „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" და „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ". იგი განმარტავდა, რომ მორალური ზიანი განიცადა მოპასუხის მიერ სწორედ აღნიშნული კანონების მოთხოვნათა დარღვევის შედეგად, ვინაიდან მიწის ნაკვეთის გადაცემაზე დაუსაბუთებლად ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინება არ ცვლიდა განსახილველი დავის ბუნებას და, შესაბამისად, ზ. ა-ნის სასარჩელო მოთხოვნა ქ. თბილისის მთავრობის მიერ მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისათვის უფლებამოსილს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მოსარჩელემ ადმინისტრაციული ორგანოსაგან – ქ. თბილისის მთავრობისაგან მისი ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა ადმინისტრაციული

სამართალწარმოების წესით სარჩელის განხილვის ყველა წინაპირობა, ხოლო ის გარემოება, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, არ ცვლის განსახილველი დავის ბუნებას და, შესაბამისად, ზ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა ქ. თბილისის მთავრობის მიერ მისთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ზ. ა-ის სარჩელთან დაკავშირებული დავაც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, რადგან სასარჩელო მოთხოვნა დაფუძნებული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებზე. კერძოდ, მოსარჩელე თავისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებდა საქართველოს კანონებზე „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“, „სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ და „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას განეკუთვნება. ამასთან, მოსარჩელემ მისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა ქ. თბილისის მთავრობისაგან, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არასწორად გამოყო სარჩელიდან მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე ცალკე წარმოებად და აღნიშნულის საფუძვლად დაუსაბუთებლად მიუთითა მხოლოდ იმ ფორმალურ გარემოებაზე, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ ურთიერთობათა სფეროს განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ ზიანის ანაზღაურებაში იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება როგორც

მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების შესახებ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად საჯარო-ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს ეფუძნებოდეს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების შეუსრულებლობით, რაზედაც მოსარჩელე მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მიუთითებდა.

8. შს სამმართველოს უფროსის მოადგილის მოქმედებით (ინტერვიუს მიცემით), რომელიც მის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებაში არ შედის, მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებაზე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთაპალატის 2005 წლის
5 აპრილის №ბს-498-19-გ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ვ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა რაიონულ სასამართლოს მოპასუხე რ. კ-ის მიმართ და მიუთითა, რომ მოპასუხემ გაზეთ „ახალი თაობის“ ნომერში ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში მოსარჩელესა და მის ოჯახს „წამლის გადამყიდველები“ უწოდა. მოპასუხემ ანალოგიური ინტერვიუ მისცა გაზეთ „ალიას“ სხვა ჟურნალისტსაც.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საგაზეთო სტატიებში გამოქვეყნებული ინფორმაცია ყალბია და არ არსებობდა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე მოითხოვა

ყალბი ცნობების უარყოფა, მოპასუხის მიერ საგაზეთო სტატიის მეშვეობით ბოდიშის მოხდა და მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხისათვის . . . ლარის დაკისრება.

2. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მ. ვ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა და მან იგი სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმეში მოპასუხეს წარმოადგენდა არა ფიზიკური პირი, არამედ გორის შინაგან საქმეთა სამმართველო და მოსარჩელის წარმომადგენლის თანხმობით არასათანადო მოპასუხე რ. კ-ი შეიცვალა სათანადო მოპასუხით – გორის შს სამმართველოთი.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით მ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლოა დაეკისროს ადმინისტრაციულ ორგანოს – გორის შს სამმართველოს, დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან, რის გამოც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე, პალატამ მ. ვ-ის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული დავა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმედ მიიჩნია და განსჯადობით განსახილველად ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას გადასცა.

მ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

4. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2

მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის I-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა – ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ინტერვიუს მიცემა არ წარმოადგენდა გორის შს სამმართველოს უფროსის მოადგილის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას. მოსარჩელის მოთხოვნები ემყარებოდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს, ამიტომაც დავა სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სადავო სამართალურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ხასიათის იყო და არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოთხოვნის მიზანი იყო სუბიექტური უფლებების – პატივის, ღირსებისა და რეპუტაციის დაცვა. მოთხოვნის შინაარსი არ შეიცვალა სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის ინიციატივით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე, ერთი მოპასუხის – ფიზიკური პირის, მეორე მოპასუხით – ადმინისტრაციული ორგანოს შეცვლით, რომლის მართლზომიერების თაობაზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებდა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამართალსუბიექტობა

არ წარმოადგენს დავის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის ერთადერთ კრიტერიუმს, საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებობიდან უნდა გამომდინარეობდეს. სამოქალაქო სამართალწარმოების წესი სრულად უზრუნველყოფდა პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას და არ საჭიროებდა სადავო სამართალურთიერთობების გადასაწყვეტად ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებების გამოყენებას. საქმის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მატერიალური ნორმების რეალიზაციის შესაბამისი პროცესუალური, კერძოდ, სამოქალაქო პროცესუალური ნორმებით და საქმე დისპოზიციურ საწყისებზე დაყრდნობით უნდა განეხილა.

9. ფიზიკური პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოს უფროსის მიმართ, რომელიც საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს, ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
24 მარტის №ბს-1433-92-გ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ო. კ-მ სარჩელი აღძრა ახმეტის რაიონულ სასამართლოში მიწის მართვის სამმართველოს უფროსის რ. ა-ის მიმართ და მიუთითა, რომ ხორხლის სახაზინო მეურნეობამ იჯარით გადასცა საძოვარი. მასზე განლაგებული ხანძრის შედეგად დაზიანებული ცხვრის სადგომი ო. კ-მ საკუთარი ხარჯებით აღადგინა. ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსმა რ. ა-მა მოსარჩელის ყოველგვარი გაფრთხილების და მასთან შეთანხმების გარეშე, დაანგრია ო. კ-ს მიერ აღდგენილი ცხვრის სადგომი ბინა, მასალა წაიღო და გაყიდა. ო. კ-მ მითხოვა რ. ა-ის დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება: მისთვის ცხვრის სადგომის აღდგენისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

2. ახმეტის რაიონულმა სასამართლომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილა ო. კ-ს სარჩელი და იგი დააკმაყოფილა: ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსს, როგორც სახელმწიფო მოსამსახურესა და ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს (იმ სახელმწიფო ორგანოს, რომელშიც მოსამსახურე რ. ა-ი მუშაობდა) სოლიდარულად დაეკისრათ ო. კ-ს სასარგებლოდ მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსმა.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა აპელანტის შუამდგომლობა საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის თაობაზე და შემდეგი მოტივით დააკმაყოფილა მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა საქმის თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ.

მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ განმარტა, რომ მისი სარჩელი მიმართული იყო არა ადმინისტრაციული ორგანოს – ახმეტის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის რ. ა-ის, წინააღმდეგ, არამედ მის, როგორც ფიზიკური პირის მიმართ და ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა მისგან და არა ადმინისტრაციული ორგანოსგან, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა არ მოიაზრებოდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიაში.

4. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე წარმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სააპელაციო პალატამ განმარტა: როგორც სარჩელიდან და მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან ირკვეოდა, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას რ. ა-საგან არა როგორც ფიზიკური პირისაგან, არამედ როგორც საჯარო მოხელისაგან ითხოვდა. კერძოდ, მან

ხელქვეითი პირისადმი გასცა განკარგულება სადგომის დაშლის შესახებ, ანუ იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და როგორც საჯარო მოხელემ, მიაყენა ზიანი. აღნიშნულის გამო მოსარჩელე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული ორგანოსაგან და მისი თანამდებობის პირისაგან. ეს კი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით წარმოადგენდა სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

5. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი განსაზღვრავს სასამართლოს უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს და შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვით დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგ პირობათა არსებობა:

ა) ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სადავო სამართალურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან;

ბ) სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო ან ადმინისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები.

განსახილველ შემთხვევაში ფიზიკურმა პირმა ო. კ-მ ზიანის ანაზღაურების თაობაზე რაიონულ სასამართლოში აღძრულ სარჩელში მოპასუხედ მიუთითა მიწის მართვის სამმართველოს უფროსი რ. ა-ი, რომელიც საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა დააზუსტა სარჩელი და განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების

შესახებ მათი მოთხოვნა მიმართული იყო ფიზიკური პირის რ. ა-ისადმი და არა ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსისადმი, ხოლო სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ო. კ-ს მიერ საკუთარი ხარჯებით აღდგენილი ცხვრის სადგომი დაინგრა ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროს რ. ა-ის ბრძანებით, რაც უკანონოა და ეს უკანასკნელი, როგორც საჯარო მოხელე, გასცდა თავის უფლებამოსილებას. თავის მხრივ, მოპასუხემაც განმარტა, რომ ბრძანება ცხვრის სადგომის დანგრევის შესახებ გასცა, როგორც ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსმა და არა, როგორც ფიზიკურმა პირმა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე თავად განსაზღვრავს დავის საგანს და ასახელებს მოპასუხეს. ვინაიდან განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა ფიზიკური პირის, ო. კ-ისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მოპასუხედ დასახელებული იყო ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსი რ. ა-ი, რომლის ბრძანებითაც დაინგრა მოსარჩელის მიერ აღდგენილი ცხვრის სადგომი, საკასაციო პალატის აზრით, კონკრეტული დავა სამართლებრივად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველს წარმოადგენდა, სადაც მოსარჩელეა ფიზიკური პირი ო. კ., მოპასუხე – ახმეტის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსი რ. ა-ი, რომელიც, კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" მე-4 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენდა, ხოლო დავის საგანი – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამიტომაც, საკასაციო პალატამ გაიზიარა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრება და ჩათვალა, რომ განსახილველი დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, განსჯად სასამართლოს – თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას უნდა გადასცემოდა.

10. სარჩელი კერძო სამართლის იურიდიულ პირის მიმართ, იძულებით გადაადგილებული პირისათვის საცხოვრებელი სადგომის სანაცვლო კომპენსაციის გადახდის თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვაკატეგორიისსაქმეთა პალატის2009 წლის
6 მარტის №ბს-1738-1691(გ-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. მ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსა და შპს „ჟ. . .-ის" მიმართ და მოპასუხეებისაგან მოითხოვა საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის მითითებით, აფხაზეთში მომხდარი მოვლენების გამო, მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი, საცხოვრებლად რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, იპოდრომზე, მისი ოჯახი სს „სახალხო ბანკის" საბურთალოს რაიონში იღებდა ლტოლვილთათვის განკუთვნილ დახმარებას. დევნილობის დღიდან სხვაგან რეგისტრირებული არ ყოფილა და არც სხვა საცხოვრებელი ადგილი გააჩნდა. ინვესტორთან დადებული გარიგების შედეგად, კომპენსაციის სანაცვლოდ, მოხდა კოტეჯებიდან დროებით საცხოვრებლად განთავსებული პირების გაყვანა, მაგრამ მოსარჩელეს საკომპენსაციო თანხა არ მიუღია.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს კანონის „ლტოლვილთა შესახებ" 5.2 მუხლის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ევალებოდა დევნილების უფლებების, მათ შორის დროებითი საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფა, საიდანაც გაყვანა დასაშვები იყო მხოლოდ კომპენსაციის სანაცვლოდ, რაც მოსარჩელეს არ მიუღია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მ. მ-ას სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოყო საქმე მოთხოვნაზე, მოპასუხე შპს „ჟ-ის" მიმართ, საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების შესახებ, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოე-

ბით განსახილველი და განსჯადობით განსახილველად გადასცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ" მე-16, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლებით და მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა შპს „ჟ-ის" მიმართ თანხის ანაზღაურების შესახებ გამომდინარეობდა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან და წესრიგდებოდა სამოქალაქო კოდექსით, რის გამოც მოთხოვნა ამ ნაწილში განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქმის სამოქალაქო წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე და იგი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საკასაციო სასამართლოში, რაც კოლეგიამ შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შპს „ჟ-ის" შორის დადებული იყო იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება ქ. თბილისში, იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის ქონების გაერთიანების თაობაზე. იპოდრომის ტერიტორიაზე კომპაქტურად იყვნენ ჩასახლებული დევნილები. იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებაში ტერიტორიიდან დევნილთა გამოყვანის შემთხვევაში მათთვის მინიჭებული სახელმწიფო გარანტიების თაობაზე რაიმე შეთანხმების შესახებ მითითებული არ ყოფილა. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, უძრავი ქონება წარმოადგენდა შპს „ჟ-ის" საკუთრებას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რადგან საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" განსაზღვრავდა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს.

აღნიშნული კანონის 5.3 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სარჩელის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" 5.4 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, რომელზე მითითებითაც მოსარჩელე ითხოვდა შპს „ჟ-საგან" კომპენსაციის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლოს მიერ მოპოვებული ინფორმაციით მ. მ-ვას სარჩელზე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით დაუშვებლობის გამო საქმისწარმოება შეწყდა.

4. საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ მ. მ-ას სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს სასამართლოში ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავებს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ასევე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში კონკრეტულად დასახელებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. შესაბამისად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდ-

ექსის მე-2 მუხლის მე-2-3 ნაწილებში, ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოცემული საქმე, როგორც საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე, განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. კერძოდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობას, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს განსაზღვრავდა საქართველოს კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ იყო ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით მოწესრიგებული, ადმინისტრაციული უფლებებისა და ვალდებულებების წარმომშობი ურთიერთობა.

საქმის მასალებით მოსარჩელე მ. მ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იყო დროებითი საცხოვრებელი ადგილით და შესახლებული იყო თბილისის სახელმწიფო იპოდრომის ტერიტორიაზე განთავსებულ კოტეჯში. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსა და შპს „ჟ-ს“ შორის დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლითაც საქართველოს კანონის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო იპოდრომისა და ყულარის ცხენსაშენის გაერთიანების ქონების ნაწილი იჯარაგამოსყიდვით გადაეცა შპს-ს. ხელშეკრულებით არ დასტურდებოდა დევნილთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ან გამოსახლების პირობებში სათანადო კომპენსაციის ანაზღაურების მოვალეობის შპს „ჟ-ის“ გადაკისრება. მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, შპს „ჟ-ის“ მიერ მოხდა იპოდრომის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ განთავსებულ კოტეჯებში მაცხოვრებელ დევნილებთან შეთანხმება, თანხის გადახდის სანაცვლოდ დაკავებული ფართის გამოთავისუფლების შესახებ.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არსებობდა არა სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების – უზრუნველყოს დევნილთა

უფლებების დაცვა, გადაცემა კერძო სამართლის სუბიექტისათვის, რაც სადავოსამართლებრივ ურთიერთობას საჯარო-სამართლებრივ ხასიათს შესძენდა, არამედ კერძო სამართლის სუბიექტს -შპს „ჟ-სა“ და დევნილთა შორის შეთანხმება – თანხის გადახდის სანაცვლოდ დათმონ მათ მიერ დაკავებული ფართი. ამიტომაც, სადავო-სამართალურთიერთობა არ იყო დაკავშირებული საქართველოს კანონით „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ განსაზღვრული ვალდებულების შესრულებასთან.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ცალკე წარმოებად გამოყო მ. მ-ას სარჩელი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ, საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ნაწილში და მასზე საქმისწარმოება შეწყდა სარჩელის დაუშვებლობის გამო. ამასთანავე, პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე იხილავდა დავას მ. მ-ას სარჩელის განსჯადობის თაობაზე, არ გააჩნდა უფლებამოსილება შეეფასებინა ცალკე წარმოებად გამოყოფილ საქმეზე წარმოების შეწყვეტის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან და შეემოწმებინა სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების კანონიერება.

11. სარჩელი, პოლიციის საკუთრებაში მყოფი ავტომობილის მძღოლის მიერ შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
24 ივლისის №ბს-687-655(გ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ფ-ძემ სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონულ სასამართლოში მცხეთა-მთიანეთის შსს მთავარი სამმართველოს მიმართ, მესამე პირი – გ. თ-ი, და მოითხოვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყ-

ენებული ზიანის, ასევე სახელმწიფო ბაჟისა და დაცვის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის მითითებით, კუთვნილი ავტომანქანით მოძრაობისას მას შეეჯახა გ. თ-ის მართვის ქვეს მყოფი ავტომობილი, რის შედეგადაც მიიღო სხეულის დაზიანება, ასევე დაზიანდა მისი ავტომანქანა.

გ. თ-ი მართავდა მცხეთა-მთიანეთის კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს კუთვნილ ავტომანქანას, როგორც დაწესებულების მძღოლი, რომელიც იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში მითითებულ ორგანიზაციასთან, ავტომანქანა კი მცხეთა-მთიანეთის კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს საკუთრებას წარმოადგენდა და ირიცხებოდა მის ბალანსზე.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე, 1005-ე მუხლების შესაბამისად, მცხეთა-მთიანეთის კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველო ვალდებული იყო აენაზღაურებინა ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, შრომითი მოვალეობის შესრულების დროს.

2. მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსახილველად გადაეცა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოცემული სარჩელი ექვემდებარებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

3. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარმართა საკასაციო სასამართლოში, რაც რაიონულმა სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამარ-

თლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, განმსაზღვრელია დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის და მხოლოდ მოპასუხე მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ არის საკმარისი საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის.

სასამართლო კოლეგიის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 997-ე, 1005-ე მუხლების საფუძველზე. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია მოკლებული იყო შესაძლებლობას, გამოეყენებინა ადმინისტრაციული კანონმდებლობა და უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კანონმდებლობით, რაც ეწინააღმდეგებოდა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ კრიტერიუმებს.

ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ არასწორად განიმარტა მითითებული ნორმა იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს საქმეებს, რომლებიც გამომდინარეობს სამოქალაქო ურთიერთობებიდან.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ფ-ძის სარჩელი მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალ-

ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული ნორმით განისაზღვრა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება, რომ მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს – მცხეთა-მთიანეთის შსს მთავარი სამმართველოს დავალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას დავის სამოქალაქოდ მიჩნევის შესახებ იმ მოტივით, რომ დავა გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი ადგენს განსაკუთრებულ წესს მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მხოლოდ ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ცალკეული ნორმები სამოქალაქო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, არ წარმოადგენს

დავის სამოქალაქო კატეგორიას მიკუთვნების განმსაზღვრელ კრიტერიუმს. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე მითითება არ წარმოადგენდა დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის საფუძველს. მ. ფ-ძე სასარჩელო განცხადებით ადმინისტრაციული ორგანოსაგან ითხოვდა მისი მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენდა.

12. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს რეგრესული სარჩელი, მისი თანამდებობის პირის მიმართ უფლებამოსილების გადამეტებით ჩადენილი მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2011 წელი
18 იანვრის №ბს-1700-1656(გ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სარჩელი აღძრა ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე – ა. შ-ძის მიმართ, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სარჩელში მითითებული იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის" სარჩელი და მარნეულის გამგეობას დაეკისრა ვ. გ-იას მკურნალობის ხარჯების გადახდა. მოსარჩელის მოსაზრებით, მარნეულის ყოფილმა გამგებელმა – ა. შ-ძემ უფლებამოსილების გადამეტებით გასცა საგარანტიო წერილი და გადარიცხა ბიუჯეტის კუთვნილი თანხა თბილისში მცხოვრები ვ. გ-იას ოპერაციის

დასაფინანსებლად, რითაც არამიზნობრივად გამოიყენა გამგეობის ბიუჯეტი და შექმნა იმის საფუძველი, რომ სასამართლოს დაეკმაყოფილებინა „გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიური ცენტრის“ სარჩელი.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მარნეულის რაიონის გამგეობის სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. შ-ძემ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ედავება რაიონის ყოფილ გამგებელს – ა. შ-ძეს, რომელსაც, მოსარჩელის აზრით, არ ჰქონდა სამართლებრივი უფლებამოსილება გამოეყო სოციალური დახმარება კერძო პირისათვის, რომელიც არ ცხოვრობდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დავა წესრიგდებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობით და წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გადასაწყვეტ ადინსიტრაციულ დავას.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, ა. შ-ძის სააპელაციო საჩივარი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სააპელაციო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველი დავის შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მო-

სარჩელე ადმინისტრაციული ორგანოს – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნა, მოპასუხე – ფიზიკური პირისაგან მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ვერ განიხილებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამასთანავე, დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლიდა ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ამიტომაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის თანახმად, დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყვეტილიყო.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელი განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავად.

მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის ობიექტს წარმოადგენდა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოპასუხე – ა. შ-სათვის მატერიალური ზიანის რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე, რომლითაც დადგენილია, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები და მათი სახეობებიც დაკონკრეტდა ამ მუხლის მე-2 ნაწილში.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება, რომ სასარჩელო მოთხოვნა, რის თაობაზეც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ, კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელი განეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას.

13. პირველი ინსტანციის სასამართლოში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილული სარჩელი, მისი შპს გარდაქმნის გამო, სააპელაციო ინსტაციაში სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იყოს განხილული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
14 დეკემბრის №ბს-569-542(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმართ და მოითხოვა . . . აშშ დოლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელის მითითებით, იგი მუშაობდა ქ. ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის გასამხედროებული დაცვის გუშაგად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღო საწარმოო ტრავმა – მოკვეთეს ფეხი. ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სარჩელი მკურნალობის, წამლებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელის მითითებით, ნავსადგურის ბრალეული მოქმედების შედეგად მან დაკარგა ცალი ფეხი, რომლის აღდენაც შეუძლებელია, მოკლებულია თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობას ამასთან, დაემართა დეპრესიული ნევროზი, ხშირი ფობიებით, ღამღამობით თითქმის არ სძინავს, გახდა ახლობლების მიმართ აგრესიული, რის შედეგადაც მეუღლემ ფაქტობრივად მიატოვა იგი. გ. კ-ძემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მას უფლება აქვს მოითხოვოს მორალური ზიანის კომპენსაცია ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის.

ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. კ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სსიპ ქ. ფოთის ნავსადგურს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ფოთის საზღვაო ნავსადგურმა და გ. კ-ძემ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის განხილვის დროს შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური" წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რის გამოც დავა განხილული და გადაწყვეტილ იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. ამიტომაც არ არსებობდა ამ მოტივით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. ამასთან, განსჯადობის საკითხი არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ.

სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

3. ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით განცხადება შეიტანა ფოთის საზღვაო ნავსადგურმა, მაგრამ დაუშვებლობის გამო იგი განუხილველად იქნა დატოვებული. ამასთანავე, განცხადების განხილვის დროს შეჩერდა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე გ. კ-ძის სარჩელზე საქმისწარმოება და იგი განახლდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ფოთის საზღვაო ნავსადგურის განცხადებაზე საქმისწარმოების დამთავრების შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რადგანაც ფოთის საზღვაო ნავსადგურის მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ გ. კ-ძის სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იყო განხილული, ამიტომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ფოთის საზღვაო ნავსადგურის განცხადება განხილულ და გადაწყვეტილ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის შეტანის დროს ფოთის საზღვაო ნავსადგური საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენდა, იგი განხილული და გადაწყვეტილი იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რის გამოც სააპელაციო საჩივრები უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული

ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. აღნიშნული კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურმა“.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ საკასაციო საჩივარი, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა კერძო სამართლის იურიდიული პირის – შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ მორალური ზიანის ანაზღაურება. დავის საგნის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე არ განეკუთვნებოდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნული მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დავის საგნად განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ზემოაღნიშნული მოთხოვნა დაცული არ იყო. მოსარჩელე ითხოვდა მორალური ზიანის ანაზღაურებას არა ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან. მართალია, სარჩელის აღძვრის მომენტში შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქმე უკვე აღარ განეკუთ-

ვნებოდა ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რის გამოც იგი ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადი იქნებოდა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განმხილველი სასამართლო საქმეზე განსჯად სასამართლოს უნდა წარმოადგენდეს საქმის გადაწყვეტის მომენტშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილული იყო დარგობრივი განსჯადობის წესების დარღვევით, რის გამოც დაირღვა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, 26-ე მუხლების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მოთხოვნები.

საბოლოოდ, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველი საქმე წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

14. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგად, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლების ანაზღაურების შესახებ სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
26 დეკემბრის №ბს-1047-1000(გ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შპს „. . .-მ" სარჩელი აღძრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ შპს „ . . . -სა" და საგანგებო ლეგიონს შორის გაფორმდა მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს შეინახავდა და დაიცავდა ლეგიონის მიერ მასთან

განთავსებულ ტვირთებს. ხელშეკრულებით განისაზღვრა ტვირთის შენახვის ტარიფი და მომსახურების საზღაურის გადახდის წესი.

საგანგებო ლეგიონის მიერ საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე დაკავებულ იქნა მოქალაქე ა. ზ-ის კუთვნილი ავტომანქანა „კამაზი" ტვირთითურთ და ის შესანახად ჩაბარდა შპს-ს სპეცსადგომს. საბაჟო წესების დარღვევის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მასთან დაკავშირებული ნივთმტკიცებები სპეცსადგომში ინახებოდა 20 დღის განმავლობაში საგანგებო ლეგიონის, ხოლო 20 დღის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სასარგებლოდ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ შპს-ს და მოპასუხეებს შორის არსებობდა გარიგება ტვირთის მიბარებისა და შენახვისშესახებ, რომლითაც განსაზღვრული იყო მომსახურების გაწევისა და მისი ანაზღაურების წესი და სწორედ ეს წარმოადგენდა მის მიერ მომსახურების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოპასუხეების მიმართ სარჩელის აღძვრის საფუძველს.

საქმე განხილულ იქნა ყველა ინსტანციის სასამართლოში და საბოლოოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „. . ."-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ტვირთის შენახვის შესახებ მომსახურების ხელშეკრულება წარმოადგენდა ბათილ გარიგებას, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნებს. ამავე დროს, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია რა მოსარჩელის მიერ მოპასუხეთა სასარგებლოდ ტვირთის შენახვის ფაქტი, მიუთითა, რომ შპს-ს შეეძლო ამ მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნა არა ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ სხვა სამართლებრივი საფუძვლით.

ახალი სასარჩელო განცხადებით შპს-მ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან მოითხოვა უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში დავის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავდნენ ამ კოდექსით დადგენილი წესით. იმავე კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავდა საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლების ანაზღაურება, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით წესრიგდებოდა და მოცემულ შემთხვევაში საქმეში მოპასუხედ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ განაპირობებდა საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს-ს სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (საგანგებო ლეგიონის უფლებამონაცვლეს) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (საქართველოს უშიშროების სამინისტროს უფლებამონაცვლეს) მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ . . . ლარის გადახდა.

3. ადმინისტრაციული ორგანოების საჩივრების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით გაუქმდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, საქმეზე განახლდა სასარჩელო წარმოება, და შემდგომ საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახალო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი შპს-სა და საქართველოს საგადასახადო შე-

მოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონს შორის არსებული ხელშეკრულება.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს სარჩელით ითხოვდა მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ, ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგად მოპასუხეთა მიერ უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული სარგებლის და იმავდროულად, ნივთმტკიცებათა შენახვის ხარჯების ანაზღაურებას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო იყო ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება. საჯარო-სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხეები იყვნენ საქართველოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროები, რომლებიც ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, მოსარჩელის მიერ აღძრული სასარჩელო მოთხოვნა წარმოშობილი იყო იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობდა საჯარო სამართლის კანონმდებლობიდან, რადგან გულისხმობდა ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებას, აენაზღაურებინა მიყენებული მატერიალური ზიანი. უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული სარგებლის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნას კი საფუძვლად ედო ადმინისტრაციული გარიგების ბათილობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი ურთიერთობები, თავისი სამართლებრივი ბუნებით, ზიანის ანაზღაურებიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მონათესავე იყო. ის გარემოება, რომ უსაფუძვლო გამდიდრებიდან

წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავდა, მოცემულ შემთხვევაში არ განაპირობებდა საქმის განსახილველად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისადმი დაქვემდებარებას. ზიანის ანაზღაურებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, დავა იძენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მიანიშნებდა მოცემული დავის საჯარო-სამართლებრივ ხასიათზე და მისი გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისათვის დადგენილი საპროცესო წესების დაცვით.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს-ს სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენდა და განსახილველად მას უნდა დაქვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას. აღნიშნული მუხლის 1-ლ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ანალოგიურად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალს და მის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით, საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული მუხლის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდე-

ბულება ზიანის ანაზღაურების ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ შპს „. . . -მ" სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე. მხარეთა შორის არსებულ მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე შპს კისრულობდა ვალდებულებას, თავის სპეცსადგომში მოეთავსებინა საგანგებო ლეგიონის მიერ დაკავებული სატრანსპორტო საშუალებები ტვირთიანად, სადღეღამისო დგომით, მათი დაცვის უზრუნველყოფის პირობით.

საქმეში წარმოდგენილ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით ირკვეოდა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით ბათილ ადმინისტრაციულ გარიგებად იქნა მიჩნეული ზემოაღნიშნული ხელშეკრულება. მოსარჩელეს განემარტა, რომ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ ართმევდა მხარეს უფლებას მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად სხვა საფუძვლით მიემართა სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი

უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნია, რომ სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, რომლებიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის დისპოზიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო-სამართლებრივ ურთიერთობა არსებობდა. შპს-ს სარჩელი აღძრული იყო უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით და მოსარჩელე მის სამართლებრივ საფუძვლად უთითებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე, 979-ე, 991-ე და 412-ე მუხლებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. სასარჩელო მოთხოვნები მთლიანად დაფუძნებული იყო უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების მომწესრიგებელ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე შპს-ს სარჩელის გამო მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების

თაობაზე, წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველს და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო.

15. მართლმსაჯულების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის, სახელმწიფოსთან ერთად მოსამართლის სოლიდარულ პასუხისმგებლობის თაობაზე სარჩელი, უწყებრივად სასამართლოს განსჯადია მხოლოდ, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით დადასტურებულ, მოსამართლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩადენილი დარღვევის არსებობისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
20 აპრილის №ბს-181-23-კს-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. მ-მა ქუთაისის საოლქო სასამართლოში ამავე სასამართლოს მოსამართლეების მიმართ სარჩელი აღძრა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მოსარჩელემ სარჩელის საფუძვლად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

ქუთაისის საოლქო სასამართლოს განჩინების მიღებით, მოპასუხეებმა ე მ-ის წინააღმდეგ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინეს, რაც გამოიხატა იმაში, რომ მოპასუხეების მიერ გამოტანილი განჩინებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 18 აგვისტოს დადგენილება მოსარჩელის შპს „. . . “ წევრად აღდგენის შესახებ გაუქმდა და იგი შპს-ს დამფუძნებელთა სიიდან უკანონოდ გაირიცხა.

მოსარჩელემ აღნიშნულ საკითხზე საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის საბჭოს, რომელმაც კანონდარღვევა აღმოაჩინა და საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს დისციპლინარულ კოლეგიაში გადააგზავნა, ხოლო სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამართლეები საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპ-

ლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის – საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევის ჩადენაში ბრალეულად ცნო და მათ მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათი გამოიყენა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხეთა უკანონო გადაწყვეტილებით მან განიცადა მორალური ზიანი და მოპასუხეებზე ფულადი კომპენსაციის – . . . ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით ე. მ-ის სარჩელი არასაქვეუწყებობის გამო წარმოებაში არ იქნა მიღებული.

ე. მ-მა განჩინებაზე წარადგინა კერძო საჩივარი.

2. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმის მასალებთან ერთად საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარიმართა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით გასაჩივრებული განჩინება მოტივირებული იყო არა იმით, რომ სარჩელი მათი სასამართლოს განსჯადი არ იყო, არამედ სარჩელის მიღებაზე უარი არასაქვეუწყებობის გამო ეთქვა. სხვა შემთხვევაში, სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელს უფლებამოსილ სასამართლოს გადაუგზავნიდა და ამის შესახებ მოსარჩელეს აცნობებდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მატერიალურ-პროცესუალური თვალსაზრისით, ე. მ-ის სარჩელი ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ დაუშვებელი იყო, რადგან იგი უწყებრივად საერთო სასამართლოების განსჯადი არ იყო. მისი განხილვა საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ თანახმად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა, რომელსაც აღნიშნული საკითხი უკვე განხილული ჰქონდა.

3. საკასაციო პალატის განჩინებით ე. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საოლქო სასამართ-

ლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებები შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ ე. მ-ის სარჩელი მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოს – სასამართლოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნას წარმოადგენდა, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტით თითქოსდა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული დავა იყო. ამასთანავე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის „დ" პუნქტი იმპერატიულად ადგენდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება, „ინფორმაციის თავისუფლების" შესახებ მესამე თავის გარდა, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოებზე არ ვრცელდება, რაც სასამართლოთა მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოტანილი გადაწყვეტილებების გამო აღძრულ სასარჩელო დავებში მოპასუხის სტატუსით სასამართლოს მონაწილეობას გამორიცხავს.

მოქმედი კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული მართლმსაჯულების განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოსთან ერთად მოსამართლეთა სოლიდარული პასუხისმგებლობა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილი სახელმწიფოსთან ერთად მოსამართლის სოლიდარულ პასუხისმგებლობას მხოლოდ მოსამართლის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით სხვა პირის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევისას ითვალისწინებს, რაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით უნდა იყოს დადასტურებული.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან განსახილველ დავაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი, ე. მ-ის სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუშვებელი იყო. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა, გარდა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებისა, მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეთა პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს, რაც საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 და 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილებით აღიარებულ სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიას წარმოადგენს და

უშუალოდ გამომდინარეობს გაეროს კონგრესის მიერ 1985 წელს მიღებული „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების" მე-16 პუნქტიდან. ეს უკანასკნელი ადგენს, რომ დისციპლინური პროცედურის ან აპელაციის უფლების, ან სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლების დაცვით, ქვეყნის შიდა კანონის შესაბამისად, მოსამართლეები სასამართლოში თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ფინანსური ზიანის მიყენების ან არასწორი ქმედების, ან დაუდევრობის გამო, სამოქალაქო საჩივრებისაგან პიროვნული იმუნიტეტით უნდა სარგებლობდნენ.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა" პუნქტიდან გამომდინარე, ვინაიდან საქმე უწყებრივად საერთო სასამართლოების განსჯადი არ იყო და მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედიოდა, საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" თანახმად, ე. მ. უფლებამოსილი იყო, საქართველოს იუსტიციის საბჭოსთვის ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის თაობაზე განცხადებით მიემართა, რაც განახორციელა კიდეც.

16. სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე საქმის განსჯადობა დამოკიდებულია სარჩელის განსჯადობაზე და არა მოპასუხის სტატუსზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის №ბს-224- 212(გ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. შპს „ს. ზ-ის" დირექტორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მოპასუხეების – საქართველოს ეროვნული ბანკისა და სს „ქართული ბანკის", მესამე პირი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მიმართ და მოითხოვა სს „ქართულ ბანკს" დავალებოდა:

ა. სუბრეესტრში ცვლილებების დაუყოვნებლივ შეტანა და ამის

შესახებ შეტყობინების ეროვნული ბანკის აუქციონის კომიტეტისათვის გადაგზავნა;

ბ. შპს „ს. ზ-ის“ კუთვნილი თანხების ახალ მომსახურე ბანკში გახსნილ მის ანგარიშზე ჩარიცხვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვის დროს მოსარჩელის წარმომადგენელმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქმიდან ამორიცხვა იმ მოტივით, რომ სარჩელის აღძვრის შემდეგ მოპასუხემ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნები.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ამოირიცხნენ საქმიდან, ხოლო სს „ქართული ბანკისათვის“ სასამართლო და ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების დაკისრების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული დავა გამომდინარეობდა არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რადგან სადავოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები იყვნენ კერძო სამართლის სუბიექტები – შპს „ს. ზ-ი“ და სს „ქართული ბანკი“.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმე წარიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ს. ზ-ის“ სარჩელს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. ამასთან, მოსარჩელეს გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი . . . ლარის ოდენობით. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი წარმოადგენდა საქართველოს ბიუჯეტში შენატანს და იგი გადაიხდევინებოდა საერთო სასამართლოებში განსახილველ სასარჩელო ან სხვა განცხადებებსა და საჩივრებზე. საქა-

რთველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებდა მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ყველა ხარჯის ანაზღაურებას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის განხილვის დროს შპს „ს. ზ-მა" მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას, რაც ნიშნავდა იმას, რომ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე. ამის გამო საქმის განმხილველ სასამართლოს, რომელმაც არსებითად განიხილა დავა, თავად უნდა გადაეწყვიტა მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების საკითხი, ვინაიდან აღნიშნული არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ (ცალკე) სასარჩელო მოთხოვნას, რომელიც სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყვეტილიყო.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, დავის საგანს წარმოადგენდა სს „ქართული ბანკისათვის" სუბრეესტრში ცვლილებების დაუყოვნებლივ შეტანისა და ამის შესახებ შეტყობინების ეროვნული ბანკის აუქციონის კომიტეტისათვის გაგზავნის დავალება; საქართველოს ეროვნული ბანკისათვის შპს „ს. ზ-ის" კუთვნილი თანხების ჩარიცხვის დავალება ახალ მომსახურე ბანკში გახსნილ მის ანგარიშზე. შესაბამისად, სარჩელი აღიძრა ორი მოპასუხის – სს „საქართველოს ბანკისა" და საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხდომაზე მოსარჩელემ განაცხადა, რომ მოპასუხე ეროვნულმა ბანკმა დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა სარჩელის აღძვრის შემდეგ. მანვე მოითხოვა საქმეზე მის მიერ გაწეული ხარჯის მოპასუხე სს „საქართველოს ბანკისათვის" დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 3 თებერვლის საოქმო განჩინებით სამოქა-

ლაქო საქმეთა კოლეგიას განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა საქმე მოპასუხე სს „ქართული ბანკისათვის“ გაწეული ხარჯებისა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეული ხარჯის დაკისრების შესახებ ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა არა სარჩელის დავის საგნის რომელიმე მოთხოვნის განსახილველად, არამედ მხოლოდ საქმეზე გაწეული სასამართლო ხარჯების საკითხის გადასაწყვეტად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული საქმის განხილვის შედეგად საქმეზე გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საქმეზე გაწეული სასამართლო ხარჯების საკითხიც, მიუხედავად იმისა, საქმისწარმოება დამთავრებულია არსებითი გადაწყვეტილების გამოტანით თუ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შესაძლებელია დადგეს საქმეზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა იმ სასამართლო ხარჯის ანაზღაურებას, რომელიც მან გასწია ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილულ დავაზე. ის გარემოება, რომ მოსარჩელე სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას ითხოვდა მხოლოდ ერთ-ერთი მოპასუხის – სს „ქართული ბანკისაგან“, რომელიც კერძო სამართლის იურიდიული პირია, არ წარმოადგენდა საქმის სამოქალაქო სამართალწარმოებით განხილვის საფუძველს. საქმის განსჯადობა დამოკიდებულია სარჩელის დავის საგნის განსჯადობაზე და არა იმაზე, თუ რომელ მოპასუხეს დაეკისრება საბოლოოდ სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, რადგანაც საქმე, სარჩელის დავის საგნის გათვალისწინებით, განხილული იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაქვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თავი II. ზიანის ანაზღაურება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

1. ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის გამგეობა, როგორც წინამორბედი თვითმმართველი ერთეულის სამართალმემკვიდრე, ვალდებულია აანაზღაუროს რაიონის გამგეობის უმოქმედობით გამოწვეული ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2010 წლის 12 ოქტომბრის №ბს-523-503(კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. და გ. ბ-მა სარჩელი აღძრეს გორის რაიონულ სასამართლოში გორის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხეს დაკისრებოდა ზიანის – . . . ლარის ანაზღაურება შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელეების მითითებით, 2007 წლის 25 აგვისტოს გორის რ/ნ სოფელ შინდისის ტერიტორიაზე გამავალი ელექტროგადამცემი ხაზის ბოძის დაზიანების გამო ჩაწყვეტილმა სადენმა მოკლა მათი მეწველი ძროხა, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. აღნიშნულ ფაქტზე შინდისის თემის საკრებულოს მიერ შედგა აქტი.

მოსარჩელეებმა მიმართეს გორის რაიონის გამგეობას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საიდანაც ეცნობათ, რომ უნდა მიემართათ სადისტრიბუციო კომპანიისათვის და გაერკვიათ, თუ ვის საკუთრებაში იმყოფებოდა ელექტროგადამცემი ბოძები. სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" შიდა ქართლის ფილიალის გორის რაიონის მომსახურების ცენტრის ცნობის თანახმად, განცხადებაში აღნიშნული გაუმართავი საყრდენი და სადენი, აგრეთვე სატრანსფორმატორო ქვესადგური იმყოფებოდა არა გორის რაიონის მომსახურების ცენტრის საკუთრებაში, არამედ გორის რაიონის გამგეობის ბალანსზე და შესაბამისად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მას არ ეკისრებოდა.

მოსარჩელეებმა დაზუსტებული სარჩელით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვეს საქმეში მოპასუხეებად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გორის მუნიციპალიტეტის

გამგეობის, შინდისის თემის საკრებულოს, საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის შიდა ქართლის ფილიალის გორის რაიონის მომსახურების ცენტრისა და ნ. მ-ის ჩაბმა.

საქმის განხილვისას მოსარჩელის მიერ სათანადო მოპასუხედ განისაზღვრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

2. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ზიანის სახით . . . ლარის ანაზღაურება, რაც სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აანაზღაუროს იგი.

სასამართლოს მითითებით, პირს დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, თუ სახეზე იყო ზიანი და იგი მიყენებულ იქნა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდა ბრალი. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ბრალეული პასუხისმგებლობის გარდა, ასევე ცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც.

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის 1-ლი ნაწილით, რომლის შესაბამისადაც, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე ამ ნაგებობაში წარმოებული, მოთავსებული ან მიწოდებული ენერგიისაგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუკი ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ნივთის დაზიანება, აუნაზღაუროს დაზარალებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამა თუ იმ ნაგებობიდან ან ნივთიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე სხვაგვარი საფუძვლით, ვიდრე ამ მუხლის 1-ლ ნაწილშია

აღნიშნული, ნაგებობის ან ნივთის მფლობელი ვალდებულია ანალოგიურად აანაზღაუროს საფრთხის განხორციელების შედეგად ნარმოშობილი ზიანი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრულია, რომ ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია, თუ ზიანი გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანი ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შედეგს წარმოადგენდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სოფელ ყ . . . –ის წყლის ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას და მარაგდებოდა ჭაბურღილამდე სპეციალურად გაყვანილი ელექტროდენით, ელექტრობოძის წაქცევის გამო არ ფუნქციონირებდა. ამ შემთხვევაში სასამართლოს მითითებით, სახეზე იყო უმოქმედობაში გამოხატული მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელეთათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

აპელანტის მითითებით, გორის რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ," რომელიც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ორგანული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულის და არა რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ერთმანეთისაგან მიჯნავდა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას, რაც გამოხატულებას პოულობდა როგორც მათ სამართლებრივ სტატუსში, ასევე მათი ბიუჯეტების დამოუკიდებლობასა და განსხვავებულ ფუნქციებში, სწორედ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის გამიჯვნა არ მომხდარა

გორის რაიონული სასამართლოს მიერ. სასამართლოს ასევე არ უმსჯელია, რომ პასუხისმგებლობა მოსახლეობისათვის უსაფრთხო ელექტროენერგიის მიწოდებაზე წარმოადგენდა შესაბამისი ენერგოკომპანიის და არა გორის გამგეობის მოვალეობას.

. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით გადაწყდა დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას[1].

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ წყლის ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას და მარაგდებოდა ჭაბურღილამდე სპეციალურად გაყვანილი ელექტროდენით, ელექტრობოძის წაქცევის გამო არ ფუნქციონირებდა, ანუ სახეზე იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გამოხატული უმოქმედობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მართებულად ჩათვალა რაიონული სასამართლოს დასკვნა, რომ სახეზე იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანი, შესაბამისად, არსებობდა ზიანის მიყენების შედეგად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე წარმოშობილი მისი ანაზღაურების მოვალეობა, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, უნდა დაკისრებოდა

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი

1 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 29 მაისის №ბს-52-51 განჩინება, მოცემული კრებულის გვ.40

გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არსებითად, სააპელაციო საჩივარში დასახელებული მოტივებით[1].

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებელობის განსაკუთრებულ წესს ადგენენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე,

---

1 გამეორებებისაგან ტექსტის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად არ მოგვყავს საკასაციო საჩივრის არგუმენტები. ამასთანავე, ამ დათქმით, მათ სააპელაციო საჩივრის არგუმენტებთან იგივეობის კონსტანტაციას ვახდენთ იმ მიზნით, რომ უფრო იოლად გასაგები იყოს საკასაციო საჩივრის საპასუხო, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებები.

იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი, დაბოლოს, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი ჰქონდა მმართველობითი ღონისძიების – მოქმედების განუხორციელებლობას, რამაც თავისი ფაქტობრივი შედეგით ფიზიკურ პირებს მიაყენა ზიანი. კერძოდ, წყლის ჭაბურღილი, რომელიც წარმოადგენდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებას და მარაგდებოდა ჭაბურღილამდე სპეციალურად გაყვანილი ელექტროდენით, ელექტრობოძის წაქცევის გამო არ ფუნქციონირებდა. ელექტრობოძის აღდგენა-შეკეთება უნდა მოეხდინა გორის რაიონის გამგეობას (მისი უფლებამონაცვლე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანო). ამ შემთხვევაში სახეზე იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, გამოხატული უმოქმედობაში, რის გამოც გორის რაიონის გამგეობა (უფლებამონაცვლე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა) ვალდებული იყო მოსარჩელისათვის აენაზღაურებინა მისი უმოქმედობის შედეგად წარმოშობილი ზიანი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე და სამოქალაქო კოდექსის მე-1000 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მოპასუხე გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, გონივრულს წარმოადგენდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ . . . ლარის გადახდის დაკისრება.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ იგი არ წარმოადგენდა გორის გამგეობის უფლებამონაცვლეს და მის ფუნქციებში არ შედიოდა ელექტრობოძების აღდგენა-შეკეთება.

1997 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თვითმმართველი ერთეული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც გააჩნდა თვითმმართველობის ორგანო. თვითმმართველი ერთეული წარმოადგენდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. მისი წარმომადგენლობითი

ორგანო იყო საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო – გამგეობა (მთავრობა).

2005 წლის 16 დეკემბრის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" 65-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი არის 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამის რაიონში შემავალი თვითმმართველი ერთეულების სამართალმემკვიდრე. დასახელებული კანონის 1-ლი მუხლის „ბ", „ე" ქვეპუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი, იგივე დასახლებათა ერთობლიობა, არის თვითმართველი ერთეული, რომელსაც ჰყავს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი და ადმინისტრაციული ცენტრი. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოადგენდა თვითმმართველ ერთეულს, შესაბამისად, გორის რაიონის გამგეობის სამართალმემკვიდრე იყო გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა და შესაბამისად, ის უფლებამოსილებები, რაც მინიჭებული ჰქონდა გორის რაიონის გამგეობას, გადავიდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობაზე.

2. რაიონის გამგეობა ვალდებულია აანაზღაუროს სათანადო ფართობის მიწის ნაკვეთის გაუცემლობით მიყენებული ზიანი, ამასთანავე, მას არ ეკისრება შესაბამის თანხაზე, როგორც მიუღებელ შემოსავლზე, პროცენტის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
20 სექტემბრის, №ბს-330-312(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. ჩ-ნმა ხონის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ქ. ხონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებალდ მოპასუხისათვის . . . ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1992 წელს ხონის რაიონში განხორციელდა მიწების პრივატიზაცია. იგი ფლობდა 1000კვ.მ მიწის ნაკვეთს და მიეკუთვნებოდა მიწის მოსარგებლეთა მეორე

კატეგორიას, რის გამოც ეკუთვნოდა 3500კვ.მ. მიწის რეფორმის შედეგად საკუთრებაში გადაეცა 2000კვ.მ მიწის ნაკვეთი და არ გამოუყვეს 1500კვ.მ მიწა, რომელიც, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიუხედავად, არ შეუვსეს ზღვრულ ოდენობამდე. აღნიშნულის გამო, 1992-1993 წლებში მოსარჩელეს მიადგა . . . ლარის, ხოლო 1994 წლიდან 2006 წლამდე . . . ლარის ოდენობის ზიანი.

2. ხონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. ჩ-ნის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ქ. ხონის გამგეობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებს. აღნიშნულს განეკუთვნება ფაქტები, რომლებიც, დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ ა. ჩ-ნი მიწის რეფორმის მიმდინარეობის პერიოდში ცნობილ იქნა მიწის მიმღებთა მეორე კატეგორიის კომლად და ეკუთვნოდა 3500კვ.მ მიწის ფართობი, 1992 წლიდან იგი ფლობდა 1000კვ.მ-ს, ხოლო 1994 წლიდან 2000კვ.მ მიწის ნაკვეთს, ე.ი. ზღვრულ ოდენობამდე აკლდა 1500კვ.მ., რაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიკუთვნებული ჰქონდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად მოცემული საქმის მიმართ პრეუდიციული მნიშვნელობა გააჩნდა.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ ა. ჩ-ნი 1992 წლიდან კანონიერად ითხოვდა მიწის ნაკვეთის ზღვრულ ოდენობამდე შევსებას, რაც ქ. ხონის გამგეობამ არ განახორციელა, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად წარმოშობდა ზიანის ანაზღაურების მოვალეობას.

მოსარჩელე ა. ჩ-ნი ითხოვდა ქ. ხონის გამგეობის მიერ კანონით დადგენილი მიწის ნაკვეთის მიუცემლობით მისთვის მიყენებული

ზიანის, მიუღებელი შემოსავლის სახით 0,1 ჰექტარზე წელიწადში . . ლარის ანაზღაურებას, ასევე მიუღებელი თანხის 3%-ს.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით კი, თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. აღნიშნული მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ა. ჩ-ნს წარმოეშვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

რაიონული სასამართლოს მითითებით, ვინაიდან ა. ჩ-ნს არ გამოეყო 3500კვ.მ მიწის ნაკვეთი, ქ. ხონის გამგეობის მხრიდან მას მიადგა ზიანი, რაც, მისი განმარტებით, 0,1 ჰა მიწის ნაკვეთზე შეადგენდა . . . ლარს. აღნიშნული თანხა გონივრულ შესაბამისობაში იყო მიყენებულ ზიანთან მიმართებაშიც და უნდა ანაზღაურებულიყო.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მოთხოვნა მიუღებელი შემოსავლის ყოველწლიური 3%-ის ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან პროცენტის ანაზღაურების მოთხოვნა გათვალისწინებული იყო მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მიუღებელ შემოსავალზე პროცენტის ანაზღაურებას კი სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებდა.

3. სააპელაციო საჩივრით ა. ჩ-ნმა მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დამატებით . . . ლარის გადახდის დაკისრება.

აპელანტი არ დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მსჯელობას მიუღებელი შემოსავლის ყოველწლიური 3%-ის ანაზ-

ღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, რადგან მსგავს შემთხვევაში კანონმდებლობა მიუღებელ შემოსავალზე პროცენტის გაცემის აკრძალვას არ ითვალისწინებდა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ა. ჩ-ნის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. ჩ-ნს შეევსო 1500კვ.მ მიწის ნაკვეთი. ამ ნაკვეთის მიუცემლობის გამო ხონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ხონის გამგეობას მის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა. ამ ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იგი შევიდა კანონიერ ძალაში. ა. ჩ-ნი ითხოვდა ხონის გამგეობისაგან მიწის მოუზომლობის გამო მიყენებული ზიანის სახით პროცენტის გადახდევინებას, რაც შეადგენდა . . . ლარს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი ითვალისწინებს პროცენტის გადახდას მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა ჰქონდა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-412-ე მუხლები არ ითვალისწინებდა მიუღებელი შემოსავლისათვის პროცენტის გადახდევინებას.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ჩ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხისათვის მიუღებელი შემოსავლის 3%-ის – . . . ლარის გადახდის დაკისრება.

6. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სა-

სამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

3. მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებულია აუნაზღაუროს შპს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის დროულად გადაუცემლობით მიყენებული ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის №ბს-569-540 (კ-09) განჩინება,

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. შპს „. . .-მ“ 2005 წლის მარტში სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე გორის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის სახით . . . ლარის ანაზღაურება.

გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით შპს „. . . -ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით შპს „. . . -ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება: შპს „. . . -ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა შპს „. . .-ს“ სასარგებლოდ . . .

ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები:

გორის რაიონის გამგეობამ 2000 წლის 30 მაისს მიიღო № 137 დადგენილება, შპს „. . .-თვის“ შინდისის საკრებულოს სოფ. ... ტერიტორიიდან 49 წლის ვადით 100 ჰექტარი სახნავი ფართობის იჯარის წესით გამოყოფის შესახებ. დადგენილების საფუძველზე გორის რაიონის გამგეობასა და შპს „. . .-ს“ შორის გაფორმდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საიჯარო ხელშეკრულება; შპს „. . .-ის“ მხრიდან ხელშეკრულებას ხელს აწერდა იმ დროისათვის მისი დირექტორი რ. ს-ძე.

2003 წლის 23 აპრილის გორის რაიონის გამგეობის № 76 დადგენილებით დაკმაყოფილდა შპს „. . .-ის“ყოფილი დირექტორის რ. ს-ძის თხოვნა და გაუქმდა სოფ. ... ტერიტორიაზე 89,45 ჰექტარ მიწის შესახებ დადებული 2001 წლის 28 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულება. გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „. . .-ის“ სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი გორის რაიონის გამგეობის 2003 წლის 23 აპრილის [1]№ 76 დადგენილება შპს „. . -სა“ და გორის რაიონის გამგეობასთან მიწის იჯარის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე.

საიჯარო გადასახადის დავალიანების გამო 2003 წლის 8 ოქტომბრის გორის რაიონის გამგეობის № 186 დადგენილებით გაუქმდა შპს „. . .-სა“ და გორის რაიონის გამგეობას შორის დადებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საიჯარო ხელშეკრულება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით კვლავ დაკმაყოფილდა შპს „. . -ის“ სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი გორის რაიონის გამგეობის 2003 წლის ოქტომბრის № 186 დადგენილება.

გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) წარმოდგენილი შედარების აქტებით ირკვეოდა, რომ 2005 წლისათვის შპს „. . .-ის“ ძირითადი დავალიანება მიწის გადასახადის ნაწილში შეადგენდა . . . ლარს, საურავი – . . . ლარს. ხოლო 2008 წლისათვის შპს „. . .-თვის“ ძირითადი დავალიანება მიწის გადასახადის ნაწილში შედაგენდა . . . ლარს, საურავი კი – . . . ლარს. სულ, 2008 წლის მდგომარეობით შპს „. . .-ის“ ერიცხებოდა ნარჩენი დავალიანების .

. . ლარი და საურავი – . . . ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „. . -მ“ სადავო იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი ჩაიბარა 2004 წლის ოქტომბერს. მანამდე მოსარჩელე მიწის ნაკვეთს არ ფლობდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გორის რაიონის გამგეობამ 2003 წლის 23 აპრილს დააკმაყოფილა შპს „. . .-ის“ ყოფილი დირექტორის რ. ს-ძის განცხადება და გააუქმა შპს-ს მიერ 2001 წლის 28 სექტემბერს დადებული საიჯარო ხელშეკრულება. მართალია, დადგენილება გასაჩივრდა მოსარჩელე შპს-მ, მაგრამ სადავოდ არ გამხდარა საიჯარო მიწის ნაკვეთის გადაუცემლობის ფაქტი. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ გორის რაიონის გამგეობა ინფორმირებული იყო შპს „. . . -ის“ მიმართ არსებული პრობლემის შესახებ და მოითხოვდა საკითხის გარკვევამდე მოპასუხეს თავი შეეკავებინა მიწით სარგებლობისაგან. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მასალებით ჩათვალა, რომ შპს „. . . -ს“ 2001-2004 წლებში აღნიშნული მიწის ნაკვეთით არ უსარგებლია. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული სასამართლო გადაწყვეტილებებით შპს „. . .-ს“ სარჩელი მოპასუხეების – გორის საგადასახადო ინსპექციისა და გორის რაიონის გამგეობის მიმართ დარიცხული გადასახადის უკანონოდ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა და შპს „. . . -ს“ აღნიშნული თანხის გადახდა დაეკისრა სადავო მიწის ნაკვეთის ფლობისათვის მიწის გადასახადის სახით. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ შპს „. . .-ს“ მოპასუხის ბრალეული მოქმედების გამო არ უსარგებლია სადავო მიწის ნაკვეთით. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მოსარჩელეს სადავო პერიოდისათვის დაკისრებული ჰქონდა მიწის გადასახადის სახით . . . ლარის გადახდა.

სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ მოსარჩელე არაერთხელ მიმართავდა მოპასუხეს სადავო მიწის ნაკვეთის სარგებლობისათვის გადაცემის თაობაზე, ხოლო გამგეობის მიერ არაერთხელ უკანონოდ გაუქმდა იჯარის ხელშეკრულება, რაც დადგენილი იყო სასამართლოს გადაწყვეტილებებით. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე მუხლები და მოპასუხეს დააკისრა ... ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი, კერძოდ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

შპს „. . ." სასარჩელო განცხადებით თავდაპირველად მოპასუხისათვის . . . ლარის ანაზღაურების დაკისრებას ითხოვდა. მოთხოვნას იგი ასაბუთებდა იმაზე მითითებით, რომ ქ. გორის რაიონის გამგეობის ბრალეული ქმედების გამო 2001-2004 წლებში ვერ ისარგებლა იჯარით აღებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთით, რაც შპს –ს საქმიანობისა და შემოსავლების მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ამის გამო მან ვერ მიიღო შემოსავალი და ზარალი განიცადა.

სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე.

ამ ნორმის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღდეგო, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ან ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოპასუხეს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ დელიქტური პასუხისმგებლობის ღონისძიება, საქმის მასალებით დადასტურებულ უნდა იქნეს მოპასუხის მიერ განხორციელებული არამართზომიერი ქმედების ფაქტი, ეს ქმედება განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის ბრალის ფორმით უნდა იქნეს ჩადენილი, მოსარჩელეს ზიანი უნდა მიადგეს სწორედ ასეთი ქმედების შედეგად და მიზეზობრივი კავშირი უნდა არსებობდეს მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელისათვის მიყენებულ ზიანს შორის. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმზე, საიდანაც ირკვეოდა, რომ ზიანის ოდენობას მოსარჩელე

განსაზღვრავდა მის მიერ გადახდილი გადასახადის ოდენობიდან გამომდინარე. საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სასარჩელო განცხადებაში მითითებული მიწის ნაკვეთის გამოუყენებლობით მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა განისაზღვროს მხოლოდ მოსარჩელისათვის დარიცხული გადასახადის ოდენობის შესაბამისად. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატამ ისე მიიჩნია საფუძვლიანად შპს „. . .-ს"დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა და ისე დააკისრა გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას მის სასარგებლოდ ლარის გადახდა, რომ არ გამოიკვლია და კონკრეტულად არ მიუთითა ის გარემოებები, რომელთა საფუძველზეც განსაზღვრა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის მიწის ნაკვეთის დროულად გადაუცემლობით მიყენებული ზიანის მოცულობა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

4. მოქალაქეს არ უნაზღაურდება მერიის გამგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პროექტისა და ნებართვის გარეშე აშენებული პავილიონის დემონტაჟით მიყენებული ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
16 ივნისის № ბს-598-184 (კ-05) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ს. კ-ნმა სარჩელი აღძრა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის დიზაინისა და ლანდშაფტის სამმართველოს მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის . . . აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელის მითითებით, თბილისის დიზაინის სამსახურმა – „ქალაქდიზაინმა" გასცა ორდერი და სათანადო პროექტი, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს უფლება მიეცა, ცენტრალური რკინიგზის ვაგზლის წინამდებარე მოედანზე განეთავსებინა ღია ფარდულის ტიპის პავილიონი. ორდერისა და პროექტის საფუძველზე ს. კ-ნმა საამშენებლო ფირმას შეუკვეთა ღია პავილიონის დამზადება და გამოყოფილ ტერიტორიაზე მისი განთავსებისათვის საჭირო სამუშაოების შესრულება. პავილიონის ფუნქციონირებისათვის მზადყოფნის მომენტში მოსარჩელემ მიიღო წერილი, საიდანაც შეიტყო, რომ პროექტის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო, „ქალაქდიზაინი" უუქმებდა ორდერს. წერილის მიღების შემდეგ ჩუღურეთის გამგეობის მითითებით დაინგრა . . . აშშ დოლარის ღირებულების ნაგებობა. მოსარჩელემ მიუთითა, რომ „ქალაქდიზაინმა" აუნაზღაურა მხოლოდ ორდერისა და პროექტისათვის გადახდილი თანხა. მოსარჩელის განმარტებით, მას არ დაურღვევია პროექტის არც ერთი მოთხოვნა, რის გამოც უნდა აუნაზღაურდეს მისთვის მიყენებული ზარალი – . . . აშშ დოლარის ოდენობით.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაერთვნენ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახური და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა.

2. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ს. კ-ნის სარჩელი ქ. თბილისის მთავრობის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობას დაეკისრა ს. კ-ნის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ს. კ-ნმა და ქ. თბილისის მთავრობამ. საქმე არაერთგზის განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ.

3. საბოლოოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მთავრობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ს. კ-ნს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჩუღუ-

რეთის რაიონის გამგეობამ თანხმობა განაცხადა ცენტრალური რკინიგზის სადგურის წინამდებარე მოედანზე ინდმეწარმე „. . .“ მიერ ღია ფარდულის ტიპის პავილიონის განთავსებაზე, როგორც დროებით ღონისძიებაზე.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ „დიზაინკონტროლის“ აქტით გამოვლინდა დარღვევები, კერძოდ, ს. კ-ნმა ხის დროებითი იატაკის ნაცვლად გამოიყენა რკინაბეტონის ფილა, რის გამოც განადგურდა მწვანე საფარი და ხრეშით მოიყარა მიმდებარე ტერიტორია.

აღნიშნული დარღვევების გამოვლენის გამო ჩუღურეთის გამგეობა და ს. კ-ნი გააფრთხილეს და ამ უკანასკნელს დაევალა ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა, ხოლო ს. კ-ნს განემარტა აღნიშნული მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორდერის გაუქმების შესახებ. მდგომარეობა არ გამოსწორდა, ამიტომაც „ქალაქდიზაინმა“ ს. კ-ნის მიერ პროექტის უხეში დარღვევის გამო გააუქმა ორდერი, ხოლო გამგეობამ გაიტანა პავილიონის მშენებლობის კონსტრუქციები და სამშენებლო მასალა.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ს. კ-ნის მოთხოვნა ზემოაღნიშნული ქმედებებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ მოტივით, რომ არ დგინდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-415-ე მუხლებით გათვალისწინებული იმ ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებსაც უკავშირდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა. კერძოდ, სააპელაციო პალატის მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ს. კ-ნი გაფრთხილებული იყო ორდერის გაუქმებისა და ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ. ამასთან, სააპელაციო პალატამ მოპასუხის ქმედებაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავად მიიჩნია ის გარემოება, რომ ობიექტის აღების მომენტისათვის გაუქმებული იყო მისი განთავსების ნებართვა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლოს აზრით, სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობაზე მეტყველებს პროექტის დარღვევის ფაქტიც. ორდერის მიხედვით, მოსარჩელეს უნდა მოეწყო დროებითი, ღია ფარდულის ტიპის პავილიონი, ს. კ-ნმა კი პავილიონის მოსაწყობად მოხრეშა მიწა და დაასხა რკინაბეტონის ფილა, რაც არ შეესაბამებოდა დროებითი პავილიონის ტიპის ნაგებობისათვის დადგენილ მოთხოვნებს და სააპელაციო პალატის აზრით, მიჩნეული უნდა ყოფილიყო პროექტის დარღვევად.

ამიტომაც, სააპელაციო სასამართლომ, „თბილისის ტერიტორიაზე რეკლამების და მცირე არქიტექტურულ-დიზაინერული ფორმების განთავსებისა და მათზე გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის წესების" მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, მოპასუხის მიერ პავილიონის აღება მართლზომიერად ჩათვალა. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია მიყენებული ზიანის ოდენობა, რაც წარმოადგენდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველს.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ს. კ-ნმა და მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, მისთვის არ იყო ცნობილი ორდერის გაუქმების შესახებ, ასევე წინასწარ არ იყო გაფრთხილებული ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის თაობაზე.

კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატამ არ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ პავილიონის დანგრევისა და მისი გატანის შემდეგ, „ქალაქდიზაინმა" დააბრუნა ორდერისა და პროექტის თანხა, რაც, კასატორის აზრით, მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ პავილიონის დანგრევა არ მომხდარა ს. კ-ნის მიზეზით.

კასატორმა მიიჩნია, რომ პავილიონის აღება წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მიწის მესაკუთრე იყო სახელმწიფო, მისი მფლობელი „ქალაქდიზაინის" მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე თავად გახდა. იგი ასევე იყო პავილიონის მესაკუთრეც, რადგან თვით შეიძინა და დამონტაჟა იგი.

5. **საკასაციო პალატის** განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ჩულურეთის რაიონის გამგეობამ თანხმობა განაცხადა თბილისის რკინიგზის ვაგზლის წინამდებარე მოედანზე, ავტობუსების სადგურის უკან არსებულ ტერიტორიაზე, ინდმეწარმე „. . . " მიერ არქიტექტურის დეპარტამენტთან პროექტის შეთანხმებით დროებით ღია ფარდულის ტიპის პავილიონის განთავსებაზე.

გამგეობის თანხმობა საფუძვლად დაედო არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის

სამსახურის – „ქალაქდიზაინის“ მიერ ორდერის გაცემას, რითაც ნება დაერთო ინდმეწარმე „. . .-ს“ ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე განეთავსებინა 35 კვ.მ ფარდულის ტიპის ღია პავილიონი. მშენებარე ობიექტის არქიტექტურულ-დიზაინერული შემოწმებისას გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, რაც დაფიქსირდა აქტში, სახელდობრ, ხის დროებითი ტიპის იატაკის ნაცვლად დაგებული იყო ბეტონის ფილა, მოხრეშილი იყო მიმდებარე ტერიტორია, განადგურდა ბუნებრივი მწვანე საფარი. შემოწმების შედეგები იმავე დღეს ეცნობა ჩუღურეთის რაიონის გამგეობას და დაევალა ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. თბილისის მერიის მუნიციპალურმა ორგანომ „ქალაქდიზაინმა“ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და პროექტის უხეში დარღვევის გამო, ორდერი გააუქმა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ს. კ-ნისთვის ცნობილი იყო ორდერის გაუქმებისა და ნაგებობის შესაძლო აღების თაობაზე.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სათანადო ორგანოების მხრიდან ორდერის გაუქმება და მშენებარე ობიექტის აღება მოხდა მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

პავილიონის დანგრევისა და მისი გატანის შემდეგ „ქალაქდიზაინის“ მიერ კასატორისათვის ორდერისა და პროექტის თანხის დაბრუნება მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ ჰქონდათ არავითარი დავალიანება ს. კ-ნის მიმართ.

პალატამ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია. კ-ნის საკასაციო საჩივრის მოტივი, რომ იგი „ქალაქდიზაინის“ მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, როგორც სადავო მიწის მფლობელს, ასევე პავილიონის მესაკუთრეს წარმოადგნდა, რადგანაც პავილიონი შეძენილი და დამონტაჟებული იყო მის მიერ.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საქმეში არსებული გამგეობის თანხმობა და ორდერი ადასტურებდა მხოლოდ იმას, რომ ს. კ-ნს ნება მიეცა მხოლოდ დროებითი ტიპის ღია ფარდულის აგებაზე და არა მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე. მოცემულ შემთხვევაში მიწა თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენდა.

სადავო არ გამხდარა, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტი (მერია და შესაბამისად, მისი სამსახურები) თბილისის ტერიტორიის ფარგლებში მიწის ნაკვეთის ერთადერთი განმკარგავი ორგანო იყო. ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროისათვის მიწის ნაკვეთი ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გამოიყოფოდა

მხოლოდ მუნიციპალიტეტის კაბინეტის დადგენილებით. იგი ს. კ-ნს არ გააჩნდა. კასატორმა სასამართლოში წარადგინა წერილი, რომელიც გაცემულ იქნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის მიერ, მაგრამ ეს წერილი არ წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც დაადასტურებდა მიწაზე ს. კ-ნის რაიმე უფლების არსებობას. პავილიონის განთავსება არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მიწაზე უფლების წარმომშობი მოქმედება, რადგანაც ნებართვა გაცემული იყო არაკაპიტალური, ღია ფარდულის, პავილიონის ტიპის ნაგებობის აშენებაზე. ეს იმითაც დასტურდებოდა, რომ საქმეში წარდგენილი დოკუმენტის თანახმად, არქიტექტურისა და ქალაქგანვითარების დეპარტამენტის მიერ განთავსების ნებართვა მხოლოდ ერთი წლით იყო გაცემული, ანუ ნაგებობა დროებითს წარმოადგენდა, რის გამოც არ შეიძლებოდა მის ასაგებად რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი გამორიცხავს პავილიონის, როგორც მოძრავი, ღია, მსუბუქი კონსტრუქციის, მიწის ნაკვეთის საკუთვნებლად მიჩნევას.

საბოლოოდ, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ კასატორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია იმის შესახებ, რომ მერიის მიერ იძულებითი წესით პავილიონის აღება წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომლის შედეგადაც ს. კ-ნს მატერიალური ზიანი მიადგა.

საკასაციო პალატის შეფასებით, დაასაბუთა რა მოპასუხის ქმედების მართლზომიერება, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა „თბილისის ტერიტორიაზე რეკლამებისა და მცირე არქიტექტურულ-დიზაინერული ფირმების განთავსებისა და მათზე გადასახადების გაანგარიშებისა და გადახდის წესების“ მე-10 და მე-11 მუხლებზე. ამასთანავე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოპასუხის ქმედების მართლწინააღმდეგობას გამორიცხავდა ის გარემოება, რომ სადავო ობიექტის აღება მოხდა მას შემდეგ, რაც გაუქმდა მისი განთავსების ნებართვა. საქმის მასალებით უდავოდ დადგენილი იყო ს. კ-ნის მიერ პროექტის დარღვევის ფაქტი. მერიამ, როგორც მიწის მესაკუთრემ, განახორციელა თავისი უფლება სწორედ იმით, რომ გაათავისუფლა მის გამგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთი პროექტისა და ნებართვის დარღვევით აშენებული ნაგებობისგან.

5. თვითმმართველი ერთეული არ არის პასუხისმგებელი ნაპირსამაგრი და მდინარის კალაპოტის გამწმენდი სამუშაოების შეუსრულებლობის გამო მდინარის ადიდებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 4 მაისის, №ბს-271-268 (კ-11) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ხაშურის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ა. ხ-მა, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის ზიანის ასანაზღაურებლად . . . ლარის დაკისრება.

2. ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

მოსარჩელე ა. ხ. ცხოვრობდა ქ. ხაშურში, მდინარე სურამულას სანაპიროზე. 2006 წლის ნოემბერში ძლიერი წვიმების შედეგად მდინარე გადმოვიდა კალაპოტიდან, რის შედეგადაც მოსარჩელეს გაუნადგურდა პროდუქტები და დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი. სურამულას ადიდების შედეგად ა. ხ-ის ქონების დაზიანების ფაქტი დაადასტურეს მოპასუხეებმაც.

ხ-მა მიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას წყალდიდობისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ უარი მიიღო.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის დასაბუთებისას სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს 2005 წლის 16 დეკემბრის ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მე-3 მუხლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები. ორგანული კანონის მე-16 მუხლში ჩამოთვლილია თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებები, რომლებსაც იგი ახორციელებს

კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ამ უფლებამოსილებებს არ მიეკუთვნება ნაპირსამაგრი და მდინარის კალაპოტის გამწმენდი სამუშაოების შესრულება.

საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის №50 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების" მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ფუნქციას წარმოადგენს მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მისი განხორციელება, ამ სფეროში სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მე-17 მუხლის თანახმად, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება (გადაცემა) დაიშვება საქართველოს საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსის გადაცემით. ამგვარი საკანონმდებლო აქტი, რომელიც თვითმმართველი ერთეულისათვის ნაპირსამაგრი უფლებამოსილების დელეგირებას ითვალისწინებს, მიღებული არ იყო. მოპასუხეთა განმარტებებით და საქმეში არსებული გამგეობის წერილებით ირკვეოდა, რომ არც ასეთი ხელშეკრულება არ არსებობდა და არც მატერიალური და ფინანსური რესურსი მდინარე სურამულას კალაპოტის გამწმენდი და ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასრულებლად ხაშურის თვითმმართველობას არ გადასცემია. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ა. ხ-ისადმი მიყენებულ ზიანისათვის მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ბრალი არ არსებობდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება პირს, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს

ზიანს, ანუ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია ზიანის დადგომასა და ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას ან უმოქმედობას შორის ბრალეული კავშირი არსებობდეს, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ქონდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმ გარემოებაზე, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტს მთავრობამ გამოუყო ... ლარი მდინარის კალაპოტის გასაწმენდად, რაც არ შეასრულა. მოსარჩელისადმი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაგზავნილი წერილით ირკვეოდა, რომ აღნიშნული თანხა თვითმმართველობას მთავრობისაგან კი არ ჰქონდა გამოყოფილი, არამედ მდინარე სურამულას პრობლემის მოსაგვარებლად შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვას წარმოდგენდა და საკითხი დაყენებული იყო საქართველოს მთავრობაში. გარდა ამისა, აღნიშნული ეხებოდა სტიქიის შემდგომ პერიოდს.

სასამართლომ გაიზიარა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაგებელში მითითებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „ძლიერი წვიმების შედეგად დაზარალებულთა შემოწმების აქტი", რომელსაც მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს მოსარჩელე, არ წარმოადგენდა სარჩელის დაკმაყოფილებისთვის საჭირო მტკიცებულებას, ვინაიდან აქტში აღწერილი იყო მხოლოდ მიყენებული ზიანი. აქტი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ დოკუმენტს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. 2006 წლის ნოემბრის წყალდიდობა არ იყო გამოწვეული არც ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და არც საკრებულოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით. ეს იყო სტიქიური მოვლენა, რომლის წინასწარ განსაზღვრა, ან მისი შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეთა მხრიდან ზიანის

ანაზღაურებაზე უარის თქმისას, კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რის გამოც არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

3. გადაწყვეტილება ა. ხ-მა გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება. აპელანტმა მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი იყო საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ მდინარე სურამულას კალაპოტიდან გადმოსვლით მოსარჩელისათვის მატერიალური ზიანის მიყენების ფაქტს.

აპელანტი არ დაეთანხმა სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მხარის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და მისთვის მიყენებულ ზიანს შორის არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი. აპელანტის აზრით, მოპასუხე მხარე ვალდებული იყო დაზარალებული მოსახლეობისათვის აენაზღაურებინა მის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური მოვლენის შედეგად წარმოშობილი ზიანი. აპელანტი არ დაეთანხმა მითითებას, რომ ორგანული კანონის მე-16 მუხლში ჩამოთვლილი თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს, რომლებსაც მოპასუხე ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით, არ განეკუთვნება ნაპირსამაგრი და მდინარის კალაპოტის გამწმენდი სამუშაობის შესრულება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ა. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა და გაიზიარა საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს და დამატებით აღნიშნა:

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის მოწესრიგებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით,იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევე-

ბზეც.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია", რომელიც წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო წყაროს, ერთმანეთისაგან განასხვავებს თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა ორ ძირითად კატეგორიას: საკუთარ უფლებამოსილებებსა და დელეგირებულ უფლებამოსილებებს. ქარტიის მოთხოვნის თანახმად, თვითმმართველი ერთეულისათვის კონსტიტუციით და კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები უნდა იყოს სრული და ექსკლუზიური. ქარტია, ამასთან, უშვებს თვითმმართველ ერთეულზე სხვა სახელისუფლებო რგოლების უფლებამოსილებათა დელეგირების შესაძლებლობას. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისას თვითმმართველი ერთეული სარგებლობს დისკრეციით მადელეგირებელი ორგანოს მითითებების ფარგლებში.

თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური, საკუთარი კომპეტენციები დეტალურად არის განსაზღვრული საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მე-16 მუხლით. ამ კანონის თანახმად, თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსილებები წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის გადაცემულ უფლებამოსილებებს. დელეგირება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს საკანონმდებლო აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი მკაფიოდ მოითხოვს, რომ კომპეტენციის დელეგირებას თან უნდა სდევდეს თვითმმართველი ერთეულისათვის შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემა. თვითმმართველი ერთეული დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

სააპელაციო პალატამ, მოცემული დავიდან გამომდინარე, სადავოდ არ მიიჩნია ის გარემოება, რომ ქ. ხაშურში სტიქიური მოვლენების გამო, მდინარე სურამულას ადიდებით ზარალი განიცადა მოდავე მხარე ა. ხ-მა.

სააპელაციო პალატამ ყურადღება მიაქცია საქმეში არსებულ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილს, საიდანაც დასტურდება, რომ ხაშურის რაიონის გამგეობას 2004-2005-2006 წლებში არ ჩაუტარებია მდინარე სურამულას გაწმენდის სამუშაოები, ხოლო 2007 წლის გაზაფხულზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მიერ გამოყოფილი . . . ლარით შესრულდა მდინარე სურამულას პირველი რიგის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული წმენდითი სამუშაოები. საკრებულოს მიერ 2007 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრებით 2007 წელს მიმდინარეობდა სურამულას კალაპოტის გაწმენდა, რამაც . . .ლარი შეადგინა. დასახელებულ წერილით დასტურდებოდა, რომ სურამულას პრობლემის საბოლოოდ მოგვარებისათვის შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობაში.

ზემოაღნიშნული ნორმატიული დანაწესებითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილით ცალსახად დგინდებოდა, რომ ხაშურის თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში არ შედიოდა სურამულას ნაპირსამაგრების გაწმენდასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. მათი განხორციელების უფლებამოსილების აღჭურვის შესაძლებლობა დამოკიდებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ საკითხის გადაწყვეტაზე. ხაშურის თვითმმართველი ერთეულის მიერ 2007 წლის გაზაფხულზე პირველი რიგის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული წმენდითი სამუშაოებისათვის საკუთარი ბიუჯეტიდან სახრების განკარგვა არ ნიშნავდა იმას, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ხაშურის თვითმმართველი ერთეულისათვის კანონის საფუძველზე მინიჭებულ ექსკლუზიურ უფლებამოსილებას. იგი გამომდინარეობდა გადაუდებელ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობის რეალიზების მიზნებიდან. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ ა. ხ-ის საჩივარი მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, მოპასუხეთა მიმართ უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

5. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სა-

სამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს, როგორც აღმასკომის სამართალმემკვიდრეს, ევალება მისი წინამორბედის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის
6 მარტის №ბს-28-28(კ-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თ. გ-ამ სარჩელი აღძრა ფოთის საქალაქო სასამართლოში ქ. ფოთის მთავრობის მიმართ და მოითხოვა ზიანის – . . . აშშ დოლარის ანაზღაურება.

სარჩელში მითითებული იყო, რომ ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1990 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით იკისრა ვალდებულება მოსარჩელისათვის საცხოვრებელი სახლისა და სამოსახლო მიწის ნაკვეთის აღების სანაცვლოდ, ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში გამოეყო ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინა. მოპასუხემ საკუთარი ვალდებულება აღიარა 1990 წლის 1 ოქტომბრის წერილითაც და აღნიშნა, რომ თ. გ-ას დასახელებული მოთხოვნა დაკმაყოფილდებოდა ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში ბინების განაწილების დროს. მოსარჩელემ 2005 წლის 30 სექტემბერს იგივე მოთხოვნით კვლავ მიმართა ქ. ფოთის მთავრობას, მაგრამ მას განემარტა, რომ ქ. ფოთის აღმასკომი სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა, სახელმწიფო და თვითმმართველობა კი სხვადასხვა რამ იყო და ქ. ფოთის მთავ-

რობა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო ორგანოს მიერ აღებულ ვალდებულებაზე პასუხს ვერ აგებდა. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოპასუხემ დასახელებულ ვალდებულების შესრულებაზე უარი მხოლოდ 2005 წლის ნოემბერში განაცხადა, მანამდე კი იგი ვალდებულების არსებობას არ უარყოფდა, თუმცა მისი შესრულების კონკრეტულ ვადას არ უთითებდა.

თ. გ-ამ სარჩელით მოითხოვა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, დაპირებული ოროთახიანი ბინის სანაცვლოდ, ზიანის სახით . . . აშშ დოლარის ანაზღაურება.

2. ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით თ. გ-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა და ქ. ფოთის მთავრობას მის სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ფოთის მთავრობა წარმოადგენდა ქ. ფოთის აღმასკომის უფლებამონაცვლეს და სწორედ მას ეკისრებოდა ნაკისრი ვალდებულების შესრულება. საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოცემული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის . . . აშშ დოლარი გონივრულ თანხას წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით ქ. ფოთის მთავრობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ხანდაზმულობის მოტივით თ. გ-ას სარჩელს დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით, თ. გ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თ. გ-ას სარჩელის ხანდაზმულობის საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის გარდა, დასადგენი იყო ქ. ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამართალმემკვიდრეობის საკითხი, სახელდობრ, წარმოადგენდა თუ არა ქ. ფოთის მთავრობა 1990 წელს მოქმედი ქ. ფოთის მმართველობის ორგანოს – აღმასკომის უფლებამონაცვლეს და მის მიერ აღებულ ვალდებულებაზე პა-

სუხისმგებელ პირს.

4. საქმის ხელახლა განხილვისას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, გაუქმდა ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. გ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ქ. ფოთის მერიას დაეკისრა მის სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს თ. გ-ას მიმართ გააჩნდა, მიწის ნაკვეთისა და საცხოვრებული სახლის სანაცვლოდ, ასაშენებელ სახლში ბინების განაწილების დროს, ოროთახიანი კეთილმოწყობილი ბინის გამოყოფის ვალდებულება. ქ. ფოთის აღმასკომის აღნიშნული გადაწყვეტილება არ შესრულდა. ქ. ფოთის მთავრობის 2005 წლის 10 ოქტომბრის შესაბამის წერილში კი განმარტებული იყო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად, სახელმწიფო და თვითმმართველობა სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ. ქ. ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი კი 1990 წელს სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო და თვითმმართველობა სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ, მაგრამ ქ. ფოთის აღმასკომი აღმასრულებელ ორგანო იყო და მის სამართალმემკვიდრედ გვევლინებოდა აღმასრულებელი ორგანო – ქ. ფოთის მერია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შესაბამისი ვალდებულება იკისრა აღმასრულებელმა ორგანომ, რის გამოც დასახელებულ ვალდებულებაზე პასუხისმგებელი ქ. ფოთის აღმასკომის სამართალმემკვიდრე ქ. ფოთის მერია იყო. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. ამიტომაც, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის 1-ლი

ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურება მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქალაქ ფოთის მერიამ. სხვა გარემოებებთან ერთად კასატორმა მიუთითა იმაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო და თვითმმართველობა სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენდნენ. 1990 წელს ქ. ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი წარმოადგენდა სახელმწიფო ორგანოს. საქართველოს ორგანული კანონით კი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" კი, ქ. ფოთის მთავრობა ადგილობრივი თვითმმართველობის და არა სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა, ამიტომაც ქ. ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო პასუხს ვერ აგებდა სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებაზე. კასატორი აღნიშნავდა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, ქ. ფოთის მთავრობა არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა და საქმეში მოპასუხეებად უნდა ჩაბმულიყვნენ შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები – საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროები.

6. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქ-

ტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

7. მერია ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მისი ბათილად ცნობილი დადგენილების საფუძველზე განხორციელებულ შენობის ლიკვიდაციით მხარეს მიადგა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 10 იანვრის №ბს-707-673(კ-06) განჩინება

რედაქტირებული ამონარიდი

1. შპს „. . .-ს" დირექტორმა სარჩელი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში და მიუთითა, რომ ქ. ბათუმის მერიის დადგენილებით განისაზღვრა ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩის №. . . -ში, მდებარე შენობება-ნაგებობების ლიკვიდაცია იმ მოტივით, რომ ქ. ბათუმის განაშენიანების გეგმის შესაბამისად მიმდინარე ახალგაზრდობის პარკის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, აუცილებელი იყო ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩის №. . ში, მდებარე შენობა-ნაგებობების აღება.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო დადგენილების შესრულების დროს დაინგრა მოსარჩელის კუთვნილი შენობები, მაცივრები და სხვა დანადგარები, რითაც მას მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

მოსარჩელემ მოითხოვა ქ. ბათუმის მერიის დადგენილების ბათილად ცნობა, მიყენებული ზიანის – . . . ლარის, მიუღებელი შემოსავლის – . . . ლარის, ადვოკატის ხარჯების – . . . ლარისა და გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – . . . ლარის ანაზღაურება.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ, უკანონოდ იქნა ცნობილი შპს „. . .-ს" სახელზე რიცხული, ქ. ბათუმში, რუსთაველის ქუჩის №. . .-ში, მდებარე შენობების ლიკვიდაცია; ქ. ბათუმის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ . . . ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება და მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით შეტანილი . . . ლარის გადახდა დაეკისრა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „. . . -ს" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ბათუმის მერიის დადგენილება შპს „. . .-ს" კუთვნილი მხოლოდ ორი შენობის ლიკვიდაციის ნაწილში; ქ. ბათუმის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ . . . ლარის ოდენობის ზიანისა და სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი . . ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმის მერიის დადგენილების აღსრულებისას მერიამ დაანგრია მოსარჩელის საკუთრებაში რეგისტრირებული, რუსთაველის ქუჩის №51-ში მდებარე ორი შენობა, რითაც ხელყო მესაკუთრის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე, მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. აღნიშნული კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს იგი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საჯარო ინტერესის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩათვალა ზიანის ოდენობის შემცირება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

5. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სა-

სამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამკატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

8. ადმინისტრაციული წარმოების წესების დარღვევის გამო, ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, უპირობოდ არ წარმოადგენს მის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 27 დეკემბრის ბს-434-415(2კ-06) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2005 წლის 15 აპრილს შპს „დ. . .94-მა" სარჩელი აღძრა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში ზუგდიდის რაიონის გამგეობის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1993 წელს ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანება. 1994 წლის 21 აპრილს ქ. ზუგდიდის და ზუგდიდის რაიონის გამგეობის №335 განკარგულების „ქალაქის, საწარმოების, დანესებულებების და მთელ ტერიტორიაზე ჯიხურების, სავაჭრო პავილიონების დადგმის წესის რეგულირების შესახებ" შესაბამისად, ქალაქის ტერიტორიაზე ჯიხურებისა და პავილიონების დადგმაზე ნებართვის გაცემა უნდა მომხდარიყო ქალაქისა და რაიონის არქიტექტურისა და მშენებლობის სამმართველოს უფროსის, ქალაქისა და რაიონის მთავარი არქიტე-

ქტორის ბრძანებებით. ამ განკარგულების საფუძველზე, ზუგდიდის რაიონის მთავარმა არქიტექტორმა 1994 წლის 27 ივლისს გამოსცა ბრძანება, რითაც ნება დაერთო ახალგაზრდულ სამეცნიერო შემოქმედებით გაერთიანებას დაედგა უნივერსალური პავილიონ. იმავე არქიტექტორის 1995 წლის 2 თებერვლის ბრძანებით, პავილიონის მიმდებარე ტერიტორია მათ მიერ იქნა კეთილმოწყობილი.

საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" შესაბამისად, 1996 წლის 22 იანვარს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ დარეგისტრირდა შპს „დ ... -94" და მის საწესდებო კაპიტალში შევიდა სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანების ქონება.

ზუგდიდის მერის 1997 წლის 2 დეკემბრის № 294 განკარგულებით, შპს „დ ... 94-ს" ნება დაერთო განეხორციელებინა 156,2 კვ.მ რკინის პავილიონის რეკონსტრუქცია, რომლის ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა . . . ლარი.

ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2000 წლის 10 აგვისტოს განკარგულებით, ობიექტი შევიდა ექსპლუატაციაში. საქართველოს კანონის „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" შესაბამისად, ქ. ზუგდიდის მიწის მართვის სამმართველოში მიწის ნაკვეთი, სათანადო პროქტით აშენებულ, მასზე უძრავად დაკავშირებულ ნაგებობასთან ერთად 1999 წლის 27 აგვისტოს კერძო საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში.

2005 წლის 25 მარტს ზუგდიდის რაიონის გამგებლის № 102 განკარგულებით, ბათილად გამოცხადდა ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2000 წლის 10 აგვისტოს განკარგულება „სავაჭრო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღების შესახებ" 1-ლი პუნქტის ბათილად ცნობისა და საჯარო რეესტრში ცვლილებების შეტანის შესახებ, ასევე, ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შ 2005 წლის 25 მარტის № 101 განკარგულებით, ბათილად გამოცხადდა ზუგდიდის მერიის 1997 წლის 2 დეკემბრის განკარგულების 1-ლი პუნქტის მე-5 ქვეპუნქტი.

მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული განკარგულებები უკანონოა, რადგან მათი მიღებისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, კერძოდ, არც ერთ ადმინისტრაციულ აქტში არ იყო მითითებული გასაჩივრების ვადა და წესი, ასევე დარღვეულ იყო ამავე მუხლის 1-ლი, მე-3, მე-5, მე-6 პუნქტების მოთხოვნები, ვინაიდან

ადმინისტრაციული აქტები არ იყო დასაბუთებული, არ იყო სწორად გამოკვლეული და შეფასებული საქმის ფაქტობრივი გარემობანი. ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შემსრულებელის 2005 წლის 25 მარტის № 101 განკარგულების მიღებისას, მოსარჩელის მოსაზრებით, სავალდებულო იყო ექსპერტიზის დასკვნა, რადგან უსაფუძვლო იყო საქართველოს კანონის „წყლის შესახებ" მე-20 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების გამოყენება.

მოსარჩელის მოსაზრებით ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2005 წლის 25 მარტის № 102 განკარგულებაში ასევე არამართებულად იქნა გამოყენებული საქართველოს კანონის „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „მ" და „დ" ქვეპუნქტები.

მოსარჩელის განმარტებით, საჯარო რეესტრში 171.7 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა 1999 წელს რეგისტრირებული იყო შპს „დ. . 94"-ის საკუთრებად. საქართველოს კანონის „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ" მე-5 მუხლის შესაბამისად, მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით სადავო და გარიგებათა ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი. გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა უხეშად დაარღვია კანონის იმპერატიული მოთხოვნა და მიითვისა სასამართლოს ფუნქცია, როდესაც თავისი განკარგულებით ბათილად ცნო მიწაზე შპს „დ. . 94"-ის კერძო საკუთრების უფლება და დაავალა საჯარო რეესტრის სამსახურს აღნიშნული მიწის ნაკვეთი რეგისტრაციაში გაეტარებინა სახელმწიფო საკუთრებად, ანუ მოახდინა მიწის „ნაციონალიზაცია", რითაც გადაამეტა უფლებამოსილებას.

ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შემსრულებლის მიერ მიღებული განკარგულებებითა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით უხეშად შეილახა საზოგადოების საკუთრების უფლება, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლებით. გამგებლის მ/შემსრულე-

ბლის უკანონო მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შემსრულებლის 2005 წლის 25 მარტის №№ 101, 102 განკარგულებების ბათილად ცნობა და ზუგდიდის რაიონის გამგეობისათვის . . .ლარის ოდენობით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

2. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა, კერძოდ, ბათილად იქნა ცნობილი გასაჩივრებული განკარგულებები და ზუგდიდის რაიონის გამგეობას შპს-ს სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის ანაზღაურება.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზუგდიდის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ ზუგდიდის მერის 1997 წლის 2 დეკემბრის № 294 განკარგულება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონის „წყლის შესახებ" მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებს, რომელთა შესაბამისადაც, მდინარის წყალდაცვით ზოლში მშენებლობა ან მოქმედი საწარმოს გაფართოება და რეკონსტრუქცია აკრძალულია. მითითებული კანონი საფუძვლად დაედო ზუგდიდის რაიონის გამგებლის მ/შ 2005 წლის 25 მარტის განკარგულებას და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ბათილად გამოცხადდა № 294 განკარგულება, რაც რაიონული სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

4. ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, ზუგდიდის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გამგეობისათვის . . . ლარის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ზუგდიდის რაიონის გამგეობას შპს „დ. . 94-ის" სასარგებლოდ დაეკისრა

. . . ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ეცნობებინა დაინტერესებული მხარისთვის, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესებულიყო მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველეყო მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

სადავო განკარგულებების მიღებისას არ ჩატარებულა ადმინისტრაციული წარმოება და, შესაბამისად, არ უცნობებიათ შპს „დ. . . 94-სათვის".

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაუცველად, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით კი, ზუგდიდის რაიონის გამგეობის 2005 წლის 25 მარტის № 101, 102 განკარგულებებიდან არ ჩანდა, რომ აქტი მიღებული იყო გადაუდებელი აუცილებლობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" პუნქტის თანახმად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს. ზუგდიდის რაიონის გამგეობას კი შპს-თვის არ მოუსმენია, რადგანაც ადმინისტრაციული წარმოება არ ჩატარებულა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თითოეულ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის (სარჩელის) წარდგენის ვადა, რაც სადავო განკარგულებებში არ არის აღნიშნული. ამავე კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია

მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე მუხლით ან 34-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით ანდა კანონის ისეთი დარღვევით, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. № 101, 102 განკარგულებების მიღებისას საერთოდ არ ჩატარებულაადმინისტრაციული წარმოება.

ზუგდიდის რაიონის გამგეობის დასახელებული განკარგულებები მიღებული იყო ერთპიროვნულად, რითაც დაირღვა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 24-25-ე მუხლების მოთხოვნები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

ამასთან, სასამართლო პალატამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესის მხედველობაში მიღებით, შპს „დ. . . 94-თვის"ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა . . . ლარამდე შეამცირა.

5. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს „დ. . . 94-მა"და ზუგდიდის რაიონის გამგეობამ.

საკასაციო საჩივრით შპს „დ. . . 94" ითხოვდა რა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას ზიანის ანაზღაურების ნაწილში, მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის მე-2 ნაწილი და საჯარო ინტერესებზე მითითებით არამართებულად გაანახევრა იმ ზიანის ოდენობა, რომელიც საზოგადოებას მიადგა.

კასატორის განმარტებით, საკომპენსაციო თანხის გამოთვლა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე, რაც, როგორც წესი, გამორიცხავს სრულ კომპენსაციას, განსაკუთრებით ეს ეხება მიუღებელი მოგების სრულ ანაზღაურებას. ზუგდიდის რაიონის გამგეობის № 101, 102 განკარგულებებით არ არის დადგენილი, შეილახა თუ არა საჯარო ან კერძო ინტერესები. კასატორის მითითებით, მათ არ დაუყენებიათ მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების მოთხოვნა. შენობის უკანონო დემონტაჟის შედეგად მათ მიადგათ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, რომელიც აუდიტორული დასკვნის საფუძველზე შეადგენდა . . . ლარს.

ზუგდიდის რაიონის გამგეობა საკასაციო საჩივარს აფუძნებდა სააპელაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებს და მოითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის დაბრუნებას.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „დ. . .94-ის“საკასაციო საჩივარი, ხოლო ზუგდიდის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება „დ. . .94-ის“სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის რაიონის გამგეობის 1997 წლის 25 მარტის № 101, № 102 განკარგულებები და ზუგდიდის რაიონის გამგეობას დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1993 წელს ჩამოყალიბდა ახალგაზრდული სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანება, რომელსაც ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მთავარი არქიტექტორის 1994 წლის 27 ივლისის ბრძანებით, ნება დაერთო დაედგა უნივერსალური პავილიონი.

1996 წლის 22 იანვარს ახალგაზრდული სამეცნიერო შემოქმედებითი გაერთიანების ქონების ბაზაზე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში რეგისტრაცია გაიარა შპს „დ. . . 94-მა“... რომელიც

ჩაითვალა გაერთიანების სამართალმემკვიდრედ.

ზუგდიდის მერის 1997 წლის 2 დეკემბრის . . . განკარგულებით შპს „დ. . . 94"-ს ნება დაერთო პავილიონისათვის გაეკეთებინა რეკონსტრუქცია, ხოლო ზუგდიდის რაიონის გამგებლის 2000 წლის 10 აგვისტოს . . . განკარგულებითინდივიდუალური წესით აშენებული სავაჭრო ობიექტი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.

ზუგდიდის რაიონის გამგებლის 2005 წლის 25 მარტის № 101 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის მერის 1997 წლის 2 დეკემბრის განკარგულება, რომლითაც შპს „დ. . .94"-ს ნება დაერთო გაეკეთებინა პავილიონის რეკონსტრუქცია, ხოლო იმავე წლის 25 მარტის № 102 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი ზუგდიდის რაიონის გამგებლის 2000 წლის 10 აგვისტოს განკარგულების 1-ლი პუნქტი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

ზუგდიდის რაიონის გამგებლის 2005 წლის 25 მარტის № 101 და № 102 განკარგულებები წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა მიმართაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის განსაზღვრული მოთხოვნები.

ზემოაღნიშნული აქტების მიღებისას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში უზრუნველყოფილი არ ყოფილა შპს-ს წარმომადგენლის მონაწილეობა.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებზე მითითება და განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა, გამონაკლისს ადგენს კანონი.

საკასაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მითითებული მუხლის დებულებებს და განმარტა, რომ მასში დეკლარირებული ნორმები მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს

იმ პირის ინტერესების მაქსიმალური დაცვა, რომლის უფლებებსაც შესაძლოა მითითებული აქტი შეეხოს. აღნიშნული პირები უფლებამოსილი არიან მონაწილეობა მიიღონ ამ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და გავლენა მოახდინონ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ დაინტერესებული მხარის უფლებების დაცვას, არამედ არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მითითებული ნორმიდან გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ კანონის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო აქტის გამოცემისას დაირღვა ზემოაღნიშნული მუხლის დებულებები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა რა ზემოაღნიშნულ მუხლზე, იმავდროულად განმარტა, რომ იგი წარმოადგენს ზოგად ნორმას და მასში წარმოდგენილი პრინციპის გამოყენება უზრუნველყოფილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლით, რომლის მე-2 ნაწილის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია რა გასაჩივრებული აქტების შინაარსსა და ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიულ ხასიათს, ჩათვალა, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში შპს „დ. . . 94-ის" მიმართ არ მომხდარა კანონით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფა.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ დაინტერესებული მხარის უფლებათა დაცვის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ შემოიფარგლება მხოლოდ მხარის უფლებით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს პირის უფლებას, წარადგინოს მტკიცებულებები, დააყენოს შუამდგომლობები და ა.შ., რასაც აწესრიგებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-99-ე მუხლები და, რაც ასევე იგნორირებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

ამრიგად, საკასაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ სადავო

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას დარღვეული იყოსაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

ამასთან, არ იყო რა ჯეროვნად გამოკვლეული შპს-ს საკუთრების უფლების კანონით დადგენილი წესით წარმოშობა და პავილიონის აღების გამგეობის კანონიერი უფლების არსებობა, საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მითითებულ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ საკუთრების უფლების ხელყოფის თაობაზე, ამიტომაც, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო 1997 წლსი № 101 და № 102 განკარგულებებიდა ზუგდიდის რაიონის გამგეობას დაავალა საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი დასაბუთებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის მთავარი არქიტექტორის 1994 წლის 27 ივლისის ბრძანების ბოლო წინადადებას, რომლის თანახმადაც: „აღების აუცილებლობის შემთხვევაში, პავილიონის აღება მფლობელთან შეთანხმებულია". სასამართლომ საგულისხმოდ მიიჩნია ის გარემოება, რომ მითითებული ბრძანება წარმოადგენდა იმ უფლებადამდგენ დოკუმენტს, რომლითაც ახალგაზრდულ სამეცნიერო შემოქმედებით გაერთიანებას მიეცა უნივერსალური პავილიონის განთავსების უფლება.

საკასაციო სასამართლომ სავალდებულოდ მიიჩნია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საკითხის გამოკვლევა, შპს-ს, როგორც შემოქმედებითი გაერთიანების სამართალმემკვიდრეს, ზემოაღნიშნული მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, პავილიონის დასადგმელად გამოყოფილი მიწა გადაცემული ჰქონდა „დროებით" თუ „მუდმივ" სარგებლობაში, რაც არსებითად განაპირობებდა ამ ნაკვეთის სამართლებრივ რეჟიმს და განსაზღვრავდა გამგეობის უფლებას მასზე.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ზუგდიდის რაიონის გამგეობის სადავო განკარგულება შეიცავდა მხოლოდ ზოგად მითითებას და დასაბუთებული და გამოკვლეული არ იყო, რამდენად მიეკუთვნებოდა სადავო ტერიტორია მდინარის წყალსაცავის ზოლს და დარღვეული იყო თუ არა საქართველოს კანონის „წყლის შეს-

ახებ", მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლომ ასევე არსებითად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში განსაზღვრულიყო შპს-ის მიყენებული ზიანის კომპენსაციის საკითხი, კერძოდ, ვრცელდებოდა თუ არა მასზე ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის 1994 წლის 21 აპრილის განკარგულება ზიანის ანაზღაურების ნაწილში და საერთოდ, ექვემდებარებოდა თუ არა გამგეობის მხრიდან მიყენებული ზიანი ანაზღაურებას.

9. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით (უმოქმედობით) გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
3 თებერვლის №ბს-953-811-კ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ბ. მ-იამ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხეების: თერჯოლის რაიონის გამგეობისა და ე. ბ-ძის მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ 2000 წ. 25 მაისს საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდებოდა თბილისიდან ზუგდიდის მიმართულებით. თერჯოლის გადასახვევთან მოძრაობის დროს, თერჯოლის მხრიდან შეუჩერებლად გამოვიდა თერჯოლის გამგეობის კუთვნილი ავტომანქანა „გაზ-24", რომელსაც მძღოლი ე. ბ-ძე მართავდა და შექმნა ავარიული სიტუაცია. იგი შეეცადა, აეცილებინა შეჯახება და მიმართა მანევრს, ამის მიუხედავად, ავტომანქანა „გაზ-24" მაინც დაეჯახა მის ავტომანქანას და დააზიანა იგი.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ფაქტზე გაიცა სპეციალისტის ცნობა, რომლის მიხედვით, მისი ავტომანქანის დაზიანებული ნაწილების ღირებულება შეადგენდა . . . ლარს, ხოლო მათი შეკეთება – . . . ლარს. ამას ემატებოდა გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების ღირებულება 10%-ის ოდენობით.

მოსარჩელემ მოითხოვა თერჯოლის რ-ის გამგეობისათვის . . .

ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – . . .ლარის გადახდის დაკისრება.

მოპასუხე – თერჯოლის რ-ის გამგეობამ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში განმარტა, რომ ავარიის შედეგად დაზიანდა არა მხოლოდ მოსარჩელის, არამედ მისი ავტომანქანა „გაზ-24-იც". მომხდარი ავტოავარიის სქემას ერთვოდა სპეციალისტის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ ავარიის დროს ბრალის რა წილი მიუძღოდა თითოეულ მძღოლს. მოპასუხემ მიიჩნია, რომ ავტომანქანის დაზიანებული ნაწილების ღირებულება და მისი აღდგენის ხარჯები გადაჭარბებული იყო და არ შეესაბამებოდა რეალურს.

სასამართლოს განჩინებით დანიშნული ექსპერტის დასკვნის თანახმად, მომხდარ ავტოავარიაში ბრალი მიუძღოდა ავტომანქანა „გაზ-24-ის" მძღოლ ე. ბ-ძეს. მიყენებული ზიანის განსაზღვრა ექსპერტმა შეუძლებლად მიიჩნია, რადგანაც ორივე ავტომანქანა უკვე აღდგენილი იყო.

2. თერჯოლის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაუსაბუთებლობის გამო ბ. მ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქმე რამდენჯერმე იქნა განხილული სასამართლო ინსტანციებში.

3. საბოლოოდ, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის ახალი გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ბ. მ-იას უფლებამონაცვლე ლ. მ-იას სააპელაციო საჩივარი, სარჩელი დაკმაყოფილდა და თერჯოლის რ-ის გამგეობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ავტომანქანა „გაზ-24" იმყოფებოდა თერჯოლის რ-ის გამგეობის ბალანსზე, ემსახურებოდა რ-ის საკრებულოს და მძღოლი ე. ბ-ძე მიმაგრებული იყო აღნიშნულ ავტომანქანაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს სხვა პირს, ვალდებულია აანაზღაუროს იგი.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგინდა,, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია მძღოლ ე. ბ-ძის მართლსაწინააღმდეგო ბრალეულმა ქმედებამ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის თანახმად,

მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ სატრანსპორტო საშუალებას იყენებს მფლობელის ნებართვის გარეშე, ვალდებულია, მფლობელის ნაცვლად აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანი. ეს წესი არ გამოიყენება, თუ მოსარგებლე მფლობელის მიერ დანიშნულია სატრანსპორტო საშუალების სამართავად ან, თუ ეს სატრანსპორტო საშუალება მას გადაცემული ჰქონდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ბ-ძე შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მართავდა გამგეობის კუთვნილ ავტომანქანას და მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო. მართალია, დადგენილი იყო, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ე. ბ-ძეს ავტომანქანა მიჰყავდა ავტოფარეხში გასაჩერებლად და მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რადგან მასზე გაპიროვნებული ავტომანქანის ავტოფარეხში გაჩერება მოსარჩლის სამსახურებრივ მოვალეობას შეადგენდა. საქმეზე წარდგენილი სპეციალისტის ცნობაზე დაყრდნობით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ავტომანქანის დაზიანებული ნაწილებისა და მათი შეკეთების ღირებულება შეადგენდა . . . ლარს, რომლის ანაზღაურება მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თერჯოლის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც ზიანის ანაზღაურება მას არ დაეკისრებოდა.

5. საკასაციო პალატის განჩინებით თერჯოლის რ-ის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახლა სააპელაციო განხილვისათვის.

საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ბ. მ-იას კუთვნილი ავტომანქანა დაზიანდა თერჯოლის რაიონის გამგეობის კუთვნილი ავტომანქანის მძღოლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებისშედეგად.

ამასთანავე, საკასაციო პალატამჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევებით. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი.

კერძოდ, საკასაციო სასამართლომ ამავე საქმეზე ადრე გამოტანილ განჩინებით საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაზე, რომლითაც კანონმდებელი სპეციალურ დათქმას აკეთებდა თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისთვის მმართველობის ორგანოს პასუხისმგებლობაზე და მიიჩნია, რომ სასამართლოს უნდა გაერკვია, მოხდა თუ არა ავტოსაგზაო შემთხვევა სამუშაო საათების განმავლობაში და ასრულებდა თუ არა მძღოლი ე. ბ-ძე სამსახურებრივ მოვალეობას.

გარდა იმისა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული და დადგენილი ეს გარემოება, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი, როდესაც მიიჩნია, რომ იგი განსაზღვრავდა პასუხისმგებლობას მხოლოდ ადმინისტრაციული აქტით გამოწვეული ზიანისათვის და სხვა შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო პალატის აზრით, აღნიშნული ნორმის თანახმად, პასუხისმგებლობის საფუძველია მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი, რომელშიც მოიაზრება როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემით, ასევე მისი ქმედებით (უმოქმედობით) გამოწვეული ზიანი. ამასთანავე, ზიანის გამოწვევა დაკავშირებული უნდა იყოს მოსამსახურის მიერ უშუალოდ სამსახურებრივი, მოვალეობის შესრულებასთან, რადგან საჯარო მოხელე, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის მოსამსახურე, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს

სახელმწიფოს სახელით და, შესაბამისად, მოხელის (მოსამსახურის) ქმედებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო, მმართველობის ან თვითმმართველობის ორგანო.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გარკვევისას სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა ზიანის გამოწვევის საფუძველს, კერძოდ, იგი გამოწვეული იყო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით, თუ სახეზე იყო დელიქტური ვალდებულებითი ურთიერთობა. თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენდა, რომ ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებულ ზიანს, მას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 997-ე მუხლებით. ორივე კოდექსის ნორმების ერთდროულად გამოყენება, საკასაციო პალატის აზრით, დაუშვებელია, ვინაიდან მათ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველი აქვთ.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი არ მიესადაგებოდა განსახილველ საქმეს, რადგან აღნიშნული ნორმა არეგულირებს ზიანის ანაზღაურებას მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

10. მერიის მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ზეპირი ფორმით ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, არ წარმოადგენს მის საფუძველზე ნაგებობის დანგრევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მერიისათვის დაკისრების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
14 თებერვლის №ბს-969-923(კ-06) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. ძ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს „. . ." -ს მიმართ და ზიანის

ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მუშაობდა კაფე-სანაყინეს გამგედ, რომელიც ხანძრის შედეგად განადგურდა. ქ. ბათუმის მთავარი არქიტექტორის ნებართვით, სათანადო პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, კაფე-სანაყინეს თანამშრომლებს საკუთარი სახსრებით ახალი კაფეს მშენებლობის უფლება მიენიჭათ.

მოსარჩელის განმარტებით, ახალი კაფეს აშენებას . . . აშშ დოლარი დასჭირდა. ხოლო მიმდინარე რემონტის ჩატარებაზე ... ლარი დაიხარჯა. მითითებული თანხები მოსარჩელემ გაიღო. ზღვისპირა პარკში პირამიდის მშენებლობასთან დაკავშირებით, კაფე-სანაყინე დაიშალა და მოსარჩელეს სხვა ადგილზე ახალი კაფეს მშენებლობაზე მიეცა ნებართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ზიანის ასანაზღაურებლად . . აშშ დოლარისა და . . ლარის, წარმომადგენლის ხარჯის – . . ლარისა და წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის . . ლარის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინებით საქმეში მესამე პირად ქ. ბათუმის მერია ჩაება.

ძ-ძემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მის მოთხოვნაზე მოპასუხედ ქ. ბათუმის მერია, ხოლო მესამე პირად შპს „. . .“ დაასახელა.

მოსარჩელის განმარტებით, შპს კაფე-სანაყინეს დანგრევის თაობაზე ქ. ბათუმის მერიის ზეპირ განკარგულებას ასრულებდა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ქ. ბათუმის მერიას შეეძლო, ვინაიდან საქართველოს კანონის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის უფლებამოსილება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გააჩნდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ ზიანის ანაზღაურება შპს-ს ნაცვლად ქ. ბათუმის მერიისაგან მოითხოვა.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ა. ძ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ქ. ბათუმის მერიას მის სასარგებლოდ . . აშშ დოლარისა და . . ლარის გადახდა დაეკისრა; მასვე დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – . . ლარის გადახდა, ხოლო . . ლარის ოდე-

ნობით წარმომადგენლის ხარჯის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

3. გადაწყვეტილება ქ. ბათუმის მერიამ სააპელაციო წესით იმ ნაწილში გაასაჩივრა, რომლითაც სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტის განმარტებით, ა. ძ-ემ დაზუსტებულ სასარჩელო განცხადებაში იგი არასწორად დაასახელა მოპასუხედ, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 44-ე მუხლის თანახმად, შპს წარმოადგენდა კერძო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს, რომელიც საკუთარი საქმიანობის შესახებ დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებებს და მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობაც მასვე ეკისრებოდა.

აპელანტმა ასევე მიუთითა, რომ არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ კაფე-სანაყინეს დანგრევა მოხდა ქ. ბათუმის მერიის განკარგულებით.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ა. ძ-ძის სარჩელი ბათუმის მერიისთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა კაფე-სანაყინეს აგების ხარჯების ანაზღაურების თაობაზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ქ. ბათუმის მერიის მიერ კაფე-სანაყინეს დანგრევის შესახებ ადმინისტრაციული აქტის მიღება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტი თითქოს კაფე-სანაყინე დაინგრა ქ. ბათუმის მერიის ზეპირი მითითების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ აქტის ზეპირად გამოცემის შემთხვევაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის თანახმად, სამ დღეში აქტი უნდა გამოცემულიყო წერილობით, რასაც მო-

ცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ა. ძ-ძემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი და საქართველოს კანონის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" მე-2 და მე-3 მუხლები.

კასატორის მითითებით, შპს „ . . . " ასრულებდა ქ. ბათუმის მერიის ზეპირ განკარგულებას კაფე-სანაყინეს დანგრევის თაობაზე. ამასთან, საქართველოს კანონის „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის განკარგვის უფლებამოსილება მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გააჩნდა.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა შესაძლებელი იყო როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ამავე კოდექსის 209-ე მუხლი არ ითვალისწინებდა რაიმე შეზღუდვას. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება შესაძლებელი იყო როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით გამოცემული ადმინისტრაციული აქტის აღსრულებით მიყენებული ზიანისათვის.

6. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან

ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

11. კერძო სამართლის სუბიექტის მიერ ბინით დაკმაყოფილების მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ქ. თბილისის რაიონის საკრებულოს გამგეობის მიერ გაცემული გარანტიის გამო, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ქ. თბილისის მერიას ეკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის
15 ოქტომბრის № ბს-287-280(კ-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ო-მა 2005 წლის 2 თებერვალს სარჩელი აღძრა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში ქ. თბილისის მერიის მიმართ, მესამე პირი – ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული გამგეობა, და მოპასუხისათვის ჩაბარებული ბინის ანალოგიური ფართობის მქონე საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებით მისთვის გადაცემის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1991 წლის 20 აგვისტოს, კოოპერატივ „. . .-ს", ფირმა „. . .-სა" და გ. ო-ს შორის დაიდო საგარანტიო ხელშეკრულება. მისი გაფორმებისას კოოპერატივი და ფირმა მოქმედებდნენ ქ. თბილისის პრეფექტის 1991 წლის 30 მაისის ბრძანების საფუძველზე. დამატებითი საგარანტიო ხელშეკრულების შედგენის საკითხი შეთანხმებული იყო ჩუღურეთის რაიონის საკრებულოსთან. ხელშეკრულებით გ. ო-მა აიღო ვალდებულება, ჩაებარებინა მის საკუთრებაში არსებული ოროთახიანი ბინა, რაც საგარანტიო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მან შეასრულა. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების მეორე მხარემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდე-

ბულება და მას საკუთრების უფლებით არ გადასცა ხუთოთახიანი ბინა განსხვავებულ ფართობზე სათანადო ღირებულების გადახდით.

გ. ო-მა დააზუსტა სარჩელი და საბოლოოდ, 1991 წლის 20 აგვისტოს საგარანტიო ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ქ. თბილისის მერიისათვის მის სასარგებლოდ, მისი ბინის საბაზრო ღირებულების . . .აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში გადახდის დაკისრება მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, გ. ო-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საგარანტიო ხელშეკრულება და ქ. თბილისის მერიას გ. ო-ის სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარებში გადახდა დაეკისრა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მისი გაუქმება და მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარში თვით ქ. თბილისის მერია უთითებდა, რომ იმ დროს არსებული საბინაო კანონმდებლობის თანახმად, პრეფექტის აღნიშნულ საქმეში ჩართვა აუცილებელი იყო, რადგან ბინის ორდერების გაცემის უფლება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ პრეფექტს. ამიტომაც, ჩაბარებული ბინის ნაცვლად (ეს ბინა კი გ. ო-მა ადგილობრივ მმართველობას ჩააბარა) ახალი ბინა მოსარჩელეს უნდა მიეღო ქ. თბილისის მერიისაგან და არა უშუალოდ კოოპერატივ „. . . " ან ფირმა „...-გან". ამასთან, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება სრულად შეესაბამებოდა აბსოლუტურად ანალოგიურ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას[1].

---

1 სამართლებრივი თვალსაზრისით, საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 2003 წლის 31 ოქტომბრის № ბს-156-329-კ-03 გადაწყვეტილება მოცემულის იდენტურია, ამიტომაც მიზანშეწონილად არ მივიჩნიეთ მისი ტექსტის კრებულში მოყვანა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლო იყო აპელანტის არგუმენტი იმის შესახებ, რომ როგორც 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის, ასევე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით გ. ო-ის სარჩელი ხანდაზმული იყო. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით კი, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა დელიქტურ სარჩელებზე წარმოადგენდა სამ წელს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე მუხლიც ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე სამწლიან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას ითვალისწინებდა. აპელანტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა წარმოდგენილი სარჩელის ხანდაზმულობა. არც 1991 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულებაში და არც ქ. თბილისის პრეფექტის 1991 წლის 30 მაისის ბრძანებაში არ იყო მითითებული თუ კონკრეტულად, რა ვადაში უნდა მისცემოდა გ. ო-ს სანაცვლო ბინა. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი ირკვეოდა, რომ 2005 წლის 25 იანვარს ქ.თბილისის მერიამ უარი განუცხადა გ. ო-ს ზიანის ანაზღაურებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით დაიწყო არა უადრეს 2005 წლის 26 იანვრისა, სარჩელი კი სასამართლოში 2005 წლის 23 თებერვალს იქნა აღძრული. ამრიგად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გ. ო-ის სარჩელი ხანდაზმული არ იყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის მოტივები არ იქნა გაზიარებული და საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

4. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც მისი გაუქმება და უსაფუძვლობისა და ხანაზმულობის ვადის გასვლის გამო მოსარჩელისათვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მიუთითა, რომ სს „. . .-ის" დირექტორი იყო ენერგეტიკისა და ენერგეტიკული ნაგებობის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, რომლის გარდაცვალების შემდეგ

აღნიშნული ორგანიზაცია აღარ ფუნქციონირებდა. ქ. თბილისის მერია არ უნდა ჩაითვალოს ლიკვიდირებული კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართალმემკვიდრედ. მოსარჩელის წინაშე მერიის რაიმე ვალდებულების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიპოვებოდა. პრეფექტის ბრძანებით მხოლოდ დაკმაყოფილდა მშენებლის მოთხოვნა და საბინაო კომპლექსის ასაშენებლად გამოეყო მიწის ნაკვეთი. პრეფექტურას მხოლოდ ორდერების გაცემა ევალებოდა. სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 205-ე მუხლი და არ გამოიყენა ამავე კოდექსის 75-ე მუხლი – სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადები, რომლითაც იგი 3 წლით განისაზღვრებოდა. მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმადაც, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენდა 3 წელს. მოსარჩელეს 1991 წლის შემდეგ არ მიუმართავს ადგილობრივი ორგანოსათვის და არ მოუთხოვია ვალდებულების შესრულება. მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წლიდან, როდესაც აუცილებელი იყო კერძო სამართლის იურიდიული პირების ხელახალი რეგისტრაცია, რადგან ზემოაღნიშნულ იურიდიულ პირებს იგი არ ჰქონდათ გავლილი, ამიტომაც გ. ო-ს გაშვებული ჰქონდა როგორც 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 75-ე, ასევე მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადა.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ.თბილისის პრეფექტის 1991 წლის 30 მაისის ბრძანებით კოოპერატივ „. . . " და ფირმა „. . ." საბინაო კომპლექსის ასაშენებლად იმ პირობით გადაეცათ ხანძრის შედეგად დამწვარი სახლები მიმდებარე ტერიტორიით, რომ საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფდნენ ამ სახლში მცხოვრებლებს. დასახელებული ბრძანების მე-3 პუნქტით, კოოპერატივ „. . .-ს", ფირმა „ . . .-ს" და ჩულურეთის რაიონის საკრებულოს ნება დაერთოდ დაზარალებული ოჯახების ბინებით დაკმაყოფილების მიზნით გაეცათ საგარანტიო ხელშეკრულებები და არსებული წესის მიხედვით ჩაებარებიათ მოქალაქეთა ბინები. 1991 წლის 20 აგვისტოს [1]დაიდო საგარანტიო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კო-

ოპერატივმა და ფირმამ იკისრეს ვალდებულება, რომ მოსარჩელე გ. ო-ს მისცემდნენ ხუთოთახიან ბინას, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ჩაებარებინა მასზე რიცხული ოროთახიანი ბინა, რომელშიც შესახლდებოდა ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქე ფ. დ-ი.

საგარანტიო ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისის პრეფექტის 1991 წლის 30 მაისის ბრძანების საფუძველზე. ხელშეკრულებას კოოპერატივ „. . -ს", ფირმა „. . ." წარმომადგენლებთან და გ. ო-ან ერთად ხელს აწერდა აგრეთვე ჩუღურეთის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე. მისი ტექსტი შეთანხმებული იყო, ასევე, ჩუღურეთის რაიონის საკრებულოსთან, რის დასტურადაც ხელშეკრულებას ხელს აწერდა საკრებულოს წარმომადგენელი.

საგარანტიო ხელშეკრულების თანახმად, გ. ო-მა იკისრა ვალდებულება ჩაებარებინა მასზე რიცხული ბინა, რომელშიც უნდა შესახლებულიყო ფ. დ-ი. აღნიშნულის სანაცვლოდ, სახლის ექსპლუატაციაში შესვლისთანავე, გ. ო-ის მიეცემოდა ხუთოთახიანი ბინა.

კასატორმა გ. ო-მა შეასრულა საგარანტიო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და ჩააბარა მასზე რიცხული ბინა. ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს გამგეობის განკარგულების საფუძველზე, ფ. დ-ნის სახელზე გაიცა ორდერი ბინაში შესასახლებლად და მან შემდგომ მოახდინა ბინის პრივატიზება. გ. ო-ის მიერ საცხოვრებელი ბინის ჩაბარებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მიეცა შესაძლებლობა, შეესრულებინა ხანძრის შედეგად განადგურებული სახლის მობინადრის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების, იმჟამად მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება.

საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ თბილისის ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს გამგეობამ 1991 წლის 17 სექტემბერს განიხილა კოოპერატივ „. . ." და ფირმა „. . . . " ხელმძღვანელობის მიმართვა საცხოვრებელი ბინების ჩამბარებელ მობინადრეებზე საგარანტიო ხელშეკრულების გაცემის და ჩაბარებულ ბინებში ხანძრის შედეგად დამწვარი საცხოვრებელი სახლიდან მობინადრეთა შესახლების შესახებ. ჩუღურეთის რაიონის საკრებულოს გამგეობის განკარგულებით მოსარჩელის ექვსსულიან ოჯახზე გაიცა ხუთოთახიანი ბინის მიღების საგარანტიო ხელშეკრლება, ხოლო მის მიერ ჩაბარებულ ბინაში შესახლებულ იქნა მოქ. ფ. დ-ის სამსულიანი ოჯახი.

საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ გა-

რანტიის გაცემისა და გ. ო-ის მიერ ბინის ჩაბარების დროისათვის მოქმედი საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი არ ითვალისწინებდა ბინიდან მოქალაქეთა გამოსახლებას სხვა ბინის მიუცემლად, გარდა კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებისა, რასაც მოცემულ საქმეზე ადგილი არ ჰქონია.

დადგენილი იყო, რომ 1991 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულების გარანტი კოოპერატივი „. . .“ და ფირმა „ . . . “ სარჩელის სასამართლოში განხილვისას არ ფუნქციონირებდნენ და უფლებამონაცვლე არ გააჩნდათ. გარანტიის გაცემის მომენტისათვის მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად, გარანტიად მიიჩნეოდა კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის ნაწილის შეუსრულებლობის ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის მოვალე ორგანიზაციის ზემდგომი ორგანო პასუხს აგებდა მისი კრედიტორის ორგანიზაციის წინაშე. იმის გათვალისწინებით, რომ გარანტია გაიცა 1991 წლის 30 მაისის ბრძანების საფუძველზე, ხოლო „საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ“ კანონის თანახმად, თბილისის მმართველობის ორგანოს წარმოადგენდა მერია, ხოლო გამგეობა მისი ტერიტორიული ორგანოდ გვევლინებოდა, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა ქვედა ინსტანციების სასამართლოების მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ო-ის მიერ ჩაბარებული ბინის . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში ქ. თბილისის მერიას უნდა აენაზღაურებინა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერია ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა გ. ო-ის მოთხოვნა 1991 წლის 20 აგვისტოს ხელშეკრულებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ბინის სანაცვლოდ სხვა ბინის გამოყოფის თაობაზე, რადგან საგარანტიო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბინა არ აშენებულა და შესაბამისად, არც გ. ო-ი დაკმაყოფილებულა საცხოვრებელი სადგომით. დადგენილი იყო, რომ გ. ო-მა ბინა ჩააბარა ადგილობრივ მმართველობას და არა კოოპერატივ „. . .“ ან ფირმა „. . .“, რის გამოც ჩაბარებული ბინის სანაცვლოდ ბინა უნდა მიეღო ქ. თბილისის მერიისაგან და არა კოოპერატივ „. . . “ ან ფირმა „. . .-გან“.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის არგუმენტი მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, ვინაიდან საგარანტიო ხელშეკრულებაში ვალდებულების შესრულების დროდ მითითებული იყო სახლის ექსპლუატაციაში შესვლის მომენტი. სახლი არ აშენებუ-

ლა და არც ექსპლუატაციაში შესულა. ვალდებულების შესრულების რაიმე სხვა ვადაზე ხელშეკრულებაში დათქმა არ არსებობდა. გ. ო-ის 2004 წლის ნოემბრის ადმინისტრაციული საჩივრის პასუხად, ადმინისტრაციული ორგანოს, ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, მას უარი ეთქვა ჩაბარებული ბინის სანაცვლოდ სხვა ბინის გამოყოფაზე, ხოლო სარჩელი სასამართლოში შეტანილ იქნა 2005 წლის 23 თებერვალს.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ზეპირი ფორმით ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, არ წარმოადგენს მის საფუძველზე ნაგებობის დანგრევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მერიისათვის დაკისრების საფუძველს. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, როდესაც პირი შეიტყობდა ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის თაობაზე. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ მოპასუხემ ვალდებულების შესრულებაზე უარი 2005 წლის 26 იანვარს განაცხადა. საგარანტიო ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადა არ იყო განსაზღვრული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება. იგივე იყოდადგენილი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 169-ე მუხლითაც. საგარანტიო ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ გ. ო-ს უნდა გადასცემოდა ბინა სახლის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ამიტომაც, ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო საცხოვრებელი სახლის აშენებასა და ექსპლუატაციაში შესვლაზე, მაგრამ ბინა არ აშენებულა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ უსაფუძვლო იყო ქ. თბილისის მერიის მოსაზრება მოსარჩელის მიერ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გადაცდენის შესახებ.

12. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს ეკისრება შიდა სარგებლობის სატრანსპორტო გზის გაუმართავი მდგომარეობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის №ბს -860-822(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. ლ-იამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საკუთარი ავტომობილით მოძრაობდა თბილისი – მცხეთის მიმართულებით, რა დროსაც დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე, სავალი გზის საფარის დაზიანების, განათების და გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობის გამო, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა. მას მიადგა . . . ლარის ოდენობის ზიანი, საიდანაც უშუალოდ ავტომობილის დაზიანებასთან დკავშირებული ხარჯები . . . ლარს შეადგენდა.

მოსარჩელემ მიმართა ქ. თბილისის მერს, რათა კეთილმოწყობის სამსახურს მისთვის აენაზღაურებინა მიყენებული ზიანი, მაგრამ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა, ვალდებულების თავიდან აცილების მიზნით, განცხადება გადაუგზავნა ვაკე-საბურთალოს გამგეობას იმ მოტივით, რომ საქალაქო სამსახური აწარმოებდა გზების კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო სავალი ნაწილის ორმოების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს ახორციელებდნენ ქალაქის შესაბამისი რაიონული სამსახურები. ამავე სამსახურის უფროსმა წერილობით პასუხში აღნიშნა, რომ საკითხის გადაწყვეტა სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა. აღნიშნულის გამო, მოსარჩელემ არაერთხელ მიმართა ქ. თბილისის მერიას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო, თუ ვის კომპეტენციას განეკუთვნებოდა ასეთის შესრულება.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხის ბრალეული ქმედებით, კერძოდ, " ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის შესახებ დებულების" მე-3 მუხლის „დ"

ქვეპუნქტის თანახმად, მოპასუხის კომპეტენციას მიეკუთვნებოდა ქალაქის განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ამის გარდა, მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენდა დაზიანებული საავტომობილო გზის მოვლა-პატრონობა. მოსარჩელის აზრით, არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მომხდარ შემთხვევასა და მოპასუხის ქმედებას შორის, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვა ზიანის ანაზღაურების დაკისრება ქ. თბილისის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისათვის.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ა. ლ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ . . . . ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს თბილისი – მცხეთის მიმართულებით მოძრაობისას, დავიტ აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე დაუზიანდა კუთვნილი ავტომანქანა. დაზიანების მიზეზი გახდა საავტომობილო გზის საფარის დაზიანება. საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მიერ მიყენებული ზარალის შეფასება . . . ლარად, ვინაიდან აღნიშნული დადასტურდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით, ხოლო მოპასუხის ისინი არ გაუბათილებია.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 10 ოქტომბრის №66 ბრძანებით დამტკიცებულ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების" 2.1. „გ", „დ" და „ვ" მუხლზე და განმარტა, რომ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს მიეკუთვნებოდა ქ. თბილისის გარე განათების უზრუნველყოფა, შიდა სარგებლობის გზების შეკეთება და ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, საგზაო ნიშნების მოწესრიგება. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მოპასუხის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა, რასაც შედეგად მოჰყვა მოქალაქისათვის ზიანის მიყენება. ამიტომაც, არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დადგენილი ზიანის

ანაზღაურების წინაპირობები, რაც გამოიხატა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაში, რომელიც ზიანის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენდა.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადგილობრივი ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას პასუხისმგებელი იყო თვით ადგილობრივი მმართველობის ორგანო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მოპასუხის უმოქმედობით მოსარჩელისათვის . . . ლარის ოდენობით ზიანის მიყენების ფაქტი. სასამართლომ დაუდასტურებლად მიიჩნია დასახელებული ავტომობილის დაზიანებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძველი გახდა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ლ-იას სარჩელი არ დაკმაყოფილდა

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი და განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი სახეზე იქნებოდა მაშინ, როდესაც საქმეზე დადგინდებოდა ზიანის ოდენობა, მისი გამომწვევი უშუალო მიზეზი, ასევე მოპასუხის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა დამდგარ ზიანთან მიმართებაში. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არ იყო დადგენილი მიზეზობრივი კავშირი გზის საფარის მდომარეობასა და მოსარჩელის ავტომობილის დაზიანებას შორის.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო სახელმწიფოს ან მისი მოსამსახურის მიერ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობის არსებობა დამდგარ ზიანთან მიმართებაში, რაც საქმეში არსებული მასალებით არ იყო დადასტურებული.

სააპელაციო პალატამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტად მიიჩნია ის გარემოება, რომ წინა წლების პერიოდში, საქართველოში

სატრანსპორტო გზების მდგომარეობა არ შეესაბამებოდა დადგენილ სტანდარტებს და წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა დაზიანებული გზების შეკეთება. სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ, მიუხედავად კანონმდებლობის ცხადი პოზიციისა, რომ სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის უნდა არსებულიყო განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა.

სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობდა სახელმწიფო როლის განმტკიცება, მისი ვალდებულებების რეალურად განხორციელება, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო გარდამავალი პერიოდისათვის, მიზანშეუწონელი იყო სახელმწიფოს დაკისრებოდა საავტომობილო გზების დაზიანების გამო, მოქალაქეებისათვის დამდგარი ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული საკითხის სახელმწიფოს საზიანოდ გადაწყვეტა აუცილებლად გამოიწვევდა წინამდებარე სახის დავების დიდი რაოდენობით გაზრდას, რაც მილიონობით ავტომანქანების მოძრაობის დროს სავსებით რეალური იყო და რაც სახელმწიფო ბიუჯეტს სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ლ-იამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან დასახელებულ, 1005-ე მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის, კერძოდ, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი:

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედების /განზრახვის ან გაუფრთხილებლობის არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობდა მოცემული დავის მიმართ დასახელებული სამართლის ნორმის გამოყენების ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობა.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-.9 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სახელმწიფო სახსრებიდან სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება ყველასათვის გარანტირებულია.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები რეგლამენტირებულია სპეციალური კანონმდებლობით, კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", „საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის შესახებ" კანონებით, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრა მმართველობის ორგანოების ტერიტორიული იურისდიქციის შესაბამისი კომპეტენცია მმართველობის სფეროში, რომელიც რეალიზებულ უნდა იქნას, როგორც მოქალაქეთა განცხადებების, ასევე, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრული იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით.

პალატამ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის 2005 წლის 10 ოქტომბრის №66 ბრძანებით დამტკიცებული თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დებულების 1-ლი პუნქტის „გ", „დ" და „ვ" ქვეპუნქტების მიხედვით, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს მიეკუთვნებოდა თბილისის გარე განათების უზრუნველყოფა, შიდა სარგებლობის გზების შეკეთება და ექსპლუატაციის უზრუნველყოფა, საგზაო

ნიშნების მოწესრიგება. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს ობიექტურად და სრულყოფილად უნდა გამოეკვლია იყო თუ არა საგზაო შემთხვევის ადგილზე მოპასუხის მიერ მითითებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება უზრუნველყოფილი.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშეც. ამიტომაც, საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა შეეფასებინა, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ვალდებულება ჯეროვნად იქნა თუ არა შესრულებული, შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, იყო თუ არა მიღებული პრევენციული ზომები (გამაფრთხილებელი ნიშნები), რათა თავიდან აცილებული ყოფილიყო საგზაო შემთხვევები.

საკასაციო სასამართლომ სრულად კანონშეუსაბამოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის განმარტება, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია სახელმწიფოს ან მისი მოსამსახურის მიერ ადგილი ჰქონდეს განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას და რომ აღნიშნული გამომდინარეობს სახელმწიფოს როლის გაზრდისა და სულ უფრო ყოვლისმომცველი ხასიათის დამკვიდრებიდან. ასევე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სახელმწიფოს ნებაზე პრიორიტეტულად აქციოს ინფრასტრუქტურის აღდგენა, რისთვისაც საავტომობილო გზების შეკეთებისათვის და ახალი გზების დასაგებად ასეულობით მილიონი ლარი არის გამოყოფილი, რომ სახელმწიფოს ცხოვრების ამ ეტაპზე, როდესაც მიმდინარეობს სახელმწიფოს როლის განმტკიცება, მისი ვალდებულების რეალურად განხორციელება, მიზანშეუწონელია სახელმწიფოს დაეკისროს გზების დაზიანების გამო მოქალაქეთათვის ზიანის ანაზღაურება და რომ ამ საკითხს სახელმწიფოს საზიანოდ გადაწყვეტა აუცილებლად გამოიწვევს მსგავსი დავების რაოდენობის გაზრდას, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს.

საკასაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოყვანილ მსჯელობას არაფერი აქვს საერთო ობიექტურ, მიუკერძოებელ და სამართლიან მართლმსაჯულებასთან, რაც საქართველოს მოქალაქეთათვის გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ზემომითითებული მსჯელობა ადასტურებდა სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტას არა საქმის ფაქტობრივი მასალების ობიექტური შეფასების საფუძველზე, არამედ მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, რაც სრულ წინააღმდეგობაში იყო მართლმსაჯულების პრინციპებთან.

საკასაციო საამართლომ მიუთითა, რომ სასამართლო აქტებში სახელმწიფო პრიორიტეტების, საბიუჯეტო ასიგნებების, სახელმწიფოს საზიანოდ დავების გაზრდის პრევენცია და ბიუჯეტის სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენის პერსპექტივაზე დეკლარირებული სახის მსჯელობა გამორიცხავს სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელ და ობიექტური არბიტრის როლის, როგორც სასამართლო ხელისუფლების კონსტიტუციური ფუნქციის – სასამართლო კონტროლის სრულფასოვან განხორციელებას აღმასრულებელი ხელისუფლების და თვითმმართველობის ორგანოების გადაწყეტილებებზე, მოქმედებებზე და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები.

14. მერიას არ ეკისრება პასუხისმგებლობა ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში მყოფი ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის
23 სექტემბრის № ბს-205-172-კ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ჯ. ბ-მა სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: ქ. რუსთავის მერიისა და შპს „კ. . .-ის“ მიმართ და აღნიშნა, რომ მისი შვილი მ. შ-ძე, რომელსაც იმ დღეს 7 წელი შეუსრულდა, ნათესავებთან ერთად წავიდა კულტურისა და დას-

ვენების პარკში. ტბისაკენ ბილიკზე მიმავალს, მას თავს დაესხა გიურზა და დაგესლა. ბავშვი სასწრაფოდ მოათავსეს რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც მას დროულად გაუკეთეს „ანტიგიურზინის" შრატი. ვინაიდან ბავშვი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, პირვანდელი დეზინტოკსიკაციური მკურნალობის შემდეგ იგი მეორე დღეს თბილისის ბავშთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გაუკეთდა წვივისა და ტერფის მიდამოების დასერვა კასტიალური გარსების გახსნით. საავადმყოფოდან გამოსვლისას ექიმები ამშვიდებდნენ, რომ ბავშვი დაძლევდა შიშს, მაგრამ არაფერი უთქვამთ იმ ურთულეს შედეგებზე, რომელიც თან ახლავს გიურზას ნაკბენს. ბავშვი კვლავ აღრიცხვაზეა და მკურნალობდა მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიულ კვლევით ინსტიტუტში. მიუხედავად ამისა, მას აღენიშნება სერიოზული დარღვევები და საჭიროებს სრულად გამოკვლევას, ხოლო საბოლოო განკურნების მიზნით – საზღვარგარეთ მკურნალობას.

ქ. რუსთავის მერიამ გარკვეული თანხა გადაიხადა ბავშვის ოპერაციისა და საავადმყოფოში მოთავსებისათვის, მაგრამ იგი უმნიშვნელო აღმოჩნდა ოჯახის მიერ გაწეულ ხარჯებთან შედარებით. ამასთანავე, საბოლოო შედეგი მაინც ვერ იქნა მიღწეული – ბავშვი ვერ განიკურნა.

ეკონომიური გაჭირვების გამო მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქ. რუსთავის მერიას და ითხოვა ბავშვის მკურნალობის ხარჯები, მაგრამ განცხადებას ფინანსური დახმარება არ მოჰყოლია. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო მოსამსახურეების მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობამ მის ოჯახს მორალური და მატერიალური ზარალი მიაყენა. სახელმწიფო მოსამსახურეებს რომ ჯეროვნად შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა, ქვეწარმავალი ვერ მოხვდებოდა ხალხმრავალ ადგილას.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე, 1005-ე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის მის სასარგებლოდ, მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის საკომპენსაციოდ . . . აშშ დოლარის დაკისრება, მოპასუხეების სახსრებით სამედიცინო გამოკვლევისა და მკურნალობის

ჩატარების მიზნით მათი საზღვარგარეთ გაგზავნა.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, ჯ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: ქ. რუსთავის მერიას, ასევე კულტურისა და დასვენების პარკს სოლიდარულად დაეკისრა . . . ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ქ. რუსთავის მერიამ ზოოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებთან დადო ხელშეკრულება, რათა ამ უკანასკნელთ მოეხდინათ ქ. რუსთავის ტერიტორიის, ქუჩებისა და სახლების, აგრეთვე სხვა სახის ობიექტების სათანადო შესწავლა და დამუშავება. სპეციალისტების მიერ შედგენილი დოკუმენტით დასტურდებოდა, რომ მათ ჯერ კიდევ 1997 წელს შედგენილ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ განსაკუთრებულ ყურადღებასა და საორგანიზაციო სამუშაოს ჩატარებას მოითხოვდა ქ. რუსთავის ტერიტორიაზე შხამიანი გველის – გიურზას არსებობა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ადვილად შესაძლებელი იყო მათი გამრავლება, რაც მოსახლეობისათვის მომეტებულ საშიშროებას წარმოადგენდა.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ქ. რუსთავის მერიის მიერ საავადმყოფო მომარაგებულ იქნა „ანტიგიურზინით“, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ ხელისუფლებას გაცნობიერებული ჰქონდა მოსალოდნელი საშიშროება. ქვეწარმავლებთან მებრძოლი ჯგუფის წევრების მიერ შედგენილ ანგარიშზე დაყრდნობით სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ შემთხვევის დროს პარკი მოუთიბავი იყო, ხოლო ამავე ანგარიშის თანახმად, მცენარეული საფარი გარკვეული დროის განმავლობაში საუკეთესო თავშესაფარს წარმოადგენდა ქვეწარმავლებისათვის. მათმა გარკვეულმა ნაწილმა მიგრაცია განიცადა დასახლებული ადგილისაკენ. საკვები ბაზის, კერძოდ, მწერების, ბაყაყების, თაგვისებრი მღრღნელების არსებობა და სიუხვე, ქალაქის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებული ანტისანიტარიული მდგომარეობა, გარეუბნებში დაგროვილი საყოფაცხოვრე-

ბო და სამშენებლო ნაგავი, საუკეთესო თავშესაფარს წარმოადგენდა ქვეწარმავლებისათვის.

სააპელაციო პალატამ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე, მე-7 მუხლებზე მითითებით მიიჩნია, რომ ქ. რუსთავის მერია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო, ვალდებული იყო განეხორციელებინა განსაკუთრებული ღონისძიებები, რათა ქალაქის ტერიტორიაზე მოესპო ქვეწარმავალთა თავშესაფარი ადგილები, აღეკვეთა ქალაქის ტერიტორიაზე მათი შეჭრის შესაძლებლობა და მთელ ქალაქში შეექმნა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემო. ასეთი ღონისძიებების განუხორციელებლობას შედეგად მოჰყვა პარკში მცირეწლოვანი მ. შ-ძის შხამიანი ქვეწარმავლის მიერ დაგესვლა, რამაც გამოიწვია ბავშვის უმძიმესი განცდები, ტანჯვა და სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება, კვალიფიციური სამედიცინო მკურნალობის მიუხედავად, შემდგომი ცვლილებები ფსიქიკაში, კერძოდ, ნევროზული მდგომარეობა და ფობიურ-შფოთვითი აშლილობა.

პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ შექმნილ ვითარებაში სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების მხრიდან არ იქნა გატარებული ყველა საჭირო ღონისძიება, რომელთა უხეშმა გაუფრთხილებლობამ განაპირობა დამდგარი შედეგი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 413-ე, მუხლების საფუძველზე, გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდის მოვალეობა დააკისრა.

4. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ქ. რუსთავის მერიის და შპს „კ. . . -ის" მიერ. კასატორები აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ქ. რუსთავში სრული თვითმმართველობაა, ხოლო შპს „კ. . .-ი" არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლში საუბარია სახელმწიფო მოსამსახურის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე, ხოლო საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 4.2 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობა-

შია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე. დაუდასტურებელი იყო, თუ რაში გამოიხატება მოპასუხის უხეში გაუფრთხილებლობა და ბრალეული ქმედება. საქმეში არსებული მასალების მიხედვით ქალაქი მობილიზებული იყო უბედური შემთხვევის ასაცილებლად, რის გამოც მერია იწვევდა ჰერეპეტოლოგებს. ქალაქში მხოლოდ მიგრაციის შედეგად იყო შესაძლებელი ქვეწარმავლის გამოჩენა, ამიტომაც სათანადო სამსახურში ყოველთვის არსებობდა „ანტიგიურზინი". მერია ყოველ გაზაფხულზე აფორმებდა ხელშეკრულებას სამ ჰერპეტოლოგთან, რომლებიც ემსახურებოდნენ ქალაქს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებმა მოითხოვეს სააპელაციო პალატის 2003 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, სახელმწიფო ორგანოში იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 23-ე მუხლის თანახმად, მერია ვალდებული იყო გაეტარებინა ღონისძიებები გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქმეზე დადგენილად იყო ცნობილი, რომ ქ. რუსთავი და მისი შემოგარენი მდებარეობს ქვეწარმავლების ინტენსიური დასახლების ადგილას. ყოველ გაზაფხულზე ქ. რუსთავის მერია იწვევდა სპეციალისტებს – ჰერპეტოლოგებს, რომლებთანაც აფორმებდა სათანადო ხელშეკრულებებს ქ. რუსთავის ტერიტორიის, ქუჩებისა და სახლების, აგრეთვე სხვა

სახის ობიექტების ქვეწარმავლებისაგან დაცვისათვის სათანადო შესწავლა-დამუშავების თაობაზე. ქ. რუსთავის მერიის სოციალური პროგრამების ბიუროს მიერ 1999 წლის აპრილში დაიდო ხელშეკრულებები მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებთან, რათა ამ უკანაკნელთ განეხორციელებინათ ქალაქის ტერიტორიის, ქუჩებისა და სახლების, აგრეთვე სხვა სახის ობიექტების სათანადო შესწავლა-დამუშავება. პარკის დირექტორსა და მოქ. ჯ. თ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულებით, ეს უკანასკნელი იღებდა ვალდებულებას გაზაფხულზე, პარკის ტერიტორიაზე, ჩაეტარებინა სათიბი სამუშაოები. ქვეწარმავლის მიერ მ. შ-ძის დაგესვლის წინა დღეებში ქ. რუსთავის მერიამ ქალაქის საავადმყოფო მოამარაგა „ანტიგიურზინის" შრატით. ქ. რუსთავის მერიამ მ. შ-ძეს უყიდა პრეპარატი „ანტიგიურზინი", აანაზღაურა პაციენტისათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება. საქმეში არსებულ ქალაქის საავადმყოფოს მთავარი ექიმის ჩვენებით დასტურდებოდა რომ დაზარელებულს გაეწია კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, პაციენტს არ დაჰკლებია სამედიცინო საშუალებები.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გათვალისწინებული ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს შექმნაზე ზრუნვას ადასტურებს გაწეული მუშაობის შესახებ ჰერპეტოლოგების ანგარიში. ჰერპეტოლოგ ვ. ფ-ის ჩვენებით დასტურდებოდა, რომ ქალაქში ტარდებოდა სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებები, პარკის ტერიტორიაზე გიურზას პოპულაცია არ არის, გველი, რომელმაც ბავშვი დაგესლა, მიგრაციის შედეგად შემთხვევით აღმოჩნდა პარკის ტერიტორიაზე, მომხდარი შემთხვევა არც მერიის და არც პარკის ადმინისტრაციის ბრალით არ იყო გამოწვეული. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ მ. შ-ძეს აღენიშნებოდა პოსტტრავმული ნევროზი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაუსაბუთებელად მიიჩნია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხე – სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების უხეშმა გაუფრთხილებლობამ განაპირობა დამდგარი შედეგი, მით უფრო, რომ კულტურისა და დასვენების პარკი არის არა სახელმწიფო დაწესებულება, არამედ კერძო სტრუქტურა – შპს, ქ. რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის – მთავრობის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. ამიტომაც სარჩელის დაკ-

მაყოფილების საფუძვლად არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. მ. შ-ძისათვის მიყენებული არაქონებრივი ზიანის, პოსტტრავმული ნევროზისათვის ფულადი ანაზღაურების საფუძველს ასევე არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალქო კოდექსის 413-ე მუხლი, რადანაც აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ბრალის გარეშე.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეებს – ქ. რუსთავის მერიას და შპს „კ. . .-ის" ადმინისტრაციას არ შეეძლო თავიდან აეცილებინა ზიანი, ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, რომლის დადგომაშიც მოპასუხეებს ბრალი არ მიუძღვით. სახელმწიფო, რომელიც „ცხოველთა სამყაროს შესახებ" კანონის მე-6 მუხლის თანახმად, წარმოადგენს გარეული ცხოველების მესაკუთრეს, არ აგებს პასუხს იმ ზიანისათვის, რომელიც დგება ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში მყოფი ცხოველების მიერ.

ამ შემთხვევაში სახელმწიფო არ ახორციელებს განსაზღვრული ობიექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, შესაბამისად, გამორიცხულია მისი პასუხისმგებლობა აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლის, „ცხოველების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება", საფუძველზე.

აღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ქ. რუსთავის მერია პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას თანხმობას გამოთქვამდა მკურნალობის გასაგრძელებლად შეძლებისდაგვარად გაეწია დახმარება ბავშვისა და მისი ოჯახისათვის, საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას კასატორების წარმომადგენლებმა, თანხმობა განაცხადეს ბავშვის მკურნალობისათვის . . . ლარის გადახდაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო იყო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატამ შესაძლებლად მიიჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღება, ჯ. ბ-ის სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შედეგად ქ. რუსთავის მერიისათვის და შპს „კ. . .- სათვის" ჯ. ბ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად . . . ლარის გადახდის დაკისრება.

თავი III. სისხლის სამართლის საქმის წარმოებიდან გამომდინარე სარჩელები

1. ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განხილვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადასინჯოს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული, კანონიერ ძალაში შესული, საპროცესო აქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის
28 იანვრის №ბს-674-261(კ-05) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. დ-იმ სარჩელი აღზრა აჭარის ა. რ. უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება . . . ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მან არაერთგზის მიმართა ქ. ბათუმის პროკურატურას მისი და მისი ოჯახის წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით. მიუხედავად აღნიშნულისა, ქ. ბათუმის პროკურატურამ არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, რის გამოც დაუსჯელნი დარჩნენ დამნაშავეები, რომლებიც აგრძელებენ მის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებას და დევნიან მას.

აჭარის ა. რ. უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2004 წლის 21 ივლისის განჩინებით, ვ. დ-ის უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ სარჩელი სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინებით, ვ. დ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმე დაბრუნდა არსებითი განხილვისათვის. საკასაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო მოხელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის წარმოებაში მიღების დროს სასამართლოს უნდა გამოერკვია, ამ მუხლების საფუძველზე ხომ არ ითხოვდა მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურებას.

2. აჭარის ა. რ. უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მისი მოხელის მიერ მიყენებული ზიანისთვის პასუხს აგებს, როცა ზიანი გამოწვეულია მუშაკის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში პროკურატურის მხრიდან მოსარჩელისა და მისი ოჯახის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული რაიმე განზრახი ან უხეში მოქმედებები, რაც დაარღვევდა ვ. დ-ოის და მისი ოჯახის კანონიერ ინტერესებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ. დ-იმ.

3. საკასაციო პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. დ. ქ. ბათუმის რაიონულ პროკურატურას მიმართავდა ერთმანეთის მსგავსი განცხადება-საჩივრებით. ქ. ბათუმის პროკურატურის მიერ წერილობით იქნა მათზე პასუხი გაცემული და ასევე გამოტანილ იქნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. დადგენილება უკანონოდ ცნობილი არ ყოფილა და უცვლელად დარჩა აჭარის ა.რ. უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ვერ იქონიებს მსჯელობას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების მართებულობაზე. სისხლის სამართლის აღძვრაზე უარის თქმით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის სასამართლო განხილვის შედეგად კანონიერ ძალაში შესული პროცესუალური აქტის გადასინჯვა ფაქტობრივად ნიშნავს კანონიერ ძალაში შესული პროცესუალური აქტის კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმების კიდევ ერთი, პროცესუალური კანონმდებლობით

გაუთვალისწინებელი პროცედურის დაშვებას, სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების პროცესუალური აქტების გადასინჯვის დადგენილი პროცედურის შეცვლას დელიქტური სარჩელის წარდგენის გზით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დელიქტური პასუხისმგებლობის დადგენისათვის საგამოძიებო ორგანოების თანამდებობის პირთა მოქმედებების კანონსაწინააღმდეგო ხასიათი უნდა დასტურდებოდეს სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. განსახილველ შემთხვევაში კასატორი ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მას სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შედეგად მიადგა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ქ. ბათუმის რაიონული პროკურატურის თანამშრომლების ბრალი არ დასტურდებოდა, ასევე არ დგინდებოდა კასატორის მიერ მითითებულ პირთა ბრალეული ქმედება. ქ. ბათუმის პროკურატურის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ უკანონოდ ცნობილი არ ყოფილა. ამიტომაც, არ არსებობდა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

2. შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი განყოფილების უფროსს მხოლოდ მაშინ ეკისრებათ დანაშაულის დროულად გამოუძიებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ ეს გარემოება მის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
22 ნოემბრის №ბს-198-187(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. გ-მა მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქა-

რთველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილების ყოფილი უფროსის – ვ. ჯ-ის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოპასუხეებისათვის სოლიდარულად მატერიალური ზიანის – . . . ლარისა და მორალური ზიანის – . . . ლარის, სულ – . . . ლარის დაკისრება.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

1992-1993 წლის ზამთარში ონის რაიონის სოფელ მთისკალთაში დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი და გაიტაცეს სოლიდური ფასეულობის მქონე ოთხი ძველებური ხალიჩა. აღნიშნული ფაქტის შესახებ მოსარჩელემ შეატყობინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ონის პოლიციის უფროსს ვ. ჯ-ძეს, რომელმაც არ მიიღო დანაშაულის გახსნის მიზნით კანონით გათვალისწინებული ზომები და მიჩქმალა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ქურდობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ 1996 წლის 22 მაისს აღიძრა, რის გამოც ვერ მოხერხდა დამნაშავეების გამოვლენა და დაზარალებულისათვის მისი ნივთების დაბრუნება ან ზიანის ანაზღაურება. ვ. ჯ-ძის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე ქუთაისის პროკურატურის დადგენილებაში მიეთითა, რომ ვ. ჯ-ძემ სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა და დამნაშავეთა დროულად გამოსავლენად განზრახ არ აღძრა საქმე.

სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად მ. გ-მა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის შემთხვევაში მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული

ზიანისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. სახელმწიფომ ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ ფორმით, წესითა და მოცულობით, რაც სამოქალაქო კოდექსით არის განსაზღვრული. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობები – დადასტურებულია ზიანის არსებობა, იგი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო და ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედებით. ამასთან, აუცილებელია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო მოსამსახურის ქმედებასა და დამდგარ შედეგს – მოსარჩელისათვის მატერიალური ზიანის მიყენებას შორის.

მოსარჩელეს მატერიალური ზიანი მიადგა ქურდობით – უცხო, მესამე პირების ქმედებით – ხალიჩების მოპარვით და არა სახელმწიფო მოსამსახურის უმოქმედობით – საგამოძიებო მოქმედების დროულად ჩაუტარებლობით. ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ის გარემოება, რომ ზიანი უნდა წარმოადგენდეს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. თუ მოპასუხის უშუალო მოქმედებით არ არის ზიანი გამოწვეული, გამორიცხულია მისი პასუხისმგებლობა. სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო მოხელის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასთან. მოპასუხე ვ. ჯ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ აღძრულა, ხოლო პირის ბრალეულობა დგინდება მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სახელმწიფოს მიერ ასანაზღაურებელი ზიანი მიყენებული უნდა იყოს უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანოს სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას. საქმის მასალებით არ დგინდებოდა, რომ მოსარჩელეს კონკრეტული მატერიალური ზიანი მიადგა პოლიციის უფროსის ქმედებით, მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებასა და ზიანს შორის არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი, რომელიც პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი პირობაა.

მორალური ზიანის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნის თაობაზე სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით

ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა და საქმის მასალებითაც ვერ დგინდებოდა, თუ რაში გამოიხატა მოსარჩელისათვის მიყენებული, მის მიერ . . ლარად შეფასებული მორალური ზიანი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ იყო მოპასუხეების დანაშაული, რომელიც კანონიერ ძალაში შესული განაჩენით იქნებოდა დადასტურებული და მოპასუხე არ იყო აღიარებული დამნაშავედ, ვერ იქნებოდა გამოყენებული აღნიშნული მუხლი და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 38-ე მუხლების შესაბამისად, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, საქმის განხილვასთან დაკავშირებული სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს უნდა დაკისრებოდა.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

საქმეში წარმოდგენილ დადგენილებაში მითითებული იყო, რომ ონის რაიონის შს რაიგანყოფილების უფროსმა ვ. ჯ-ძემ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 191-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ, რადგან გასული იყო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა, შეწყდა სისხლის სამართლის საქმე. ამ საქმესთან დაკავშირებით, მ. გ. ცნობილი იქნა დაზარალებულად. შესაბამისად,

მას, როგორც დაზარალებულს, უფლება ჰქონდა მოეთხოვა მოპასუხის დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურება.

აპელანტის აზრით, მცდარი იყო სასამართლოს მითითება იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ვ. ჯ-ძის მიმართ არ აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისად, არ დგინდებოდა მისი ბრალეულობა, აღნიშნული შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის შემთხვევაში. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა ხანდაზმულობის გამო, ადასტურებდა არა პირის უდანაშაულობას, არამედ მისი სასჯელისაგან გათავისუფლებას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ვადის გასვლის გამო.

გარდა ამისა, აპელანტი არ დაეთანხმა სასამართლოს გადაწყვეტილებას მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში. მან მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პირს, რომელსაც არ წარუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება აქვს წარადგინოს იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. მ. გ. ცნობილ იქნა დაზარალებულად ვ. ჯ-ძის დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით და სარჩელი წარადგინა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე სახელმწიფო ბაჟით არ იბეგრება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, მ. გ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და მ. გ. გათავისუფლდა მისი გადახდის მოვალეობისაგან, დანარჩენ ნაწილში კი გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1991-1992 წლების ზამთარში ონის რაიონის სოფელ მთისკალთაში დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს მოქალაქე მ. გ-ის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც ფარულად გაიტაცეს ოთხი ხალიჩა, ნაბადი და სხვა საოჯახო ნივთები. დადგენილად იქნა მიჩნეული ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, არ

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ვ. ჯ-ძის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სსაქართველოს ამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე კოდექსის 992-ე მუხლით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც პირმა მიაყენა სხვა პირს თავისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, ანუ არსებობდეს კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, ზიანის ანაზღაურების მოვალეობის წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ბრალეული ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიცია და მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა მოპასუხის ბრალეული ქმედება, რამაც მოცემულ შემთხვევაში ზიანი გამოიწვია.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მორალურ ზიანთან დაკავშირებით და აპელანტის აღნიშნული მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, დაუსაბუთებლად მიიჩნია.

აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრების ნაწილში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. გ. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გათავისუფლებულიყო და აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში მითითებული გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

6. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მ. გ-ის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 1991-1992 წლების ზამთარში, ონის რაიონის სოფელ მთისკალთაში საცხოვრებელი სახლიდან ფარულად გაიტაცეს ოთხი ძველებური ხალიჩა, ნაბადი და სხვა საოჯახო ნივთები, რაც შს რაიგანყოფილებას ეცნობა 1992 წლის აპრილში. სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილებით გამოვლინდა, რომ ვ. ჯ-ძემ, რომელიც ამ დროს ონის შს რაიონული განყოფილების უფროსად მუშაობდა, სახელმწიფო აღრიცხვაზე არ დააყენა მომხდარი დანაშაული, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და არ აწარმოა დანაშაულის გახსნის მიზნით სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებები. სისხლის სამართლის საქმე აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა მხოლოდ 1996 წლის 22 მაისს.

პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვდა დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – . . . აშშ დოლარისა და მორალური ზიანის – . . .აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებას.

მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტია თანამდებობის პირის

მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზშედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა, კერძოდ, დამდგარი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა. სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ დადგენილებით გამოვლინდა, რომ ვ. ჯ-ძის მიერ დროულად არ იქნა უზრუნველყოფილი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რითაც დაირღვა კასატორის უფლება ეფექტურ გამოძიებაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებისა, საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება არ იძლეოდა იმგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას აუცილებლად მოჰყვებოდა დანაშაულის გახსნა. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ თავად შს რაიგანყოფილების ინფორმირება დანაშაულის ფაქტის თაობაზე მ. გ-მა შეძლო არა დაუყოვნებლივ, არამედ დანაშაულის ჩადენიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ. ამასთან, კიდეც რომ მომხდარიყო სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრა, თავის მხრივ, ასევე საალბათოა, გაიხსნებოდა თუ არა რეალურად დანაშაული. მეტიც, დანაშაულის გახსნის შემთხვევაშიც კი ალბათობის შემცველი იყო, მოხდებოდა თუ არა დამნაშავისაგან გატაცებული ნივთების უკან დაბრუნება ან აღნიშნული ნივთების ღირებულების ეკვივალენტური თანხის ამოღება. შესაბამისად, არ არსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კასატორის მიერ ნივთების დაკარგვით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და სისხლის სამართლის საქმის დროულად არაღძვრას შორის. ამასთან, ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რადგანაც სავარაუდო კავშირი არ წარმოადგენს სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარის საფუძველს.

მიუხედავად იმისა, რომ კასატორის უფლება შეილახა სისხლის სამართლის საქმის არათავისდროული აღძვრით, იმავდროულად, საქმის გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ დგინდებოდა აღნიშნული უფლების დარღვევის შედეგად რეალურად განცდილი მატერიალური ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხ-

ლითა და 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ასეთი შემთხვევები კი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილსა და 413-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლებიც მოცემულ საქმის გარემოებებს არ მიესადაგება.

3. მალფუჭებადი პროდუქტის გაფუჭებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრება საგამოძიებო ორგანოს, რომელმაც ნივთიერი მტკიცებულების სახით იგი ამოიღო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის
23 ივლისის ბს-409-394(კ-09) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ინდ. მეწარმე ბ. ს-ძემ სარჩელი აღძრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ იგი არის ინდივიდუალური მეწარმე. ქ. გურჯაანში უცნობი პირისაგან შეიძინა თევზეული, მან გამყიდველს გადასცა მისამართი, რათა შესაბამისად დოკუმენტაცია მიეტანა მისთვის. პროდუქტის თბილისში გადმოტანისას დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა და ვინაიდან არ ჰქონდა თევზის შეძენის სათანადო დოკუმენტაცია, მასალები გადასცეს საფინანსო პოლიციის კახეთის სამმართველოს, ჩამოართვეს ავტომანქანა და თევზი, რომელიც შეინახეს საგარეჯოში, მეწარმე მ. ქ-ძის მაცივარში, ხოლო ავტომანქანა გადაიყვანეს საჯარიმოზე.

მოსარჩელემ თევზის უსაბუთოდ შეძენა-ტრანსპორტირებისათვის თბილისის საგადასახადო ისნპექციიდან მიიღო საგადასახადო მოთხოვნა, რომლის შესაბამისად დაეკისრა ჯარიმა. მიუხედავად აღნიშნულისა, მისთვის თევზი არ დაუბრუნებიათ, იგი, როგორც მალფუჭებადი პროდუქტი, უვარგისი გახდა, ასევე უკანონოდ ჰყავდათ გადაყვანილი საჯარიმოზე მის მიერ დაქირავებული ავტომანქანაც, რომლისთვისაც ყოველდღიურად იხდიდა ჯარიმას . . . ლარს, ხოლო მანქანის მეპატრონეს უხდიდა . . . ლარს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეებს დაკისრებოდათ თევზის გაფუჭებით მიყენებული ზარალის – . . . ლარის, ასევე, ავტომანქანის საჯარიმოზე უკანონოდ გადაყვანით გამოწვეული ხარჯებისა და მოსალოდნელი მისაღები შემოსავლისათვის ყოველდღიურად . . . ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებებით კორექტირება განიცადა მოპასუხეთა პროცესუალურმა სტატუსმა: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სამინისტროს შემოსავლების სამსახური და შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველო ამოირიცხნენ მოპასუხეთა სიიდან, ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მიჩნეულ იქნა მესამე პირად, ხოლო მოპასუხედ დარჩა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ი/მ ბ. ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ასანაზღაურებლად დაეკისრა . . . ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი პირობები, კერძოდ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში ბრალეული ქმედებით სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა სხვა პირის მიმართ, რაც გახდა ზიანის წარმოშობის მიზეზი.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ფინანსთა სამინ-

ისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომელთა მიერ ბ. ს-ძისათვის ტვირთის ჩამორთმევა და მისი დასაწყობება უკავშირდებოდა სახელმწიფო სამსახურში ყოფნის საფუძველზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას, ანუ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამასთან, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის უნდა არსებობდეს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო სახელმწიფო პასუხისმგებელია ბრალის ნებისმიერი ფორმით მიყენებული ზიანისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია ნივთიერი მტკიცებულება შეინახოს ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავს მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას. ამასთან, იმავე კოდექსის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმისწარმოების დამთავრებამდე გამოძიების ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს მალფუჭებად საგნებს, ხოლო 124-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ნივთიერი მტკიცებულებების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა არ უზრუნველყვეს ბ. ს-ძისათვის ჩამორთმეული თევზის ისეთ პირობებში შენახვა, რაც მისი თვისებების შეცვლას გამორიცხავდა, პროდუქტი მოათავსეს ისეთ პირობებში, რამაც მისი გაფუჭება გამოიწვია. ამიტომაც თანამშრომლებმა მოსარჩელის მიმართ დაარღვიეს სამსახურებრივი მოვალეობები, რასაც შესაბამება ამ უკანასკნელის უფლება – მოითხოვოს გაფუჭებული ნივთის საფასურის საკომპენსაციო თანხა. იგი ექსპერტის აქტით . . . ლარს შეადგენდა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად აუცილებელია არსებობდეს ორიდან ერთ-ერთი პირობა: 1) სახელმწიფოს/სახელმწიფო მოხელის განზრახვა, მიაყენოს მხარეს ზიანი და 2) სახელმწიფოს/სახელმწიფო მოხელის უხეში გაუფრთხილებლობა მის მიყენებაში. აპელანტის განამარტებით, საქალაქო სასამართლოს მიერ არ არის დასაბუთებული, თუ რომელი პირობით იქნა მოსარჩელისათვის ზიანი მიყენებული.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიიჩნევს პირის მართლსაწინააღმდეგო განზრახ ან გაუფრთხილებელ ქმედებას, რომლითაც ზიანი მიადგა მესამე პირს. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედება.მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ვერ ასაბუთებდა, თუ რაში გამოიხატებოდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მისი შედეგი, რომლითაც ზიანი მიადგა მოასარჩელეს, მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელდა განზახ თუ გაუფრთხილებელი ქმედებით, რაც მნიშვნელოვანი იყო ზიანის ხარისხის დადგენისა და შესაბამისად, კომპენსაციის განსაზღვრისათვის.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ დასკვნებს.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა. საკასაციო საჩივარში მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში მოყვანილი

გარემოებები.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ დაადასტურა სასამართლოს მხრიდან კონსტიტუციურ ნორმებზე დაყრდნობით დავის გადაწყვეტის მართებულობა და აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილში აღიარებულმა უფლებამ ასახვა პოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლში, რომლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, წარმოშობილი ზიანი, დაბოლოს, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომის სავალდებულო პირობას და გამოიხატება იმაში, რომ პირველი წარმოშობს მეორეს. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედების (უმოქმედობის) პირდაპირი და გარდაუვალი შედეგი.

მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა უდავოდ დადგენილად მიიჩნიეს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა არ უზრუნველყვეს ჩამორთმეული თევზის ისეთ პირობებში შენახვა, რაც გამორიცხავდა მისი თვისებების შეცვლას. ადმინის-

ტრაციული ორგანოს თანამშრომლებისათვის იმთავითვე იყო ცხადი ის შედეგი, რაც თევზის არასათანადო პირობებში შენახვას მოჰყვებოდა. მართალია, კასატორი სადავოდ ხდიდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას, მაგრამ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ვერ წარადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რის გამოც, საკასაციო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, არ გააჩნდა მათი ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი.

თავის მხრივ, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სარჩელის გადაწყვეტისას მართებულად იქნა გამოყენებული დელიქტური ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დადგარი ზიანი.

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ თევზი, როგორც ნივთმტკიცება, ამოიღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო ვალდებული იყო ნივთიერი მტკიცებულება შეენახა ისეთ პირობებში, რომელიც გამორიცხავდა მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას, ხოლო ამავე კოდექსის 124-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მისი მესაკუთრე ან მფლობელი იღებს ფულად კომპენსაციას.

საქმეზე დადგენილმა ფაქტობრივ გარემოებებმა საკასაციო სასამართლოს მისცა საფუძველი დასკვნისთვის, რომ ადმინისტაციული ორგანოს თანამშრომლების ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა სასამართლოს აძლევდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს.

4. ნივთიერი მტკიცებულების შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროცესის მწარმოებელ ორგანოს, ამიტომაც დაზარალებულისათვის მათი დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს ვალდებულებაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის
17 აპრილის №ბს-1152-1103(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. ქ-ვამ სარჩელი აღძრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახურის მიმართ და მიუთითა:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელმა გ. ტ-მა სამინისტროს რაიონული განყოფილების თანამშრომლებთან ერთად მოსარჩელის საცხოვრებელ სახლში ჩაატარა უკანონო ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოიღეს მოსარჩელის პირადი ნივთები. მას დაუბრუნეს ნივთების ნაწილი ოქროს ყელსაბამისა და კომპიუტერის გარდა, რომელთა ღირებულება შეადგენდა . . . აშშ დოლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მის სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის დასახელებული თანხის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებით არასათანადო მოპასუხეები – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახური შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოთი. გარდა ამისა, სასამართლოს განჩინებებით, მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ფი-

ნანსთა სამინისტრო ჩაებნენ.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს ე. ქ-ას სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

საქალაქო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ჩხრეკის ოქმის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლმა ე. ქ-ას მეუღლის ბინაში ჩაატარა ჩხრეკა, რა დროსაც საძინებელი ოთახიდან ამოღებულ იქნა 8 დასახელების ნივთი. ჩხრეკის ოქმით დასტურდებოდა, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთები დაილუქა და ჩაბარდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საგამოძიებო სამსახურს.

ნივთების საგამოძიებო სამსახურის კანცელარიაში მოთავსების ფაქტს ადასტურებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის წერილი. აღნიშნულის გარდა, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ყოფილი გამომძიებლები – ი. ჩ. და გ. ტ. ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), იმავე კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სხვისი ნივთის დაზიანება) და 368-ე მუხლით (მტკიცებულების განადგურება) გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღნიშნული განაჩენით დადგენილი იყო, რომ ხანძრის შედეგად, რომელიც გამოწვეული იყო გამომძიებლების – განსასჯელების ბრალეული ქმედებით, სხვა ქონებასთან ერთად მთლიანად განადგურდა (დაიწვა) მოსარჩელის ბინის ჩხრეკისას ამოღებული . . . აშშ დოლარის ღირებულების კომპიუტერი, ასევე გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა ჩხრეკის დროს ამოღებული ე. ქ-ას კუთვნილი . . . აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ყელსაბამი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება, რომ იგი არ იყო ვალდებული, პასუხი ეგო მისი თანამშრომლების, როგორც საჯარო მოხელეების, ბრალეული ქმედებით გამოწვეული ზიანისათვის.

საქალაქო სასამართლომ, საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე, გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი. იმავე კოდექსის 997-ე მუხლის შესაბამისად კი, პირი ვალდებული იყო აენაზღაურებინა ზიანი, რომელიც მიადგებოდა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ჩ-სა და გ. ტ-ის ბრალეული ქმედება ჩადენილ იქნა, როგორც საჯარო მოსამსახურის – საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლების მიერ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნივთიერ მტკიცებულებას ინახავდა პროცესის მწარმოებელი ორგანო ისეთ პირობებში, რომლებიც გამორიცხავდა მის დაკარგვასა და მისი თვისებების შეცვლას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, სისხლის სამართლის საქმისწარმოების პერიოდში სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში უნდა შენახულიყო ძვირფასი ლითონები, ქვები და თვლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნივთიერ მტკიცებულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რადგაც ის იყო პასუხისმგებელი ნივთიერი მტკიცებულების შენახვაზე. მოცემულ შემთხვევაში პროცესის მწარმოებელ ორგანოს რომ დაეცვა კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა, თავიდან იქნებოდა აცილებული ის ზიანი, რაც მოსარჩელეს მიადგა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი.

სრულად გაიზიარა რა კოლეგიის ზემოთ მოტანილი დასკვნები, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო არასწორად იქნა მიჩნეული მოცემულ საქმეში მოპასუხედ. სააპელა-

ციო სასამართლომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ სწორედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველო წარმოადგენდა სათანადო მოპასუხეს მოცემულ საქმეში.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არამართებულად მიიჩნია აპელანტის მითითება, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ დაზარალებულის კუთვნილი ნივთები ამოღებულ იქნა სწორედ გამომძიებლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას და ზიანი სწორედ პროცესის მწარმოებელი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 122-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შედეგს წარმოადგენდა.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

ასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება არ წარმოადგენს სამსახურებრივი დაუდევრობით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან გამომძიებლის გათავისუფლებისათვის საკმარის საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
28 ნოემბრის №ბს-252-238(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. რ. ხ-მა სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხე პ. ო-ნის მიმართ, მისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ გაქურდეს ქ. ქუთაისში მდებარე მისი სახლი, რის შედეგადაც განიცადა . . . ლარის მატერიალური ზარალი. ჩადენილ დანაშაულზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოძიებაც დაევალა იმ დროს გამომძიებელს, მოპასუხე პ. ო-ს. გამოძიების პროცესში პ. ო-მა საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით, ჩაიდინა გულგრილობა, რაც გამოიხატა მის მიერ განსასჯელის ბინაზე ყადაღის დაუდებლობაში. ამით ისარგებლა რ. რ-ძემ და გაასხვისა ბინა.

რ. რ-ძე გაასამართლეს მოსარჩელის ბინის გაქურდვის ბრალდებით, ა შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა და მასვე დაეკისრა რ. ხ-ის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდა, მაგრამ მოპასუხის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად, სასამართლოს განაჩენის აღსრულება ვერ მოხერხდა, ვინაიდან რ. რ-ეს იმ დროისთვის უკვე გასხვისებული ჰქონდა ბინა. პ. ო-ის დანაშაულებრივი ქმედების გამო, მოსარჩელემ განიცადა მატერიალური ზარალი . . . .ლარის ოდენობით. 6 წლის მანძილზე მოსარჩელეს არ შეუწყვეტია საჩივრების წარდგენა, პ. ო. კი ზეგავლენას ახდენდა თითქმის ყველა თანამდებობის პირზე, რითაც მოსარჩელეს მიაყენა უმძიმესი მორალური ტრავმა, დიაბეტით დაავადდა მისი მეუღლე, ორჯერ ჩაუტარდა თირკმელების ოპერაცია და გახდა II ჯგუფის ინვალიდი. ამასთან, ამ ტრავმამ დაა-

ავადა თავად მოსარჩელეც, თუმცა ინვალიდობის ჯგუფის დასადგენად ვერ ახერხებდა სტაციონარულ მკურნალობას, ვინაიდან ასეთ პირობებში უმეთვალყურეოდ რჩებოდა მეუღლე.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით რ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

3. სააპელაციო საჩივრით რ. ხ-მა მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილდა აპელანტის წარმომადგენლის შუამდგომლობა და საქმეში თანამოპასუხედ ჩაება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სამინისტროს ქუთაისის სამმართველო და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

4. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით რ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ბრალდებულ რ. რ-ძის ბინა, ყადაღადადებული რომ ყოფილიყო, მას არ მიადგებოდა ზიანი. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ბრძანებით, ყადაღა დაედო ქუთაისში, ი. აბაშიძის გამზირის №31/79-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში რ. რ-ის კუთვნილ ქონებას, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლით გათვალისწინებული ქონებისა. ყადაღა არ დასდებია რ. რ-ის ბინას. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მოსარჩელის განმარტება, რომ ბინაზე ყადაღა უნდა დაედო გამომძიებელს და ამით მოხდებოდა ზიანის ანაზღაურება. ყადაღის დადების ოქმში აღნიშნული იყო, რომ ბრალდებულს ყადაღის დასადები ქონება არ გააჩნდა. რ. რ-ძემ გაასხვისა გამარჯვების გამზირის №31/81-ში მდებარე ბინა. ქუთაისის სასამართლოს ბრძანებით კი ყადაღა დაედო აბაშიძის გამზირის №31/79-ში მდებარე ბინაში არსებულ ქონებას. ტექნი-

უროს ცნობით, ი. აბაშიძის გამზირის №31/79-ში მდებარე სახლი ირიცხებოდა სხვა პირის, ლ. რ-ძის სახელზე. ამ ცნობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ყადაღა ვერ დაედებოდა ლ. რ-ძის სახლს, რადგან იგი ბრალდებული არ იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი მიყენებულ ზიანსა და მოპასუხეთა მოქმედებას შორის. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის არსს არ ცვლიდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებაში მითითებული გარემოება, რომ გამომძიებელმა არ დაადო ყადაღა ბრალდებულის საკუთრებაში არსებულ ქონებას, რითაც ჩაიდინა სამსახურებრივი გულგრილობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ყადაღა ედება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის ქონებას, აბაშიძის გამზირის №31/79-ში მდებარე სახლი არ ირიცხებოდა ბრალდებულ რ. რ-ის სახელზე, ბრძანება არ შეიცავდა მითითებას ბინაზე ყადაღის დადების შესახებ. ამიტომ, სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ამ ბრძანების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. აღინიშნა რა, რომ გასხვისდა არა აბაშიძის გამზირის №31/79-ში მდებარე, არამედ გამარჯვების გამზირის №31/81-ში არსებული სახლი. ეს უკანასკნელი გაიყიდა მოსარჩელის მიერ ზიანის ასანაზღაურებლად დასახელებულზე ნაკლებ თანხად.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა რ. რ-ძის სარჩელი და ყადაღისაგან გათავისუფლდა მისი ნივთები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უნდა დამტკიცებულიყო მიზეზობრივი კავშირი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

რ. ხ-მა საკასაციო საჩივრით ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

5. საკასაციო პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო პალატის განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ

გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა უთანაბრდება სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის რევიზიას, რომლითაც დადგენილია, რომ . . . ლარის ზიანი მოსარჩელეს მიაყენა არა პ. ო-მა, არამედ რ. რ-ძემ, რის გამოც ამ უკანასკნელს დაეკისრა მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე ითხოვდა არა ქურდობით მიყენებული ზიანის, არამედ სარჩელის უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული ზომების მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას, განსახილველი დავის საგანს წარმოადგენდა მოხელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოხელე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო და ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოთ მითითებულ ნორმათა საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ზიანი, რომელიც გამოწვეულია პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ან მის მიერ ჩადენილი დანაშაულით. რადგანაც ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელი იყო კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის

მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ანუ ქმედება დამდგარი შედეგის უშუალო წინაპირობა უნდა ყოფილიყო.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება გამომძიებელ პ. ო-ის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის თაობაზე.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატის მიერ არასწორად იქნა მითითებული სააპელაციო საჩივარში დასახელებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი. რ. ხ. სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ მოპასუხე პ. ო-მა, რომელიც მუშაობდა გამომძიებლად, ქურდობაში ბრალდებულის რ. რ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას უხეშად და ბრალეულად დაარღვია სამსახურებრივი მოვალეობები, რაც გამოიხატა იმაში, რომ ბრალდებულის სახელზე რიცხული ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა მიიჩნია ნორმალური სასიცოცხლო პირობებისათვის აუცილებელ საგნად და ამ მოტივით არ წარადგინა სასამართლოში შუამდგომლობა მასზე ყადაღის დადების შესახებ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის (გამოძიების წარმოების დროს მოქმედი რედაქციით) თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების საფუძვლის არსებობისას გამომძიებელს უნდა დაედგინა სად და ვის ხელში იყო ქონება და წარედგინა სასამართლოსათვის დასაბუთებული შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ბრალდებულის სახელზე რიცხული უძრავი ქონების დაყადაღების შუამდგომლობით გამომძიებელს სასამართლოსათვის არ მიუმართავს. ამის შედეგად რ. რ-ძემ გაასხვისა მის სახელზე რიცხული ერთოთახიანი ბინა.

საქმეში არსებულ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებით დადასტურებულად იყო ცნობილი, რომ პ. ო-მა ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, სამსახურებრივი გულგრილობა, მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც მოქალაქე ნ. ხ-ის კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. პ. ო-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის

ვადის გასვლის გამო. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სისხლის-სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ წარმოდგენს პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის საკმარის საფუძველს. დადგენილებით დასტურდებოდა პ. ო-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენის ფაქტი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი განხილვის დროს სააპელაციო პალატას უნდა დაედგინა, არსებობდა თუ არა მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ზემოაღნიშნულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, რაც ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. გარდა ამისა, საქმის ხელახალი განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცა იმ გარემოებისთვის, რომ ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით, სისხლის სამართლის საქმის განხილვის გარკვეულ ეტაპზე, რ. რ-ძე უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და გამართლდა, გაუქმდა მის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან. მომდევნო დღეს, რ. რ-ძემ გაასხვისა მის სახელზე რიცხული ერთოთახიანი ბინა. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის გათვალისწინებით უნდა ემსჯელა გამომძიებლის მიერ რ. რ-ძის სახელზე რიცხული ბინის დაყადაღების შემთხვევაში, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, შეძლებდა თუ არა რ. რ-ძე აღნიშნული ბინის გასხვისებას, რამაც ფაქტობრივად ზიანი მიაყენა მოსარჩელის კანონიერ ინტერესებს.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაშიც, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სარჩელის დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად, თუ ასეთი სარჩელი განცხადებული იქნება, გააგრძელოს ქონებაზე ყადაღის დადების ვადა 30 დღით. განსახილველ შემთხვევაში დადგენას საჭიროებდა, ჰქონდა თუ არა რ. ხ-ს ინფორმაცია სარჩელის უზრუნველ-

საყოფი ქონების არსებობის თაობაზე. ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტური ვალდებულებისათვის დადგენილია სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

6. გამოძიების ორგანოს მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენს დარღვევებსა და ზიანს შორის მხოლოდ უშუალო და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა 2007 წლის
22 ნოემბრი ბს-1025-978(კ-06) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. რ-ემ მოპასუხე თ. ი-ეს მიმართ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

2004 წლის 4 ოქტომბერს თერჯოლის რაიონის სოფელ . . .-ში თ. რ-ის საცხოვრებელი სახლიდან გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი ოქროს ნივთები, რის შესახებაც მოსარჩელემ იმავე დღესვე მიმართა თერჯოლის შს რაიგანყოფილების კრიმინალური განყოფილების უფროსს თ. ი-ეს. ამ უკანასკნელმა შესაბამისი ოქმის გაფორმების გარეშე თერჯოლის შს რაიონული განყოფილების ექსპერტ-კრიმინალისტსა და პოლიციის ორ თანამშრომელთან ერთად მოახდინა შემთხვევის ადგილის დათვალიერება. თ. ი-ემ მიიჩნია, რომ დანაშაული ვერ გაიხსნებოდა, რის გამოც იგი სათანადო წესით არ აღრიცხა, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე, არ შეადგინა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და მხოლოდ ვიზუალური დათვალიერებითა და მოსარჩელის ოჯახის წევრების ზეპირი გამოკითხვით დაკმაყოფილდა.

მოსარჩელემ განმეორებით, განცხადებით მიმართა თერჯოლის შს რაიონულ განყოფილებას, რის შემდეგაც იმავე წლის 8 დეკემბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ოქროს ნივთების

ქურდობის ფაქტზე. თერჯოლის რაიონული სასამართლოს განაჩენით, თ. ი-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ, დასასჯელი სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით გამოსაცდელი ვადით. თ.ი-ის უკანონო მოქმედებამ გამოიწვია ერთადერთ ნივთიერ მტკიცებულებაზე არსებული დანაშაულის კვალის (თითის ანაბეჭდის) განადგურება, რამაც საბოლოოდ ხელი შეუწყო დამნაშავე პირის დაუდგენლობას. აღნიშნული დასტურდება ექსპერტის დასკვნით, რომელშიც მითითებული იყო, რომ გამოსაკვლევად წარდგენილ ჩაიდნის სახურავის ზედაპირზე აღინიშნებოდა თითის ანაბეჭდები, რომლებიც პიროვნების იდენტიფიკაციისათვის უვარგისი იყო. წინასწარი გამოძიების პროცესში სავალდებულო წესით უნდა დანიშნულიყო დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, შედეგად მიიღებოდა თითის გარკვეული ფორმა, რაც იქნებოდა ერთ-ერთი მტკიცებულება სისხლის სამართლის საქმეზე.

სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე მუხლებზე.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას, საქმეში თანამოპასუხედ ჩაება შინაგან საქმეთა სამინისტრო, ხოლო თანამოსარჩელედ – ნ. ს-ე და საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იქნა განხილული.

2. თერჯოლის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით თ.რ-ისა და ნ. ს-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებს. მოსარჩელეები მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლად მიიჩნევდნენ თ. ი-ის მიმართ დადგენილ განაჩენს, რომლის თანახმად, თ. ი-ეს მსჯავრი დაედო სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-2 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რომ თავისი არაკომპეტენტურობის დაფარვის, კარიერიზმისა და სამსახურებრივი საქმიანობის შელამაზების მიზნით საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ მიჩქმალა და სახელმწიფო აღრიცხვაზე არ აიყვანა თ. რ-ის საცხოვრებელ სახლში მომხდარი ქურდობის ფაქტი, რითაც გამოიწვია დაზარალებულის კანონიერი უფლე-

ბების არსებითი დარღვევა.

სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული განაჩენი ვერ გახდებოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან განაჩენით დადგენილი იყო დაზარალებულ თ. რ-ის კანონიერი უფლების არსებითი დარღვევა და არ გადაწყვეტილა მისთვის ზარალის მიყენების საკითხი. მოსარჩელე ვალდებული იყო დაემტკიცებინა თ. ი-ეს ქმედებით, მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებით, რისთვისაც იგი მსჯავრდებული იყო, რა მატერიალური და მორალური ზიანი მიადგა. ეს კი მან ვერ შეძლო.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ეკისრება პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა პირს განზრახ ან გაუფრთხილებლობით, მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენებს ზიანს. აქედან გამომდინარე, მოპასუხეებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობოდათ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ დასაბუთებული იქნებოდა ზიანის ფაქტი და ოდენობა, დადგინდებოდა, რომ ზიანი მიყენებულ იქნა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მათ შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდა ბრალი. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდებოდა მხოლოდ ის, რომ თ. ი-ის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი იყო მხოლოდ თ. რ-ე და რომ მას მიადგა მორალური ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოსარჩელეებს წარმოეშობათ პირის მიერ ბრალეული მოქმედებით გამოწვეული დარღვევის შემთხვევაში.

რაიონული სასამართლოს მითითებით, საქმეზე დადგენილი იყო, რომ თ. რ-ის საცხოვრებელ სახლში მომხდარი ქურდობის შედეგად მოსარჩელეებს მიადგათ მატერიალური ზიანი, ე.ი. ზიანის უშუალო გამომწვევი მიზეზი იყო მომხდარი ქურდობა და არა მოპასუხე თ. ი-ეს ბრალეული ქმედება, შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი თ. ი-ეს ბრალეულ ქმედებასა და მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ და მორალურ ზიანს შორის.

სააპელაციო საჩივრით თ. რ-იმ და ნ. ს-იმ მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი

გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 19 სექტემბრის განჩინებით თ. რ-ისა და ნ. ს-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, ზიანის ანაზღაურება ეკისრება პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვა პირს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენებს ზიანს. დელიქტის დროს ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომლითაც დაზარალებულს უფლება აქვს, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მისი მიმყენებლისაგან. იმისათვის, რომ პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისროს, უნდა არსებობდეს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, სახეზე უნდა იყოს ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღოდეს ბრალი. მხოლოდ ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობას, ე.წ. „გენერალურ დელიქტს“.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ სახეზე იყო მოსარჩელეებისათვის მიყენებული ზიანი, იგი მიყენებული იყო გამოძიებით დაუდგენელი პირების მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ანუ ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც მოპასუხეებისაგან ითხოვდნენ აპელანტები, დადგა არა სახელმწიფო მოსამსახურის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, არამედ კონკრეტული ბოროტმოქმედი პირების ქმედებით, რომელთა ვინაობაც გამოძიებით დაუდგენელი იყო. რაც შეეხებოდა ფაქტობრივ გარემოებას, რომ პოლიციის ყოფილმა თანამშრომელმა თ. ი-ემ დროულად არ დაარეგისტრირა დანაშაული, აღნიშნულს არ გამოუწვევია ის ზიანი, რომლის ანაზღაურებასაც ითხოვდნენ აპელანტები, ანუ ზიანი დადგა ბინის ქურდობის შედეგად, ხოლო თ. ი-ის შემდეგი ქმედება მიმართული იყო მხოლოდ დანაშაულის დაფარვისაკენ. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიყენებაში თ. ი-ეს ბრალი არ მიუძღოდა. შესა-

ბამისად, აპელანტების მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

4. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. რ-ემ და ნ. ს-ემ. კასატორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორთა განმარტებით, თ. ი-ე წარმოადგენდა რა თერჯოლის შს სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსს, თანამდებობაზე, თერჯოლის რაიონის სოფელ . . .-ში კასატორების საცხოვრებელი სახლის გაქურდვის ფაქტთან დაკავშირებით, თავისი არაკომპეტენტურობის დაფარვის, კარიერიზმისა და სამსახურებრივი მაჩვენებლების შელამაზების მიზნით, მიჩქმალა და არ აღრიცხა მომხდარი დანაშაული, რის გამოც არ შეადგინა შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, არ დანიშნა კანონით სავალდებულო ექსპერტიზა, ნივთმტკიცებაზე წაშალა ხელის თითის კვალი და დაფარა დანაშაული, არ დაჰკითხა სათანადო პირები და არ ჩაატარა მთელი რიგი თავდაპირველი საგამოძიებო მოქმედებები, რითაც კასატორებს ქონებრივი და მორალური ზიანი მიაყენა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც, თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ასეთს მიეკუთვნება ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როდესაც საქმეს იხილავდა სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

კასატორების მითითებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ი-ეს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით თ. რ-ეს მიადგა მორალური ზიანი, ვინაიდან იგი თ. ი-ეს საქმეზე დაზარალებულად იყო ცნობილი. ამით სასამართლომ დაადგინა თ. რ-ის კანონიერი უფლების არსებითი დარღვევა, ყოველივე აღნიშნული კი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 997-ე მუხლების თანახმად სარჩელის დაკმაყოფილების

საფუძველს წარმოადგენდა.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ქვემდგომი სასამართლოთა მიერ აღწერილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეები ითხოვდნენ მატერიალური ზიანის სახით დაკარგული ნივთების ღირებულების – . . . აშშ დოლარისა და მორალური ზიანის –. . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხეთათვის დაკისრებას. მატერიალური ზიანის ოდენობას მოსარჩელეები დაკარგული ნივთების ღირებულებით განსაზღვრავდნენ. რაც შეეხება მორალურ ზიანს, აღნიშნულს მოსარჩელეები ითხოვდნენ, როგორც გამოძიების დროულად ჩაუტარებლობით მიყენებულს. მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს“.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტია თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზშედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა: დამდგარი ზიანი გამოწვეული უნდა იყოს სწორედ იმის შედეგად, რომ თანამდებობის პირმა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი იყო, რომ თ. ი-ეს უმოქმედობის შედეგად დროულად არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რითაც დაირღვა კასატორების უფლება ეფექტურ გამოძიებაზე. მიუხედავად უდავოდ დადგენილი ამ გარემოებისა, საქმის მასალების ერთობლიობაში შეფასება არ იძლეოდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ თ. ი-ეს მიერ სისხლის სამართლის საქმის დაუყოვნებლივ აღძვრას აუცილებლად მოჰყვებოდა დანაშაულის გახსნა.

საქმის მასალებით არ დგინდებოდა, საერთოდ იყო თუ არა

ნივთმტკიცებაზე – ჩაიდანზე კვალი სრულყოფილი დაქტილოკოპიური ექსპერტიზის ჩატარებისათვის ვარგის მდგომარეობაში. Aსევე, საალბათოა,ექსპერტიზის მიერ კიდეც რომ მომხდარიყო თითის ანაბეჭდის იდენტიფიკაცია, გაიხსნებოდა თუ არა რეალურად დანაშაული. თავის მხრივ, მისი გახსნის შემთხვევაშიც კი, მოხდებოდა თუ არა დამნაშავისაგან მოსარჩელეთა გატაცებული ნივთების უკან დაბრუნება ან აღნიშნული ნივთების ღირებულების ეკვივალენტური თანხის ამოღება. შესაბამისად, არ არსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი კასატორების მიერ ნივთების დაკარგვით გამოწვეულ მატერიალურ ზარალსა და სისხლის სამართლის საქმის დროულად არაღძვრას შორის. კანონის მიხედვით უნდა არსებობდეს პირდაპირი და არა სავარაუდო მიზეზობრივი კავშირი, რადგანც სავარაუდო კავშირი სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგება. მიუხედავად იმისა, რომ კასატორთა უფლებები შეილახა სისხლის სამართლის საქმის არათავისდროული აღძვრით, საქმის გარემოებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე, არ დგინდებოდა აღნიშნული უფლების დარღვევის შედეგად რეალურად მიყენებული მატერიალური ზიანის არსებობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლითა და 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების წანამძღვრები.

სასარჩელო მოთხოვნაზე, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6, 413-ე მუხლის მე-2 ნაწილების დანაწესები არ წარმოადგენდნენ მოცემულ საქმეზე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

7. გასაჩივრებული სისხლის სამართლის საპროცესო აქტების უცვლელად დატოვება გამორიცხავს პროკურორის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების არსებობას და არ წარმოადგენს არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
26 დეკემბრის №ბს-1008-965(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. ე-ამ სამტრედიის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორის – ვ. ჩ-ძის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ვ. ჩ-ძემ უკანონოდ შეწყვიტა მოსარჩელის მიმართ დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამდენი პირების შესახებ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიება. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას მოპასუხის მიერ დამუშავებულ და შექმნილ იქნა არასწორი საჯარო ინფორმაცია, რაც გაეგზავნა მოსარჩელეს შეტყობინებების სახით. მასში არ იყო განმარტებული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 398-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეების მასალების გაცნობის უფლება და წესი. აღნიშნული ქმედებით პროკურორმა მოსარჩელეს წაართვა კანონით მინიჭებული უფლება, რის გამოც ამ სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების უკანონოდ შეწყვეტა მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა მხოლოდ ვარაუდის დონეზე, აღნიშნულ გარემოებებზე მითითების შეუძლებლობის პირობებში. მოსარჩელეს პროკურორის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობით მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული იყო პირის უფლება, სასამართლოს საშუალებით

მოეთხოვა ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის მიერ არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

მოსარჩელის განმარტებით, სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორის – ვ. ჩ-ძის უკანონო ქმედებებით, რაც გამოიხატა სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების უკანონოდ შეწყვეტის შემდეგ ამ საქმეთა მასალების გაცნობის, ანუ ინფორმაციის მიღების უფლების მისთვის წართმევაში, დაირღვა ინფორმაციის მიღების თავისუფლებაზე საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის მოთხოვნები.

მოსარჩელემ მოითხოვა სამტრედიის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვ. ჩ-ძისათვის სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტის შემდეგ არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნითა და დამუშავებით გამოწვეული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება გონივრულ ფარგლებში.

2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით უსაფუძვლობის გამო სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული იყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. ყველასათვის გარანტირებული იყო სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით. კომპენსაცია გაიცემოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული დაამტკიცებდა მისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს (და არა ფიზიკური პირის) ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმეში მოპასუხედ ჩაბმული იყო სამტრედიის რაიონული პროკურატურის

პროკურორი ვ. ჩ-ძე, როგორც ფიზიკური პირი და მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიმართული იყო ფიზიკური პირის – ვ. ჩ-ძის წინააღმდეგ, ანუ სადავო სამართალურთიერთობაში მხარედ არ მონაწილეობდა ადმინისტრაციული ორგანო.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა მოთხოვნა, კერძოდ, რა სახის ქონებრივი და მორალური ზიანი განიცადა მან ვ. ჩ-ძის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით, შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, რაში გამოიხატა მორალური ზიანი, ასევე – მოპასუხის განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა.

სააპელაციო საჩივრით ნ. ე-ამ მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ნ. ე-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის. იმავე კოდექსის 207-ე მუხლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი. ნ. ე-ამ სისხლის სამართლის საქმეების შეწყვეტის დადგენილებები გაასაჩივრა, მაგრამ ისინი არ დაკმაყოფილდა, დადგენილებები დარჩა უცვლელად. ამიტომაც, არ დასტურდებოდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ე-ამ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი

სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი..

8. სახელმწიფოს არ ეკისრება კანონიერ ძალაში შესული განაჩენის აღსრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 6 დეკემბრის №ბს-1448-1411(კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა შპს „. . . -ს" წარმომადგენელმა მოპასუხე – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, ზიანის ასანაზღაურებლად . . . ლარის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელემ განმარტა, რომ შპს „ . . . -ს" მძღოლს თ. მ-ძეს შეასაბამისი მინდობილობის საფუძველზე სამართავად ჰქონდა გადაცემული შპს-ს კუთვნილი სატვირთო ავტომანქანა. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით თ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა" ქვეპუნქტით. განაჩენით დადგენილი იქნა, რომ თ. მ-ძემ დანაშაული ჩაიდინა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, როდესაც მოსარჩელის ავტომანქანით გადაჰქონდა ტვირთი. ამიტომაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე შპს „. .

-ს“ ჩამოერთვა ავტომანქანა და გადაეცა სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მსჯავრდებული თ. მ-ძე არ იყო ავტომანქანის არათუ მესაკუთრე, კანონიერი მფლობელიც კი და აღნიშნულის გათვალისწინებით შპს „. . . თვის“ კუთვნილი ავტომანქანის ჩამორთმევა უკანონო იყო. აუდიტორული დასკვნების თანახმად, ჩამორთმეული ავტომანქანის საბაზრო ღირებულება შეადგენდა . . .ლარს, ხოლო სატვირთო ავტომანქანის მოცდენის პერიოდის გათვალისწინებით, მარწმუნებელს განხორციელებული გადაზიდვების შედეგად უნდა მიეღო . . . ლარის ოდენობის შემოსავალი.

მოსარჩელემ სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად დაასახელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 992-ე და 1005-ე მუხლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაერთო საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

მოპასუხემ – საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 13 ივლისის №523 დებულებით დამტკიცებული სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტო განკარგავს უკვე სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულ ქონებას, სატვირთო ავტომობილი კი მათ გადაეცათ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის საფუძველზე, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა შესასრულებლად.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენდ-

ნენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-209-ე მუხლები. კერძოდ, 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავდა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ ჩამორთმევას. კოლეგიამ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კონონმდებლობა კანონის მიზნებისთვის გარკვეულწილად აიგივებს მესაკუთრისა და კანონიერი მფლობელის ცნებას და ორივეს ერთ რეჟიმში აქცევს, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, ქონებაზე ყადაღის დადება მესაკუთრესა ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, აგრეთვე, ქონებით სარგებლობას. ნიშანდობლივი იყო, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა მოძრავი ნივთი, სატვირთო ავტომანქანა, რომელზეც ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, საჭიროებას არ წარმოადგენდა ქონების პირის საკუთრებაში არსებობა, საკმარისი იყო მისი თუნდაც კანონიერ მფლობელობაში ყოფნა, რასაც თ. მ-ძის შემთხვევაში ჰქონდა კიდეც ადგილი, მოსარჩელე არც უარყოფდა იმ ფაქტს, რომ

მსჯავრდებულს, შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე, სატვირთო ავტომანქანა ჰქონდა კანონიერ მფლობელობაში, რაც დადასტურდა განაჩენის გამოტანისას.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, კანონით განსაზღვრული წესით“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე, 519-ე და 536-ე მუხლების თანახმად, მოცემულ შემთხვევაში – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენზე გადაწყვეტილების მიღების უფლება ჰქონდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. დადგენილი იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და მსჯავრდებულ თ. მ-ძეს შორის, შესულია კანონიერ ძალაში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა სასამართლოს აქტების გასაჩივრების შესაძლებლობას, რაც მოსარჩლემ ვერ შეძლო იმის გამო, რომ იგი არ წარმოადგენდა ამავე კოდექსის 679-ე მუხლით გათვალისწინებულ გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირს. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე) სავალდებულოა შესასრულებლად და მისი შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია მხოლოდ კანონით კონკრეტულად გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ყველა სახის ზიანი, მათ შორის მიუღებელი შემოსავალიც, თუნდაც დადასტურებული ყოფილიყო მათი არსებობა, გამოწვეული იყო მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (განაჩენით), ანუ მართლზომიერი მოქმედებით და მისი ანაზღაურების მოვალეობა სახელმწიფოს არ ეკისრებოდა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს-მ, რომელმაც საჩივარში მიუთითა, რომ თ. მ-ძე არ წარმოადგენდა ავტომანქანის მფლობელს, იგი დაქირავებული მძღოლი იყო და შესაბამისი მინდობილობის საფუძველზე ახორციელებდა შპს-ს სასარგებლოდ ავტომობილზე ფაქტობრივ ბატონობას, რის გამოც

არ არსებობდა მისი ჩამორთმევის სამართლებრივი საფუძველი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პალატამ სრულად გაიზიარა სასამართლო კოლეგიის მიერ დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და მათი სამართლებრივი შეფასება. კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა აპელანტისათვის მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და შესაბამისად ბრალეული მოქმედებით ზიანის მიყენების ფაქტი, რის გამოც არ არსებობდა მისი ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

5. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება. ამიტომაც საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

9. სისხლის სამართლის საქმეზე რეაბილიტაციიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო ხანდაზმულობა იწყება სისხლის სამართლებრივი საპროცესო აქტის მიღების დღიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
29 ივნისის №ბს-368-294-კ-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2003 წლის 1 მაისს ე. მ-მა და ნ. ხ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელეები მიუთითებდნენ, რომ მათი შვილი – გ. ხ. 1992 წელს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად მოხალისედ წავიდა აფხაზეთში, საბრძოლო დავალების შესრულებისას დაიჭრა და ჩაუვარდა ტყვედ აფხაზ სეპარატისტებს, მეორე დღეს მან შეძლო გაქცევა და გადაყვანილ იქნა სოხუმის ჰოსპიტალში. 1992 წლის 4 ნოემბერს გ. ხ., სრულიად უსაფუძვლოდ და ყოველგვარი გამოძიების გარეშე, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების უგულებელყოფით, დააპატიმრეს სამშობლოს ღალატის ბრალდებით და აფხაზეთის რეგიონში იმხანად მოქმედი სამხედრო-საველე სასამართლოს 1992 წლის 9 ნოემბრის განაჩენის საფუძველზე დახვრიტეს.

მოსარჩელეების განმარტებით, თბილისის სამხედრო პროკურატურის 2002 წლის 4 აპრილის დადგენილებით, მათი შვილი გ. ხ. ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად, როგორც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დასჯილი, მაგრამ ამ დადგენილებით არ დაკმაყოფილდა მათი, როგორც სამოქალაქო მოსარჩელეების, მოთხოვნები მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა მოითხოვეს მოპასუხეებს – საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაკისრებოდათ მატერიალური და მორალური ზიანის, ადვოკატებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება და ასევე, მასმედიის საშუალებით ბოდიშის მოხდა.

სარჩელის განსჯადობის თაობაზე საკითხის გარკვევის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ე. მ-სა და ნ. ხ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ სადავო ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 459-ე მუხლით, რომელიც არეგულირებდა თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებით, ამ პირის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს მიყენებული ზია-

ნის ანაზღაურების საფუძველს. მითითებული ნორმის შესაბამისად, თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებით მათ მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდებოდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 457-ე და 458-ე მუხლებით, რომელთა თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ იყო გათვალისწინებული, მოქალაქის პიროვნების ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი მთლიანად უნდა აენაზღაურებინა ზიანის მიმყენებელს. ამასთან, ზემოთ მითითებული კოდექსის 75-ე მუხლი ადგენდა სასარჩელო ხანდაზმულობის სამწლიან ვადას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყებოდა სარჩელის უფლების წარმოშობის დღიდან, რომელიც წარმოიშვებოდა იმ დღეს, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ, ხოლო 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა სარჩელზე უარის თქმის საფუძველს წარმოდგენდა.

სასამართლო კოლეგიის განმარტებით, მოსარჩელეებს თანამდებობის პირის უკანონო მოქმედებით ზიანი მიადგათ 1992 წლის 10 ნოემბერს, ხოლო 1994 წლის 22 ივლისს გ. ხ-ის დედა – ე. მ. ცნობილ იქნა დაზარალებულად, შესაბამისად, 1994 წლის 22 ივლისიდან ორივე მოსარჩელისათვის ცნობილი იყო, რომ მათი უფლებები შეილახა თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების შედეგად, რამაც მათ ზიანი მიაყენა, შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა ამ საქმეზე უნდა დაიწყოს 1994 წლის 23 ივლისიდან, მოსარჩელეებმა კი სასამართლოს თავისი უფლებების დასაცავად მიმართეს 2003 წლის 1 მაისს, ე.ი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

3. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-მა და ნ. ხ-მა და მოითხოვეს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება.

კასატორები მიუთითებდნენ, რომ მათთვის მათი შვილის უდანაშაულობის შესახებ ცნობილი გახდა 2001 წელს და მხოლოდ ამის შემდეგ, 2001 წელს, განემარტათ მათი უფლებების შესახებ, რომ შეეძლოთ სასამართლოს მეშვეობით მოეთხოვათ ზიანის ანაზღაურება. კასატორების განმარტებით, მათ სასამართლოს წარუდგინეს დადგენილების ასლები, რომლითაც ცნობილ იქნენ დაზარალებულებად. ამავე დროს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-

სის მე-4, მე-19 მუხლების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილი იყო, საკუთარი ინიციტივით მიეღო გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების წარმოსადგენად. თვით შეაგროვებინა ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, რაც სასამართლოს მიერ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ გაკეთებულა. სასამართლო კოლეგიამ სარჩელზე უარის თქმის ერთერთ საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ე. მ. დაზარალებულად ცნობილი იქნა 1994 წელს და მას, როგორც დაზარალებულ პირს, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურება უნდა მოეთხოვა 1997 წლამდე,

კასატორის განმარტებით, მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს 2001 წლის 18 მაისიდან, იმ დღიდან, როდესაც ისინი ცნობილ იქნენ დაზარალებულად და განემარტათ მათი უფლებების შესახებ და არა 1994 წლის 22 ივლისიდან, როდესაც დაზარალებულად ცნეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი შვილი გ. ხ. გარდაიცვალა, ხოლო მათი შვილის მკვლელობისა და უკანონო ბრალდების შესახებ მათთვის ცნობილი გახდა 2001 წლის 18 მაისს.

სასამართლოს მტკიცება იმის თაობაზე, რომ სადავო ურთიერთობები კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოწესრიგდეს ძველი სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, არამართებულია, ვინაიდან სამხედრო პროკურატურის მიერ გ. ხ. უდანაშაულოდ ცნობილ იქნა 2001 წლის 18 მაისს, ხოლო რეაბილიტირებული – 2002 წლის 4 აპრილს, ანუ სამხედრო პროკურატურამ აღნიშნული ფაქტების გამოძიებისა და რეაბილიტაციის დროს იხელმძღვანელა ახალი, დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით. ამიტომაც, აღნიშნული ურთიერთობები ახალი კანონმდებლობით უნდა მოწესრიგებულიყო. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2, მე-6 და მე-14 მუხლებით.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახალი განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

კასატორების შვილს – გ. ხ-ს აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ შექმნილმა სამხედრო-საველე სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა.

საგამოძიებო ორგანომ 2001 წლის 18 მაისს მიიღო დადგენილება გ. ხ-სა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო. დადგენილება მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რითაც დასტურდება, რომ გ. ხ-ს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება არ ჩაუდენია. აღნიშნული აქტი წარმოადგენდა რეაბილიტაციის აბსოლუტურ საფუძველს. 2002 წლის 4 აპრილს თბილისის რეგიონალურმა სამხედრო პროკურორმა მიიღო დადგენილება გ. ხ-ის რეაბილიტირებულად ცნობის თაობაზე.

საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ კასატორები წარმოადგენდნენ გ. ხ-ის მშობლებს და გააჩნდათ საკუთარი უფლებების სასამართლო წესით დაცვის უფლებამოსილება.

საოლქო სასამართლომ მოსარჩელეთა მოთხოვნა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დააკმაყოფილა ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გაშვების მოტივით. სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებით ზიანი მიადგათ 1992 წლის 10 ნოემბერს, ხოლო 1994 წლის 22 ივლისს გ. ხ-ის დედა – ე. მ. ცნობილ იქნა დაზარალებულად. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეებისათვის მათი შელახული უფლებების შესახებ ცნობილი გახდა 1994 წლის 22 ივლისს და სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლაც სწორედ დასახელებულ მომენტს დაუკავშირა.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, სასამართლო კოლეგიის მოსაზრება მოსარჩელეთა მხრიდან სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის თაობაზე და ჩათვალა, რომ ამგვარი დასკვნა კანონის არასწორ განმარტებას ემყარებოდა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტაციის საფუძველის წარმოადგენდა გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება, სასამართლოს განჩინება ან დადგენილება საქმის შეწყვეტის შესახებ 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა-ე", „მ-ნ" „პ" და „უ" ქვე-

პუნქტებში აღნიშნული საფუძვლით.

მითითებული მუხლის შესაბამისად, კანონმდებელი რეაბილიტაციის უფლებას უკავშირებდა ზემოაღნიშნული ორგანოს მიერ მიღებულ შესაბამის აქტს. აღნიშნული სახის პროცესუალური დოკუმენტი, კერძოდ, დადგენილება, თბილისის რეგიონალურმა სამხედრო პროკურორმა მიიღო 2002 წლის 4 აპრილს, რომლის შესაბამისადაც, გ. ხ., რომელიც სიკვდილმისჯილ იქნა აფხაზეთის რეგიონში განლაგებული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანონოდ შექმნილი სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ 1992 წლის 9 ნოემბერს და დაიხვრიტა 1992 წლის 20 ნოემბერს, როგორც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დასჯილი – ცნობილი იქნა რეაბილიტირებულად. ამავე დადგენილების მე-2 პუნქტით განისაზღვრა, რომ რეაბილიტირებულ გ. ხ-სა და მის მემკვიდრეებს გააჩნდათ კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება.

საქმეზე დადგენილი ზემოღნიშნული ფაქტობრივი გარემოებით დასტურდებოდა, რომ კანონით გათვალისწინებული რეაბილიტაციის საფუძველი წარმოიშვა 2002 წლის 4 აპრილს, რამაც საკასაციო სასამართლოს მისცა საფუძველი მიეჩნია, რომ კასატორების მოთხოვნის უფლება წარმოიშვა სწორედ მითითებული მომენტიდან, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა განსახილველი ურთიერთობის მიმართ ძველი სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების შესაძლებლობას.

თავი IV. სარჩელები სტიქიური და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე

1. პირისათვის, როგორც სტიქიური უბედურებით (წყალდიდობით) დაზარალებულისათვის, გამოყოფილ საკომპენსაციო თანხაზე გავლენას არ ახდენს მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა, რომლებიც სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულებად არ არიან მიჩნეული.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის
22 ოქტომბრის № ბს-354-341(კ-08) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ზ. ა-მა 2002 წლის 31 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გორის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა წყალდიდობის შედეგად დაზარალებული ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინის შესაძენი ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება.

სარჩელის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1971 წლიდან 1992 წლის აგვისტომდე ცხოვრობდა ქ. გორში, ... ქ. № 4-ში მდებარე ბარაკში. 1992 წელს იგი დაქორწინდა და რადგანაც ბარაკი კეთილმოუწყობელი იყო, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით ამოეწერა ზემოაღნიშნული მისამართიდან და ჩაეწერა მეუღლის მშობლების საცხოვრებელ ბინაში, მაგრამ ფაქტობრივად აგრძელებდა ცხოვრებას ქ. გორში .... ქ. № 4-ში მდებარე ბარაკში.

1997 წლის მაისში გორში მომხდარმა წყალდიდობამ დააზიანა და საცხოვრებლად უვარგისი გახადა.... ქუჩაზე მდებარე ბარაკები. ამის გამო, ზ. ა. იძულებული გახდა საცხოვრებლად სხვაგან გადასულიყო.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ ქ. გორის მერიამ და შემდგომში გორის რაიონის გამგეობამ აღნიშნულ ქუჩაზე ბარაკებში მცხოვრებთ გამოუყო საცხოვრებელი ბინები და აგრეთვე გასცა კომპენსაციები. მას კი უარს ეუბნებოდნენ იმ მოტივით, რომ იგი ჩაწერილი არ იყო

. . .№ 4 ბარაკში.

1998 წლის 26 აგვისტოს გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დადგენილი იყო მისი ზემოთ დასახელებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი ამიტომაც უფლება ჰქონდა, როგორც წყალდიდობით დაზარალებულს, მიეღო განადგურებული ბარაკის საკომპენსაციოდ . . . ამერიკული დოლარი.

2. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; გორის რაიონის გამგეობას დაევალა ზ. ა-ის სასარგებლოდ საცხოვრებელი ბინის შესაძენად . . . ამერიკული დოლარის ეკვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გადახდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1997 წლის მაისის თვეში გორში მომხდარმა წყალდიდობამ დააზიანა ... ქუჩაზე მდებარე ბარაკები და საცხოვრებლად უვარგისი გახადა, მათ შორის № 4 ბარაკი, რომელშიც ფაქტობრივად ცხოვრობდა პირველი ჯგუფის ინვალიდი, მოსარჩელე ზ. ა.

ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ფაქტობრივად ცხოვრობდა აღნიშნულ ბარაკში, დასტურდებოდა გორის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 26 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც დადგინდა, რომ დაბადებიდან 1992 წლის 5 აგვისტომდე ზ. ა. ჩაწერით ცხოვრობდა ქ. გორში, . . . №4 ბარაკში, ხოლო 5 აგვისტოდან იქ ცხოვრობდა ჩაწერის გარეშე. ფაქტიურად, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით თბილისის საოლქო სასამართლოს 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ზ. ა. აღიარებული იქნა ქ. გორში 1997 წელს სტიქიით (წყალდიდობით) დაზარალებულ პირად. ასევე დადგენილ იქნა, რომ გორის რაიონის გამგეობასთან შექმნილი კომისიის მიერ შედგენილ იქნა წყალდიდობით დაზარალებულ პირთა სია, რომელთა ზარალის ასანაზღაურებლად (ბინების მშენებლობისა, თუ ფულადი კომპენსაციისათვის) საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 6 ივლისის № 349 და 1998 წლის 7 მაისის № 198 განკარგულებებით, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოყოფილ იქნა სხვადასხვა თანხა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ სტიქიის დროს მოსარჩელე ზ. ა. ფაქტობრივად ცხოვრობდა ქ. გორში . . .ქ.№ 4 ბარაკში და მისთვის ადგილობრივ ორგანოებს არანაირი დახმარება არ გაუწევიათ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მათ სამართლებრივ შეფასებას. საწინააღმდეგო შინაარსის არგუმენტები აპელანტს არ წარუდგენია.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ძირითადი არგუმენტი, თითქოს ზ. ა. არ ცხოვრობდა . . . ქუჩაზე მდებარე № 4 ბარაკში, იურიდიულ მნიშვნელობას მოკლებული იყო, რადგან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით დადასტურებულად იყო მიჩნეული როგორც დასახელებულ ბინაში მოსარჩელის ცხოვრების ფაქტი, ასევე მისი, როგორც სტიქიით დაზარალებულის სტატუსი. ჭორივე მათგანი კი საკმარის საფუძველს წარმოადგენდა მისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

4. საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. ა-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გორის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა შემდეგი გარემოებების გამო:

საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ა. 1971 წლიდან 1992 წლის აგვისტომდე ცხოვრობდა ქ.გორში, . . . ქ. 4-ში მდებარე ბარაკში. იგი 1992 წელს დაქორწინდა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, 1992 წლის 5 აგვისტოს ამოეწერა ზემოაღნიშნული მისამართიდან და ჩაეწერა ქ. გორში . . . ქ. № 17/24-ში მდებარე მეუღლის მშობლების საცხოვრებელ ბინაში, თუმცა ფაქტობრივად აგრძელებდა ცხოვრებას. გორში . . . ქ. № 4-ში მდებარე ბარაკში.

ეს ფაქტი დადასტურებული იყო გორის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 26 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილებით. სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, ზ. ა. აღიარებულ იქნა ქ. გორში 1997 წელს სტიქიით (წყალდიდობით) დაზარალებულ პირად.

საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ქ. გორში, . . . ბარაკი № 4-ში მცხოვრებ გ. ქ-ის სამსულიან ოჯახს გამოეყო ოროთახიანი ბინა. ასევე დადგინდა, რომ დაზიანებულ ბარაკში ცხოვრობდა 5 სული; თვით გ. ქ., მეუღლე და სამი შვილი, მაგრამ ბინის გამოყოფა მხოლოდ სამი სულის გათვალისწინებით მოხდა და ამ გადაწყვეტილებით ზ. ი-ს ბინა არ მიუღია. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია საკასაციო საჩივრის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გორის მერიამ ზ. ია-ს ოჯახთან ერთად გამოუყო ოროთახიანი ბინა და მის მიმართ ქ. გორის მერიამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება შეასრულა.

საქმეში არსებული გორის მერიის წერილებით ირკვეოდა, რომ გორის რაიონის გამგეობის თანამშრომლები 2000-2001 წლებში ზ.ა-ს განუმარტავდნენ, რომ ბინათმშენებლობის განახლების შემდეგ, ან რაიმე საცხოვრებელი ფართის გამოჩენის შემთხვევაში, საბინაო კანონმდებლობის სრული დაცვით, განიხილავდნენ მისი ოჯახის ბინით დაკმაყოფილების საკითხს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოპასუხემ იკისრა ზ. ა-ის სანაცვლო ბინის გამოყოფის ვალდებულება, რომელიც არ არის შესრულებული. ამიტომ საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოპასუხეს ეკისრებოდა დაზიანებული №4 ბარაკის სანაცვლოდ ზ-სთვის ბინის შესაძენად ფულადი თანხის გადახდის მოვალეობა.

ამასთანავე, საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის ზ. ა-ის სასარგებლოდ საცხოვრებელი ბინის შესაძენად . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტის გადახდის დაკისრება.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, მხოლოდ ზ. ა. იქნა აღიარებული ქ. გორში, 1997 წლის სტიქიით (წყალდიდობით)

დაზარალებულად; ასევე გორის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დადგენილად ქნა ცნობილი, რომ ზ. ა. ცხოვრობდა ქ. გორში, ... ქუჩაზე მდებარე № 4 ბარაკში; ამიტომაც, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით მხოლოდ ზ. ა. იქნა ცნობილი სტიქიით (წყალდიდობით) დაზარალებულად და არა მისი ოჯახი. საქმეში არსებულ ინდივიდუალური აუდიტორის ცნობის თანახმად, ქ. გორში, ...გზატკეცილზე, ერთოთახიანი ბინის ფასი შეადგენს . . . აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში. ვინაიდან ზ. ა-ის, როგორც ერთ სულს, ერთოთახიანი ბინა უნდა გადასცემოდა, ამიტომ საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ მოპასუხეს ზ. ა-ის სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის № 352 დადგენლების, „საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ თანახმად, საცხოვრებელი სახლის განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობას და არა საკრებულოს ეკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის
26 ნოემბრის № ბს-773-737 (2კ-09) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. მ. ც-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მ.ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ჭიათურის მუნიცი-

პალიტეტის საკრებულოსა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ. ც-ძის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. ც-ძემ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით მ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ასევე გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მ. ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას მ. ც-ძის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს:

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. ც-ძის ოჯახი არის 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახი, რომელსაც დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით, რომლის ადრესატია მ. ც-ძის დედა ნ. ც-ძე, ირკვეოდა, რომ ის შეყვანილია მიწისძვრით დაზარალებულთა სიაში, რომელიც გადაიგზავნა მთავრობაში და რომლებსაც პირველ რიგში ეკუთვნის დახმარების მიღება.

ჭიათურის რაიონის და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილებით ირკვეოდა, რომ ნ. ც-ძის ოჯახი აღრიცხვაზე აყვანილია პირველ რიგში დასახმარებელთა სიაში, მაგრამ თანხის არარსებობის გამო მისი მოთხოვნა დაუკამაყოფილებელი დარჩა.

სააპელაციო პალატამ გამოიყენა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 3 მაისის № 352 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგებისლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ ამ დადგენილების მე-14 პუნქტის თანახმად, ჭიათურის მუნიციპალიტე-

ტის გამგეობასა და საკრებულოს უნდა დაკისრებოდათ მ. ც-ძის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდა. დასახელებულ, მე-14 პუნქტის შესაბამისად მხოლოდ ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაკისრებოდა მ. ც-ძის სასარგებლოდ თანხის გადახდა.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია მ. ც-ძის მოთხოვნა . . . ლარის ანაზღაურების თაობაზე, რადგან სახლის აშენებისათვის ამ ოდენობის თანხის გამოყოფის თაობაზე ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს მ. ც-ძის მიმართ აღებული არ ჰქონდათ.

4. საკასაციო საჩივრით ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მოითხოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი, ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, აღნიშნავდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 3 მაისის № 352 დადგენილების „საქართველოს რესპუბლიკაში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საფუძველზე, პრეფექტურას საქართველოს მთავრობაში მხოლოდ სიებისა და ანგარიშების წარდგენა ევალებოდა.

გარდა ამისა, მოსარჩელეებისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო სტიქიური უბედურების და არა ადმინისტრაციული ორგანოს ბრალეული მოქმედების შედეგად, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო მონაწილეთა შორის ხელშეკრულების არსებობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა დელიქტის საფუძვლებიდან.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით, მ. ც-ძისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილი იყო, , რომ მ. ც-ძის ოჯახი წარმოადგენდა 1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრით დაზარალებულს, ისინი ცხოვრობდნენ ჭიათურის რაიონის სოფ. . . . -ში. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით ჭიათურის მუნიციპალიტეტს მიწისძვრით დაზარალებულთათვის 1997–1998 წლებში, ასევე 2002 წელს

გადაერიცხათ ფულადი თანხები, მაგრამ მ. ც-ძის ოჯახს არავითარი დახმარება არ მიუღია.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ სწორედ შესაბამისი რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაევალათ 1991 წლის 29 აპრილს საქართველოს რესპუბლიკაში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, აღდგენითი სამუშაოების განხორციელება, ხოლო ამავე დადგენილების მე-14 პუნქტის შესაბამისად, ოჯახებს, რომელთაც მიწისძვრის შედეგად დაეწგრათ საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობები, გაუნადგურდათ ავეჯი და სხვა ქონება უნდა მისცემოდათ ფულადი თანხა.

საკასაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მ. ც-ძის მოთხოვნა . . . ლარის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლო იყო, რადგან სახლის აშენებისათვის . . . ლარის გამოყოფის თაობაზე ვალდებულება სახელმწიფო ორგანოებს მ. ც-ძის მიმართ აღებული არ ჰქონიათ.

3. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის № 190 განკარგულების „სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების შესახებ“ საფუძველზე, ზიანის საკომპენსაციო თანხის მიღების უფლება გააჩნიათ მხოლოდ იმ დაზარალებულებს, რომლებიც საცხოვრებელი სადგომის გარეშე დარჩნენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
18 ივლისის № ბს-254-240 (კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2006 წლის 14 იანვარს კ. ო-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ლენტეხის რაიონულ სასამართლოს ლენტეხის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა 2005 წლის აპრილ-მაისის სტიქიური მოვლენების დროს . . . ლარის ოდენობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასარჩელო განცხადებაში მითითებული იყო, რომ 2005 წლის

აპრილ-მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად მთლიანად დაიმენყრა და განადგურდა კ. ო-ის საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, სახნავ-სათესი და საძოვრები. კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით მოსარჩელემ განცხადებებით მიმართა ლენტეხის რაიონის გამგეობასა და ჟახუნდარის საკრებულოს და მიუთითა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის № 190 განკარგულებაზე, რომლითაც სტიქიური უბედურების შედეგად სახლ-კარ დანგრეული ოჯახებისათვის კომპენსაციის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვრა . . . ლარით, თუმცა უშედეგოდ.

მოსარჩელის განმარტებით, ჟახუნდარის საკრებულოს 2005 წლის 10 ივნისის კომისიური წესით შედგენილი აქტის მიხედვით, ადგილზე შემოწმებით დადასტურდა,რომ კ. ო-ის საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, სახნავ-სათესი და საძოვრები მეწყერისაგან იყო დაფარული და ჩამარხული. დაბა ლენტეხის საკრებულოს მიერ გაცემული ცნობით დასტურდებოდა სოფელ . . . -ში კ. ო-ის სახლ-კარის მთლიანად განადგურება, რის გამოც მისი ოჯახი დროებით შეკედლებული იყო სიდედრის ბინაში, რადგან სხვა საცხოვრებელი სახლი არ გააჩნდათ, ხოლო ჟახუნდარის საკრებულოს მიერ 2005 წელს გაცემული ცნობით დასტურდებოდა, რომ იგინამდვილად ცხოვრობდა სოფელ ...ში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა დაბა ლენტეხის რაიონის გამგეობისათვის მის სასარგებლოდ . . . ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება.

2. ლენტეხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით კ. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ, ლენტეხის რაიონის გამგეობას დაევალა მოსარჩელისათვის . . . ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება, რომელიც წარმოადგენდა სტიქიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილებისათვის გადასაცემ საკომპენსაციო თანხას.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლენტეხის რაიონის გამგეობამ და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, ლენტეხის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005

წლის აპრილში სტიქიური მოვლენების შედეგად განადგურდა კ. ო-ის სახლ-კარი. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის №190 განკარგულების მე-3 პუნქტის თანხმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა უზრუნველეყო უსახლკაროდ დარჩენილი თითოეული ოჯახისათვის . . . ლარის გადაცემა. თანხა უნდა გაცემულიყო ადგილობრივი ორგანოდან, შესაბამისი დოკუმენტების წარდგენისას, მაგრამ დახმარების ასეთი ფორმა კ. ო-ის მიმართ არ გამოყენებულა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ლენტეხის რაიონის გამგეობა უარს აცხადებდა დახმარების გაცემაზე, რადგან კ. ო-ს მიგრაციის რეგიონში გამოყოფილი ჰქონდა სახლი, მაგრამ ირკვეოდა, რომ აღნიშნული სახლი გამოყოფილი იყო 1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო და ეკუთვნოდა არა კ. ო-ს, არამედ მის მამას – ვ. ო-ს, მთავრობის დაახელებული დადგენილება კი ეხებოდა 2005 წელს მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირებს. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ კ. ო. ცხოვრობდა ლენტეხის რაიონის სოფელ ...ში და არა მიგრაციის რეგიონში. მიგრაციის რეგიონის ცნობით დადასტურებული იყო, რომ სამოსახლო ნაკვეთი გამოყოფილი იყო კ. ო-ის მამის – ვ. ო-ის სახელზე, ხოლო იქ არსებულ სახლში ცხოვრობდა ვ. ო-ის მეორე შვილი – ვ. ო. თავისი ოჯახით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კ. ო. მიეკუთვნებოდა უსახლკაროდ დარჩენილ პირთა კატეგორიას.

4. ლენტეხის რაიონის გამგეობამ საკასაციო საჩივრით მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის № 190 განკარგულება ეხებოდა მხოლოდ იმ ოჯახებს, რომლებიც სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩნენ, ხოლო კ. ო-ს, დამეწყრილი საცხოვრებელი სახლის გარდა, კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი გააჩნდა, ამასთან, 2005 წელს კ. ო. სოფელ . . .ში საერთოდ არ ცხოვრობდა, რადგან 1987 წელს სოფელ . . .ში მცხოვრები ყველა მოსახლე დაექვემდებარა მდგრად ადგილზე გადაყვანას, ვინაიდან შეპოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ტერიტორია საში-

ში იყო საცხოვრებლად და ამ მიზეზის გამო, იმჟამინდელი სახალხო დეპუტატთა ლენტეხის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით სოფელ . . .-ში მცხოვრები ყველა მოსახლე, მათ შორის, კ. ო. და მისი ოჯახიც ჩასახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

კასატორის მტკიცებით, კ. ო-ზე საკომპენსაციო თანხის გაცემა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნებაყოფლობით ჩააბარებდა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჭ-ში მისთვის გადაცემულ საცხოვრებელ სახლს და საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, ხოლო სოფელ . . .ში მის მამაპაპისეულ სახლს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ლენტეხის რაიონის შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე, საცხოვრებლად თუ უვარგისად მიიჩნევდნენ.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ჟახუნდარის თემის საკრებულოს ცნობა – აქტის მიხედვით, 2005 წლის აპრილ-მაისის სტიქიური მოვლენების შედეგად კ. ო-ის საცხოვრებელი სახლი დაინგრა. ჟახუნდრის თემის საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს წევრებისგან შემდგარი კომისიის აქტის მიხედვით, კ. ო-ის საცხოვრებელი სახლი, დამხმარე ნაგებობები, სახნავ-სათესი და საძოვრები მთლიანად მეწყერმა დაფარა და ჩამარხა, რაც გამოიწვია 2005 წლის აპრილ-მაისის სტიქიურმა მოვლენებმა.

ჟახუნდრის თემის საკრებულოს გამგებლის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, კ. ო-ი ნამდვილად ცხოვრობს ლენტეხის რაიონის სოფელ . . .ში. დაბა ლენტეხის საკრებულოს ცნობის თანახმად, კ. ო. ცხოვრობდა დაბა ლენტეხში სიდედრის ბინაში და იმჟამად მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდა, ვინაიდან სტიქიურმა მოვლენებმა მას სახლი მთლიანად დაუნგრია სოფელ . . .ში.

სსიპ „ს. . .ს“ ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, 2005 წლის 28 აპრილს მეწყერმა დაანგრია და მთლიანად წალეკა კ. ო-ის საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი. მიგრაციის რეგიონისათვის შედგენილი კითხვარის მიხედვით, ვ.ო-ის ოჯახი შედგება შემდეგი პირებისაგან: ა. ლ. (მეუღლე), კ. ო.

(შვილი), ჩ. და ლ. ო-ები (შვილიშვილები) და გ. ზ. (რძალი), ხოლო ვ. ო-ის ოჯახი დაზარალდა 1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიის შედეგად იგი მიგრირებულია სოფელ...იდან, ხოლო სახელმწიფოს მიერ შესყიდულ ბინაში ცხოვრობს ვ. ო.

კასატორი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ კ. ო არ არის უსახლკარო და მასზე არ ვრცელდება საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის № 190 განკარგულება. იგი შეეხება იმ ოჯახებს, რომლებიც სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩნენ, ამასთან, კასატორი აღნიშნავდა, რომ კ. ო-ს, დამეწყრილი საცხოვრებელი სახლის გარდა, აქვს კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, როგორც კასატორი მიუთითებდა, თუ კ. ო. ნებაყოფლობით ჩააბარებდა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჭ...ში მისთვის გადაცემულ საცხოვრებელ სახლს და საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი მისთვის საკომპენსაციო თანხის გაცემა.

საკასაციო სასამართლოს მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ შეაფასა მოცემულ საქმეზე ძირითადი მტკიცებულება – 1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიის გამო, ვ. (მამა) და კ. ო-ების ოჯახის მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების შესაძლო ზეგავლენა მისი სარჩელის საფუძვლიანობაზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 მაისის № 190 განკარგულების „სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის ფინანსური დახმარების შესახებ“ მე-3 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს უნდა უზრუნველეყო უსახლკაროდ დარჩენილი თითოეული ოჯახისათვის . . . ლარის გადაცემა. განკარგულებაში მითითებულია, რომ იგი შეეხებოდა ბოლო პერიოდში სტიქიური მოვლენების შედეგად საცხოვრებელი სახლების დანგრევის გამო, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევას. შესაბამისად, დასახელებული განკარგულება ითვალისწინებდა გადაუდებელ ფინანსურ დახმარებას მხოლოდ 2005 წლის აპრილ-მაისში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართ-

ლომ ისე მიაკუთვნა კ. ო. უსახლკაროდ დარჩენილ პირთა კატეგორიას, რომ არ უმსჯელია 1987 წელს სვანეთიდან ვ. და კ. ო-ების ოჯახის მიგრაციის შედეგად მათთვის საცხოვრებელი სახლის გამოყოფის ფაქტზე.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმეში წარმოდგენილი კ. ო-სთვის ზიანის მიყენების შესახებ ჟახუნდრის თემის საკრებულოს ცნობები არ გამორიცხავს 1987 წელს სვანეთში მომხდარი სტიქიის გამო, ვ. და კ. ო-ების ოჯახის მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას, რის გამოც მის მიერ ლენტეხის რაიონის გამგეობისაგან ზიანის სახით 5000 ლარის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა დეტალურად გარკვევას საჭიროებდა.

4. რეპრესირებულ პირთა მემკვიდრეებისათვის XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამორთმეული ქონების დაბრუნების თაობაზე სარჩელები ხანდაზმული და ამასთანავე, სათანადო კანონის არარსებობის გამო, უსაფუძვლოა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2004 წლის
28 აპრილის №ბს-501-602ა-კ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2002 წლის 25 ივლისს ნ. და ა. ნ-ებისა და მ. მ-ის რწმუნებულმა თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი აღძრა და მიუთითა, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისინი აღიარებული იყვნენ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე ცნობილნ იქნენ წინაპრების მემკვიდრეებად, რომელთა საკუთრებასაც წარმოადგენდა ქალაქ თბილისში მდებარე . . . კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ორსართულიანი სახლი ფლიგელით. აღნიშნულს ადასტურებდა 1875 წლის ჩანართი ფურცელი და 1879 წლის №3335 რეესტრით დამოწმებული სანოტარო აქტი.

მოსარჩელეები თავიანთ მოთხოვნებს საქართველოს კანონის „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მე-8 მუხლის 1-ლ და მე-

11 მუხლის მე-2 პუნქტებზე ამყარებდნენ, რომელიც მსხვერპლად აღიარებულ პირსა და მის მემკვიდრეებს პირადი ნივთების დაბრუნების უფლებას აძლევდა. მოსარჩელეთა მოსაზრებით, ერთ-ერთ პირად ნივთს ზემომითითებული უძრავი ქონება წარმოადგენდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მათი საკუთრება იყო.

მოსარჩელეთა მითითებით, ქ. თბილისის მერიამ ქონება არამართლზომიერად აღწერა, რამაც გამოიწვია ახალი მფლობელებისა და მესაკუთრეების წარმოშობა, რომელთა უფლება საჯარო რეესტრშიც იყო რეგისტრირებული. მოსარჩელეთა მოსაზრებით, აღნიშნული გარემოებით შეილახა მათი, როგორც კანონიერი მემკვიდრეების, უფლებები.

ნ. და ა. ნ-ეებისა და მ. მ-ის მოსაზრებით სადავო ქონება მათი საკუთრება იყო და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, მათვე უნდა დაბრუნებოდა. ამასთან, ისინი 1991 წლიდან აღნიშნულ ქონებაზე დადებული გარიგებების გაუქმებას, ქონების მათ სახელზე აღრიცხვას ან მოპასუხე სს „. . . -ის“ მათ სასარგებლოდ ქონების ღირებულების . . . აშშ დოლარის გადახდას, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მერიისათვის მისი სტრუქტურების მიერ ქონების არამართლზომიერი აღწერით გამოწვეული ზიანის – . . . დოლარის დაკისრებას მოითხოვდნენ.

მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელეებმა დააზუსტეს სარჩელი: გაზარდეს ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა ან მის ნაცვლად სახლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა მოითხოვეს.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა ქონების ღირებულების მოთხოვნაზე უარი განაცხადა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელს მხარი დაუჭირა.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელეების მოთხოვნებს მიწის ნაკვეთის დაბრუნებაზე, სახლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენასა და დაბრუნებაზე, ქონების მოსარჩელეთა საკუთრებად აღრიცხვაზე, უარი ეთქვა ხანდაზმულობის გამო, ხოლო ქონებაზე 1991 წლის შემდეგ დადებული გარიგების ბათილად ცნობასა და ქ. თბილისის მერიის მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნებს, უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებე-

ბზე დააფუძნა:

სახელმწიფო ცენტრალური არქივის ცნობით დადგენილი იყო, რომ სადავო ბინა 1928 წელს მუნიციპალიზებული იყო, ე.ი. ქონება არ იყო მსჯავრდებიდან გამომდინარე, კონფისკაციის გზით ჩამორთმეული.

საქართველოს ცაკის ფონდის 1928 წლის 27 ივნისის სიით (რომლითაც დადასტურებულია ქონების მოუვლელობის ფაქტი) და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის დადგენილების „სახლის ყოფილ მფობელთათვის დაბრუნების შესახებ" №3 დანართით დგინდებოდა, რომ მოსარჩელეთა წინაპრებს უარი ეთქვათ მოუვლელობის გამო მუნიციპალიზებულ სახლის დაბრუნებაზე.

სასამართლო კოლეგიამ საქმის მასალებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ სადავო ურთიერთობა ქონებაზე 1928 წლიდან წარმოიშვა, როდესაც მუნიციპალიზებული ქონების მესაკუთრეთათვის უფლებების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა. შესაბამისად, გასული იყო იმ დროს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამასთან, საგულისხმო იყო ისიც, რომ თუ მოსარჩელეები თვლიდნენ, რომ მათ ან მათ წინაპრებს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით შეზღუდული ჰქონდათ სარჩელის აღძვრის უფლება, 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსმა მოსპო ყველა შეზღუდვა და მოსარჩელეებს ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ თავიანთი უფლებების დასაცავად მაინც უნდა მიემართათ სასამართლოსათვის.

სასამართლო კოლეგიამ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელეების მოთხოვნა სს „. . .-ის" მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, რადგან დასახელებული მუხლი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლებას მესაკუთრეს ანიჭებს, ხოლო საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ სადავო ქონების მესაკუთრეს სს წარმოადგენდა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, სასამართლო კოლეგიამ ასევე უსაფუძვლოდ ჩათვალა ქონების თაობაზე 1991 წლიდან დადებული გარიგებების ბათილად ცნობის მოთხოვნაც, რადგან მოსარჩელეები ვერ ასაბუთებდნენ მათი ბათილობის სამართლებრივ საფუძვლების არსებობას.

სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო,

აგრეთვე, ქ. თბილისის მერიის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაყენებული მოთხოვნაც, რადგან საქმის მასალებით არ დგინდებოდა ქ. თბილისის მერიისა და მისი სტრუქტურების მოქმედების შედეგად მოსარჩელეებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

3. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. და ა. ნ-ეებისა და მ. მ-ის რწმუნებულმა, რომელმაც მოითხოვა რა მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, მიუთითა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტი. ამით სასამართლომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას, იგნორირება გაუკეთა ზემოთ მითითებულ გადაწყვეტილებას, არ ჩათვალა უფლებები აღდგენილად და მხოლოდ მოპასუხისა და მესამე პირის განმარტებებიდან გამომდინარე, მოთხოვნა ხანდაზმულად ჩათვალა.

კასატორის გამარტებით, მართალია, საქართველოს კანონის „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი ცალკე კანონით განისაზღვრებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ქონების დაბრუნების მოთხოვნით დარღვეული უფლებების აღსადგენად სასამართლოსათვის მიმართვის უფლების არარსებობას.

4. საკასაციო პალატის განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1922 წლის 22 აგვისტოს ნ. და ა. ნ-ეებისა მამა – შ. ნ. საქართველოს საგანგებო კომისიამ დააპატიმრა და ყაჩაღობის გამო გაასამართლა, მაგრამ მან მოახერხა საფრანგეთში გაქცევა. სახელმწიფო ცენტრალური არქივის ცნობით დასტურდებოდა, რომ ქალაქ თბილისში მდებარე სადავო ბინა, მოუვლელობის გამო, 1928 წელს კონფისკაციის გზით მუნიციპალიზებულ იქნა.

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს

გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ნ. და ა. ნ-ძეების მამა – შ. ნ. და მათი დედა მ. ა., პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად იქნენ აღიარებული და იმავე სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეები თავიანთი წინაპრების მემკვიდრეებად გამოცხადდნენ.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თბილისის საოლქო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და სწორად განმარტა იგი, რის გამოც არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სასამართლო კოლეგიის მსჯელობა ხანდაზმულობის საკითხზე და განმარტა:

1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსმა, რომელმაც 1923 წლის კოდექსი შეცვალა, დაუშვა ვინდიკაციური სარჩელი და, შესაბამისად, გაუქმდა მანამდე არსებული ყველა ნორმატიული თუ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც ამ საკითხს არეგულირებდა. ამ კოდექსის 146-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრე უფლებამოსილი იყო, თავისი საკუთრება (ქონება) უკანონო მფლობელისაგან გამოეთხოვა, აქვე დადგინდა კეთილსინდისიერი შემძენისგანაც საკუთრების გამოთხოვის წესი და პირობები.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი იერარქიულად უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ცაკის 1938 წლის 8 თებერვლის ცირკულარული წერილი იმ ქონების დაბრუნებაზე შუამდგომლობათა მიღებისა და განხილვის შეწყვეტის შესახებ, რომლებიც 1933 წლის ჩათვლით იყო ჩამორთმეული.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დარღვეული სამოქალაქო უფლების აღდგენის შესაძლებლობას 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსიც ითვალისწინებდა და ხანდაზმულობის ვადად 3 წელს ადგენდა. ანალოგიური ვადა თავისი ქონების სხვა პირისაგან გამოთხოვისათვის 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსითაც იყო გათვალისწინებული და თუ მოსარჩელეები თვლიდნენ, რომ 1923 წლის კოდექსის მოქმედების განმავლობაში მათ გარკვეული შეზღუდვები ჰქონდათ და თავიანთი უფლებების დაცვის რეალური შესაძლებლობა არ გააჩნდათ, 1964 წლის კოდექსის მიღების შემდგომ აღნიშნული სამართლებრივი პრობლემა სრულად მოისპო. ამიტომაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, სადავო ურთიერთობა 1928 წელს წარმოიშვა, მაშინ, როდესაც მოსარჩელეების წინაპრებს სადავო ქონება, მოუვლელობის გამო, ჩამოართვეს

და სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხეს, მაგრამ მათ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, თუ არა 1928 წლიდან, 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის მოქმედების განმავლობაში მაინც უნდა გამოეყენებინათ.

მოსარჩელეებმა სასამართლოს მხოლოდ 2002 წელს მიმართეს, რაც სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის უპირობოდ გაშვებას არაორაზროვნად გულისხმობს; საქმის მასალებით არ დასტურდებოდა და არც მხარეებს წამოუყენებიათ მტკიცება იმის თაობაზე, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საპატიო მიზეზით შეჩერებული იყო.

ამიტომაც, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა სადავო ქონების სს „. . .-ის " საკუთრებიდან გამოთხოვისა და ამ უკანასკნელზე მათი საკუთრების უფლების აღდგენის თაობაზე, ხანდაზმული იყო და მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

გარდა აღნიშნულისა, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის მართებულობის დასასაბუთებლად საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კანონის „საქართველოს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" დებულებებზე და განმარტა: დასახელებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირს აღუდგება პოლიტიკური რეპრესიის შედეგად დარღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო და სხვა სახის უფლება და თავისუფლება, მაგრამ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, საკუთრების უფლება სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაა და მოცემულ დავაზე დასახელებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი უნდა გავრცელდეს და საკუთრების უფლება აღდგეს, მაგრამ მე-8 მუხლის ცალკე გამოყოფილი მე-3 პუნქტი 1-ლი პუნქტისაგან გამონაკლისს, განსხვავებულ წესს ადგენდა. ამ ნორმის მიხედვით კანონის მე-8 მუხლი რეაბილიტირებულთა საკუთრების უფლების უპირობო და მექანიკურ აღდგენას არ ითვალისწინებდა და ქონებრივი საკითხის მოწესრიგებისათვის ცალკე, სხვა კანონზე მიუთითებდა. სამართლის თეორიაში დამკვიდრებული

ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, ერთსა და იმავე ნორმაში ზოგადი წესიდან გამონაკლისი დებულების არსებობისას, ე.წ. „საგამონაკლისო ნორმები" უპირატესი ძალისაა და ისინი უნდა იქნეს გამოყენებული. ამიტომაც, კასატორის მსჯელობა, რომ მას მითითებული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საკუთრების უფლებაც აღუდგა, არ გამომდინარეობდა მოქმედი კანონმდებლობიდან და ცალკე კანონის რეგულირების საგანს წარმოადგენდა.

5. ნორმატიული ქტები, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და შესასრულებლად სავალდებულო ძალა აქვთ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის №ბს-1283-1247(2კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. გ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოპასუხეებისათვის . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი ოჯახი ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების შედეგად დაზარალდა საცხოვრებელი ბინისა და პირადი ქონების განადგურებით. საქართველოს პრეზიდენტმა 1996 წლის 26 ივლისის №180 განკარგულებით აღიარა მოქალაქეებისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, ჩამოაყალიბა დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისია (შემდგომში საზოგადოებრივი კონტროლის კომისია, – ჯ.რ.), რომელიც უზრუნველყოფდა ეტაპობრივად საკომპენსაციო თანხების გაცემას.

მოსარჩელის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ზარალი სრულად არ ანაზღაურებულა, 2003 წლიდან შეუწყდა საკომპენ-

საცო თანხების მიღება. საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის ცნობის თანახმად, მის მიმართ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეადგენს 10 750 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და მან ამ თანხის გაცემის მოთხოვნით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიას, თუმცა უშედეგოდ.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით საზოგადოებრივი კონტროლის კომისია საქმეში ჩაება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს – ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ა. გ-ას სასარგებლოდ დაეკისრათ სოლიდარულად . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის ცნობით, . . . ქუჩა №1-ში მცხოვრებ ა. გ-ას სამართალმემკვიდრის ა. ჩ-ას, ზარალის ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა . . . აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების შედეგად დაზარალებულებისთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურება მოწესრიგებულია ნორმატიული აქტებით, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის №180 განკარგულებით „თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შესახებ", საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის №336 დადგენილებით „ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის №197 ბრძანებულებით „ქ.

თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 1997წლის №704 ბრძანებულებით „თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარის მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზიანის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ".

ამ აქტებით, 1991-1992 წლებში დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალათ, როგორც ქალაქ თბილისის მერიას, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ამასთანავე, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზარალის ანაზღაურებასა და სახლების აღდგენა-მშენებლობაში.

ამრიგად, პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა. პალატამ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

4. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქ. თბილისის მერია აღნიშნავდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და ქ. თბილისის მერია არ წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 464-ე მუხლების თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა კანონი და ხელშეკრულება, რომლითაც ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურების მოვალეობა. ასევე, სახეზე არ იყო ვალდებულების საგნის განუყოფლობა. ნორმატიული აქტებით მკაფიოდ გაიმიჯნა

თითოეული მოვალის ვალდებულებები. ქ. თბილისის მერიას დაევალა მხოლოდ სახლების აღდგენა, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ ჩაბარება, ასევე მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის მიზნით აშენებულ სახლებში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართების აუქციონის წესით რეალიზაცია. კასატორის განმარტებით, მას განსაზღვრული წილით დაევალა მონაწილეობის მიღება მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში, რის გამოც სასამართლოს მითითება ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევაზე დაუსაბუთებელი იყო. კასატორმა – ქ. თბილისის მერიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული იყო, ვინაიდან მას ზიანი მიადგა 1991-1992 წლებში, ხოლო სარჩელი სასამართლოს 2009 წელს წარედგინა.

კასატორი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის ცნობით გათვალისწინებული ა. გ-ზე გასაცემი საკომპენსაციო თანხის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეკისრებოდა 1996 წლის 28 თებერვლის №197 ბრძანებულებისა და 1996 წლის 26 ივლისის №180 განკარგულების საფუძველზე.

კასატორმა მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული განკარგულებით დაევალა არა საკომპენსაციო თანხების გაცემის უზრუნველყოფა, არამედ პარლამენტში წარდგენის მიზნით, შესაბამისი წინადადებების შემუშავება. ამასთან, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ მე-5 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების მიხედვით, ბიუჯეტის საბოლოო ფორმირება დამოკიდებულია კანონით დადგენილი პროცედურების გავლაზე და საკომპენსაციო თანხების გაცემის ვალდებულება იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კანონით დადგენილი წესით, პროცედურების გავლის შემდეგ, აისახებოდა საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის №197 ბრძანებულებით შეიქმ-

ნა თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც, ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევალა დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობის პროგრამის შემუშავება, მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის №336 დადგენილების, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის №180 განკარგულებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1 დეკემბრის №704 ბრძანებულების საფუძველზე, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაღაურებისა და საცხოვრებლი სახლების მშენებლობის შესახებ სახელწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება ერთობლივად დაევალათ როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 10 სექტემბრის №17.05.377 დადგენილებით შექმნილმა კომისიამ განსაზღვრა ქ. თბილისის ბიუჯეტში შექმნილი ფონდიდან დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის კომპენსაციის მიზნით სახსრების გადარიცხვის განხორციელების წესი.

საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის ცნობის თანახმად, აწ. გარდაცვლილ ა. ჩ-ას სამართალმემკვიდრის ა. ჩ-სთვის მატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხა შეადგენდა . . . აშშ. დოლარის ეკვივალენტ ლარს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 9 ივნისის №09/06/02 განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტის №180 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გაუქმდა განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტები, რომლითაც მატერიალური ზარალი 8,0 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით იყო განსაზღვრული.

ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის №13.07.506 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ის აქტები, რომლებითაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და მის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა 1991-1992 წწ. დეკემბერ-

იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისია. ამ უკანასკნელმა მიიჩნია, რომ დაზარალებულ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობების გაანგარიშება მოხდა დარღვევებით, გაურკვეველ სამართლებრივ საფუძველზე, ამიტომაც გაუქმდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ გაცემული ცნობები.

ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის №15.02.578 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის №01.15.12 დადგენილება, რომელიც დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებას შეეხებოდა.

ამასთანავე, დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის №336 დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის №197 და 1997 წლის 1 დეკემბრის №704 ბრძანებულებები და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის №180 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და მათ სავალდებულოდ შესასრულებელი ძალა გააჩნდათ.

ამ ნორმატიული აქტების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალათ როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობისათვის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამიტომაც, არსებობს მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელეებს მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვათ 1996 წელს, როდესაც მითითებული ნორმატიული აქტებით, მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუ-

ჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ არსებობდა რა მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, მხოლოდ 1991-1992წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების გაუქმება, რომლებშიც მითითებული იყო მიყენებული ზიანის მოცულობა, ვერ მიიჩნეოდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად.

ამასთანავე, საკასაციო პალატამ საჭიროდ მიიჩნია, რომ დასადგენი იყო მოსარჩელისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, რის პროცესუალურ შესაძლებლობასაც იგი მოკლებული იყო და რის გასარკვევადაც საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის.

6. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, ქ. თბილისის მერია და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს.[1]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისი
№ ბს-970-943(2კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. კ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მო-

1 ანალოგიური დებულებაა დაფიქსირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის № ბს-943-917(კ-10) და 27 ივლისის № ბს-1698-1654(2კ-10) განჩინებებში, იხ. ასევე ნინა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 20 ივლისის №ბს-1283-1247(2კ-10) განჩინება.

პასუხეებისათვის მის სასარგებლოდ სოლიდარულად . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ, მოპასუხეებს – ქ.თბილისის მერიასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრათ სარჩელში მითითებული თანხის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებზე:

მოსარჩელე ვ. კ. წარმოადგენდა ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირს; „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის" (შემდგომ, საზოგადოებრივი კოტროლის კომისია, –ჯ.რ.) ცნობით, კ-ისათვის ასანაზღაურებელი ზარალის საკომპენსაციო თანხა შეადგენდა . . . ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტ ლარს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის № 336 დადგენილებით, „ქ. თბილისის 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წ. იანვრის მოვლენების დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და მათთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის № 197 ბრძანებულებით „თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა–მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის №704 ბრძანებულებით „თბილისში 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობისათვის მატერიალური ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციის შესახებ", 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, რიგი ღონისძიებების გატარება დაევალათ როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს და თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი

ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელეს მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წელს, რა დროსაც, დასახელებული ნორმატიული აქტებით, მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს – წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის №197 ბრძანებულების მე-2 პუნქტით, სამთავრობო კომისიას ასევე დაევალა, დაზარალებულთა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოქალაქე ვ. კ. ცნობილი იქნა 1991-92 წლების თბილისის მოვლენების შედეგად დაზარალებულ პირად და რომლისთვისაც მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა შეადგინა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში, საიდანაც ასანაზღაურებელი დარჩა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა.

სასამართლომ, დასახელებული სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალა როგორც ქ. თბილისის მერიას, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. შესაბამისად, ქ. თბილისის მერია და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენდნენ სოლიდარულ მოვალეებს.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც

მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

4. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა.

ქ. თბილისის მერიამ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნულ დავაში სოლიდარულ მოვალეებად მიჩნევა სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო. სასამართლოს ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 464-ე მუხლებიდან. არ არსებობდა არც კანონი და არც ხელშეკრულება, რომლითაც ქ. თბილისის მერიასა და ფინანსთა სამინისტროს დაეკისრებოდა სოლიდარული ვალდებულება. თბილისის მერიამ ყველა დაზარალებულის და მათ შორის მოსარჩელის მიმართაც შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, რაც გამოიხატა მათთვის საცხოვრებელი ბინების მშენებლობასა და საექსპლუატაციოდ ჩაბარებაში.

კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე და 137-ე მუხლების საფუძველზე ხანდაზმულს წარმოადგენდა. ვ. კ-ის სასარგებლოდ თანხის გადახდა ბოლოს მოხდა 2003 წელს, ხოლო სარჩელი 2009 წელს იქნა აღძრული, რის გამოც მისი მოთხოვნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის № 180 განკარგულებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ეკისრებოდა ვალდებულება, დაზარალებული მოსახლეობის ზიანის ასანაზღაურებლად 5 მილიონი ლარი გაეთვალისწინებინა სახელმწიფოს 1996-97 წლების ბიუჯეტების პროექტებში. საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ მე-5 მუხლზე მითითებით, კასატორის მოსაზრებით,

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვერ იქნება პასუხისმგებელი მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე, რადგან სამინისტროს დაევალა არა საკომპენსაციო თანხის გაცემის უზრუნველყოფა, არამედ, პარლამენტში წარდგენის მიზნით, შესაბამისი წინადადების შემუშავება. კასატორის აზრით, საკომპენსაციო თანხების გაცემის ვალდებულება იარსებებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხა კანონით დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, აისახებოდა „საქართველოს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონში.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებერვლის № 197 ბრძანებულებით შეიქმნა თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობისა და მათთვის მატერიალური ზარალის ანაზღაურების სამთავრობო კომისია, რომელსაც, ამავე ბრძანებულების მე-2 პუნქტის საფუძველზე, დაევალა ქ. თბილისში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში მომხდარი მოვლენების შედეგად დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობის და მოსახლეობისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ეტაპობრივი ანაზღაურების პროგრამის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის № 336 დადგენილების, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის № 180 განკარგულებისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 1 დეკემბრის № 704 ბრძანებულების საფუძველზე, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებლი სახლების მშენებლობის შესახებ სახელწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალა როგორც თბილისის მერიას, ასევე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა

მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის ცნობის თანახმად, ვ. კ-ისათვის მიყენებულმა მატარიალურმა ზარალმა (განადგურებული საცხოვრებელი ბინის გარდა) შეადგინა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. იგი ერთდროულად იფარებოდა და სარჩელის აღძვრის მომენტისათვის მატერიალური ზარალის საკომპენსაციო თანხამ შეადგინა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.

სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის №180 განკარგულებაზე და საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის ცნობაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 9 ივნისის 09/06/02 განკარგულებით, საქართველოს პრეზიდენტის № 180 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად, გაუქმდა განკარგულების მე-4 და მე-8 პუნქტები, რომლითაც მატერიალური ზარალი განსაზღვრული იყო 8,0 მილიონი აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით და ქ. თბილისის მერიას ევალებოდა პროგრამის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის №13.07.506 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტისა და ქ. თბილისის მერიის ის დადგენილებები, რომლებითაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია და დამტკიცდა მისი წესდება. მისი უფლებამონაცვლის სახით შეიქმნა 1991/92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის 2011 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით, გაუქმდა საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ოდენობის შესახებ გაცემული ცნობები. ამასთანავე, ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 14 ივნისის № 15.02.578 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა ქ. თბილისის მთავრობის 2001 წლის 24 იანვრის. №01.15.12 დადგენილება.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას,

რომ დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ დავალიანების არსებობის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის №336 დადგენილება, საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 თებრვლის №197 და 1997 წლის დეკემბრის 704 ბრძანებულებები, ასევე საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 26 ივლისის № 180 განკარგულების ის ნაწილი, რომლითაც სახელმწიფომ აღიარა დაზარალებულ მოქალაქეთა მიმართ არსებული დავალიანება, არ გაუქმებულა და შესაბამისად, არ დაუკარგავს იურიდიული ძალა. ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, 1991-92 წლების მოვლენების დროს დაზარალებული მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესახებ სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად რიგი ღონისძიებების გატარება დაევალა როგორც თბილისის მერიას, ისე ფინანსთა სამინისტროს, თითოეულს უნდა მიეღო მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში – მოსახლეობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებასა და სახლების მშენებლობაში. ამიტომაც, არსებობდა მოპასუხეთა ვალდებულების დამდგენი ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზეც, მოსარჩელეებს მოპასუხეთა მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვათ 1996 წელს, როდესაც მითითებული ნორმატიული აქტებით მერიას დაევალა დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაფინანსების უზრუნველყოფა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს დაევალა წინადადებების შემუშავება დაზარალებული მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად არასაბიუჯეტო და საბიუჯეტო სახსრების მობილიზებისა და გამოყოფის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ, მიუხედავად მოსარჩელის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველის არსებობისა, დადგენას საჭიროებდა ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. 1991-1992 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბელიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების საზოგადოებრივი კონტროლის კომისიის მიერ გაცემული ცნობების გაუქმება, რომლებშიც მითითებული იყო მიყენებული ზიანის მოცულობა, საკასაციო სასამართლოს ართმევდა შესაძლებლობას თვით განესაზღვრა ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. საკასაციო პალატა საპროცესო კანონმდე-

ბლობის თანახმად, მოკლებული იყო ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შესაძლებლობას, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით გაუქმებული 1991-92 წწ. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შედეგად დაზარალებულ თბილისელთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულების კონტროლის კომისიის უფლებამონაცვლის ჩაბმისა და მისგან სათანადო ინფორმაციის გამოთხოვის საშუალებით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების – დაზარალებული მოსარჩელის მიმართ არსებული დავალიანების თანხის ოდენობის დადგენის მიზნით, საჭირო იყო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამიტომაც, საკასაციო საჩივრების ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემდეგ, საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის.

7. დევნილთათვის დადგენილი ყოველთვიური შემწეობა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უკვე მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი, ან გამოხატეს მისი მინიჭებისაკენ მიმართული ნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის,
№ბს-348-345(კ-11) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2010 წლის 9 ივნისს გ. ც-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში. გ. ც. რეგისტრირებული იყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ერთიან ბაზაში და ცხოვრობდა დევნილთათვის განკუთვნილ დროებით საცხოვრებელში.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2010 წლის 20 აპრილს განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. განცხადება უპასუხოდ დარჩა, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას ნიშნავდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" მე-2 მუხლის მე-9 პუნქტში 2006 წლის 6 აპრილს შესული ცვლილების თანახმად, ამ კანონის 1-ლ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდებოდა დაუყოვნებლივ. ამავე კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილების თანახმად კი, დევნილი იღებდა ყოველთვიურ შემწეობას. მოსარჩელის განმარტებით, სამინისტროს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მას მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, დაუყოვნებლივ არ მიენიჭა დევნილის სტატუსი და შესაბამისად, არ დაენიშნა სახელმწიფო შემწეობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ც-მა მოპასუხისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება, შემწეობის თანხის დანიშვნა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული მატერიალური ზიანის – 2008 წლის სექტემბრიდან მიუღებელი შემწეობის თანხის ანაზღაურება მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, გ. ც-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, გ. ც-შთვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ერედვის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მოქალაქე გ. ც. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ცხოვრობდა გორის რაიონის სოფელ ერედვში და მისი ოჯახი შედგებოდა 4 წევრისაგან. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით დასტურდებოდა, რომ მოქალაქე გ. ც-ის მისამართი იყო გორის რაიონი, სოფელი ერედვი. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წერილის თანახმად, გ. ც. და მისი ოჯახი რეგისტრირებული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, როგორც საკომპენსაციო თანხის მიმღები ოჯახი. მისი ოჯახის მონაცემები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2009 წლის 27 თებერვალს გადაეგზავნა.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 20 აპრილს გ. ც-მა განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა. სამინისტროს განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაუტარებია.

საქალაქო სასამართლომ საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" შესაბამისად, განმარტა, რომ დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციას, დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ახორციელებდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლებოდა საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ პირი, რომელიც აღნიშნულ კანონში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებდა მუდმივ საცხოვრებელ

ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავდა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტების თანახმად, დევნილის სტატუსის მაძიებლის, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღებოდა განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს მოსაზრება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ გ. ც-ის განცხადება არ აკმაყოფილებდა კანონმდებლის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს, რის გამოც არ არსებობდა ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების აუცილებლობა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენდა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელი იყო საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავდა ვადას, რომლის განმავლობაში მას უნდა წარედგინა დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ არ ყოფილა გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც ამ ნაწილში გ. ც-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენდა. ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური ზიანის, მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მე-2 და მე-5 მუხლების 1-ლი ნაწილის თანახმად, დევნილთათვის დადგენილი ყოველთვიური შემწეობა გაიცემოდა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, უკვე მინიჭებული ჰქონდათ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ც-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახ-

ალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, გ. ც-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ც-მა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" მე-2 მუხლის მე-9 პუნქტში 2006 წლის 6 აპრილს შესული ცვლილების თანახმად, ამ კანონის 1-ლ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება დაუყოვნებლივ ხდებოდა.

კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ნორმით რეგულირდებოდა განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილობაში ეჭვი არ არსებობდა და საჭირო იყო მათი მყისიერი აყვანა აღრიცხვაზე. მითითებული მუხლით დადგენილი იყო სამინისტროს ვალდებულება, დაუყოვნებლივ მიენიჭებინა დევნილის სტატუსი პირისთვის, რომელიც იძულებით გადაადგილდა სამხედრო თავდასხმის გამო მოსახლეობის ექსტრემალური და მასობრივი გადაადგილების დროს.

კასატორის განმარტებით, სამინისტროსათვის ცნობილი იყო გ. ც-ის დევნილობის შესახებ. სამინისტროს მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მას მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, დაუყოვნებლივ არ მიენიჭა დევნილის სტატუსი და შესაბამისად, არ დაენიშნა სახელმწიფო შემწეობა.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ც-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართ-

ველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გ. ც-ის სასარგებლოდ 2010 წლის ივნისიდან, დაეკისრა მატერიალური ზიანის – 28 ლარის ოდენობით მიუღებელი შემწეობის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ გარემოებებს:

საკასაციო სასამართლომ განჩინება მატერიალური ზიანის, – მიუღებელი შემწეობის თანხის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში დაუსაბუთებლად მიიჩნია და მიუთითა საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

ერედვის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, მოქალაქე გ. ც. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ცხოვრობდა გორის რაიონის, სოფელ ერედვში და მისი ოჯახი შედგებოდა 4 წევრისაგან. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით დასტურდებოდა, რომ მოქალაქე გ. ც-ის მისამართი იყო გორის რაიონი, სოფელი ერედვი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წერილის თანახმად, გ. ც. და მისი ოჯახი რეგისტრირებული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ერთიან ბაზაში, როგორც საკომპენსაციო თანხის მიმღები ოჯახი და მისი მონაცემები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაგზავნილი ჰქონდა 2009 წლის 27 თებერვლის წერილით. გ. ც-ის ოჯახს, როგორც იძულებით გადაადგილებულ ოჯახს, მიღებული ჰქონდა დევნილთათვის განსაზღვრული საკომპენსაციო თანხა – . . . აშშ დოლარის ოდენობით ამასთან, გ. ც-ის მეუღლე ლ. ბ-ს მინიჭებული ჰქონდა დევნილის სტატუსი და იღებდა დევნილისათვის განსაზღვრულ შემწეობას.

საკასაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 20 აპრილს გ. ც-მა განცხადებით მიმართა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და დევნილის სტატუსის მინიჭება მოითხოვა, მაგრამ სამინისტროს განცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ ჩაატარა და იგი უპასუხოდ დატოვა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ შესაბამისად, დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციას, დევნილის სტატუსის მაძიებლად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინის-

ტრო. დასახელებული კანონის 1-ლი მუხლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ პირი, რომელიც ამ კანონში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტების თანახმად, დევნილის სტატუსის მაძიებლის, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" მე-2 მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლის თანახმად, ამ კანონის 1-ლ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდება დაუყოვნებლივ.

ამასთანავე, სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობდა სამინისტროს ვალდებულებას, იძულებით გადაადგილებულ პირს დევნილის სტატუსი მიანიჭოს ავტომატურად, მისი მხრიდან ყოველგვარი ნების გამოვლენის გარეშე.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის 2007 წლის 1 ნოემბრის №124 ბრძანების „იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭებისა და დევნილთა რეგისტრაციის წესის, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნი-

ლის მოწმობის ფორმის, მოწმობის დებულებისა და ანკეტის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, პირი დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს. ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად კი, პირს, რომელიც დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართავს სამინისტროს, განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლით გათვალისწინებული პირის დევნილად ცნობის საფუძვლებთან დაკავშირებით შეიძლება ჩაუტარდეს გასაუბრება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა აწესრიგებს დევნილის სტატუსის მინიჭების ზოგად პროცედურას. ამავე ბრძანების მე-3 მუხლი კი, არსებითად გამომდინარეობს საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მე-2 მუხლის მე-9 პუნქტიდან. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა გულისხმობს დევნილის სტატუსის არა ავტომატურ რეჟიმში, არამედ იძულებით გადაადგილებული პირის მხრიდან ნების გამოვლენის შემთხვევაში, პირადობის მოწმობისა და მასთან გასაუბრების საფუძველზე შემჭიდროებულ ვადაში მინიჭებას.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ც-მა ნება დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ 2010 წლის 20 აპრილს გამოავლინა. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ განცხადების წარდგენამდე მისთვის ცნობილი იყო დევნილის სტატუსის მინიჭების პროცედურის შესახებ, ვინაიდან, მის მეუღლეს ლ. ბ-ს მინიჭებული ჰქონდა დევნილის სტატუსი.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ დევნილთათვის დადგენილი ყოველთვიური შემწეობა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მინიჭებული აქვთ იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ც-ის მოთხოვნა მატერიალური ზიანის სახით – მიუღებელი შემწეობის თანხის 2008 წლის სექტემბრიდან (მის მიერ განცხადების წარდგენამდე პერიოდისათვის) ანაზღაურების ნაწილში უსაფუძვლო იყო.

საკასაციო სასამართლომ გაითვალისწინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ც-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, გ. ც-ისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა, კანონიერ ძალაში არის შესული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ პირობებში, როდესაც კასატორის მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული მატერიალური ზიანის – მიუღებელი შემწეობის თანხის ანაზღაურება წარმოადგენდა, საქმეზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დადასტურებული იყო, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ვერ მიიღო დევნილთათვის განსაზღვრული ყოველთვიური შემწეობა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ მე-2 მუხლის მე-7 და მე-12 პუნქტებზე, რომელთა თანახმად, დევნილის სტატუსის მაძიებლის, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილების „სოციალური

დახმარების შესახებ" 105-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტის თანახმად კი, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და ლტოლვილთა ყოველთვიური შემწეობის ოდენობა კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილსა და ლტოლვილზე შეადგენს 28 ლარს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონით დადგენილ ვადაში კანონშესაბამისი (გ. ც-სათვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ) გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გ. ც. 2010 წლის ივნისიდან ყოველთვიურად მიიღებდა შემწეობას, 28 ლარს და სწორედ ამ თანხის ოდენობით მიუღებელი შემწეობის ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს.

8. თავისთავად, ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პირი არ იყო შეყვანილი რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ, საცხოვრებელი ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა სიაში, არ ართმევს მას კომპენსაციის მიღების უფლებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, 2012 წლის 8 მაისის №ბს-1706-1678 (კ-11) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ვ. ა-მა სარჩელი აღძრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომ, სამინისტრო - ჯ.რ.) და საქართველოს მთავრობის მიმართ.

მოსარჩელე ითხოვდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანების ბათილად ცნობას; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დავალდებულებას – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში გაეცა ვ. ა-ზე საცხოვრებელი ფართის სანაცვლო კომპენსაცია . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის საოქმო განჩინებებით საქმის განხილვაში ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების საფუძველზე, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო და ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ", მიღების დროიდან ვ. ა. ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წარდგენილ, საკომპენსაციო თანხის მიმღებთა სიებში შეყვანილი არ ყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ვ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივარი, რადგან იგი არ იყო შეყვანილი საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილ სიაში, რომელშიც, აღნიშნული განკარგულებით დადგენილი წესით, მიეთითებოდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი (კომპენსაციის მიმღები უფლებამოსილი ოჯახის) პირის სახელი, გვარი პირადობის მოწმობის მონაცემები.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც სასამართლო იმ შემთხვევაში გამოიტანდა გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, თუ ამ ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი ამ მოქმედების განხორციელებაზე უკანონო იყო და ის პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებასა და ინტერესს, ხოლო იმავე კოდექსის 32-ე მუხლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და

უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სამინისტროს ქმედება არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას, რადგან საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფისათვის დამატებითი ღონისძიების განხორციელების შესახებ“, რომლითაც დადგინდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფის საკითხები, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული, ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე, საკომპენსაციო თანხის მიღებისათვის აუცილებელ წინაპირობად ითვალისწინებდა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ სამინისტროსათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული სიების წარდგენას. კერძოდ, ზემოდასახელებული განკარგულების მე-6 ნაწილის თანახმად, ქურთის, ერედვის, თიღვისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების გამგეობებს ეთხოვათ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წარედგინათ აღნიშნული განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახებისა და ამ ოჯახებიდან, სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღები, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული (ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა) უფლებამოსილი პირების (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის მონაცემები, სახელობითი პირადი კოდის მითითებით) სიები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მიღების დროიდან ვ.ა. ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სამინ-

ისტროსათვის წარდგენილ, ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობის სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა სიაში შეყვანილი არ ყოფილა. ამ ფაქტობრივი გარემოების უარმყოფელი რაიმე სახის მტკიცებულება მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა. ამიტომაც, სასამართლომ ჩათვალა, რომ სამინისტრო არ იყო უფლებამოსილი დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა ფულადი კომპენსაციის გაცემის თაობაზე. მით უფრო, რომ ვ.ა-ის ხუთსულიან ოჯახს უკვე მიღებული ჰქონდა საკომპენსაციო თანხის 2 წილი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ უსაფუძვლო იყო მოთხოვნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზეც, რადგან დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგებოდა კანონს, დარღვეული არ იყო მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და ამიტომაც არ არსებობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლით დადგენილი, ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძვლები.

ადმინისტრაციული კოლეგიის მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. სასამართლომ ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ ვერ შეძლო წარედგინა მტკიცებულებები, რომ იგი ირიცხებოდა ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წარდგენილ, საკომპენსაციო თანხის მიმღებთა სიებში და დაედასტურებინა სამინისტროს ქმედებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 2 მარტის №62 ბრძანების კანონით დადგენილი ბათილად ცნობის საფუძვლების არსებობა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ.ა-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, ვ. ა-ის სააპელაციო საჩივარი არ და-

კმაყოფილდა. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ გარემოებები.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-6 მუხლის თანახმად, დაევალა ქურთის, ერედვის, თიღვის, ახალგორისა და აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტების გამგეობებს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის წარედგინათ ამ განკარგულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ოჯახებისა და ამ ოჯახებიდან სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის მიმღები, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული (ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა) უფლებამოსილი პირების (სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის მონაცემები, სახელობითი პირადი კოდის მითითებით) სიები.

ამავე განკარგულების მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსთან ერთად უნდა დაეზუსტებინა ამ განკარგულების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული სიები სახელმწიფოს მიერ შესყიდულ, რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ საცხოვრებელ ფართობებში განსახლებულ დაზარალებულ პირთა სიასთან.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ 2008 წლის 22 დეკემბერს გაგზავნილ სიაში მისი ყოფნა საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ მომხდარიყო მისი საკომპენსაციო თანხით დაკმაყოფილება, ამიტომაც, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების გამოცემის შემდგომ, ამ განკარგულების მოთხოვნათა შესაბამისად, დაზუსტდა საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა წრე, რომელშიც ვ.ა. წარდგენილი არ ყოფილა.

შესაბამისად, პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირობების არარსებობის გამო, ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი ზემოთ დასახელებული განკარგულებით გათვალისწინებული კომპენსაცია განეკარგა ვ. ა-ის სასარგებლოდ.

4. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ვ.ა-მა.

კასატორმა მიუთითა, რომ იგი საკომპენსაციო თანხის მიმღებ პირთა სიაში იყო შეყვანილი და ეს მონაცემები მოპასუხე სამინისტროს გადაეგზავნა.

კასატორის მოსაზრებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა, რომ ქურთის მუნიციპალიტეტის მიერ სამინისტროსათვის წარდგენილ სახელობით სიაში ვ. ა. არ იყო მითითებული, ეს მაინც არ ჩაითვლებოდა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის საფუძვლად. მართალია, კომპენსაციის გაცემის წესის მარეგულირებელი ზემოთ დასახელებული განკარგულებები ითვალისწინებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ სამინისტროსათვის სიების წარდგენის პროცედურას, მაგრამ ეს ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც ოჯახი რამდენიმე წევრისაგან შედგება და საჭიროა კომპენსაციის მიმღები ოჯახის ერთი წარმომადგენლის განსაზღვრა, რომელსაც უშუალოდ გადაეცემა ოჯახის კუთვნილი თანხა. კასატორმა მიუთითა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების მე-6 პუნქტის ტექსტის დასაწყისზე, რომელიც ეხება ზოგადად ოჯახების შესახებ მონაცემების წარდგენას, თუმცა შემდგომ, ტექსტი შინაარსი ცხადყოფდა, რომ ამ შემთხვევაში საუბარი იყო ისეთ ოჯახებზე, რომლებშიც რამოდენიმე პირი ირიცხებოდა. კასატორმა ჩათვალა, რომ სამინისტრო ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა იმის მიუხედავად, იყო თუ არა მოსარჩელე მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებულ სიაში.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვ. ა-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო პალატის განჩინება, საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სამინისტროს დაევალა საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა შემდეგი მოსაზრებებით:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად. ამ დანაწესიდან გამომ-

დინარე, საკასაციო სასამართლომ სამინისტროს ქმედება განიხილა, როგორც ვ. ა-ის განცხადების დაუკმაყოფილებლობის თაობაზე მიღებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი და მისი, ისევე როგორც საქართველოს პრემიერ მინისტრის 2011 წ. 2 მარტის №62 ბრძანების, „ვ.ა-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ", კანონიერება შეამოწმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და სპეციალური ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

პალატამ მიუთითა, რომ ვ. ა-ის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება „რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ". მისი 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაევალა 2008 წლის 6 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი იმ ოჯახების საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფა, რომლებმაც უარი თქვეს სახელმწიფოს მიერ შესყიდული, რეაბილიტირებული ან ახლად აშენებული საცხოვრებელი ფართობების მიღებაზე.

ვ. ა-ის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების თაობაზე, საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის ინფორმაციიდან ჩანდა, რომ მისთვის საკომპენსაციო თანხის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად იქცა ორი გარემოება, კერძოდ, ვ.ა-ის ორი შვილის მიერ საკომპენსაციო თანხის მიღების გამო სამინისტრომ მიზანშეუწონლად მიიჩნია განმცხადებლისათვის დამატებით თანხის გაცემა და მეორე გარემოებას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში გამოიკვეთა და საფუძვლად დაედო სასამართლო გადაწყვეტილებას, წარმოადგენდა ის, რომ ვ. ა. არ იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი წესის შესაბამისად წარდგენილ სიაში, რაც სამინისტროს ართმევდა კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებისათვის გადამწყვეტია აქტის კანონიერება მატერიალური თვალსაზრისით, რაც

ნიშნავს იმას, რომ აქტი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს გამოცემის სამართლებრივ საფუძველს. საკასაციო სასამართლომ მოიხმო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის მე-3 ნაწილი და აღნიშნა, რომ აქტის მიზანშეწონილობის გადამოწმება შედის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, მის მანარმოებელ ორგანოს კომპეტენციაში. სასამართლო ვალდებულებას წარმოადგენს აქტის კანონიერების შემოწმება. ამიტომაც, იმ გარემოებაზე მითითება, რომ ვ. ა-ისათვის თანხის მიცემა მიზანშეუწონელია, სასამართლოს არ აძლევდა მატერიალური კანონიერების თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტების შემოწმების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ სამართლებრივ ნორმებს, რომელსაც მოთხოვნა ეფუძნებოდა და ჩათვალა, რომ წინამდებარე შემთხვევაში სახეზე არ იყო სამინისტროს დისკრეცია, რაც მას მისცემდა არჩევანის განხორციელების შესაძლებლობას და გარკვეულწილად გაამართლებდა პოზიციას მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულება განსაზღვრავდა კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს და იმ პირობებს, რაც ნორმის მოქმედებას მოჰყვება, რადგანაც სადავო აქტები ემყარებოდა არა მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს, არამედ მიზანშეწონილობის საკითხს, სასამართლო მოკლებული იყო აქტის კანონიერებაზე მსჯელობის შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოებები ან ფაქტები, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

ამ ნორმასთან ერთად, საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაპყრო საჯარო სამართალში გამოყენებად იმ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, როგორიცაა კანონიერი ნდობა. საქმეში წარმოდგენილი იყო კასატორისადმი ქურთის მუნიციპალიტეტის და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არაერთი პასუხი, რომლებიც შეიცავდნენ ცალსახა მითითებას იმის თაობაზე, რომ ხორციელდებოდა თითოეული ოჯახის გადამოწმება, რის საფუძველ-

ზეც დადგინდებოდა მათზე კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობა. მათ საფუძველზე პასუხის ადრესატს გააჩნდა კანონიერი ნდობის საფუძველი, რომ მიმდინარეობდა მისი საკითხის შესაწავლა. მას არ შეეძლო სცოდნოდა ან ევარაუდა, რომ არ იყო შეყვანილი საკომპენსაციო თანხის მიმღებთა სიაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსადმი ქურთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართვის შინაარსი ცალსახად ცხადყოფდა, რომ სია გადაცემული იყო კომპენსაციის გაცემის მიზნით.

საკასაციო სასამართლომ გამორიცხა საკითხისადმი იმგვარი მიდგომა, რომ სიები არ ექვემდებარებოდა გადამოწმებას. მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულება შეიცავდა მითითებას სიების გადამოწმების აუცილებლობის თაობაზე, რაც არ გულისხმობდა სამინისტროს უპირობო ვალდებულებას, გაეცა საკომპენსაციო თანხა.

სარჩელთან მიმართებაში საკასაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ კასატორი შეყვანილი იყო თავდაპირველ სიაში, მას არაერთგზის ჰქონდა მიმართული კომპენსაციის მიღების მოთხოვნით და მისთვის არც ერთ ეტაპზე ცნობილი არ იყო ფაქტი იმის თაობაზე, რომ დაზუსტებულ სიაში არ იმყოფებოდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს აქტი კონკრეტული და იმდენად ნათლად ჩამოყალიბებული უნდა იყოს, რომ მის ადრესატს ცალსახად შეეძლოს გაგება, თუ რას მოითხოვენ მისგან. ადმინისტრაციული წარმოების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ აქტის გამოცემით, მას წინ უძღვის იმ გარემოების გამოკვლევა, შესწავლა და შეფასება, რაც შემდგომში საფუძვლად უნდა დაედოს წარმოების საბოლოო შედეგს – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსთვის ცნობილი იყო, რომ ვ. ა. პრეტენზიას აცხადებდა საკომპენსაციო თანხის მიღებაზე. ასეთ პირობებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო ჩაეტარებინა სრულყოფილი ადმინისტრაციული

წარმოება, დაედგინა, არსებობდა თუ არა პირის დაზუსტებულ სიაში შეყვანისა და კომპენსაციის გაცემის საფუძველი და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ მიეღო აქტი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით დაადასტურებდა ან უარყოფდა მოთხოვნის საფუძვლიანობას. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საკითხისადმი იმგვარ მიდგომა, რომ სიაში ყოფნა-არყოფნა კომპენსაციის გაცემის მექანიკურ საფუძველს წარმოდგენდა. სიები ექვემდებარებოდა გადამოწმებას, რაც ნიშნავდა იმას, რომ პირი შესაძლოა არასწორად მოხვედრილიყო სიაში, ისევე როგორც, არასწორად ყოფილიყო სიაში გამოტოვებული (ამოღებული). იმ პირობებში, როდესაც პირი სადავოდ ხდიდა კომპენსაციის გაუცემლობის ფაქტს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო დაედასტურებინა იმ გარემოების არსებობა, რაც შესაბამისი ნორმის საფუძველზე გამორიცხავდა კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 25 დეკემბრის №915 განკარგულების 1-ლი პუნქტის შინაარს, რომელიც ეხება რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული „ოჯახებისათვის საკომპენსაციო თანხის გაცემას. ნორმის არსებული დისპოზიციის პირობებში, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარის მოთხოვნის უარყოფა ან დადასტურება უნდა მოხდარიყო არა მიზანშეწონილობის საკითხიდან გამომდინარე, არამედ ზემოაღნიშნულ ნორმებზე მითითებით და მასთან შესაბამისობით. ნორმა ითვალისწინებდა საკომპენსაციო თანხის გაცემას ოჯახზე და არა ცალკეულ ინდივიდზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სწორედ აღნიშნული გარემოება უნდა ყოფილიყო გამოკვლეული.

საბოლოოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე საკასაციო სასამართლომ დაასკვნა: იმის გათვალისწინებით, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები მიღებული იყო საქმის გარემოებათა არასრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე, ზემოაღნიშნული აქტების ბათილად ცნობის შემდგომ სამინისტროს უნდა დავალებოდა ვ. ა-ის მიმართ ახალი აქტის გამოცემა.

თავი V. სარჩელები მორალური ზიანის ანაზღაურებაზე

1. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 19 მაისის № ბს-1458-1183-კ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2003 წლის 18 აპრილს გ. ნ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საოლქო სასამართლოში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მიუთითა, რომ ჩერნობილის ავარიის შედეგების ლიკვიდაციისას მიიღო სხივური დაავადება, რაც განუკურნებელია. რაიმე ყურადღება, მკურნალობა და კომპენსაცია არავისგან არ მიუღია. შესრულებულ სამუშაოში გადაუხადეს მხოლოდ . . . მანეთი. ჩერნობილის ატომური ავარიის შემდეგ განვლო 15 წელმა, ამ ხნის განმავლობაში არავითარი პრივილეგიით არ უსარგებლია. ჩერნობილში მუშაობის შემდეგ გაუჩნდა კარიესი, სტომატიტი, ეფშვნება კბილები, აკლდება მხედველობა, მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხეშია. მოსარჩელეს განუსაზღვრეს მეორე ჯგუფის ინვალიდობა, სინამდვილეში კი პირველი ეკუთვნოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბირთულ ობიექტებზე ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე მიღებული დასხივებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, საქართველოს 2000 წლის 8 ნოემბრის კანონის „ჩერნობილის ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ" მე-10 მუხლის საფუძველზე, მოსარჩელემ მოითხოვა დაკარგული ჯანმრთელობის სარეაბილიტაციოდ კომპენსაციის სახით, მოპასუხისათვის მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად . . . ლარის დაკისრება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით,

არასათანადო მოპასუხე – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შეიცვალა სათანადო მოპასუხეებით – საქართველოს პრეზიდენტითა და თავდაცვის სამინისტროთი.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, გ. ნ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგი გარემოებების გამო:

სასამართლო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 1987 წლის მაის-აგვისტოში მონაწილეობდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს შემოწმების აქტის ამონაწერის თანახმად, გ. ნ-ს 2006 წლის 1 ივნისამდე დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი. ამ აქტის მიხედვით, ინვალიდობის მიზეზად მითითებულია – დაავადება მიღებული ჩერნობილის ატომურ ელექტრო სადგურზე ავარიის ლიკვიდაციის დროს, ხოლო დიაგნოზად განსაზღვრულია სხივური ტრავმა, ქრონიკული პოლიართრიტი, ქრონიკული პროსტატიტი, ჰეგეტოპათია, ბარძაყის სისხლძარღვთა ანგიოპათია, ტრავმის შ/სიკოჭლე, ძვლის ტვინის ჰიპოპლაზური მდგომარეობა (ლეიკოპენია), ქრონიკული პარადონტიზი, გ.ი.დ. კარდიომიოდისტროფია.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ არ დასტურდებოდა მოსარჩელის სხივური და ლეიკემიით დაავადების ფაქტი. სასამართლო კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ექსპერტების განმარტების თანახმად, სხივური ტრავმა არ ნიშნავს სხივურ დაავადებას. ვინაიდან მოსარჩელე ითხოვდა იმ ზიანის ანაზღაურებას, რაც დაკავშირებული იყო მის მიერ 1987 წლის მაის-აგვისტოში ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიის შედეგების ლიკვიდაციისას მიღებული სხივური ზემოქმედების გამო, დაკარგული ჯანმრთელობის რეაბილიტაციასთან, ამ ურთიერთობათა მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები.

სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო გ. ნ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში, რადგან 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ იცნობდა და შესაბამისად, არ აწესრიგებდა მორალურ ზიანს და მისი ანაზღაურების საფუძვლებს.

მოსარჩელის მიერ მითითებული კანონი „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“ განსაზღვრავდა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურსა და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის სამართლებრივ და ეკონომიკურ საფუძვლებს, ხოლო ამ კანონის მე-5 მუხლით დადგენილი იყო შესაბამისი სოციალური დაცვის ღონისძიებები, რითაც მოსარჩელე სარგებლობდა.

3. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ნ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, რის დასასაბუთებლადაც მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის ნაწილში მიუთითა შემდეგ გარემოებაზე: მართალია, 1964 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ იცნობდა მორალურ ზიანსა და მისი ანაზღაურების საფუძვლებს, მაგრამ არსებობს ანალოგია, რომელიც ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომლებიც არ არის მოწესრიგებული რომელიმე კანონით ან სამართლის დარგით, ამიტომ ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი იყო.

4. საკასაციო პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სრულად დაეთანხმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას გ. ნ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარში მითითებულ კანონდარღვევებს ადგილი არ ჰქონია და სასამართლომ ფაქტობრივ გარემოებათა სწორი გამოკვლევა-დადგენითა და კანონის მართებული გამოყენება-განმარტებით გამოიტანა კანონიერი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა საოლქო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ ფაქტობრივი გარემოებას, რომ კასატორი გ. ნ. 1987 წლის მაის-აგვისტოში, კერძოდ, ორთვენახევრის განმავლობაში მონაწილეობდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში. ასევე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გ. ნ-ს 2006 წლის 1 ივნისამდე

დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი, რომლის მიზეზსაც წარმოადგენდა ჩერნობილის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულების დროს მიღებული სხივური ტრავმა.

კასატორი თვით ადასტურებდა, რომ სალიკვიდაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ აუნაზღაურეს . . . მანეთი.

საქართველოს კანონში „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურსა და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის შესახებ“, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით სპეციალურ კანონს წარმოადგენდა და გ. ნ-ის მსგავსად სხვადასხვა ავარიული სიტუაციის ლიკვიდაციაში მონაწილე პირთა უფლებების დაცვას ემსახურებოდა, გათვალისწინებული არ იყო მონაწილეთათვის ფულადი კომპენსაციების გაცემა. მის ნაცვლად დასახელებული კანონის მე-5 მუხლი აწესებდა სოციალური დაცვის ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ომის ინვალიდებისათვის დადგენილი ოდენობით პენსიით უზრუნველყოფა, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა და სხვა, ამიტომ აღნიშნული კანონის თანახმად, გ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნა მორალური და მატერიალური ზიანის საკომპენსაციოდ . . ლარის მოპასუხეებისათვის დაკისრების შესახებ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო.

2. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს მისი უმოქმედობით, ხეების ამოძირკვის ვალდებულების შეუსრულებლობით, მიყენებულ მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად შეიძლება დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურებაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
18 ივლისის №ბს-234-221(2კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ლ. ხ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ქ. თბილისის მერიის წინააღმდეგ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას ავტომობილს დაეცა ქუჩაში მდგარი ხე, რის შედეგადაც მიიღო მძიმე ტრავმა. მორიგე პატრულმა მოსარჩელე გადაიყვანა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში, სადაც მას ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ქალაქის კეთილმოწყობისა და უსაფრთხოების ზომების გატარებაზე პასუხისმგებელი იყო ქ. თბილისის მერია, რომელსაც ევალებოდა თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს მიერ შემუშავებული პროგრამების აღსრულება და მათ შესრულებაზე უშუალო ზედამხედველობის განხორციელება. მოცემულ შემთხვევაში კი ქ. თბილისის მერიას მომხდარი უბედური შემთხვევის ასაცილებლად შესაბამისი ზომები არ მიუღია, რითაც დაარღვია საქართველოს კანონების „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ", „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" და საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი. აღნიშნული უბედური შემთხვევის შედეგად მოსარჩელე გახდა დროებით შრომისუუნარო, რის გამოც რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას: მას შესაბამის ორგანიზაციაში მარტის პირველ ნახევარში გაფორმებული სამთვიანი კონტრაქტის თანახმად, თვეში 500 აშშ დოლარის ანაზღაურებით უნდა წაეკითხა ტრეინინგის კურსები. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე ოჯახის ერთადერთ მარჩენალს წარმოადგენდა, მისი ოჯახი აღმოჩნდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, მიღებული ფიზიკური ტრავმის გამო, მას გაუკეთდა გადაუდებელი მძიმე ოპერაცია, გაიარა ხანგრძლივი მკურნალობა, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" 46-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1005-ე მუხლების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიისთვის მის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – . . . ლარისა და მორალური ზიანის – . . .ლარის ანაზღაურება, ასევე ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – . . . ლარის დაკისრება მოითხოვა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის – . . . ლარისა და მორალური ზიანის – . . . ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ხ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამაც, რომელმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ლ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მერიას ლ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის – . . . ლარისა და მორალური ზიანის – . . . ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარისადმი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის მიერ 2005 წლის 10 იანვარს გაგზავნილი წერილის თანახმად, დასახელებული კოლეჯის ტერიტორიაზე (ფეხბურთის სტადიონზე) არსებული ყველა ალვის ხე გადაბერებული იყო, მათმა წაქცევამ არაერთხელ გამოიწვია აგურის ღობის ნგრევა, რის გამოც ხეები ამოძირკვას საჭიროებდა. კოლეჯის დირექტორმა მათი ამოძირკვის ნებართვა მოითხოვა. ამასთან, სტაციონარული ავადმყოფის სამედიცინო ბარათისა და მკურნალი ექიმის წერილის თანახმად, 2005 წლის 20 მარტს, 14.05 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში საპატრულო სამსახურის მიერ მიყვანილ იქნა ლ. ხ-ი, რომელსაც

ორივე ბარძაყის ზემო მესამედში შერჭობილი ჰქონდა ხის ნატეხი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წერილის თანახმად, საქართველოს კანონისა „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ შესაბამისად, ქ. თბილისის ქუჩების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე უშუალო კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენდა ქ. თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებას. საქართველოს კანონის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ მე-4 მუხლის თანახმად, ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდებოდა ქ. თბილისის მერიის მეშვეობით. ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა ქ. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. იმავე კანონის 22-ე მუხლის თანახმად კი, ქ. თბილისის მერი ამტკიცებდა ქ. თბილისის კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებსა და გეგმებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სწორედ ქ. თბილისის მერია იყო ვალდებული, ამოეძირკვა ხეები, რომლებიც საშიშროებას ქმნიდა და შეექმნა უსაფრთხო გარემო, რაც არ შესრულდა და რამაც მოცემული შემთხვევა განაპირობა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს უმოქმედობითაც, როგორც მოცემულ შემთხვევაში მოხდა, რადგან, შესაბამისი მოქმედების, კერძოდ, ხეების ამოძირკვისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის მოვალეობა სწორედ მოპასუხეს ეკისრებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობას, მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს, მიზეზობრივ კავშირს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად კი, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, მკურნალობის ხარჯები წინასწარაც მოეთხოვა, რის გამოც სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი მოსარჩელისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის, კერძოდ, ოპერაციის თანხის – . . . ლარის, შპს „ჯი-აი-ენ-ენ" კუზანოვის კლინიკაში მკურნალობის თანხის – . . . ლარის, სამთვიანი შრომისუუნარობით გამოწვეული ზიანის – საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმის – . . . ლარის, სულ – . . . ლარის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო კონსულტაციისთვის . . . ლარისა და მედიკამენტების შესაძენად . . . ლარის გადახდის ქვითრები, მითითებული თარიღები და სამედიცინო პრეპარატების დასახელებები, ლ. ხ-ის ავადმყოფობის სამედიცინო ბარათის ჩანაწერებიდან გამომდინარე, იძლეოდა იმის საფუძველს, რომ ისინი სწორედ მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯების დამადასტურებელ მტკიცებულებებად ყოფილიყო მიჩნეული, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ამ ნაწილშიც უნდა დაკმაყოფილებულიყო.

სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველიც, ვინაიდან დასტურდებოდა, რომ ფიზიკური დაზიანებით მოსარჩელემ მიიღო მორალური ზიანიც. აღნიშნული ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქებას კი სწორედ ამ ზიანის ფულადი კომპენსაცია წარმოადგენდა. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო როგორც მოსარჩელის სუბიექტური დამოკიდებულება ამ ზიანის მიმართ, ისე ობიექტური გარემოებები და მორალური ზიანის ანაზღაურების გონივრულ და სამართლიან ოდენობად . . . ლარი მიიჩნია.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ

ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ხ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ ვერ უარყო ის ფაქტი, რომ ლ. ხ-მა განიცადა მძიმე ფიზიკური ტკივილი, რაც დასტურდებოდა საქმეში არსებული შესაბამისი სამედიცინო დასკვნით, სპეციალისტის სახით მოწვეული მკურნალი ექიმის დაკითხვის ოქმით, ფოტოსურათებითა და ვიდეოფირით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ მტკიცებულებებსა და სამართლის ნორმებზე დაყრდნობით დაადგინა მოპასუხის მხრიდან ლ. ხ-ისათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი, ამასთანავე, გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებად . . . ლარი მიიჩნია, რასაც კასატორი არ იზიარებდა.

სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამაც და მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე მთლიანად უარის თქმა.

კასატორმა განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაითვალისწინა მოსარჩელის მკურნალი ექიმის ახსნა-განმარტება, რომ ლ. ხ. განკურნებული იყო და დამატებით მკურნალობას აღარ საჭიროებდა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დააკისრა მოსარჩელისათვის დროებითი შრომისუუნარობით გამოწვეული ზიანის . . . ანაზღაურება. ამასთან, არ მიუთითა ამგვარი გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილშიც, რასაც საფუძვლად დაუდო ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური კლინიკის ექიმის ამონაწერი მოსარჩელის ავადმყოფობის სამედიცინო ბარათიდან, რომლის თანახმადაც, მოსარჩელეს დაესვა დიაგნოზი – ნევროზული მდგომარეობა, რასაც მოსარჩელე უკავშირებდა 2005 წლის 24 მარტს მომხდარ შემთხვევას. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საკმარის საფუძვლად მიიჩნია აღნიშნული ამონაწერი და არ გაითვალისწინა, თუ რამდენად იყო მოსარჩელის დიაგნოზი – ნევროზული მდგომარეობა, უშუალო მიზეზობრივ კავშირში მომხდარ ავარიულ შემთხვევასთან, ამასთან,

საქმეში არ მოიპოვებოდა აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი სპეციალისტის დასკვნა.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარისადმი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის დირექტორის მიერ გაგზავნილი წერილის თანახმად, დასახელებული კოლეჯის ტერიტორიაზე (ფეხბურთის სტადიონზე) არსებული ყველა ალვის ხე გადაბერებული იყო და მათ წაქცევამ არაერთხელ გამოინვია აგურის ღობის ნგრევა, რის გამოც ხეები ამოძირკვას საჭიროებდა. სწორედ ამიტომ, კოლეჯის დირექტორმა მათი ამოძირკვის ნებართვა მოითხოვა.

2005 წლის 20 მარტს ლ. ხ-მა სამარშრუტო ტაქსით მგზავრობისას მიიღო მძიმე ტრავმა – სამარშრუტო ტაქსს დაეცა ზემოთმითითებულ კოლეჯის ეზოში მდგარი ალვის ხე, რა დროსაც მან მიიღო ორივე ბარძაყის გამჭოლი ჭრილობები და დასჭირდა რეგულარული მკურნალობა. სტაციონარული ავადმყოფის სამედიცინო ბარათიდან ირკვეოდა, რომ ლ. ხ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკურ საავადმყოფოში შეიყვანეს 2005 წლის 20 მარტს, 14.05 საათზე, ორივე ბარძაყში გამჭოლი ჭრილობებით და მას მკურნალობისათვის დასჭირდა გარკვეული თანხები.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" შესაბამისად, ქ. თბილისის ქუჩების კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და ამ ღონისძიებათა განხორციელებაზე უშუალო კონტროლი და ზედამხედველობა წარმოადგენდა ქ. თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კანონის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობა

ხორციელდება ქ. თბილისის საკრებულოსა და ქ. თბილისის მერიის მეშვეობით. ამიტომაც, ქ. თბილისის მერია წარმოადგენდა აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა ქ. თბილისის თვითმმართველობის აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას, ხოლო აღნიშნული კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის მიხედვით, ქ. თბილისის მერი ამტკიცებდა ქ. თბილისის კეთილმოწყობისა და გამწვანების პროგრამებსა და გეგმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს, რომ სწორედ ქ. თბილისის მერია იყო ვალდებული, ამოეძირკვა ხეები, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენდა და შეექმნა უსაფრთხო გარემო, რაც არ შესრულდა და რამაც ზემოაღნიშნული შემთხვევა განაპირობა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიამ არ შეასრულა საქართველოს კანონის „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტიდან გამომდინარე შესაბამისი ვალდებულება, რამაც უშუალოდ გამოიწვია მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ასევე – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული მატერიალურ-საკანონმდებლო ნორმების მიხედვით, კონკრეტულ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიას ეკისრებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და მას უნდა აენაზღაურებინა ლ. ხ-ის მიყენებული ზიანი, რადგან მან თავისი ბრალეული უმოქმედობით არ გაატარა შესაბამისი აუცილებელი ღონისძიება, კერძოდ, არ ამოძირკა მობერებული ხეები და შესაბამისად, არ მოახდინა მათგან მომდინარე საშიშროების გაუვნებელყოფაც.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხ-

ის მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობას, მოსარჩელისათვის მიყენებულ მატერიალურ ზიანს, მიზეზობრივ კავშირს მოპასუხის უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის თანახმად კი, დაზარალებულს უფლება ჰქონდა, მკურნალობის ხარჯები წინასწარაც მოეთხოვა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ლ. ხ-ს მართებულად აუნაზღაურა მორალური ზიანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ ფიზიკური დაზიანების შედეგად მოსარჩელეს მიადგა მორალური ზიანიც, ასევე სწორად განსაზღვრა მის ანაზღაურების გონივრულ და სამართლიან ოდენობად . . . ლარი, კერძოდ, იმ სულიერ-მორალური ტკივილისა და რეალური ტანჯვის გათვალისწინებით, რაც მოსარჩელემ განიცადა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლზე, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა, ხოლო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლით რეგლამენტირებული საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვით, ობიექტურად შეაფასა ლ. ხ-ისათვის მიყენებული მორალური ზიანის ოდენობა, რის გამოც არ გაიზიარა კასატორ ქ. თბილისის მერიის მტკიცება, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

3. მშობლებს გააჩნიათ უკანონო მსჯავრდების შედეგად შვილის სიცოცხლის მოსპობასთან დაკავშირებული გარემოებებით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 3 აპრილის,
№ბს-1107-1096 (კ-11) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. მ-მა და ნ. ხ-მა 2003 წლის 1 მაისს სარჩელით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა კოლეგიას და მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ მათი შვილი გ. ხ. 1992 წელს მოხალისედ წავიდა აფხაზეთში – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, სადაც დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ იგი გადაიყვანეს ჰოსპიტალში, ხოლო შემდეგ უკანონოდ დააპატიმრეს. საქართველოს რეპუბლიკის აფხაზეთის რეგიონში იმხანად მოქმედი სამხედრო-საველე სასამართლოს 1992 წლის 9 ნოემბრის განაჩენით, გ. ხ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სამშობლოს ღალატისათვის და 10 ნოემბერს იგი დახვრიტეს.

სარჩელში მითითებული იყო, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და ხელისუფლების გადამეტებით, სამხედრო-საველე სასამართლო უკანონოდ შეიქმნა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 28 დეკემბრის. დადგენილებაში „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე" განსაზღვრულ სასამართლოთა სახეობებში იგი არ იყო გათვალისწინებული. ამასთან, მოსარჩელეთა განმარტებით, მათი შვილი გასამართლებულ და დახვრეტილ იქნა ყოველგვარი გამოძიებისა და მტკიცებულებების მოპოვების გარეშე, მას არ მიეცა გამოტანილი განაჩენის სამართლებრივი გზით გასაჩივრების შესაძლებლობა, რადგან განაჩენი მეორე დღესვე იქნა სისრულეში მოყვანილი. გ. ხ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატუ-

რის 2002 წლის 4 აპრილის დადგენილებით ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად.

მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ მათ განიცადეს მორალური ზიანი, შვილის უკანონოდ დახვრეტის ფაქტი მათთვის ცნობილი გახდა მასმედიის საშუალებით, რის შემდეგაც ორჯერ ჩავიდნენ ქ. სოხუმში შვილის ცხედრის მოსაძებნად და ქ. თბილისში გადმოსასვენებლად, მაგრამ, მიუხედავად ხანგრძლივი ძებნისა, შვილის ცხედარი ვერ მოიძიეს. შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადების შემდეგ, ისინი ერიდებოდნენ საზოგადოებაში გამოჩენას, ნ. ხ-მა თავი დაანება სამსახურს, ხოლო ე. მ. განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროსათვის სოლიდარულად, სახელმწიფო მოსამსახურის განზრახი ქმედებით მათთვის მიყენებული მატერიალური ზიანის – . . . აშშ დოლარის, მორალური ზიანის . . .. . . ლარის, ადვოკატის ხარჯის – სასარჩელო მოთხოვნის 4%-ის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება და წერილობითი ფორმით ბოდიშის მოხდა მასმედიის საშუალებით.

2. სარჩელის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის .2004 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ე. მ-ის და ნ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-მა და ნ. ხ-მა.

საქმე რამდენჯერმე განიხილეს სასამართლოებმა.

საბოლოოდ, მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ე. მ-ის და ნ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ე. მ-ის და ნ. ხ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ე. მ-ისა და ნ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აფხაზეთის რეგიონის ჯარების მთავარი შტაბის უფროსმა უფლებამოსილების გადამეტებით ერთპიროვნულად, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, შექმნა სამხედრო-საველე სასამართლო, რომლის 1992 წლის 9 ნოემბრის განაჩენით, სამშობლოს ღალატისათვის გ. ხ-ს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, და რომელიც მეორე დღესვე, 10 ნოემბერს, მოყვანილ იქნა სისრულეში.

თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის 2001 წლის 18 მაისის დადგენილებით, გ. ხ-სა და სხვათა მიმართ სისხლის სამართლის საქმე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, არ აღიძრა. ამავე თარიღის დადგენილებით, ე. მ. ცნობილ იქნა სამოქალაქო მოსარჩელედ. თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურორის დადგენილებით, გ. ხ. ცნობილ იქნა რეაბილიტირებულად, ხოლო სამხედრო-საველე სასამართლოს წევრების მიმართ პირთა გარდაცვალების გამო, სისხლის სამართლის საქმეები სასამართლო წესით არ იქნა განხილული.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალების თანახმად, აპელანტები ითხოვდნენ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე – 1997 წლის 25 ნოემბრამდე, ასევე მის შემდგომ პერიოდში მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე სადავო პერიოდის მიმართ ვერ გავრცელდებოდა აღნიშნული კოდექსით დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების მომწერიგებელი ნორმები. სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსი ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა ამ კოდექსის ამოქმედების შემდეგ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, იმ ურთიერთობათა მიმართ, რომლებიც წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, ამ კოდექსის ნორმები გამოიყენება 1997 წლის 25 ნოემბრიდან წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების მიმართ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. იმავე კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. დასახელებული მუხლი ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების საკანონმდებლო ფარგლებს. ამგვარი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ოდენობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხელმყოფის ბრალისდა მიუხედავად ხორციელდება, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

სასამართლოს დასკვნით, მითითებული ნორმა ზუსტად განსაზღვრავდა მორალური ზიანის ანაზღაურების კონკრეტულ საფუძვლებს, კერძოდ, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება პირს იმ შემთხვევაში წარმოეშობოდა, როდესაც ამავე მუხლით დაცულ სიკეთეთა – პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელშეუხებლობის ხელყოფა ხდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნორმის სწორად შეფარდებისათვის გადამწყვეტი იყო თანამდებობის პირის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა (და დამდგარ ზიანს შორის მიზეზშედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობა. პასუხისმგებლობა დგებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი პირდაპირი და გარდუვალი შედეგი იყო ზიანის მიმყენებლის მოქმედებისა (უმოქმედობისა) და ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის.

ამიტომაც, აუცილებელი იყო კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა, ჩრაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა. შესაბამისად, ე. მ-სა და ნ. ხ-ის სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ ე. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლება გამოიწვია შვილის მსჯავრდებამ. ასევე, არ დგინდებოდა, რომ ე. მ-ის ჯანმრთელობის მოშლის მიზეზს სამხედრო მოსამსახურეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელეებმა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესაბამისად, ვერ შეძლეს იმ გარემოებების დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა იმ ფაქტის დადასტურება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ან სამხედრო პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შედეგად, მოსარჩელეები გათავისუფლდნენ სამსახურიდან ან გაუარესდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა. შესაბამისად, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ფაქტობრივი წანამძღვრების არსებობა.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. მ-მა და ნ. ხ-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ე. მ-სა და ნ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მ-ისა და ნ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად . . .ლარის გადახდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, ქვემდ-

გომი სასამართლოების მიერ დადგენილად მიჩნეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურების უფლება სახელმწიფო სახსრებიდან ყველასათვის გარანტირებულია.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით, სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია სამი ძირითადი კრიტერიუმის არსებობა, კერძოდ: 1. პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები აშკარად არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს; 2. უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ქონებრივ (მორალურ) ზიანს შორის; 3. სახეზე უნდა იყოს ხელმყოფი პირის ბრალი. მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა

ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, ანუ მორალური ზიანი, რომელიც არ ატარებს რესტიტუციის მნიშვნელობას, ფულადი კომპენსაციით შეიძლება აუნაზღაურდეს მხოლოდ დაზარალებულს და არა მის უფლებამონაცვლეს, ამასთანავე, აღნიშნული არ გამორიცხავს გარდაცვლილის მშობლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურებას, თუ ზიანი მათ უშუალოდ დანაშაულით მიადგათ.

საკასაციო სასამართლომ საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელეები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად უთითებდნენ არა მხოლოდ შვილის გარდაცვალებას, არამედ, აგრეთვე, სამხედრო-საველე სასამართლოს უკანონო შექმნითა და საქმიანობის შედეგად უშუალოდ მათთვის მიყენებულ ზიანს. მოსარჩელეები აღნიშნავდნენ, რომ შვილის სამშობლოს მოღალატედ გამოცხადება მათთვის პიროვნულად დამთრგუნველი იყო, შეიცვალა მათ მიმართ თანამშრომლებისა და მეზობლების დამოკიდებულება, ნ. ხ., გარდაცვლილის მამა, ერიდებოდა საზოგადოებაში გამოჩენას, რის გამოც მოუხდა სამსახურისათვის თავის დანებება. საომარი მოქმედებების დროს, გარდაცვლილი შვილის ცხედრის მოსაძებნად და გადმოსასვენებლად, ე. მ-ს ორჯერ მოუხდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩასვლა, რაც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, შვილის ცხედრის მოძებნის მიზნით, სამხედრო-საველე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მითითებულ ადგილას გათხარეს საფლავი, სადაც ნახეს თავმოჭრილი გვამი, რომელიც არ აღმოჩნდა მისი შვილი, ანუ მოსარჩელეებს სახელმწიფო მოხელეთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად უშუალოდ მიადგათ მორალური ზიანი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი მავნე შედეგისათვის, ამასთანავე, ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის. საქმის მასალებით უტყუარად დგინდებოდა, რომ სამხედრო პირთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით დამდგარმა შედეგმა გამოიწვია მოსარჩელეთა სამყაროსთან კონ-

ტაქტის შეზღუდვა, მათ ჩვეულ გარემოში ადაპტირების შეუძლებლობა, რადგანაც ინფორმაცია, მათი შვილის სამშობლოს მოღალატედ მიჩნევისა და დახვრეტის თაობაზე (რომელიც შემდგომ უდანაშაულოდ – რეაბილიტირებულად იქნა ცნობილი), მასმედიის საშუალებებით იქნა გამოქყვეყნებული, მოსარჩელეები რამდენჯერმე გადაადგილდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე შვილის ცხედრის გადმოსასვენებლად, რაც ასევე მძიმე სულიერ განცდებსა და რისკთან იყო დაკავშირებული.

საკასაციო სასამართლო დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს. მიერ ჩამოყალიბებულ განმარტებას, რომ „არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ამიტომაც, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით". საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალ-

ური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს"[1].

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია თავად განსაზღვროს თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული ტკივილის (სულიერი, ფიზიკური) კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით გადასაწყვეტ საკითხს განეკუთვნება. კანონი არ ადგენს მორალური ზიანის ოდენობას, რადგანაც მორალური ზიანის ანაზღაურების ყოველი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურია, განპირობებულია მრავალი სხვადასხვა ფაქტორით. ამასთან, მისი ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად და მისი მოცულობა განისაზღვრება, როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეების შვილის – გ. ხ-ს დამნაშავედ, სამშობლოს მოღალატედ ცნობა და მის მიმართ სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ განაჩენის გამოტანა, განეკუთვნება მორალურ ზიანს, მით უფრო, რომ სახეზე იყო მიზეზობრივი კავშირი სამხედრო პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ მორალურ ზიანს შორის. ასევე, ხელმყოფი პირის ბრალი. გ. ხ-ის უდანაშაულობა და სამხედრო-საველე სასამართლოს მიერ უკანონოდ დახვრეტის განაჩენის გამოტანა დადასტურებული იყო საგამოძიებო ორგანოს კანონიერ ძალაში შესული დადგენილებით პირის რეაბილიტაციის შესახებ. ამასთანავე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას კომპენსაციის ოდენობა არ უნდა ყოფილიყო მნიშვნელოვნად გაზრდილი. ამიტომაც საკასაციო სასამართლომ მოსარჩელეებისათვის ასანაზღაურებელი ზიანი ოდენობა . . . ლარით განსაზღვრა.

---

1 იხ. ასევე, მომდევნო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის № ბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება.

4. მორალური ზიანის წარმოშობა ყოველთვის არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, იგი შესაძლოა მოგვიანებითაც დადგეს, რაც გასათვალისწინებელია სასარჩელო ხანდაზმულობის დაწყების მომენტის განსაზღვრისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის, 2009 წლის
8 აპრილის ბს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2006 წლის 2 ივნისს გ. ქ-ას კანონიერმა წარმომადგენელმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „. . .“ მიმართ და ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა გ. ქ-ას კანონიერი წარმომადგენლის სარჩელი და მოპასუხეებს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრსა და შპს „. . . -ს“ გ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრათ . . . ლარის თანაბარწილად გადახდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა აგრეთვე 2054 წლის 1 ივნისამდე ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) მინიმალური ხელფასის ოდენობით თანხის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით საბოლოოდ დადასტურდა, რომ გ. ქ-ას დაავადება გამოწვეული იყო B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინით, რამაც ჩამოუყალიბა პოსტვაქცინური მწვავე ენცეფალომელიტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებით

დადასტურებული იყო მავნე შედეგის არსებობა და მოპასუხეთა ბრალი. მოსარჩელის მოსაზრებით, გ. ქ-ას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული არაქონებრივი ზიანი გამოიხატა იმ მწვავე სულიერ ტკივილებსა და ფსიქიკურ აშლილობაში, რომლებიც გააჩნდათ გ. ქ-სა და მის მშობლებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით. სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „. . . -ს" გ. ქ-ას სასარგებლოდ . . . ლარი, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს . . . ლარი დაეკისრათ, სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, შპს „. . . -ის" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გ. ქ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „. . .-ს" გ. ქ-ას სასარგებლოდ . . . ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს . . . ლარის ანაზღაურება დაეკისრათ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ სწორად იქნა გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც, პრეუდიციული მნიშვნელობა მიენიჭა უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. მათ საფუძველზე სასამართლომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირებად მოპასუხეები მიიჩნია. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის – შპს „. . . -ს" მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი ითვალისწინებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში. არაქონებრივი ზიანი, თავისი ბუნებით, არ

წარმოადგენს დაზარალებულისთვის რაიმე მატერიალური დანახარჯის კომპენსაციის წყაროს. იგი ეძლევა დაზარალებულს სულიერი ტანჯვის საკომპენსაციოდ. ამდენად, მორალური ზიანი თავისი შინაარსით არამატერიალური ცნებაა და აქედან გამომდინარეობს კანონის დანაწესი მისი ოდენობის დასადგენად მხოლოდ გონივრულობისა და სამართლიანობის და არა რაიმე ფაქტობრივი მატერიალური დანაკარგის გათვალისწინების თაობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულისათვის მორალური ზიანის მიყენება უკავშირდება არა უშუალოდ რაიმე შემთხვევის დადგომის მომენტს, არამედ თვით ამ პირის განცდას, იმას, თუ რა დროიდან მიადგება მას სულიერი ტკივილი. შეუძლებელია სხვა პირისთვის იმის გაგება, თუ როდის მიადგა დაზარალებულს მორალური ზიანი, ვინაიდან იგი რაიმე ფაქტობრივ გარემოებასთან არ არის დაკავშირებული და დამოკიდებულია მხოლოდ პირის სუბიექტურ აღქმაზე. ამიტომაც, სააპელაციო პალატის მიერ დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული მოპასუხის აპელირება სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. სასამართლომ ასევე არ გაიზიარა შპს „. . .-ს“ მოსაზრება, კონკრეტულ ვითარებაში საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრალეულობის უფრო მაღალი ხარისხის არსებობის თაობაზე და მიუთითა, რომ პრეპარატის მწარმოებელ კომპანიას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე არ იქნა გაზიარებული გ. ქ-ას წარმომადგენელთა მოსაზრება ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტების მიერ რაიმე დამატებითი მტკიცებულება მოპასუხეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სააპელაციო სასამართლოსთვის წარდგენილი არ ყოფილა. საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით, მოპასუხე „. . .“, ასევე სამინისტროს ქონებრივი მდგომარეობის, მათი ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მორალური ზიანის სახით გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას წარმოადგენს . . . ლარი, საიდანაც . . . ლარის გადახდა უნდა დაეკისროს სამინისტროს, ხოლო . . . ლარის – კომპანიას.

4. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს

გ. ქ-ამ, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და შპს „. . .“.

გ. ქ-ამ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მისი სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ არის სამართლიანი და გონივრული. კასატორი დამოკიდებულია ტკივილგამაყუჩებლებსა და ანტიდეპრესანტებზე, ავადმყოფობის გამო უმძიმესია მისი ფსიქიკური მდგომარეობა, იზრდება დეპრესიის დონის მაჩვენებელი, იგი გაურბის ახალ ადამიანებთან ურთიერთობას, დათრგუნულია, დაკარგული აქვს ინტერესი გარშემო მყოფთა მიმართ. 18 წლის მოზარდისათვის მნიშვნელოვანია პრესტიჟის, ავტორიტეტის მოთხოვნილება და საზოგადოებაში საკუთარი პიროვნების თვითდამკვიდრება, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მას უჭირს ემოციური სტაბილურობის შენარჩუნება.

სააპელაციო სასამართლოს არ მიუცია შეფასება ზემოაღნიშნული გარემოებებისათვის, რომლებიც მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდებოდა. აღნიშნულის გამო კასატორმა . . . ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება არ მიიჩნია სამართლიანად და გონივრულად. კასატორი ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ აპელანტების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე დამატებითი მტკიცებულება მოპასუხეთა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება საკმაოდ ადვილი იყო, რადგან სამინისტროთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ნორმატიულ აქტს წარმოადგენს და სასამართლოსათვის ძნელი დასადგენი არ იყო, თუ ბოლო წლების განმავლობაში რამდენჯერ გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი და აქვს თუ არა სახელმწიფოს იმის საშუალება, გონივრულად და სამართლიანად აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი. რაც შეეხება შპს „. . .-ს“ქონებრივ მდგომარეობას, საქმეზე წარმოდგენილი იყო ფინანსური ანგარიში, სადაც აღნიშნულია გაყიდვების საერთო რაოდენობა და სუფთა ზარალი, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია 2003-2005 და არა ბოლო 2008 წლების ფინანსური მდგომარეობა.

საკასაციო საჩივარში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მიუთითა, რომ თბილისის

სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 106-ე მუხლის მოშველიებით, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად სამინისტრო მიიჩნია. სასამართლოს არ უმსჯელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლთან მიმართებაში სამინისტროს მოქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ, რაც უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებაში არ არის გამოკვეთილი. სააპელაციო სასამართლოს არც მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა დაუსაბუთებია. კასატორს მორალური ზიანის გადაყვანა ფულადი ანაზღაურების ამგვარ ხარისხში არ მიაჩნია დასაბუთებულად. მორალური ზიანი არის ის განცდა თუ ფიზიკური ტკივილი, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის. გ.ქ-ას ასაკის გამო მორალური ზიანი გათვითცნობიერებული არ აქვს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი, თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძვლად, რომელზეც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის.

შპს „. . -მ" საკასაციო საჩივარში მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი, რომელიც დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ვადად 3 წელს განსაზღვრავს. ეს ნორმა არ განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს, მასში ზოგადად ზიანსა და ანაზღაურების მოთხოვნაზეა საუბარი. მისი ხანდაზმულობის ვადა იმ მომენტიდან აითვლება, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. შესაბამისად, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა არა ჯანმრთელობის გაუარესებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, არამედ გაუარესების მომენტიდან. რადგანაც გ. ქ-ას ჯანმრთელობა გაუარესდა 2002 წელს, სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშვა მას ზიანის (როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი) ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მიიჩნია, რომ გ. ქ-ას მოთხოვნა ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ ხანდაზმული იყო.

კასატორმა ჩათვალა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართ-

ლო ხანდაზმულობის ვადას არ მიიჩნევდა გაშვებულად, მაინც არ არსებობდა შპს „. . . -ვის“ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი, რადგან სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინასა და იმ დაავადებას შორის, რაც გ. ქ-ას განუვითარდა, არ იყო დადგენილი კავშირი, ანუ არ შეიძლებოდა ეს დაავადება უტყუარად მიჩნეული ყოფილიყო ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინის გვერდით მოვლენად.

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის თანახმად, დამამზადებელი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ. შპს „. . .ის“ მიერ წარმოებული B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა ლიცენზირებულია და დაშვებულია გამოყენებისათვის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, რაც ასევე გულისხმობს იმას, რომ მისი წარმოებისას დაცულია როგორც მწარმოებელი სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი ყველა აუცილებელი მოთხოვნა, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. ვაქცინა არ იყო განკუთვნილი მხოლოდ ქართული ბაზრისათვის. კასატორის მოსაზრებით, ეს გარემოება გამორიცხავდა შპს „. . .-ს“ ვალდებულებას, დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები. შესაბამისად, ვაქცინის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის, გვერდითი მოვლენების ჩათვლით, მომხმარებლისა თუ წამლის სააგენტოსათვის მიწოდების ვალდებულება ეკისრებოდა არა მწარმოებელს, არამედ მის შემომტანს.

კასატორმა აღნიშნა, რომ კომპენსაციის განსაზღვრისას, მართალია, სასამართლომ მართებულად გაითვალისწინა მისი ფინანსური მდგომარეობა, მაგრამ გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია იმ თვალსაზრისით, რომ შპს „. . .-ს“ მეორე მოპასუხე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შედარებით მეტი თანხის გადახდა დაეკისრა. ეს დაუსაბუთებელი იყო იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეთა ბრალეულობის განსაზღვრისას სასამართლო ხელმძღვანელობდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით. მასში კი ძირითადად სწორედ სამინისტროს ბრალეულობა იყო გამოკვეთილი და მასვე დაეკისრა უფრო მეტი პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ გარემოებას, თუ მოსარჩელემ რომელი მოპასუხისათვის რა

თანხის დაკისრება ითხოვა. არასწორია სასამართლოს არგუმენტაცია, რომ შპს „. . .-ს", როგორც პრეპარატის მწარმოებელ კომპანიას, მეტი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს, რადგან, მართალია, იგი წარმოადგენს ვაქცინის მწარმოებელს, მაგრამ მის მიერ წარმოებული ვაქცინა შეესაბამება დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს და ვაქცინის ხარისხზე პრეტენზია გ.ქ-ას და მის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ. სწორედ სახელმწიფოს, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ნორმატიული აქტების საფუძველზე იყო ვაქცინაცია სავალდებულო. მოცემულ შემთხვევაში გ. ქ-ასათვის ვაქცინის გაკეთება არ იყო სავალდებულო, რადგან ვაქცინაციის სავალდებულო ხასიათი სხვა ასაკის ბავშვებისათვის იყო დადგენილი, რაც სახელმწიფოს ბრალეულობას ამცირებს. ეს, თავის მხრივ, არ იწვევს ვაქცინის მწარმოებლის პასუხისმგებლობის გაზრდას, მით უფრო, რომ ვაქცინის ხარისხზე პრეტენზია არ ყოფილა წარდგენილი. ის გარემოება, რომ გ. ქ-ას ვაქცინა გაუკეთდა არა სავალდებულო ვაქცინაციის ფარგლებში, არამედ მშობლების ინიციატივით, ვაქცინაციისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი ასაკისა და ვადების დარღვევით, მიუთითებს თავად დაზარალებულის მშობლების ბრალეულობაზეც, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის თანახმად, ასევე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას.

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს „. . ." საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გ. ქ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივი დაკმაყოფილდა გაუქმდა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „. . .-ს" გ. ქ-ას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისროს . . ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს . . . ლარის ანაზღაურება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, დადგენილი იყო ვაქცინაციასა და დამდგარ

მძიმე შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი და უმოქმედობით გამოწვეული ზიანის არსებობა.

კერძოდ, საქმეში არსებულ მტკიცებულებების საფუძველზე საკასაციო სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დადგენილად იქნა მიჩნეული გ. ქ-ას პოსტვაქცინალური მწვავე ენცეფალომიელიტით დაავადების ფაქტი.

გ. ქ. B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრის გაკეთებამდე იყო ჯანმრთელი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ემთხვევა ვაქცინაციის შემდგომ პერიოდს. საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მიზეზშედეგობრივ კავშირს ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის.

ამგვარად, დადგენილი იყო, რომ არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. ხსენებული გადაწყვეტილებით დადგენილ ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე არ გაიზიარა კასატორების: შპს „. . -ს." და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა დასოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრებში მოყვანილი მოსაზრებები იმის შესახებ, რომ არ არის დადგენილი ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.

საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ" მე-10 მუხლის „ა" და „ა.დ" ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს იმ ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია, რომელიც სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით იყო გამოწვეული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, საქართ-

ველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-4 და მე-15 მუხლების პრინციპებიდან გამომდინარე, დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება. გადაწყვეტილებით ასევე დადგინდა, რომ პრეპარატს, რომელიც გამოყენებულ იქნა ვაქცინაციის მიზნით, არ გააჩნდა ინფორმაცია გვერდითი მოვლენების შესახებ, თუმცა საქმეში წარმოდგენილი იყო არაერთი მტკიცებულება, რომლებიც ადასტურებდნენ მათი არსებობის ფაქტს.

საქართველოს კანონის „პაციენტის უფლებების შესახებ“ მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწევისაგან მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია განზრახული პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მომსახურების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო ეფექტიანობის შესახებ. აუცილებელი, კანონით გათვალისწინებული ახსნა-განმარტების მიცემის იგნორირება დაუშვებელია. აღნიშნული ინფორმაციის – ვაქცინის უკუჩვენებების სრულად დაუფიქსირებლობამ მშობლებს მოუსპო საშუალება, გაეკეთებინათ არჩევანი ვაქცინასა და სავარაუდო შედეგს შორის. მოსალოდნელი მძიმე შედეგების გათვალისწინებით შპს „. . .“ ვალდებული იყო ვაქცინის გვერდითი მოვლენების შესახებ გაეცა ინფორმაცია და განემარტა მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების შესახებ, რათა მოსარჩელე მხარეს მათი გათვალისწინებით მიეღო ჯანმრთელობისათვის ნაკლებად საზიანო გადაწყვეტილება. ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ პაციენტს მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების ახსნის შემთხვევაში მიეღო გადაწყვეტილება B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრის შესახებ. არასაკმარისი ინფორმაციის გამო, პაციენტს არ ჰქონდა შეთავაზებულ ვაქცინაზე უარის თქმის საფუძველი.

მოპასუხეების ქმედებას (უმოქმედობას) უდავოდ მოჰყვა მძიმე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი, რაც დასტურდებოდა საქმეში წარმოდგენილი არაერთი მტკიცებულებით. მოსარჩელეს შენარჩუნებული ჰქონდა აღქმისა და კომუნიკაციის უნარი, მისი ცნობიერება და ინტელექტი ჩვეულებრივი განვითარების იყო. ამასთანავე, გ. ქ. ყოველდღიურად და რეგულარულად საჭიროებდა სხვა პირის მზრუნველობას. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სახეზე იყო დელიქტი, რომელსაც მოჰყვა არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ისეთი მორალური ზიანი, რომლის დადგომის შემთხვევაშიც კანონმდებლობა მის ანაზღაურებას ითვალისწინებს. მორალური ზიანი

არის ის განცდა თუ ფიზიკური ტკივილი, რომელსაც უშუალოდ დაზარალებული განიცდის. ტკივილისა და სულიერი ტანჯვის აღქმა და გათვითცნობიერება არ უკავშირდება პირის ქმედუნარიანობას (სრულწლოვნობის ასაკს), ხოლო ასაკობრივი თავისებურებების გამო (პრესტიჟის, პიროვნების თვითდამკვიდრების გამახვილებული გრძნობა და სხვ.), შესაძლოა იგი უფრო მეტი სიმწვავით განიცადოს მოზარდმა, რომლის ჯანმრთელობასაც მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. ამასთანავე, გ. ქ. საქმის განხილვის დროისათვის სრულწლოვანი იყო. ამიტომაც საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ქ-ას ასაკის გამო გათვითცნობიერებული არ ჰქონდა მორალური ზიანის არსებობა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა შპს „. . -ს" და საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრებში მოყვანილი მოსაზრება გ. ქ-ას მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამ წელს შეადგენს იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში გ. ქ-სათვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი არ უკავშირდებოდა კონკრეტულ თარიღს. საქმეზე დადგენილად იყო ცნობილი, რომ გ. ქ-ას აცრა 2002 წლის 18 მარტს ჩაუტარდა, პირველი სამედიცინო დასკვნა მომზადდა 2002 წლის ივლისში. მოსარჩელემ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს 2004 წლის 29 მაისს მიმართა, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი 2006 წლის 2 ივნისს აღძრა. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ მორალური ზიანის მიყენება არ უკავშირდება უშუალოდ ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების მომენტს, მორალური ზიანი შესაძლოა მოგვიანებით, მკურნალობის უშუდეგობის, ხანგრძლივი უმწეო მდგომარეობის, აქტიური ცხოვრების შეუძლებლობის, ცხოვრების წესის და რიტმის შეცვლის, დათრგუნულობის, გაურკვევლობის, ცხოვრების ხალისის დაქვეითების, ნერვული დაძაბულობის, არასრულფასოვნების კომპლექსისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დადგეს. მხედველობაშიმისაღები იყო,აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მოსარჩელესათვის

ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირების შესახებ საბოლოოდ ცნობილი გახდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით, რაც ასევე მიუთითებდა ხანდაზმულობის ვადის გაცდენით სარჩელის აღძვრის თაობაზე კასატორთა მოსაზრების უსაფუძვლობაზე. Aმიტომაც, შპს „. . .-ის“ საკასაციო საჩივარის მითითება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე, 1008-ე მუხლებით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაზე არ ადასტურებდა მოსარჩელის მიერ ხანდაზმულობის ვადის გაცდენას.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევაში დაკავშირებული იყო არაქონებრივ უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ამიტომაც არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემულ შემთხვევაში დელიქტით გამოწვეული მძიმე შედეგის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხოლოდ დარღვევის ფაქტის კონსტატაცია არ იყო საკმარისი არაქონებრივი სიკეთის (ჯანმრთელობის) შელახვით გამოწვეული მორალური ზიანის კომპენსაციისათვის.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გ. ქ-ას სასარგებლოდ შპს “. . .-ის“ . . . ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის . . . ლარის დაკისრება სამართლიან შესაბამისობაში არ იყო მიყენებულ ზიანთან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის

განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მოპასუხეების მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. შეუძლებელია ფულადი ფორმით ჯანმრთელობის შეფასება, კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი გაწონასწორების მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, რომელსაც ის ითხოვს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადაწყდეს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. კანონი არ მიუთითებს მორალური ზიანის ოდენობაზე, მორალური ზიანის ანაზღაურების თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია, დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა პირობაზე (ქონებრივი, საყოფაცხოვრებო და სხვ).

საკასაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ წარმოადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია. მკურნალობისათვის გასაწევი ხარჯები მატერიალური და არა მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას მიიღება მხედველობაში, ამიტომაც, გ. ქ-ას საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრება,

საზღვარგარეთ მკურნალობის გაგრძელების საჭიროების შესახებ, არ წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ოცულობის განმსაზღვრელ ფაქტორს. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ფიზიკური და მორალური ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე გ. ქ-ას ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით მშობლების სულიერ განცდებს არ აქვს მნიშვნელობა მოცემულ საქმეზე კომპენსაციის ოდენობისათვის, ვინაიდან ისინი არ არიან თანამოსარჩელეები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასანაზღაურებელი მორალური ზიანის ოდენობა განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად და მის მოცულობაზე გავლენას ახდენდა როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმე, ასევე ბრალის ხარისხი. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებოდა ის გარემოება, რომ მოპასუხეებს არ ჰქონდათ მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, სახეზე იყო გაუფრთხილებელი ბრალი. სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია აპელირება მოპასუხეთა ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებაზე.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ და მოპასუხეებს, მოსარჩელის მოთხოვნის პროპორციულად უნდა დაკისრებოდათ გ. ქ-ას სასარგებლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, შპს „. . ის" – . . . ლარის, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს . . . ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ივლისის. გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთჯერად ფულად კომპენსაციასთან ერთად, გ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 2054 წლის 1 ივნისამდე ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) მინიმალური ხელფასის ოდენობით თანხის გადახდა, გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ამ თანხის დაკისრებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს „. . . -თან“ შედარებით, გ. ქ-სათვის მიყენებული ზიანისათვის დაკისრებული აქვს გაზრდილი მატერიალური პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ შპს „. . .-ს“ უმოქმედობით გამოწვეული გ. ქ-სათვის მიყენებული ზიანი და მისი, როგორც პროდუქციის მწარმოებლის ბრალეულობის მაღალი ხარისხი, დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ, ვინაიდან შპს „. . .“ ახდენს ისეთი პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს ადამიანის აბსოლუტურ სიკეთეზე – სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე და რომლის გვერდითი მოვლენების სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, კორპორაცია ვალდებული იყო მომხმარებელისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე და გაეფრთხილებინა სავარაუდო თანამდევ შედეგებზე, რათა თვით პაციენტს მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება. ეს დასტურდებოდა აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 318-ე მუხლით, რომელიც ადგენს კონტრაჰენტის ვალდებულებას ინფორმაციის გაცემის თაობაზე.

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას სწორი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს. ამავე წესს ითვალისწინებს საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ 26-ე მუხლის მე-4 მუხლი, რომლის თანახმად, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებულნი არიან წამლის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში. ამიტომაც, მწარმოებელს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა დონით უზრუნველყოფდა მის მიერ წარმოებული პროდუქტი მომხმარებლის უსაფრთხოებას. სწორედ ამიტომაც, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ფარმაცევტული საწარმოს უმოქმედობით გამოწვეული მძიმე შედეგი ქმნიდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

5. გადაწყვეტილების აღსრულებისათვის და რწმუნებულისათვის საზღაურის მიღებაში დაბრკოლების შექმნა, არ წარმოადგენს საქმიანი რეპუტაციის შელახვის გამო, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
14 აპრილის, № ბს-103-82-კ-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. კ-ძემ თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა[1], მოპასუხეების – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა საქმიანი რეპუტაციის შელახვისა და ღირსების შებღალვის გამო მოპასუხეებს სოლიდარულად დაკისრებოდათ მოსარჩელის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდა შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის განმარტებით, 1999 წლიდან იცავს 38 ფიზიკური პირის ინტერესებს საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემის მომსახურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული, შემდეგ კი სასამართლო წესით. სასამართლოებში დავა მათ სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მათ არ ჩაბარებიათ მესაკუთრის მოწმობები. აღნიშნული გარემოების გამო, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მარწმუნებლისათვის ეჭვქვეშ დადგა მისი პროფესიული რეპუტაცია და ღირსება. ა. კ-ძემ მოითხოვა საქმიანი რეპუტაციისა და ღირსების შელახვის გამო, მოპასუხეებისათვის სოლიდარულად . . . ლარის გადახდის დაკისრება.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ა. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შემდეგ გარემოებათა გამო:

1 სარჩელის წარდგენის მომენტისათვის მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, სარჩელები ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ 500 000 ლარზე მეტი ოდენობის ზიანის ანაზღაურების თაობაზე, პირველი ინსტანციით წესით საოლქო სასამართლოს განსახილველი იყო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა მტკიცებულებები, რომ მოპასუხეებმა ა. კ-ძის მიმართ გაავრცელეს ცნობები, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას, რომ ა. კ-ემ დაარღვია კანონის და მორალური ნორმების მოთხოვნები, ხოლო პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებაში იგულისხმება სწორედ ამგვარი ცნობების გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიაში, რადიოთი, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ცნობების გადმოცემა საჯარო განცხადებაში. ამრიგად, საქმის მასალებით არ იყო დადასტურებული, რომ მოპასუხეების მიერ გავრცელებულ იქნა ცნობები, რომლებიც შელახავდა ა. კ-ძის ღირსებას და საქმიან რეპუტაციას. შესაბამისად, სასამართლო კოლეგიამ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დამტკიცებული გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებდა თავის მოთხოვნებს, მაშინ, როდესაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კოდექსის 201-ე მუხლი აღნიშნულს ითვალისწინებს.

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორმა ვერ დაადასტურა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედებით მისი ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს მიერ დაბა . : .-ში, მაგნეტიტის დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეებისათვის მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის დაბრკოლებათა შექმნა და მოქალაქეებთან საკონსულტაციო დაცვით მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურის მიუღებლობა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ რწმუნებულის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა თბილისის საოლქო

სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესით პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია სასამართლოს მეშვეობით დაცვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ რეალურად შელახულია პირის ღირსება, პატივი ან საქმიანი რეპუტაცია, გავრცელებულია ზემოთ მითითებული კანონით დაცული არაქონებრივი უფლებების შემლახველი ცნობები და თუ ეს ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება. მართებულად იქნა მიჩნეული 1-ლი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ ა. კ-ძემ ვერ შესძლო იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა და იმ გარემოებებზე მითითება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ფაქტორივი გარემოების დადასტურება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან ადგილი ჰქონდა მის შესახებ ისეთი ცნობების გავრცელებას, რომლებიც შეიცავენ მტკიცებას ამ პირის მიერ კანონის, მორალის ნორმების დარღვევის, ან უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული იყო ა. კ-ძის არგუმენტი მისი ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, სწორად შეუფარდა სადავო სამართალურთიერთობას სამართლის ნორმა, კერძოდ, მართებულად გამოიყენა და სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი, რომლის თანახმად, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს მატერიალური ზიანის ანაზღაურება, აგრეთვე, ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობით ქონებრივი ზიანის, ისევე, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია 3 ძირითადი კრიტერიუმის არსებობა, კერძოდ, 1) პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები აშკარად არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს; 2) უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედე-

ბასა და დამდგარ ქონებრივ (მორალურ) ზიანს შორის 3) სახეზე უნდა იყოს ხელმყოფი პირის ბრალი.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობდა ქონებრივი, მით უფრო მორალური ზიანის, ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის დასახელებულთაგან არც ერთი საფუძველი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედების, კერძოდ, მათ მიერ კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებისას ადგილი არ ჰქონია ა. კ-ძის ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გავრცელებას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა ადმინისტრაციულ ორგანოთა ქმედებაში ბრალის არსებობის ფაქტსაც

6. ტელევიზიის მეშვეობით ადმინისტრაციული ორგანოს ცილისმწამებლურად მიჩნეული ინფორმაციით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დავა განიხილება საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ", საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2011 წლის 21 სექტემბრის
ბს-440-437(კ-11) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. დ. ხ-ის მეურვემ თ. ხ-მ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საპატრულო პოლიციის, შპს სამაუწყებლო კომპანია „. . .-ის", თ. ჩ-ის, გ. ჩ-ის მიმართ და აღნიშნა, რომ, ტელეკომპანიის ეთერში გავიდა გადაცემა. მისი ერთ-ერთი სიუჟეტის მიხედვით დ. ხ-მ ჩაიდინა ქურდობა, რასაც, მოსარჩელის განმარტებით, ადგილი არ ჰქონია. მან მიუთითა, რომ მისი ძმა – დ. ხ. დაავადებულია პარანოიდული შიზოფრენიით, იგი სასამართლოს მიერ ცნობილია ქმედუუნაროდ და თ. ხ. დანიშნულია მეურვედ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ტელეკომპანია გადაცემის ტიტრებით მხარს უჭერდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს

და სოფლის მოსახლეობას. მოსარჩელემ ჩათვალა, რომ გადაცემით აშკარად დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მოპასუხეების ქმედება იყო განზრახი, რადგან მათ იცოდნენ, რომ უხეშად არღვევდნენ და ხელყოფდნენ დ.ხ-ის კონსტიტუციურ უფლებებს. აღნიშნულით შელახეს მისი პატივი და ღირსება და გარდა ამისა, მის ჯანმრთელობას მიაყენეს ვნება, კერძოდ, სიუჟეტში აღინიშნა და თვით მოპასუხეებმა თ. და გ. ჩ-ებმა დაადასტურეს დ. ხ-ის ცემის ფაქტი. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ დ. ხ-ს საზოგადოება აღიქვამს კრიმინალური ქმედების ჩამდენ პიროვნებად და მას შიშის გამო სოფლის ტერიტორიაზე დამოუკიდებლად გადაადგილება აღარ შეუძლია. ამ შემთხვევის შემდეგ გაუარესდა მისი ჯანმრთელობა, რაც უშუალო მიზეზობრივ კავშირშია მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, კერძოდ, დ. ხ-ის მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და ცილისწამებასთან.

მოსარჩელემ მოითხოვა შპს სამაუწყებლო კომპანია „. . -ს", საპატრულო პოლიციას, თ. ჩ-ს და გ. ჩ-ს დავალებოდათ ტელეკომპანიის გადაცემაში დ. ხ-ის მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტის საჯაროდ უარყოფა, ასევე დ. ხ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად შპს სამაუწყებლო კომპანია „. . -ს"და საპატრულო პოლიციისათვის, თითოეულისათვის ცალკ-ცალკე . . . ლარის, ხოლო თ. და გ. ჩ-ებისათვის, სოლიდარულად . . . ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, დავა განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლის საოქმო განჩინებით საქმეში არასათანადო მოპასუხე – საპატრულო პოლიცია შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროთი.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, დ. ხ-ის მეურვის, თ. ხ-ის სარჩელი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამაუწყებლო კომპანია „. . ."-ის მიმართ არ დაკმაყოფილდა. ამასთანავე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სარჩელი თ. და გ. ჩ-ების მიმართ, კერძოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თ. ჩ-ს დ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრათ 1 200 ლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ

დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს დ. ხ-ის მეურვემ, ასევე, თ.ხ-მ და თ. ჩ-მა.

თ. ხ-მ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო თ. ჩ-მა სარჩელის დაკმაყოფილებული (თ. ჩ-ისათვის დ. ხ-ის სასარგებლოდ 1 200 ლარის დაკისრების ნაწილში) გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, დ. ხ-ის მეურვის თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ – თ. ჩ-სათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 1 200 ლარის დაკისრების ნაწილში, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა დ. ხ-ის მეურვემ თ. ხ-მ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მორალური ზიანის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში და საქმე ხალახალი განხილვისათვის დაუბრუნდა განსჯად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით გაუქმდა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, არ დაკმაყოფილდა დ. ხ-ის მეურვის თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა პირველი ინსტან-

ციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის ივნისს შპს სამაუწყებლო კომპანიის ეთერში გადაიცა სიუჟეტი დ. ხ-ის მიერ საქონლის წაყვანის შესახებ. სიუჟეტში გასულ ტიტრებში დ. ხ. მოხსენიებული იყო როგორც ქურდი, სიუჟეტში მონაწილე სა-პატრულო პოლიციის მუშაკი ასევე აცხადებდა, რომ დ. ხ-მ ჩაიდინა ქურდობა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სა-სამართლოს მოსაზრება რომ სადავო ურთიერთობა უნდა მოწეს-რიგებულიყო არა სამოქალაქო კოდექსის მე-18 და 413-ე მუხლებით, არამედ საქართველოს კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუ-ფლების შესახებ", რომელიც სამოქალაქო კოდექსთან მიმართებაში სპეციალურ და უფრო ახალ კანონს წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გაცდენილი იყო ფასახელე-ბული კანონის მე-19 მუხლით დადგენილი ვადა, კერძოდ, სიუჟეტი დ. ხ-ის მიერ საქონლის წაყვანის შესახებ 2005 წლის ივნისს გადა-იცა, ხოლო მოსარჩელემ სასამართლოს 2008 წლის 19 ოქტომბერს მიმართა. გარდა ამისა, სარჩელი მიჩნეულ იქნა უსაფუძვლოდაც. საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" მე-16 მუხლის მიხედვით, ცილისწამებისათვის პირს პასუხ-ისმგებლობა დაეკისრება, თუ მან იცოდა, რომ ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას და მიზნად მისი გავრცელება ჰქონდა დასახული, რა-საც ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გადაცემაში ხდებოდა მხოლოდ ფაქტის დაფიქსირება, გადაიც-ემოდა ინფორმაცია პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შეს-ახებ, გადაცემული ინფორმაცია იყო წინასწარი ვარაუდი დანაშაუ-ლის ჩადენაზე, რაც ემყარებოდა ფაქტობრივ გარემოებებს, დ. ხ-ის მიერ სხვისი საქონლის წაყვანის ფაქტს. ზემოთ მითითებულ კანონ-ის მე-13 მუხლის თანახმად, პირს ცილისწამებისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს და ამ განცხადებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი. პატრულის თანამშრომელს არ გაუვრცელებია ცრუ ინფორ-მაცია, ამასთანავე, მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა თუ რა ზიანი მი-ადგა დ. ხ-ს ამ ფაქტის გავრცელებით.

სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ თუნდაც სადავო

ურთიერთობა მოწესრიგებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით, პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ამ მუხლის მე-6 ნაწილი ითვალისწინებს მხოლოდ არაქონებრივი უფლების ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში. პატრული არ მოქმედებდა დ. ხ-ისათვის ზიანის მიყენების მიზნით, მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში გაავრცელა ინფორმაცია დ. ხ-ის მიერ სხვისი საქონლის ნაყვანის ფაქტის შესახებ, რაც არ შეიძლება მიჩნეულიყო პირადი არაქონებრივი უფლებების ბრალეულ ხელყოფად.

4. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ხ-ის მეურვის წარმომადგენელმა, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო პალტის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჯარო უარყოფის მოვალეობის დაკისრებას შემდეგი სიტყვებით – სინამდვილეს არ შეესაბამება ის, რომ დ. ხ-მ ჩაიდინა ქურდობა; კასატორი ასევე ითხოვდა შს სამინისტროსათვის დ. ხ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის ასანაზღაურებლად . . . ლარის გადახდის დაკისრებას.

კასატორი თვლიდა, რომ სააპელაციო პალატას არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ". მისი მე-3 ნაწილის მე-2 მუხლის თანახმად, ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ადმინისტრაციულ ორგანოზე, შესაბამისად, ამ კანონით არ ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ცილისწამებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება. კასატორი თვლიდა, რომ სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 992-ე და 413-ე მუხლები, გადაცემაში გაშვებული სიუჟეტით დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია, ადგილი ჰქონდა ცილისწამებას დანაშაულის დაბრალებით. კანონით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" სადავო საკითხის რეგულირების შემთხვევაშიც, სასამართლომ არასწორად განმარტა კანონის ნორმები, სასამართლომ ისე გამოიყენა კანონის მე-19 მუხლით დადგენილი ვადა (100 დღე), რომ არ გაითვალისწინა გადაცემის ეთერში გასვლისას დ. ხ-ის ეჭვმიტანილის სახით დაკავება, რის გამოც ის არ გასცნობია გადაცემას.

დ. ხ. ქმედუუნაროდ ცნობილი იქნა სასამართლოს 2006 წლის 25

აგვისტოს გადაწყვეტილებით და მის მეურვედ დაინიშნა მისი ძმა თ. ხ., სწორედ ამ მომენტიდან გახდა ამ უკანასკნელისათვის, როგორც დ. ხ-ის წარმომადგენლისათვის, ცნობილი გადაცემის შედეგად დ. ხ-ის უფლებების შელახვა, ამიტომაც მეურვედ დანიშვნიდან სარჩელის შეტანამდე ხანდაზმულობის ვადა დაცულია.

კასატორმა აღნიშნა, რომ დ. ხ-ს არ ჩაუდენია ქურდობა, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია ცილისწამებას წარმოადგენდა. სასამართლომ არასწორად განმარტა კანონის მე-16 მუხლი. კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს მოსაზრებას, რომ არ დგინდებოდა ზიანის მიყენების ფაქტი. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო ფსიქიატრიული დასკვნის თანახმად „დ. ხ-ს ჰქონდა მძიმე გამწვავება, მას ძროხები ერთმანათში აერია". აღნიშნული ფაქტის შემდეგ ის გახდა უფრო გულჩათხრობილი, გაირიყა საზოგადოებიდან. კასატორი ასევე უთითებდა, რომ განსაკუთრებულ მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს ის ფაქტი, რომ ცილისწამება დანაშაულის ჩადენაში იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას და ამის გამო განიცდის სულიერ ტანჯვას და მას ადგება მორალური ზიანი.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით, დ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი პროცესუალური დარღვევების გარეშე და საქმეზე არებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრებები არ იძლეოდა მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას. კერძოდ: კასატორი ითხოვდა სააპელაციო განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით სასასარჩელო მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებას. მოპასუხე ითხოვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჯარო უარყოფის დავალებას შემდეგი სიტყვებით: – სინამდვილეს არ შეესაბამება ის, რომ დ. ხ-მ ჩაიდინა ქურდობა. კასატორი ასევე ითხოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის დ. ხ-ის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით 50 000 ლარის გადახდის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 18 ოქ-

ტომბრის განჩინებით დ. ხ-ის მეურვის, თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება გაუქმდა მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მორალური ზიანის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, ხოლო ტელეკომპანია „. . ..-ის", თ. და გ. ჩ-ების მიმართ მოსარჩელის მოთხოვნების ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის სახით . . . ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. თავის მხრივ, ეს გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ გაუქმდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში. საქმე მხოლოდ ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა. ამიტომაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა და რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროზე ცნობების უარყოფის დავალებას ეხებოდა, კანონიერ ძალაშია შესული. შესაბამისად, კასატორის მოთხოვნა მოპასუხე – შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის საჯარო უარყოფის დაკისრების შესახებ, საფუძველს იყო მოკლებული.

2004 წლის 24 ივნისის საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" მიღების შედეგად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში შეტანილი ცვლილებების მიხედვით პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით, დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობების მიმართ სწორად იქნა გამოყენებული კანონი „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" .

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხეებს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, შპს სამაუწყებლო კომპანია „. . . -ს“ დაკისრებოდათ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამასთანავე, ვინაიდან დასახელებული კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოპასუხისათვის ქონებრივი ან/და არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების დაკისრება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოპასუხემ კანონით დადგენილ ვადაში განახორციელა შესწორება ან უარყოფა და ამასთანავე, შესწორება ან უარყოფა არ არის საკმარისი ცილისწამებით მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ჯეროვანი ანაზღაურებისათვის. შესაბამისად, უარყოფის გარეშე შეუძლებელი იყო დასახელებული კანონის საფუძველზე მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამიტომაც, საკასაციო საჩივარში მოყვანილი მოსაზრებები სააპელაციო პალატის მიერ კანონის „სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის შესახებ“ ნორმების არასწორი განმარტების შესახებ არ ქმნიდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე საკასაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

პალატამ ასევე დაუსაბუთებელად მიიჩნია კასატორის მოსაზრებები ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, კასატორი აღნიშნავდა, რომ დ. ხ-ე „. . . -ის“ ეთერში გადაცემის გასვლისას არ გასცნობია გადაცემას, ხოლო მეორე მხრივ, უთითებდა 2006 წლის 24 მაისის საექსპერტო დასკვნაზე, რომლის თანახმად, 1999 წლიდან მე-2 ჯგუფის ინვალიდის დ. ხ-ის მდგომარეობის გამწვავება არ უკავშირდებოდა ეთერში გაშვებულ გადაცემას.

საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოპასუხისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ქმნიდა. საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ პატრულის თანამშრომელმა, რომელიც ინფორმაციული დეფიციტის პირობებში მოქმედებდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების ფარგლებში, მიაწოდა ინფორმაცია ფაქტობრივ გარემოებაზე, კერძოდ, დ. ხ-ის მიერ სხვისი საქონლის წაყვანის ფაქტზე დაყრდნობით. პატრულის თანამშრომლის მიერ გამოთქმული ვარაუდი მიზნად არ ისახავდა

მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებას, ადგილი არ ჰქონია პირადი არაქონებრივი უფლების ბრალეულ ხელყოფას, პიროვნებისადმი უპატივცემულობის გამოხატვას, შესაბამისად, საქართველოს კანონის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" მე-5, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი, ასევე სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი გამოირიცხავდა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში დაკმაყოფილება, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვდა მის სასარგებლოდ ადმინისტრაციული ორგანოსათვის – შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით . . . ლარის დაკისრებას.

7. პოლიტიკური რეპრესიის შედეგად შვილის გარდაცვალების გამო, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განხილვისას არსებითი მნიშვნელობა აქვს სარჩელის სამართლებრივი საფუძვლის გარკვევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის
1 აპრილის № ბს-914-878(კ-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. რ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის საკომპენსაციო თანხის . . . ლარის ანაზღაურების დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხვა, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. რ. ძალადობით დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის შედეგების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის გამო, მშვიდობიან მიტინგზე გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა და იგი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. ე. რ. არის აწ გარდაცვლილი გ. რ-ის დედა.

სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, სახეზე იყო საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მე-9 მუხლით გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, მაგრამ კომპენსაციის ოდენობისა და გაცემის წესის მომწესრიგებელი სპეციალური კანონის არარსებობის გამო, მხოლოდ მოცემულ მუხლზე დაყრდნობით, სარჩელის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება კონკრეტული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ზიანის ანაზღაურების მოვალეობის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 კარით გათვალისწინებული წესების ანალოგიით გამოყენების თაობაზე, ვინაიდან ჩათვალა, რომ დასახელებული კოდექსის მე-5 მუხლისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 27-ე მუხლის შესაბამისად, კონკრეტული ურთიერთობა არ განეკუთვნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროს და იგი მოწესრიგებულ უნდა იქნეს სპეციალური კანონით.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ე. რ-ის სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. რ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა ჩათვალა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მას, როგორც გ. რ-ის დედას და როგორც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლის პირველი რიგის მემკვიდრეს, უფლება ჰქონდა მოეთხოვა მისი შვილის მიმართ განხორციელებული პოლიტიკური იძულების გამო, რაც გამოიხატა სხეულის მძიმე დაზიანებაში და რამაც მისი სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს სადავო-სამართლებრივ ურთიერთობაზე უნდა გაევრცელებინა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინებით ე. რ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება და საქმე დაუბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების დასაბუთების არასისრულის გამო მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელი იყო, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე" პუნქტის თანახმად, იგი კანონის დარღვევით მიღებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 28 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ე. რ-ის გარდაცვლილი შვილი გ. რ. აღიარებული იქნა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. ე. რ. სწორედ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ითხოვდა მიყენებული მორალური თუ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ არ გამოარკვია, ე. რ. ერთდროულად ორივე მათგანის, თუ მხოლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. აღნიშნულის გარკვევას კი საკასაციო პალატის მოსაზრებით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოცემული დავის გადასაწყვეტად.

ე. რ-მა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მე-9 მუხლსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლ ნაწილში აღნიშნულია, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი (მორალური) ზიანის დეფინიციას. ეს საკითხი კანონმდებელმა დოქტრინას და სასამართლო პრაქტიკას მიანდო შესაფასებლად. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირის მოთხოვნა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილდეს, თუ კანონის კონკრეტული ნორმით ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული.

საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მე-9 მუხლით დადგენილია, რომ პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, აგრეთვე მის პირველი რიგის მემკვიდრეს, შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია, რომლის ოდენობასა და გაცემის წესს ადგენს კანონი. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ ამ მუხლით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია, ე. რ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა იმ მორალური ტრამვის გამო, რაც მან შვილის პოლიტიკური რეპრესიის შედეგად გარდაცვალებით მიიღო, თუ იმის გამო, რომ ამგვარი ქმედების შედეგად უშუალოდ მოსარჩელის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ პირისათვის, რომლის ჯანმრთელობასაც უშუალოდ მიადგა ვნება. ხოლო თუ მოსარჩელე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას მეორე საფუძვლით ითხოვდა, მაშინ სათანადო მტკიცებულებებით უნდა დაედასტურებინა, რომ მისი შვილის მიმართ განხორციელებულ ქმედებას შედეგად მოჰყვა უშუალოდ ე. რ-ის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება.

8. პროკურატურის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის აღძვრისას, საჭიროა დასახელდეს პროკურატურის კონკრეტული მუშაკი, რომლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებითაც პირს მიადგა ზიანი და დასაბუთდეს მისი კანონშეუსაბამობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
17 ოქტომბრის №ბს-702-668(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. ე-ამ სამტრედიის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა სამტრედიის რაიონული პროკურატურის მიმართ და აღნიშნა, რომ იგი ყალბი ბრალდებით უკანონოდ იქნა დაპატიმრებული, ხოლო შემდგომ, ექიმ-ფსიქიატრთა ყალბი დასკვნის საფუძველზე, უკანონოდ მოათავსეს ხონის რაიონის შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში“.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ მის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამდენ პირთა მიმართ დაწყებული სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად არ ხორციელდებოდა. სამტრედიის რაიონული პროკურატურის მიერ საქმის მასალების ხონის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საგამოძიებო დანაყოფში გადაგზავნა კი მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია, ვინაიდან მისი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ მოთავსება განხორციელდა ქუთაისის საქალაქო პროკურატურის უკანონო შუამდგომლობის საფუძველზე, რაც წარმოადგენდა სამოხელეო დანაშაულს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად, მისი გამოძიება პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შესაბამის სახელმწიფო მოსამსახურეთა მხრიდან სამსახურებრივი მფარველობის განხორციელებას ნ. ე-ას მიმართ დანაშაულებრივ ქმედებათა ჩამდენ პირთა სასარგებლოდ, რომლებმაც დაარღვიეს საქართველოს კონსტიტუციის მე-14, მე-17, 38-ე, 39-ე და 44-ე მუხლები.

მოსარჩელის განმარტებით, სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულებრივი ქმედებით, მისი აბუჩად აგდებით, დამამცირებელი მოჰყ-

რობით მან განიცადა როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ სამტრედიის რაიონული პროკურატურის უკანონო ქმედებებით მას შეელახა ადამიანური ღირსება და მისი აღდგენა, მოპასუხისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, სასამართლოს მეშვეობით უნდა მომხდარიყო, მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრას კი სასამართლოსგან ითხოვდა.

2. სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ე-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურიდან სამტრედიის რაიონულ პროკურატურაში გადაიგზავნა ნ. ე-ას განცხადების საფუძველზე შეკრებილი მასალები, მისი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უკანონოდ მოთავსების ფაქტთან დაკავშირებით. სამტრედიის რაიონულ პროკურატურაში გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 149-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლებებითა და მოვალეობებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად კი, სამართალწარმოება მიმდინარეობდა შეჯიბრებითობის პრინციპით. მხარეები თვითონ განსაზღვრავდნენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დასდებოდა მათ მოთხოვნებს საფუძვლად და რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურებულიყო მორალური ზიანის შინაარსი, ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრავმა. მორალური ზიანის ანაზღაურება კი პირს ეკისრებოდა მაშინ, როდესაც არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, სახეზე იყო ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, მათ შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს ბრალი

მიუძღოდა ზიანის მიყენებაში.

სასამართლომ განმარტა, რომ ნ. ე-ა არ ასახელებდა, სამტრედიის რაიონული პროკურატურის რომელმა მუშაკმა განახორციელა მის მიმართ ღირსების შემლახავი და უკიდურესად დამამცირებელი მოპყრობა, რაში გამოიხატა ეს ქმედება, რა უნდა გაეკეთებინა სამტრედიის რაიონულ პროკურატურას და არ გააკეთა, ანუ მოსარჩელემ არ მიუთითა ქმედების განხორციელებისათვის პასუხისმგებელ პირზე და მოთხოვნის საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლებოდა მოთხოვნილიყო მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში. დასახელებული კოდექსის მე-18 მუხლი კი განსაზღვრავდა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს. ამასთან, მოსარჩელე დასახელებული მუხლით გათვალისწინებულ არც ერთ საფუძველზე არ მიუთითებდა, ანუ არ არსებობდა მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო საჩივრით ნ. ე-ამ გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ნ. ე-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილი ყოფილიყო მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლებრივი ანაზღაურების სახით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი დადგენილება ფსიქიატრიული ექსპერტიზის

დანიშვნის შესახებ, არ ადასტურებდა პროკურატურის ქმედების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ხასიათს.

საკასაციო საჩივრით ნ. ე-ამ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

4. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი...

9. სასამართლოსა და მოსამართლეებისათვის მატერიალური ან მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს არ წარმოადგენს პერსონალური მონაცემების ამოღებისა და განადგურების თაობაზე, კანონით დადგენილ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობა და პასუხის გაუცემლობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 12 დეკემბრის №ბს-924-886(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. ე-ამ სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხეების – მოსამართლეების დ. ჟ-ნის, დ. ს-ძისა და საქართ-

ველოს სახალხო დამცველის მიმართ.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პირობები ხელოვნურად იქნა პროვოცირებული მოპასუხეების – ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების – შ. ხ-სა და დ. ჟ-ის მიერ. მოსამართლე დ. ჟ-მა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლზე მითითებით აიცილა ნ. ე-სა და ე. ლ-ას სარჩელი სს „ე-სის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, სს „ე-სის“ რეგისტრაციის გაუქმებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე. დ. ჟ-ს განუცხადეს აცილება, რაზეც განაწყენებულმა მოსამართლემ ცრუ დასმენის საფუძველზე იმ მოტივით, თითქოსდა მოსარჩელე ხელს უშლიდა მას საქმის სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ განხილვაში და შეურაცხყოფა მიაყენა მოსამართლესა და პროცესის სხვა მონაწილეებს, აღაძვრევინა სისხლის სამართლის საქმე.

მოსარჩელის განმარტებით, მოსამართლე დ. ჟ-ნის ინიციატივით, ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიურმა შემადგენლობამ მის წინააღმდეგ დანაშაულებრივად წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე, დაამუშავა იმავე საქმეზე უკანონოდ შეგროვებული მოსარჩელის ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობით შეხედულებებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები და ფსიქიკურად სრულიად ჯანმრთელი შეურაცხადად ცნო. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო შემდეგ, ადმინისტრაციული საჩივრით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მის მიმართ ხელოვნურად წარმოებული სისხლის სამართლის საქმიდან მის ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ და მსოფლმხედველობით შეხედულებებთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შემცველი მასალების ამოღება და განადგურება. დასახელებულ მოთხოვნაზე მას შესაბამისი ორგანოებიდან პასუხი არ მიუღია. ზემოაღნიშნული კრიმინალური ზემოქმედების შედეგად მან განიცადა სერიოზული მატერიალური და მორალური ზიანი. მის მიმართ განხორციელებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ ასევე აცნობა საქართველოს სახალხო დამცველს, რომელიც თავისი უმოქმედობით მფარველობდა კრიმინალურ რასიზმს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს კონსტიტუციის მე-7 და მე-14 მუხლების, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 38-ე, 39-ე და 46-ე მუხლების, საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტების, 46-ე მუხლის, 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების და 207-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს – დ. ჟ-ს, დ. ს-ძეს და საქართველოს სახალხო დამცველს დაკისრებოდათ მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით მოცემული საქმისწარმოება შეწყდა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისას საქმის მასალების გამოკვლევაზე არ ვრცელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე, 46-ე და 47-ე მუხლების მოთხოვნები, რომლებიც შეეხებოდა პერსონალური მონაცემების დამუშავების წესს, მონაცემებში შესწორების შეტანას ან მათ განადგურებას, აღნიშნულ საკითხზე საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები, არ ითვალისწინებდა მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეთა პასუხისმგებლობას, რაც საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტითა და 84-ე მუხლის 1-ლი პუნქტით აღიარებული სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტია იყო და უშუალოდ გამომდინარეობდა გაეროს კონგრესის მიერ 1985 წელს მიღებულ სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების მე-16 პუნქტიდან. მისი დანაწესით დისციპლინური პროცედურების, აპელაციის უფლების ან სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის მიღების უფლების დაცვით, ქვეყნის შიდა კანონის შესაბამისად, მოსამართლეებს უნდა ესარგებლათ სასამართლოში თავიანთი ფუნქციების შესრულებისას ფინანსური ზიანის მიყენების ან არასწორი ქმედების, ან დაუდევრობის გამო სამოქალაქო საჩივრებისგან პიროვნული იმუნიტეტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ე-ას სარჩელი დაუშვებელი იყო და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე საქმის წარმოება შეწყდა.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ნ. ე-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება და საქმე არსებითად განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განხილვისას საქალაქო სასამართლოს უნდა ემსჯელა მოპასუხეების – მოსამართლეების: დ. ჟ-სა და დ. ს-ძის ქუთაისის საქალაქო და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებით შეცვლის შესახებ.

4. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ე-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ნ. ე-ას შუამდგომლობაზე, რომელშიც მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მის სარჩელზე მოპასუხეებს წარმოადგენდნენ მოსამართლეები და არა სასამართლოები.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენდა, რომ სარჩელი აღძრული იყო არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც პასუხი უნდა ეგო სარჩელზე, მას შეეძლო მოსარჩელის თანხმობით შეეცვალა თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ იქნებოდა თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყოდა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლეები არ წარმოადგენდნენ იმ პირთა კატეგორიას, რომლებსაც პასუხი უნდა ეგოთ სარჩელზე, ხოლო მოსარჩელე არ იყო თანახმა, არასათანადო მოპასუხე შეცვლილიყო სათანადო მოპასუხით, შესაბამისად, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ დასტურდებოდა ზიანის მიყენების ფაქტი სახალხო დამცველის მხრიდან, შესაბამისად, არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების საფუძველიც.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ე-ამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებით, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საქმეში მოპასუხეებად ჩაებნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო და ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ნ. ე-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ე-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსამართლე დ. ჟ-ის მოქმედებით მოსარჩელეს მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ნ. ე-ას მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე და 46-ე მუხლების საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე შეტანილ განცხადებებზე პასუხის მიუღებლობით მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციიდან გამომდინარე დავა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე მუხლის „ბ" და „დ" ქვეპუნქტებისა და 46-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობასთან, შესაბამისი გადაწყვეტილების 10 დღის განმავლობაში მიუღებლობა და პასუხის გაუცემლობა არ წარმოადგენდა მატერიალური ან მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლებს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო საქართველოს სახალხო დამცველს დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, რადგან არ დასტურდებოდა მის მიერ ნ. ე-ათვის ზიანის მიყენების ფაქტი.

გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ე-ამ.

6. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ

იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

10. სახელმწიფო ანაზღაურებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენებით მიყენებულ მორალურ ზიანს[1].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის
2003 წლის 24 მარტის № 3გ-ად-329-კ-02 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2002 წ. 26 აპრილს დ. და ე. ბ-ებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან სისხლის სამართალწარმოების

1 მართალია, დიდი პალატის განჩინების ნაწილი ეფუძნება ამჟამად ძალადაკარგულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, მაგრამ, ამავე დროს, ხაზგასმულია მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე უკანონოდ დაპატიმრებული პირის უფლების არსებობა, რის გამოც, განჩინების მიმღები სასამართლოს სტატუსის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ საპროცესო აქტის კრებულში ჩართვა. გათვალისწინებულ იქნა ის გარემოება, რომ ზიანის, მათ შორის მორალურის, ანაზღაურება (მოცემულ განჩინებაში დასახელებულისაგან განსხვავებული საპროცესო ფორმით) გათვალისწინებულია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლით.

ორგანოების უკანონო მოქმედებით მიყენებული მორალური ზიანის . . . ლარის ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელეებმა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად შემდეგ გარემოებებზე მიუთითეს:

2000 წლის 15 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ბიუროში მოსარჩელეთა მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით.

2000 წლის 16 სექტემბერს მათ წარედგინათ ბრალდებები, 17 სექტემბერს კი აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ პატიმრობა.

2001 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დ. და ე. ბ-ების მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვიტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე – სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლების უკანონო და დაუსაბუთებელ მოქმედებებს შედეგად მოჰყვა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოსარჩელეების უკანონოდ მიცემა და 2000 წლის 14 სექტემბრიდან 2001 წლის 26 მაისამდე, დაახლოებით რვათვენახევრიანი უკანონო პატიმრობა,

2001 წლის 12 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მოსარჩელეებმა განცხადებით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული. დ. და ე. ბ-ებმა უკვე სასარჩელო წესით ფინანსთა სამინისტროსაგან თითოეულის სასარგებლოდ . . . ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსარჩელეთა მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. და ე. ბ-ების მიმართ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და გაუქმდა ბრალდებულების მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, ეს საპროცესო აქტი წარმოადგენდა რეაბილიტაციის საფუძველს, ხოლო ამავე კოდექსის 221-ე მუხლის შესაბამისად, უნდა ანაზღაურებულიყო სამართალწარმოების ორგანოების უკანონო მოქმედების შედეგად მიყენებული ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანი.

მიყენებული ზიანის ანაზღაურების საპროცესო წესი გათვალისწინებულია 227-ე მუხლში. ამ ნორმის შესაბამისად, მოსარჩელეებმა მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას, რომლის განჩინებით მოსარჩელეთა განმეორებით გამოუცხადებლობის გამო სარჩელი განუხილველი დარჩა. განჩინება უცვლელად დატოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატამ.

აღნიშნული განჩინების გამოტანის შემდეგ, მოსარჩელეებმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელით მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვეს მორალური ზიანის ანაზღაურება თითოეულისათვის . . . ლარის ოდენობით.

სასამართლო კოლეგიამ სასარჩელო განცხადება დაუსაბუთებლად მიიჩნია, მაგრამ, ამავე დროს, ჩათვალა, რომ სახეზე იყო სისხლის სამართალწარმოების ორგანოების მიერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემისა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების ფაქტი, რის გამოც მოსარჩელეებმა განიცადეს მორალური ზიანი. სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით მორალური ზიანი მოსარჩელეთათვის კომპენსირებული უნდა ყოფილიყო მოპასუხისათვის . . ლარის დაკისრებით.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მოითხოვა რა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება, მიუთითა, რომ საოლქო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

4. დიდი პალატის განჩინებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რა ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი და საქმე განსჯადო-

ბით არსებითად განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, პალატამ განმარტა: „საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან. ევროპის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2-5 პუნქტები ადგენდა, უკანონოდ დაკავებული პირის გათავისუფლების გარანტიებს. პიროვნების ფიზიკური თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც დემოკრატიულ ღირებულებებს აღიარებს, იგი, როგორც წესი, ყოველმხრივ დაცულია. ეს უფლება ყველა იმ სახელმწიფოებრივი სისტემის ქვაკუთხედია, რომელიც კანონიერების პატივისცემისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრიორიტეტულ მნიშვნელობას აღიარებს. კონვენცია ადგენს კომპენსაციის შესაძლებლობას მასში გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისათვის. კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ამ მუხლის დებულებათა დარღვევით განხორციელებული თავისუფლების აღკვეთისათვის კომპენსაციის უფლება, ავსებს 50-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებას „სამართლიან ანაზღაურებაზე". „სამართლიანი ანაზღაურების" მინიჭება ევროპული სასამართლოს კომპეტენციაა, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაცია, უფლების დარღვევის დადგენის შემთხვევაში, ეროვნული სასამართლოების მიერაც უნდა განხორციელდეს. მე-5 პუნქტის გამოყენების წინაპირობას მე-5 მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე უფლების ხელყოფა წარმოადგენს. კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული დაამტკიცებს მისთვის ფიზიკური, მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, ვინაიდან კომპენსაციის შესახებ საკითხი არ დგება ასეთი ზიანის გარეშე". კომპენსაცია მოიცავს როგორც მატერიალურ, ისე მორალურ ზიანს.

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისას საქართველოს კონსტიტუციასა და ევროპის კონვენციასთან ერთად გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლები, რომლებიც რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და დარღვეული უფლებების აღდგენის წესსა და პროცედურას ადგენენ. სწორედ ზემოაღნიშნული მუხლებით დადგენილი პროცედურით უნდა მომხდარიყო ზიანის ანაზღაურება. კერძოდ, მას შემდეგ, რაც მომკვლევი ან გამომძიებელი შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს იმ საფუძვლით, რომელსაც რეაბილიტაცია მოსდევს, იგი განსაზღვრავს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზიანის ოდენობას, რის შემდეგაც პროკურორი შეწყვეტილ საქმეს გადასცემს განსჯად სასამართლოს. თუ საქმის შეწყვეტის შემდეგ არ განისაზღვრა ზიანის ოდენობა, რეაბილიტირებულს უფლება აქვს პირდაპირ მიმართოს განსჯად სასამართლოს, რომელიც საქმეს განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 227-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად.

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ დ. და ე. ბ-ბი კანონით დადგენილი წესით იყვნენ რეაბილიტირებულნი, რადგან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილებით მათ მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმისწარმოება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, რაც ამავე კოდექსის 219-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად რეაბილიტაციის საფუძველია.

ამასთან, დიდი პალატამ ჩათვალა, რომ დ. და ე. ბ-ებმა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, კანონით დადგენილი წესით, 6 თვის განმავლობაში მიმართეს განსჯად, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას, რომელმაც მათი სარჩელი დატოვა განუხილველი, რაც უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის მიერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად, ამ გარემოებების აღმოფხვრის შემთხვევაში, რომელიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეებს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ გაუშვიათ, ვინაიდან სარჩელის განუხილველად დატოვების შემდეგ მიმართეს სასამართლოს. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენა გამოწვეული იყო იმით, რომ მათ სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ არასწორად განემარტათ

გასაჩივრების წესი. შესაბამისად, მოსარჩელეების მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება გაშვებულად ჩაითვალოს.

დიდმა პალატამ მიიცნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 221-ე, 222-ე, 225-ე და 227-ე მუხლებთან ერთად უნდა იქნეს გამოყენებული. 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად".

დიდმა პალატამ განმარტა, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურება და უფლებების აღდგენა უნდა განხორციელდეს იმ წესითა და პროცედურით, რასაც ითვალისწინებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

11. საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მორალური კომპენსაციის საკითხს არ აწესრიგებს და იგი უნდა გადაწყდეს ზოგადად, მორალური ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებით[1].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
19 სექტემბრის №ბს-153-143(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თ. კ-მა სარჩელი აღძრა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და

1 იხ. ასევე, ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 სექტემბრის №ბს-399-378(კ-07) განჩინება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 1990 წლის ნოემბერში საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ იგი დაამტკიცა ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე და ამ უფლებამოსილებას ახორციელებდა 1992 წლის 6 იანვრამდე.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში განხორციელებულ შეიარაღებული გადატრიალების გამო მან დატოვა საქართველო და 2001 წლამდე ცხოვრობდა ლიტვის რესპუბლიკაში. საქართველოში დაბრუნდა 2001 წელს. 1992 წლის აგვისტოში მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

მოსარჩელის მოსაზრებით, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდა იმ მიზეზით, რომ იგი იყო საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მთავრობის წევრი. საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 11 მარტს დადგენილების „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ" მიღებით დაადასტურა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს – საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების ლეგიტიმურობა. ამასთან, საქართველოს კანონში „რეპრესირებულ პირთა სოციალური დაცვის შესახებ" შეტანილი ცვლილების შესაბამისად, რეპრესირებულად ითვლებოდა ის პირიც, ვინც განიცადა დევნა-შევიწროება 1991-92 წლების მოვლენებთან დაკავშირებით და ეს დევნა გამოწვეული იყო მისი პოლიტიკური მრწამსით.

მოსარჩელის მოსაზრებით, საქართველოს პარლამენტის დადგენილება და კანონში განხორციელებული დამატება პირდაპირ ეხებოდა მის პიროვნებას, ვინაიდან 1990 წლის ნოემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე იგი იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის წევრი, ხოლო 1992 წლის 6 იანვრის შემდეგ კი იქცა დევნილად და იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო.

მოსარჩელის განმარტებით, სამხედრო გადატრიალების შემდეგ მისი სამუშაო კაბინეტიდან და წყნეთის სამთავრობო აგარაკიდან საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ჩხრეკის დროს უკვალოდ გაქრა მისი კუთვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის კინოფირები, ასევე ეჭვი აქვს, რომ საქტელერადიო დეპარტამენტის ტელეფილმების არქივიდან გაიტაცეს მის

მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა რეპრესირებულ პირად აღიარება, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდისათვის, მისთვის როგორც რეპრესირებულისათვის, კანონით გათვალისწინებული ყოველთვიური პენსიის გადახდისა და სხვა სოციალური შეღავათების გავრცელების დავალდებულება, სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების ღირებულების, მიუღებელი ხელფასის, დევნილობაში გატარებული წლებისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება და პირვანდელ თანამდებობაზე დანიშვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებით, თ. კ-ის სარჩელი პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების, მასზე სოციალური შეღავათების გავრცელებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო დანარჩენ მოთხოვნებზე დაუშვებლობის მოტივით საქმისწარმოება შეწყდა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, თ. კ-ის სასარჩელო განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; თ. კ. პოლიტიკური მოტივით თანამდებობიდან უკანონოდ დათხოვნის გამო აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად„ ხოლო დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. კ-მა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თ. კ. სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას სარჩელის დაუკმაყოფილებულნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლიდან გამომდინარე, თანამდებობიდან გათავისუფლების გამო მოსარჩელე არ შეიძლება მიჩნეულიყო პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად.

საქმეში წარმოდგენილ საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის 1992 წლის 6 იანვრის ბრძანების შესაბამისად, მოსარჩელე თ. კ. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა საქართველოს რეპუბლიკის შრომითი კანონმდებლობის 32-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული ბრძანება არ გაუქმებულა უკანონობის მოტივით და იგი კანონიერ ძალაშია.

გარდა ამისა, აპელანტის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი არ იყო მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების ფაქტი. შესაბამისად, თ. კ-ის მიმართ ადგილი არ ჰქონია „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა მოითხოვა სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რესპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, ამავე კანონის მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად და ასევე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, მოსარჩელე სწორედ იქნა აღიარებული პოლიტიკური რესპრესიების მსხვერპლად. თ. კ-ის სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ შეხედულებასთან, რაც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში, ამასთანავე, სამსახურიდან დათხოვნა მოხდა არა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არამედ არალეგიტიმური ორგანოს – სამხედრო საბჭოს განკარგულების საფუძველზე.

საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა დაცვის შესახებ" მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი განსაზღვრავს არა

მხოლოდ მსხვერპლად აღიარების წესს, არამედ ადგენს შესაბამის სამართლებრივ შედეგებსაც, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რეაბილიტირებული პირის ქონებრივი უფლებების აღდგენის წესი განისაზღვრება ცალკე კანონით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ფულადი ანაზღაურება, მაგრამ აღნიშნული ხორციელდება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ განსაზღვრა მხოლოდ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ოდენობა და არ მიუთითა, თუ რომელ საკანონმდებლო ნორმაზე დაამყარა მოთხოვნა და შესაბამისი მტკიცებულებებით არ დაადასტურა აღნიშნული.

სააპელაციო პალატის მითითებით, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურების ნაწილს ფაქტობრივად უკავშირებდა 14 წლის განმავლობაში სისხლისსამართლებრივი დევნის გამო სამშობლოსაგან მოშორებით, საზღვარგარეთ, ცხოვრების ფაქტს. მოსარჩელის მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე არამარეაბილიტირებელი საფუძვლით მიღებული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილება, როგორც უკანონო, მარეაბილიტირებელი საფუძვლით შეწყვეტის მოთხოვნით, მოსარჩელეს გასაჩივრებული ჰქონდა სასამართლოში და იხილებოდა სისხლის სამართალწარმოების წესით, ამიტომაც, მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზეც მოთხოვნა ამ პროცესუალური ფორმით უნდა განხილულიყო.

5. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. კ-მა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

კასატორი თ. კ. საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასრული შეფასება მისცა მის მიერ უშუალოდ განცდილ პოლიტიკურ რეპრესიას. კერძოდ, საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" მე-2 მუხლის შესაბამისად, პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარად შეზღუდვაც. სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმ გარემოებაზე,

რომ ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სამხედრო გადატრიალების დროს, მისი არა მარტო შრომითი უფლება ან მრწამსის თავისუფლება შეიზღუდა, არამედ სიცოცხლე, ჯანმრთელობა და პირადი თავისუფლება იდგა საფრთხის ქვეშ. საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით კი სიცოცხლე, თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა ბუნებითი გარანტირებული უფლებებია, რაზედაც არც სააპელაციო სასამართლოს უმსჯელია.

კასატორის შეფასებით მართებული არ იყო სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, თითქოს მან არ მიუთითა, თუ რომელ საკანონმდებლო ნორმაზე ამყარებდა თავის მოთხოვნას და შესაბამისი მტკიცებულებებით არ დაადასტურა იგი.

სასამართლომ სავალდებულოდ ჩათვალა რა საქართველოს პარლამენტის მიერ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების ხასიათი, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის მე-2, მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემადგენლობა – ამბოხება. იგი უშუალოდ დაზარალდა აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად. ამიტომაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, მას გაჩნდა მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არავითარი შეფასება არ მიუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1995 წლის 29 ნოემბრის დეკლარაციისათვის „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები დანაშაულთა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის". ეს პრინციპები სავალდებულოა საქართველოსათვის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოსათვის.

დეკლარაციაში ტერმინი „მსხვერპლი" გულისხმობდა პირებს, ვისაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიადგა ზიანი, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის დაზიანებას ან მორალურ ზიანს, ემოციურ განცდებს, მატერიალურ ზარალს ან ძირითად უფლებათა არსებით დარღვევებს ისეთი ქმედებების (მოქმედება ან უმოქმედობა) შედეგად, რომლებიც არღვევს გაეროს წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობას. „მსხვერპლად" ასევე მიიჩნეოდა პირი, რომლისთვისაც მიყნებული ზიანი ჯერ არ წარმოადგენდა ნაციონალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის

დარღვევას, მაგრამ ასეთად გვეცნობოდა ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

წინამდებარე დეკლარაციის შესაბამისად, ესა თუ ის პირი ითვლება „მსხვერპლად", მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა დადგენილი, დაპატიმრებული ან გასამართლებული სამართალდამრღვევი.

„მსხვერპლი" იმსახურებს ჰუმანურ მოპყრობას, მისი ღირსების პატივისცემას. მათ აქვთ უფლება, მიმართონ სასამართლოს და ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად, უსწრაფესად მიიღონ კომპენსაცია განცდილი ზიანისათვის.

კასატორის განმარტებით, თუ სასამართლო პირს აღიარებს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, ეს ნიშნავდა, რომ მან დაუსაბუთებლად, პოლიტიკური ნიშნით განიცადა დევნა-შევიწროება, როდესაც სახელმწიფო გმობს ანტიკონსტიტუციურ, შეიარაღებული სახელმწიფოს გადატრიალებას, ხოლო პირმა რეპრესია განიცადა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად. მაშინ, ბუნებრივია, მორალური ზიანი მიადგებოდა ადამიანს, რომელიც იძულებული იყო სიცოცხლის მოსპობის შიშით სამშობლოდან გახიზნულიყო. აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ სრულად გაზიარებული საქალაქო სასამართლოს არგუმენტი, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით განსაზღვრულ საკანონმდებლო წესრიგში მოქცევა სასამართლოს ზღუდავდა მისი მოქმედების ფარგლების დაუსაბუთებელი გაფორმებისაგან.

კასატორის მითითებით, მისი სამშობლოდან გამგზავრება მოხდა მას შემდეგ, რაც დევნის, ჩასაფრებების, დაპატიმრებისა და მკვლელობის შიშით ლეგალური ცხოვრება შეუძლებელი გახდა. სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ აღიძრა საქართველოს დატოვებიდან 6 თვის შემდეგ. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალებას, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა, ამ გადატრიალების თანმდევი და მისგან გამომდინარე შედეგი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინების ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საკასაციო საჩივრით ასევე ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა სააპელაციო საჩივარში დასახელებულ გარემოებებზე.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორთა მითითება სააპელაციო სასამართლოს მხრიდან კანონის არასწორი გამოყენებისა თუ მისი მცდარი განმარტების თაობაზე და ჩათვლა, რომ სახეზე არ იყო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით განსაზღვრული საფუძვლები.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 22 ნოემბრის დადგენილებით, თ. კ. დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის 1992 წლის 6 იანვრის ბრძანებით იგი გათავისუფლდა სამსახურიდან. დადგენილი იყო, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნა დაკავშირებული იყო მის პოლიტიკურ შეხედულებებთან, რაც გამოიხატებოდა ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერაში.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო თ. კ-ის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება უსაფუძვლო იყო, რადგანაც ძალაში რჩებოდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მიღებული ბრძანება.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ თ. კ-ის დათხოვნა მოხდა არალეგიტიმური ორგანოს – სამხედრო საბჭოს განკარგულების საფუძველზე, რაც უკავშირდებოდა ხელისუფლების სტრუქტურაში მის მუშაობასა და ლეგიტიმური ხელისუფლებისადმი მის მხარდაჭერას. ამგვარი დასკვნის საფუძველს საკასაციო სასამართლოს აძლევდა საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილება „1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ", რომლითაც სახელმწიფომ დაადასტურა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს უზენაესი

საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე, მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, 2005 წლის 24 ივნისს საქართველოს კანონში „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის 1.2 მუხლის შესაბამისადაც, მითითებული კანონის მოქმედება გავრცელდა საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრსკ-ის ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულსა და სასამართლოთა მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე კასატორმა, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ვერ წარადგინა დასაბუთებული პრეტენზია, ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. კ. საქართველოს კანონის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საფუძველზე მართებულად იქნა აღიარებული პოლიტიკურ რეპრესირებულად.

საკასაციო სასამართლომ ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია თ. კ-ის საკასაციო პრეტენზია და ჩათვალა, რომ არ არსებობდა მისი გაზიარების კანონისმიერი საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ დაადასტურა რა საერთაშორისო შეთანხმებებისა და დეკლარაციების შიდა კანონმდებლობაში გამოყენების სავალდებულობა, ყურადღება მიაქცია თვით კასატორის მიერ მითითებულ დეკლარაციის ნორმებს, „მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები დანაშაულთა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის", რომლის მე-4 მუხლის შესაბამისადაც, მსხვერპლს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს და უსწრაფესად მიიღოს კომპენსაცია განცდილი ზიანისათვის ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ნორმა შეიცავდა მითითებას ნაციონალურ კანონმდებლობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში.

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა შესახებ სპეციალური რეგულაციების შემცველი კანონი, მორალური კომპენსაციის საკითხს არ აწესრიგებს. კომპენსაციის საკითხი მოწესრიგებული იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-228-ე მუხლებით. არამარეაბილიტირებული საფუძვლით, ვითარების შეცვლის გამო თ. კ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილება გაასაჩივრა თვით თ. კ-მა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კასატორს ექნებოდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კანონისმიერი საფუძველი, და ამ ნაწილში საკასაციო სასამართლომ სრულიად ′გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მოსაზრებანი.

თავი VI. სარჩელები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე

1. ყოველთვიური სარჩოს გაცემა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენს და მის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც იწყება მომენტიდან, როდესაც პირმა გაიგო ან უნდა გაეგო დარღვეული უფლების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 27 იანვრის № ბს-1069-1040(კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2005 წლის 9 მარტს ვ. შ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – გეოლოგიის დეპარტამენტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი სს „. . .-ს“ მაღაროში მუშაობდა მებიგედ. 1970 წლის 21 ივნისს ჭიათურის გეოლოგიური პარტიის კუთვნილი ავტომობილით გზავრობის დროს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა და 80 %-ით დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა.

ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ჭიათურის გეოლოგიურ საძიებო პარტიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა, ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის, თვეში 142 მანეთის გადახდა. სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ თანხას ვ. შ-ძე 1997 წლის მაისამდე იღებდა, თუმცა შემდგომ, გაურკვეველ მიზეზთა გამო, მას ყოველთვიური სარჩოს გაცემა შეუწყდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხისათვის ძირითადი დავალიანების – . . . ლარისა და ყოველთვიური სარჩოს – . . . ლარის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის განხილვის პროცესში ვ. შ-ძე გარდაიცვალა და მის უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა ვ. შ-ძე. საქმის რამდენჯერმე განხილვის შემდეგ, საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ვ. შ-ძის უფლებამონაცვლის – ვ. შ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. შ-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვ. შ-ძის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვ. შ-ძე სს „. . . -ს“ მაღაროში მუშაობდა მებიგედ. 1970 წლის 21 ივნისს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალდა და დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა 80%-ით. ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჭიათურის გეოლოგიურ საძიებო პარტიას 1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე ვ.შ-ძის სასარგებლოდ, ყოველთვიური სარგოს 80%-ის, სულ თვეში . . . მანეთის გადახდა დაეკისრა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის ფილიალის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ვ. შ-ძეს 1984 წლიდან ჭიათურის სსე კომისიის მიერ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი, პროფესიული შრომისუნარის 80%-ის დაკარგვით (საყოფაცხოვრებო ტრავმით), უვადოდ. ამავე ცნობის თანახმად, ვ. შ-ძე სამედიცინო კომისიას გადიოდა სხვადასხვა წლებში. მისი თანამდებობრივი სარგო 2002 წლის მარტიდან გარდაცვალებამდე შეადგენდა . . . ლარს. ვ.შ-ძე გარდაიცვალა 2006 წლის 19 სექტემბერს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე არასწორად გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესით“ დადგენილი ნორმები, ვინაიდან აღნიშნული ნორმატიული აქტი გამოიყენებოდა იმ პირების მიმართ, რომლებმაც მიიღეს საწარმოო ტრავმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მოცემულ შემთხვევაში კი დადგენილი იყო, რომ ვ. შ-ძე არ იყო ჭია-

თურის გეოლოგიური საძიებო პარტიის თანამშრომელი. იგი ტრავმის მიღებისას არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას და მხოლოდ გადაადგილდებოდა საწარმოს კუთვნილი ავტომანქანით, ხოლო მის მიერ მიღებული დაზიანება მიჩნეულ იქნა საყოფაცხოვრებო და არა საწარმოო ტრავმად, რაც არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და შესაბამისად, რეგულირდებოდა განსხვავებული სამართლებრივი ნორმებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა გამოეყენებინა არა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დადგენილი წესები, არამედ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები დელიქტურ ვალდებულებათა შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის ვალდებულება ვ. შ-ძის მიმართ წარმოიშვა კანონიერ ძალაში შესული, ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული იყო ვალდებულების შესრულების კონკრეტული დრო (1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე პერიოდი), 1971 წლის 21 ოქტომბრის შემდგომ პერიოდში ჭიათურის გეოლოგიურ პარტიას შეუწყდა მოსარჩელისათვის სარჩოს ანაზღაურების ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მიერ, იმ დროს მოქმედი კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, პერიოდულად ხდებოდა წერილობითი მიმართვების გაგზავნა სოცუზრუნველყოფასთან არსებულ შრომის საექსპერტო კომისიისათვის, რათა ამ უკანასკნელს გადაეგზავნა დასკვნა, თუ რამდენი პროცენტით ჰქონდა დაკარგული ვ. შ-ძეს საერთო და პროფესიული შრომის უნარი. ამასთან, 1971 წლიდან 1989 წლამდე პერიოდით დათარიღებული მოპასუხის მიერ სარჩოს გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრების, ე.წ. „ტალონების" საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უტყუარად დასტურდებოდა ვალდებული პირის მხრიდან, აწ გარდაცვლილ ვ. შ-ძისათვის ტრავმის გამო სარჩოს 1971 წლის შემ-

დგომ პერიოდში გადახდის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია აპელანტის მოსაზრება მოპასუხის არასათანადოობის შესახებ. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 ნოემბრის 213 დადგენილების„საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 12 ივნისის № 50 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანისა და სამინისტროს ზოგიერთი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარდაქმნის თაობაზე“,საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები – გეოლოგიის დეპარტამენტი და ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი გარდაიქმნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებად. ამიტომაც, გეოლოგიის დეპარტამენტის უფლებამონაცვლეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მოსარჩელემ 80%-ით დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჭიათურის ფილიალის ცნობის თანახმად კი, ვ.შ-ძეს 1984 წლიდან ჭიათურის სსე კომისიის მიერ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი, პროფესიული შრომის უნარის 80%-ის დაკარგვით (საყოფაცხოვრებო ტრავმით) უვადოდ, მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და არსებობდა მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

3. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ვ. შ-ძის სარჩელი ხანდაზმული იყო, რადგან სასამართლოს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის

ათვლა უნდა დაეწყო იმ პერიოდიდან, როდესაც მოსარჩელეს წარმოეშვა სადავო თანხის მოთხოვნის უფლება, სასამართლომ კი ამ საკითხთან დაკავშირებით სრულად არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

4. საკასაციოს სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ვ. შ-ძე სს „. . .-ში" მუშაობდა მებიგედ. 1970 წლის 21 ივნისს ჭიათურის გეოლოგიური პარტიის კუთვნილი ავტომობილით მგზავრობისას, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა და 80%-ით დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა. ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით ჭიათურის გეოლოგიურ საძიებო პარტიას 1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს 80%-ის, თვეში 142 მანეთის გადახდა. მოსარჩელე სამედიცინო კომისიას გადიოდა სხვადასხვა წლებში. 1984 წლიდან მას ჭიათურის სსე კომისიის მიერ უვადოდ დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი, პროფესიული შრომის უნარის 80%-ის დაკარგვით (საყოფაცხოვრებო ტრავმით). მოსარჩელემ სასამართლოს 2005 წლის 9 მარტს მიმართა. იგი 2006 წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა და მის უფლებამონაცვლედ მისი შვილი – ვ. შ-ძე იქნა ცნობილი. ასევე, დადგენილად იქნა მიიჩნეული, რომ ჭიათურის ქალაქის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების (ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების)კონკრეტული პერიოდი (1970 წლის 22 დეკემბრიდან 1971 წლის 21 ოქტომბრამდე), ამისდა მიუხედავად, მოსარჩელეს სარჩოს თანხა ვ. შ-ძეს 1997 წლის მაისამდე უნაზღაურდებოდა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება, ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურება წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო ხან-

დაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებაც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლებების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მატერიალური სარჩელის, ანუ სარჩელის დაკმაყოფილების უფლებაზე.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად კი ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყო იმ დროს, როდესაც მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა მოპასუხის მიერ სარჩოს ანაზღაურების შეწყვეტის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ან/და შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა.

საკასაციო სასამართლომ საქმეში არსებული გეოლოგიის დეპარტამენტის სახელზე წარდგენილი განცხადების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს პირველად, წერილობით2004 წლის 11 მაისს მიმართა, ხოლო სარჩელი სასამართლოში 2005 წლის 9 მარტს შეიტანა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სხვა მტკიცებულება, რომელიც დაასტურებდა 2004 წლის მაისამდე მოსარჩელის მიერ სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნით, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის ფაქტს საქმეში არ მოიპოვებოდა. ამასთან, საგულისხმოა იყო ის გარემოება, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ ვ. შ-ძისათვის 1989 წლიდან 1997 წლამდე პერიოდის სარჩოს ანაზღაურება..

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სარჩელის ხანდაზმულობის საკითზე და სრულყოფილად არ გამოუკვლევია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მტკიცებულებები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის ხელახლა განხილვისას პირველ რიგში უნდა ემსჯელა იმ საკითხზე, თუ როდიდან უნდა დაეწყო სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლა, ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილი მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხის მიერ ვ. შ-ძისათვის სარჩოს 1997 წლამდე ანაზღაურების ფაქტი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს უნდა დაედგინა 2004 წლის მაისამდე მიმართა თუ არა მოსარჩელემ ადმინისტრაციულ ორგანოს სარჩოს ანაზღაურების მოთხოვნით. ამიტომაც, სასამართლოს არსებითად უნდა ემსჯელა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და უნდა ესარგებლა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილებით, შეეგროვებინა და გამოეთხოვა მტკიცებულებები და ჯეროვანი შეფასება მიეცა მათთვის.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ დასახიჩრების შედეგად ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ მოთხოვნა კანონისმიერი ვალდებულებაა და მასზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დაწესებული ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის
20 თებერვლის №ბს-907-869(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ე-ამ 2006 წლის 18 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა . . . ლარის ოდენობით 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანების, ... ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარების და . . . ლარის ოდენობით ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1993-2001 წლებში მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინიტროს სისტემაში და სამსახურიდან გათავისუფლებისას ეკავა სამხედრო ნაწილის საავტომობილო

სამსახურის უფროსის თანამდებობა. 2000 წლის 8 მარტს მიმდინარე სამხედრო სწავლების დროს, როდესაც იგი ასრულებდა მეთაურის სიტყვიერ ბრძანებას და ახორციელებდა კავშირგაბმულობის მანქანის გამართვა-გაწყობას, დაეცა ანძა. საველე პირობებში პირველადი დახმარების აღმოჩენის შემდეგ, იგი გადაიყვანეს ქ. რუსთავის საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში. საავადმყოფოში ჩატარებულმა მკურნალობის კურსმა შედეგი არ გამოიღო, რის გამოც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სამხედრო ჰოსპიტლის სამხედრო-საექიმო კომისიამ 2001 წლის 31 ივლისს მოსარჩელეს დაუდგინა დიაგნოზი: ქალა-ტვინის ღია ტრავმისა და თავის ტვინის დაჟეჟილობის მყარი ნარჩენი მოვლენები. გ. ე-ას დაუდგინდა ინვალიდობის მე-2 ჯგუფი, ხოლო სსსე-ის 2006 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით – მუდმივი ინვალიდობის მე-2 ჯგუფი – შრომისუუნარო.

მოსარჩელის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას მოპასუხეს გააჩნდა . . . ლარის ოდენობით 1998-2000 წლების სახელფასო დავალიანება. მოსარჩელემ ტრავმა მიიღო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და ეკუთვნოდა ერთჯერადი კომპენსაცია – თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოების ნამრავლი 5 წელზე. მოსარჩელის განცხადებით, მან არაერთხელ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომპენსაციის მიღებისა და დავალიანების დაფარვის მოთხოვნით, მაგრამ საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მოტივით მოპასუხე თანხას არ უნაზღაურებდა. მოსარჩელეს გადაეცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო. განსახილველი შრომითი ურთიერთობა ემყარებოდა საქართველოს კანონს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ", რაც, მოსარჩელის განცხადებით, გამორიცხავდა მასზე სახელშეკრულებო ურთიერთობებისათვის დადგენილ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გამოყენებას და მასზე უნდა გავრცელებულიყო ხანდაზმულობის ათწლიანი საერთო ვადა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით გ. ე-ას სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა.

სასამართლო კოლეგიამ, საქმეში არსებული მტკიცებულებით, გ. ე-ას მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დავალიანების არსებობა, რომელიც ხელფასისა და ერთჯერადი გასასვლელი დახმარების გათვალისწინებით შეადგენდა . . . ლარს. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ცნობა წარმოადგენდა მოპასუხის დავალიანების აღიარების დამადასტურებელ დოკუმენტს, რაც საკმარისი საფუძველი იყო სახელფასო დავალიანებისა და გასასვლელი ერთჯერადი დახმარების გადახდის მოვალეობის მოპასუხისათვის დაკისრებისათვის. დადგინდა, რომ მოსარჩელე ტრავმის მიღების მომენტში ასრულებდა უფროსის ბრძანებას, რაც საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად ითვლება. საქართველოს სამხედრო ძალების ცენტრალური სამხედრო სამედიცინო საექსპერტო კომისიის ცნობით ირკვეოდა, რომ გ. ე-ას დაუდასტურდა ინვალიდობის მე-2 ჯგუფი, ხოლო მის მიზეზად სამხედრო ტრავმა მიეთითა. აღნიშნული, საქართველოს კანონის „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ერთჯერადი დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენდა. სასამართლომ მიუთითა, რომ ტრავმის პერიოდში მოქმედი რედაქციით დასახელებული ნორმის მიხედვით სამხედრო პირს მისი დასახიჩრების შემთხვევაში მიეცემოდა ერთჯერადი დახმარება 5 წლის საზღაურის ოდენობით, ამიტომაც სარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის ერთჯერადი კომპენსაციის გადახდის დავალდებულების ნაწილში მართებული იყო.

სასამართლომ არ გაიზიარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ მოთხოვნის წარმოშობის დღიდან გასული არ იყო საერთო ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ და მისი ნაწილობრივ, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროზე მოსარჩელის სასარგებლოდ ერთჯერადი დახმარების სახით . . . ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ხანდაზმულობის ვადის გაცდენის გამო მოსარჩელისათვის მასზე უარის თქმა მოითხოვა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლით, რომლითაც დაკმაყოფილდა გ. ე-ას სარჩელი მოპასუხისათვის ერთჯერადი დახმარების გადახდის დაკისრების თაობაზე, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს კანონით „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიების გავრცელება დამოკიდებულია გარკვეულ ხდომილებებზე და მათგ გამომდინარე უფლება არსებობს გარკვეული დროის განმავლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. ე-ას მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2000 წელს, ხოლო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2006 წელს, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

5. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ე-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, მოპასუხისათვის ერთჯერადი დახმარების გადახდის მოვალეობის დაკისრება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. მას მისაღები აქვს სპეციალური სახელმწიფო დაზღვევის ერთჯერადი კომპენსაცია უშუალოდ საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" მოთხოვნათა საფუძ-

ველზე. აღნიშნული ნორმატიული აქტები საერთოდ არ აწესებენ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს. გარდა ამისა, თვით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აქვს აღიარებული სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებაში საფინანსო დავალიანების არსებობა. კასატორი თვლიდა, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით გ. ე-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი არეგულირებს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადებს, აღნიშნული ვერ გავრცელდებოდა კასატორის მოთხოვნაზე, რადგან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ტრავმის შედეგად ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ სარჩელი არ გამომდინარეობდა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან. იგი საქართველოს კანონის „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ, ერთჯერადი კანონისმიერი ვალდებულების შესრულებას – დახმარების თანხის გაცემას ეხებოდა. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობაზე ვრცელდება, ხოლო საქართველოს კანონი „სამხედრო სამსახურის სტატუსის შესახებ" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილით ითვალისწინებს ერთჯერად და არა პერიოდულ დახმარებას. ამიტომაც, საფუძველს მოკლებული იყო სადავო სამართალურთიერთობის მიმართ სსაქართველოს ამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გამოყენება.

ერთჯერადი სამხედრო ტრავმის შედეგად მისაღები კომპენსაცია, როგორც სპეციალური სახელმწიფო დაზღვევის სახე, რეგულირდება საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" მე-16, მე-17 და საქართველოს პრეზიდენტის 2004

წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ 53-ე, 57-ე, 58-ე მუხლებით.

დასახიჩრების შემთხვევაში ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა წარმოადგენდა არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, არამედ პოზიტიურ კანონისმიერ ვალდებულებას, ამიტომაც სადავო სამართალურთიერთობების მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი). გ. ე-ას სასარჩელო მოთხოვნაზე ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე. ამასთანავე, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია რა მოთხოვნა ხანდაზმულად, არ დაადგინა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფაქტობრივი გარემოებები, რის გამოც იგი მოკლებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

3. დაჭრის ან დასახიჩრების შედეგად ინვალიდად ცნობილ სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების შემთხვევაში მის მეუღლეს გააჩნია ერთჯერადი დახმარების მიღების უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
20 ნოემბრის №ბს-617-587(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. დ. მ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ერთჯერადი დახმარების გაცემა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2004 წლის 14 დეკემბრამდე მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, წოდებით უფროსი ოფიცერი, სამხედრო ვიცე-პოლკოვნიკი. მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. 2002 წლის 9 ივნისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო სამხედრო ტრავმა და სამედიცინო-სოციალური საექსპერტო კომისიის მიერ დაუდგინდა ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვა, რის საფუძველზეც დაენიშნა სამხედრო პენსია ინვალიდობით. 2006 წლის 4 აპრილს დახმარების მისაღებად მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რაზეც უარი მიიღო.

მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ დაასახელა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" 53-ე პუნქტი, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღების შედეგად დაინვალიდების შემთხვევაში, მიეცემოდა ერთჯერადი დახმარება 5 წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მოსარჩელის გარდაცვალების გამო, მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მეუღლე – მ. მ-ძე.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი გარემოებები: 2002 წლის 9 ივნისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დ. მ-ემ მიიღო სამხედრო ტრავმა. სამედიცინო-სოციალური საექსპერტო კომისიის მიერ მას დაუდგინდა ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვა, რის საფუძველზეც დაენიშნა ინვალიდობის პენსია.

2006 წლის 4 აპრილს მ. მ-ძის მეუღლემ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" 53-ე მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, ფულადი

დახმარების, 5 წლის თანამდებობრივი სარგოს მისაღებად მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, რაზეც უარი ეთქვა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზემოთ მითითებული ბრძანებულება, რომლის 53-ე მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზეც უნდა გადაწყვეტილიყო დავა, წარმოადგენდა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელიც მიღებული იყო საქართველოს კანონებით „საჯარო სამსახურის შესახებ", „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" განსაზღვრული სოციალური პირობების მოწესრიგების მიზნით. საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7000 ლარისა.

სასამართლოს განმარტებით, კანონის მითითებული მუხლი ერთჯერადი დახმარების გაცემას ითვალისწინებდა სამხედრო მოსამსახურისუშუალოდ,სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების დროს, მოცემულ შემთხვევაში დ. მ-ძე გარდაცვლილი იყო, ხოლო ოჯახის წევრის მიმართ ერთჯერადი დახმარების გაცემას არც საქართველოს კანონი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" და არც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულება არ ითვალისწინებდა.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ძემ, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივით:

აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ გამოიყენა რა საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილი, არასწორად განმარტა, რომ 2005 წლის 20 აპრილს შეტანილი ცვლილებები აღარ ითვალისწინებდა ოჯახის წევრზე დახმარების გაცემას და იგი უშუალოდ სამხედრო მოსამსახურეზე უნდა გაცემულიყო. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა მის ამოქმედებამდე წარმოშობილ

სამართლებრივ ურთიერთობებზე. მართალია, დასახელებული ნორმატიული აქტები, სარჩელის განხილვის მომენტისათვის, აღარ ითვალისწინებდა ოჯახის წევრზე ერთჯერადი დახმარების გაცემას, მაგრამ თავდაცვის სამინისტრო ვალდებული იყო, ერთჯერადი დახმარება გაეცა ტრავმის მიღებისთანავე. აპელანტმა მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე და 1159-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინებაში შეძენილი ქონება წარმოადგენს საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) და ამ ქონებაზე მათ გააჩნიათ თანაბარი უფლებები, შესაბამისად, სარჩელი ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა:

მოსარჩელე მ. მ-ძე წარმოადგენდა დ. მ-ძის მემკვიდრეს, დაზიანება ამ უკანასკნელმა მიიღო 2002 წლის 9 ივნისს, ხოლო სასამართლოში სარჩელი ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ აღიძრა 2006 წლის 20 აპრილს.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლი და განმარტა, რომ სამკვიდრო ქონება შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. სასარჩელო მოთხოვნა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ქმედების განხორციელების თაობაზე ქონებრივი ხასიათის სარჩელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის დანაწესით კი ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან – იმ დროიდან, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, შეადგენს სამ წელს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელი ერთჯერადი დახმარების ანაზღაურება, რომლის მოთხოვნის ვადა სამი წელია, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა გარემოებები, რომლებიც იწვევდა სასარჩელო ხანდაზმულობის შეწყვეტას, კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს მიერ მოთხოვნის აღიარება.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 და 2005 წლის 24 იანვრის №47 ბრძანებულებები, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 43-ე მუხლი და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ სხეულის დაზიანება მიიღო 2002 წელს, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები 2004 და 2005 წლებში იქნა მიღებული, ამასთან, მითითებული ნორმატიული აქტები არ შეიცავდა დათქმას უკუქცევით ძალაზე, რომლის შესაბამისადაც შესაძლებელი იქნებოდა მ. მ-ძის სარჩელის დაკმაყოფილება.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ძემ, რომელითაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა იმ გარემოებებზე მითითებით, რომელიც მოპასუხეს არ გაუხდია სადავოდ. კერძოდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ერთჯერადი დახმარების თანხა არ აანაზღაურა იმ საფუძვლით, რომ ბრძანება, რომლის შესრულების დროსაც მოსარჩელემ მიიღო სამხედრო ტრავმა, არ იყო დადასტურებული ბრძანების გამცემი მეთაურის მიერ, ხოლო სასარჩელო განცხადება სასამართლომ არ დააკმაყოფილა სულ სხვა გარემოების, კერძოდ, სასარჩელო ხანდაზმულობის გაშვების მოტივით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სამხედრო ტრავმით შესაძლებლობის ზომიერად შეზღუდვის (ინვალიდობის) დამადასტურებელი მტკიცებულებები მოიპოვა არა უშუალოდ ტრავმის მიღების დღეს, 2002 წლის 9 ივნისს, არამედ შემდგომი მკურნალობის კურსის ჩატარებისა და

რეაბილიტაციის პროცესის გავლის შემდეგ, 2004 წლის ნოემბერსა და 2005 წლის იანვარში.

კასატორის მითითებით, მოთხოვნა ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ კანონისმიერ და არა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას ეხებოდა, ამიტომაც ამ მოთხოვნაზე სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადის გავრცელება არასწორი იყო. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს ვალდებულების წარმოშობისათვის ხელშეკრულების არსებობის აუცილებლობას, ხოლო ამგვარი ხელშეკრულება მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული არ იყო. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების არსებობა არ არის სავალდებულო, როდესაც ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

კასატორმა მიუთითა, რომ მისი მეუღლე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ზიანის შედეგად დაინვალიდდა და ეს ფაქტი 2005 წლის 21 იანვარს დაუდგინდა. აღნიშნული საფუძვლებით სარჩელის დაკმაყოფილებას კი ითვალისწინებდა საქართველოს კანონი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულება. ამიტომაც სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულება ვერ გავრცელდებოდა განსახილველ შემთხვევაზე, უმართებულო იყო. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი ეხება პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებს, მაშინ როდესაც კანონი დახმარების მხოლოდ ერთჯერად გაცემას ითვალისწინებს.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა საკასაციო საჩივრის მოტივი, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, სარჩელი იყო ხანდაზმული პერიოდულად

შესასრულებელი ვალდებულებებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლის გამო, რაც არასწორია. ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალურთიერთობას შეუფარდა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია, თუმდა მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას არ შეეხებოდა და მასზე ხანდაზმულობის ზოგადი ვადა – 10 წელი ვრცელდებოდა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს არგუმენტი მის თაობაზე, რომ მოსარჩელემ სხეულის დაზიანება მიიღო 2002 წელს, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები 2004 და 2005 წლებში იქნა მიღებული. ამასთან, მითითებული ნორმატიული აქტები არ შეიცავდა დათქმას უკუქცევით ძალაზე.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საფუძველზე განმარტა, რომ სწორედ მითითებული კანონი ადგენდა სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისა და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირების ძირითად სოციალურ-სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეებზე, სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებზე, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე ვრცელდება ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შეღავათები.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საკანონმდებლო აქტი მიღებულია 1998 წლის 25 ივნისს, დ. მ-ძემ სამხედრო ტრავმა მიიღო 2002 წელს – „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის მოქმედების პერიოდში. დასახელებულ კანონის მე-16 მუხლით დადგენილი იყო სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, სამედიცინო უზრუნველყოფა, ხოლო მისი მე-3 ნაწილის მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხედრო მოსამსახურის დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემოდა 5 წლის საზღაურის ოდენობით ერთჯერადი დახმარება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზი-

დენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" მიღებულ იქნა საქართველოს კანონებით „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" და „საჯარო სამსახურის შესახებ" განსაზღვრული სოციალური პირობების მოწესრიგების მიზნით და მითითებული ნორმატიული აქტით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს განესაზღვრათ და დაუდგინდათ სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები. ამიტომაც, სააპელაციო სასამართლოს დაკვნა, რომ დასახელებული ნორმატიული აქტები არ შეიცავდნენ დათქმას უკუქცევით ძალაზე, რაც მ. მ-ძის სარჩელის დაუკმაყოფილებლობის საფუძველი გახდა, დაუსაბუთებელი იყო და არ გამომდინარეობდა კანონის სწორი და სრულყოფილი განმარტებიდან.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინების დასკვნები, კერძოდ ის, რომ სააპელაციო სასამართლომ შეფასება არ მისცა შემდეგ ფაქტებს: დ. მ-ძემ 2002 წლის 9 ივნისს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიიღო სამხედრო ტრავმა, სამედიცინო-სოციალური საექსპერტო კომისიის მიერ მას დაუდგინდა ზომიერად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვა, რის საფუძველზეც დაენიშნა პენსია ინვალიდობით, 2004 წლის 9 ნოემბრის ავადმყოფობის მოწმობის თანახმად, დ. მ-ძემ დაავადება მიიღო სამხედრო სამსახურის პერიოდში, სამხედრო საექიმო კომისიის დასკვნის საფუძველზე დ. მ-ძე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან, ავადმყოფობის გამო, გათავისუფლდა 2004 წლის 14 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" 53-ე მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღების შემთხვევაში დაინვალიდებისას მიეცემა ერთჯერადი დახმარება 5 წლის ფულადი სარგოს ოდენობით. დასახელებული მუხლი („ა" პუნქტი) ვრცელდება იმ სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, უშუალოდ

მიღებული ტრავმის შედეგად დაინვალიდდნენ. აღნიშნული გამომდინარეობს თავად ნორმის დისპოზიციიდან, რომელიც ტრავმის სიმძიმის ხარისხის მიხედვით ადგენს ფულადი სარგოების ოდენობას. ამიტომაც, მითითებული ნორმა ერთჯერადი დახმარების ანაზღაურებას უკავშირებს ტრავმის მიღების მომენტში დაზიანებების არსებობას, მისი ხარისხის გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების რიგებიდან ავადმყოფობის გამო დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის ნამსახური წლების მიხედვით ერთჯერადი დახმარების გაცემას, ფულადი სარგოების შესაბამისი ოდენობით, ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" 33-ე მუხლი, თუმცა დ. მ-ძეს ამ საფუძვლით არ აღუძრავს სარჩელი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ხელახალი სააპელაციო განხილვისას საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებშისარჩელის საფუძვლიანობაზე, ამასთან, განსაზღვროს, სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ", თუ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 ნოემბრის №493 ბრძანებულების „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ" 53-ე მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, რადგანც ეს უკანასკნელი მიღებულია „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" კანონის შესასრულებლად და მითითებული საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი ერთობლივად არეგულირებენ სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სამხედრო ტრავმის მიღების შემთხვევაში, ერთჯერადი დახმარების გაცემას.

საკასაციო სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას გამოიკვლიოს და იმსჯელოს იმ გარემოებაზე, სახეზეა თუ არა მ. მ-ის სარჩელის,საქართველოს კანონის „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის (რომელიც ითვალისწინებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამხ-

ედრო მოსამსახურის დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, მის ოჯახისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარების სახით 5 წლის საზღაურის ანაზღაურებას) საფუძველზე, დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

4. პოლიციის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების ანაზღაურება წესრიგდება სპეციალური კანონით „პოლიციის შესახებ" და ამ სახის ურთიერთობებზე სხვა ნორმატიული აქტების მოქმედება არ ვრცელდება[1].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
2 ივნისის № ბს-553-139-კ-05 განჩინება

რედაქტირებული ამონარიდი

1. ზ. მ-ძემ სარჩელი აღძრა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის, საქართველოს შსს სამეურნეო და ფინანსური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისთვის მის სასარგებლოდ ... ლარის გადახდის დაკისრება, შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელე მუშაობდა შსს ქუთაისის პოლიციის განყოფილებაში ინსპექტორად. 2000 წლის 15 მარტის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შემოწმების აქტის თანახმად, მიიღო მძიმე ხარისხის, სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება. სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის კომისიის მიერ მას დაუდგინდა ინვალიდობის მეორე ჯგუფი და 2001 წლის 30 ნოემბერის ბრძანებით ავადმყოფობის გამო და პირადი პატაკით დათხოვნილ იქნა პირადი შემადგენლობიდან.

---

1 ის გარემოება, რომ მოცემულ გადაწყვეტილებაში დასახელებული, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესი" ამჟამად ძალადაკარგულია, აქტუალობას არ უკარგავს ილუსტრირებულ დებულებას, რადგანაც პოლიციის მუშაკის ჯანმრთელობის დაზიანებისას კომპენსაციის გაცემის მომწესრიგებელი „პოლიციის შესახებ" კანონის 31-ე მუხლი ძალაშია და გამოიყენება.

საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული დასახიჩრებისა და ტრავმის გამო, მისთვის უნდა მიეცათ კომპენსაცია 1-დან 5-წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით, მაგრამ, მიუხედავათ არაერთგზის მოთხოვნისა, კომპენსაცია არ მიუღია.

მოპასუხემ წარმოდგენილი სარჩელი არ ცნო შემდეგი საფუძვლით: ქ. ქუთაისის შს სამმართველოს ქვეგანყოფილების ცალკეულ თანამშრომელთა მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალებში, დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ შსს ინსპექტორის ზ. მ-ძის მიერ მიღებული სხეულის დაზიანება ჩაითვალოს, როგორც არასამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული. შესაბამისად, დადასტურებულად იქნა მიჩნეული ფაქტი, რომ პოლიციის თანამშრომელმა მიიღო სხეულის დაზიანება, მაგრამ არა პოლიციის კანონის მე-2 თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, მოსარჩელის მიერ არასწორადა იქნა დაანგარიშებული კომპენსაციის თანხა.

2. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ზ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები, კერძოდ, არ იქნა გაზიარებული მოპასუხის მითითება საქართველოს შს სამინისტროს 1999 წ. 26 იანვრის №3 დირექტიული მითითებების დებულებებზე, რომელთა თანახმადაც, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის კომპენსაციები შესაძლებელია გაცემულიყო მხოლოდ იმ თანამშრომლებზე, რომლებსაც დაზიანებები მიღებული ჰქონდათ უშუალოდ შეტაკებების დროს.

საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ 31-ე მუხლის მე-7 ნაწილი ცალსახად არ მოითხოვდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციის თანამშრომელისათვის მიყენებული სხეულის დაზიანების საკომპენსაციოდ 5 წლის ხელფასის ანაზღაურებას, ამიტომაც სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მოსარჩელისისათვის ანაზღაურებელი თანხის ოდენობა განისაზღვრულიყო გონივრულ ფარგლებში, ორი წლის ხელფასის ოდენობით.

3. გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში

სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. მ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებულ ნაწილში რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება: კომპანსაციის გონივრულ ოდენობად ხუთი წლის მთლიანი ხელფასის ჩათვლა და მისი ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება.

საქმის ხელახლა განხილვის შედეგად თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით ზ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა 3,5 წლის განმავლობაში მიღებული ხელფასის ოდენობით კომპენსაციის ანაზღაურება.

4. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და მხოლოდ ერთი წლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა „პოლიციის შესახებ" კანონის 31-ე მუხლი, რადანაც იგი არ განსაზღვრავდა კომპენსაციის განსაზღვრულ ოდენობას, რის გამოც საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამართლის ანალოგია, კონკრეტულ შემთხვევაში – საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" ნორმები.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლობის მოტივით არ გაიზიარა კასატორის მსჯელობა მოცემული დავის გადაწყვეტისას სამართლის ანალოგიის გამოყენების თაობაზე და ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ სამართალურთიერთობას სწორად შეეფარდა სამართლის ნორმა. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო სამართალურთიერთობაზე ვერ გავრცელდებოდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების შესახებ", რადგან სადავო სამართალურთიერთობა წესრიგდე-

ბოდა სპეციალური კანონით „პოლიციის შესახებ“.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციის ამოცანების შესასრულებლად, პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პოლიციელის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მაღალი რისკ-ფაქტორი განაპირობებდა ადეკვატური სოციალური დაცვის გარანტიების დადგენის აუცილებლობას, რაც განსაზღვრული იყო კიდეც კანონის 31-ე მუხლში. მისი მე-7 პუნქტით დადგენილი იყო პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრების ან დაინვალიდების შემთხვევაში სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, კომპენსაციის გაცემის წესი და ოდენობა. მითითებული ნორმით, ასევე, განსაზღვრული იყო გასაცემი კომპენსაციის ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება მიეცეს პოლიციის თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის დროს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, სამართლის ანალოგიით ურთიერთობა შეიძლება მოწესრიგდეს, თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, მოცემულ შემთხვევაში კი სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას წარმოადგენდა საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, შესაბამისად, სამართლის ანალოგიის გამოყენება სადავო სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად დაუშვებელი იყო.

5. პოლიციის თანამშრომლისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული დაზიანებისათვის კომპენსაციის გადახდა არ გამორიცხავს დაზიანებასთან დაკავშირებულ მკურნალობის ხარჯების დამოუკიდებლად ანაზღაურებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მარტის №ბს-1087-1036(კ-06) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2006 წლის 8 ივლისს ზ. ს-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა კოლეგიას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მესამე პირი – ს.ს. „ტ-გი“, მიმართ სახელფასო დავალიანებისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მუშაობდა ქ. გორის შს სამმართველოში. შს მინისტრის ბრძანებით მიავლინეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოში და ასრულებდა ინსპექტორის მოვალეობას.

2004 წლის 16 მარტს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ფეხის არეში მიიღო ტრავმა, რის გამოც გადაიყვანეს სს „ტ-გის“ კლინიკაში, სადაც გაუკეთდა გადაუდებელი, ხოლო შემდგომ მეორე ოპერაცია. ვინაიდან სამსახურის მიერ შეუძლებელი იყო მკურნალობის თანხების ჩარიცხვა, მან საკუთარი ხარჯებით ნაწილობრივ გადაიხადა მკურნალობის საფასური და გადასახდელი დარჩა დავალიანება, რომლის გადახდასაც მისგან ითხოვ და სს „ტ-გი“.

მოსარჩელის განმარტებით, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს შემოწმების აქტით იგი II ჯგუფის ინვალიდად და შრომისუუნაროდ არის ცნობილი, რის გამოც გათავისუფლებულია შს ორგანოებიდან, არ აქვს დანიშნული პენსია, ამავე დროს, კვლავ ესაჭიროება მკურნალობა, ხოლო უკვე გაწეული მკურნალობის საფასურის დავალიანების გადახდის საშუალება მას არ აქვს.

მოსარჩელის მოსაზრებით, მის მიმართ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რათა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრულად აუნაზღაურდეს სამსახურებრივი მოვალეობის დროს მიყენებული ზარალი და ასევე, სახელფასო დავალიანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ოპერაციისათვის გაწეული ხარჯის, მედიკამენტების საფასურის, ექოსკოპიური და ლაბორატორიული გამოკვლევისა და სახელფასო დავალიანების, სულ . . . ლარის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 8 აგვისტოს საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ა/რ სამხარეო მთავარი სამმართველო.

მოპასუხემ და მესამე პირებმა სარჩელი არ ცნეს და მის და-

კმაყოფილებაზე უარი მოითხოვეს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ზ. ს-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოპასუხეს ზ. ს-ას სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ასანაზღაურებლად . . . ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

3. სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გადაწყვეტილება საapელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

აპელანტმა საჩივარში მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არასწორად გამოიყენა საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ 31-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რადგან აღნიშნული ნორმა მიუთითებს ზოგადად პოლიციის თანამშრომლისათვის სოციალური დაცვის გარანტიებზე. კონკრეტულად, პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სხეულის დაზიანებისათვის, ასევე დაღუპვისათვის კომპენსაციის გაცემა კი რეგულირდება ამავე კანონის 31-ე მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით, კერძოდ: მე-6 ნაწილი არეგულირებს დაღუპვის შემთხვევაში კომპენსაციის გაცემას, ხოლო მე-7 ნაწილის თანახმად, „პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, მას ეძლევა კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1-დან 5 წლამდე ხელფასის ოდენობით დაზიანების ხარისხის მიხედვით“. მოსარჩელეს ეს კომპენსაცია მიღებული ჰქონდა, სასამართლოს მიერ გამოყენებული 31-ე მუხლის მე-7 ნაწილი კი ადგენს დაღუპვის შემთხვევაში კომპენსაციის გაცემის საკითხს.

ოპერაციისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, აპელანტმა მიუთითა „შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის“ დებულების 57-ე მუხლზე, რომლის თანახმად, შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო სამედიცინო მომსახურებით (მათ შორის, წამლებითაც) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებაში. მოსარჩელემ ტრავმა მიიღო 2005 წლის 15 მარტს. სამკურნალოდ კი მიმართა 17 მარტს სს „ტ-გის“ კლინიკას, ანუ მას არ ჰქონდა გადაუდებელი საჭიროება იმავე

დღეს გაეკეთებინა ოპერაცია და შეეძლო მიემართა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებისათვის. აპელანტის განმარტებით, საქმეში არ მოიპოვებოდა და მოსარჩელემაც აღიარა ის ფაქტი, რომ მას არ მიუმართავს აღნიშნული დაწესებულებისათვის და შესაბამისად, არ მოიპოვება დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქართველოს შს სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გასაჩივრებულ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა რომ საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით (2004 წლის რედაქციით) დადგენილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან სრული მოცულობით, პოლიციის თანამშრომლისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება და მიიჩნია, რომ დადგენილ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებზე მითითებით, მართებულად დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება და მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურება არ გამორიცხავდა ამავე ნორმის მე-5 პუნქტით (ძველი რედაქციით) გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

5. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მოითხოვა სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად მიეთითა სააპელაციო საჩივარში დასახელებული გარემოებები[1].

6. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო

1 იხ. შენიშვნა სქოლიოში – კრებულის გვ. 91

მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ყოფნა, რომლის გამოც პირი არ იქნა ჩამოშორებული სამსახურს და რაც მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებოდა დამდგარ შედეგთან, არ გამორიცხავს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის მუშაკის დაღუპვისათვის კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის
16 თებერვლის №ბს-1054-636(კ-05) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ც. ჩ-მა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოპასუხისაგან ბ. ხ-ის ოჯახისათვის 10 წლის ხელფასის, დაკრძალვისა და ადვოკატის მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი მეუღლე – ბ. ხ. მუშაობდა თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოში უფროს ინსპექტორად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მორი-

გეობისას, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად მისი კუთვნილი ა/მანქანით შეეჯახა ქ. თბილისის მერიის წინა ფასადს, რის შედეგადაც ბ. ხ. გარდაიცვალა.

საქართველოს შსს-ს გენერალური ინსპექციის დასკვნით მას უარი ეთქვა კომპენსაციის სახით 10 წლის ხელფასისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მომხდარი ავტოკატასტროფის გამოსაკვლევად თბილისის მთაწმინდა-კრწანისი რაიონულ პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. პროკურატურის დადგენილებით გაირკვა, რომ ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს თანამშრომლები, მათ შორის ბ. ხ., ამ უკანასკნელის კუთვნილი ა/მანქანით იმყოფებოდნენ შემოვლის ჯგუფში. ყიფშიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე შენიშნეს ძებნილი ა/მანქანა, დაუკავშირდნენ სს სამძებროს უფროსს, რომლისგანაც მიიღეს თანხმობა თვალთვალზე და გაჰყვნენ თავისუფლების მოედნის მიმართულებით მოძრავ საეჭვო ა/მანქანას. თავისუფლების მოედანზე წრიულად მოძრაობისას ბ. ხ-ის ა/მანქანას გაუსკდა წინა მარჯვენა საბურავი, რაც გახდა ავტოავარიის მიზეზი. ქ. თბილისის მერიის შენობაზე შეჯახებისას ბ. ხ. ადგილზე გარდაიცვალა, დანარჩენმა თანამშრომლებმა მიიღეს სხეულის სხვადასხვა დაზიანება.

რაიონული სასამართლოს განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ც. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი პოლიციის ლეიტენანტ ბ. ხ-ის გარდაცვალების და ინსპექტორების ი. კ-ისა და ი. ს-ის სხეულის დაზიანებების ფაქტთან დაკავშირებით შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დასკვნის 1-ლი პუნქტი, მოპასუხე შსს-ს ც. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10 წლის ხელფასის ერთდროული კომპენსაცია და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, დანარჩენი ხარჯების ანაზღაურებაზე მოსარჩელეს უარი ეთქვა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა რა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი, მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

რაიონული პროკურორის დადგენილებაში მითითებულ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბ. ხ-ის სისხლში აღმოჩნდა ერთი მთელი პრომილე ეთილის სპირტი, რაც ადასტურებდა ზემოაღნიშნული შემთხვევის დროს ბ. ხ. მსუბუქი ხარისხის ალკოჰოლური თრობის ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტს. ამასთან, ბ. ხ. ა/მანქანას მართავდა მინდობილობის გარეშე, რითაც უგულებელყოფილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის მოთხოვნა.

აპელანტმა მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 90-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, უფროსი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მოხელეს ჩამოაშორებს სამსახურს, მოცემული სამუშაო დღის განმავლობაში. ამიტომაც, აპელანტის მოსაზრებით, ბ. ხ-ისმიერ ნასვამ მდგომარეობაში სამსახურებრივ მოვალეობას შესრულებაუნდა მიჩნეულიყო არაუფლებამოსილი პირის მიერ არასამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად.

აპელანტმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში, მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. სახელმწიფოში ამ შემთხვევაში მოიაზრება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ვინაიდან ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით, რის გამოც თანხის დაკისრების შემთხვევაში თანხა ფინანსთა სამინისტრომ უნდა აანაზღაუროს.

4. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის განჩინებით საქართველოს შსს-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, ბ. ხ. ავარიის დროს იმყოფებოდა მსუბუქი ხარისხის ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 90-ე მუხლის თანახმად, უფროსი ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მოხელეს მოცემული სამუშაო დღის განმავლობაში ჩამოაშორებს სამსახურს. ბ. ხ-ის მიმართ მის ხელმძღვანელს ამგვარი ზომისათვის არ მიუმართავს, პირიქით, რადიოკავშირის მეშვეობით

თანხმობა მისცა საეჭვო ა/მანქანის თვალთვალზე. გენერალური ინსპექციის დასკვნისა და კრწანისი-მთაწმინდის რაიონული პროკურატურის დადგენილების თანახმად, სამივე თანამშრომელი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. ამიტომაც, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, გენერალური ინსპექციის დასკვნის 1-ლი პუნქტი ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან აღნიშნულ დასკვნაში არასწორად იქნა შეფასებული ფაქტობრივი გარემოებები და უსაფუძვლოდ დადგინდა, რომ ბ. ხ-ის გარდაცვალება არ უნდა ჩაითვალოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად.

საქმის მასალებით ასევე, დადასტურებული იყო, რომ ავარია მოხდა არა ბ. ხ-ის სიმთვრალის, არამედ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის დარღვევა ვერ იმოქმედებდა ბ. ხ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება-არშესრულების ფაქტის დადგენაზე, ვინაიდან თავისი შინაარსით იგი სულ სხვა ურთიერთობებს აწესრიგებდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ვინაიდან ბ. ხ. სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა არა საქართველოს ფინანსთა, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, უსაფუძვლო იყო აპელანტის მოსაზრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის თანხის ანაზღაურების დაკისრების თაობზე.

5. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც განჩინების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძვლად სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები დაასახელა[1].

6. საკასაციო პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სრულად გაიზიარა რა ქვემდგომი სასამართლოების დასკვნები დადგენილად მიჩნეულ საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, საკასაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპე-

1 იხ. შენიშვნა სქოლიოში – კრებულის გვ. 91

ციალურ გამოკვლევათა ცენტრის დასკვნის თანახმად, ავტომანქანის მძღოლს – ბ. ხ-ს ტექნიკური თვალსაზრისით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის (მერიის შენობის კედელზე დაჯახების) თავიდან აცილება არ შეეძლო და მის მოქმედებით საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" მოთხოვნათა უგულებელყოფა არ მომხდარა.

კანონიერ ძალაში მყოფ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ დადგენილებით ირკვეოდა, რომ ბ. ხ-ის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაუსკდა წინა მარჯვენა საბურავი, რის შემდეგაც მან ვერ დაიმორჩილა საჭე, ავტომანქანამ შეიცვალა მოძრაობის მიმართულება და დაეჯახა ქ. თბილისის მერიის შენობას. ამრიგად, დადგენილი იყო, რომ ბ. ხ-ს არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება და აღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსუბუქი ალკოჰოლური თრობის მდგომარეობაში ყოფნა არ წარმოადგენდა შეჯახების მიზეზს.

საკასაციო პალატამ საფუძველს მოკლებულად მიიჩნია კასატორის მითითება იმაზე, რომ ბ. ხ-მა დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის მოთხოვნები. საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 119-ე მუხლის დარღვევა ვერ იმოქმედებდა ბ. ხ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვანი შესრულების ფაქტის დადგენაზე, ვინაიდან თავისი შინაარსით დასახელებული ნორმა სულ სხვა ურთიერთობებს აწესრიგებს.

საკასაციო პალატამ ასევე არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბ. ხ-ის ქმედება უნდა ჩაითვალოს არაუფლებამოსილი პირის მიერ არასამსახურებრივი მოვალეობის შესრულებად. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ სს სამძებროს უფროსმა ბ. ხ-ს და მის ორ კოლეგას რადიოკავშირის მეშვეობით თანხმობა მისცა საეჭვო ავტომანქანის თვალთვალზე. გენერალური ინსპექციის დასკვნისა და კრწანისი-მთაწმინდის რაიონული პროკურატურის დადგენილების თანახმად, სამივე თანამშრომელი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. შესაბამისად, ბ. ხ. დაილუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის

„პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში, მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით, დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილებანი სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფასთან დაკავშირებით, თავისთავად, არ ქმნის თანხის გადახდის ვალდებულებას. ვინაიდან ბ. ხ. სამსახურებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა არა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათან, არამედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რის გამოც საფუძველს მოკლებული იყო კასატორის მოსაზრება ასანაზღაურებელი თანხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის დაკისრების თაობაზე.

7. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში ერთდროული კომპენსაციის გაცემის თაობაზე სარჩელის განხილვისას გადამწყვეტია სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს პოლიციელის სამუშაო ადგილას ან სამუშაო საათებში გარდაცვალებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
5 ივლისის №ბს-1046-997(კ-06) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ი. წ-ამ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და. მოითხოვა საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" შესაბამისად ერთჯერადი კომპენსაციის მისი ოჯახისათვის გაცემის დავალდებულება.

მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლები მდგომარეობდა შემდეგში:

ი. წ. 2001 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ვ. ყ-თან, რომელიც მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ავტომაგისტრალის პატრულ-ინსპექტორად. 2005 წლის 13 თებერვალს 9.00 საათიდან 14 თებერვლის 9.00 საათამდე ვ. ყ. იმყოფებოდა განწესში პასუხისმგებელ მორიგედ. დაახლოებით 22.00 საათზე იგი გახდა ცუდად, რის შემდეგაც პატრულ-ინსპექტორების მიერ ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაყვანისას გზაში გარდაიცვალა.

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების მის ოჯახზე გავრცელება. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან 10 წლის ხელფასის ოდენობით ერთჯერადი კომპენსაციის გაცემა. მას აცნობეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივი შემოწმებით დადგინდა ვ. ყ-ის გარდაიცვალების მიზეზი – გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა, რის გამოც საქართველოს კანონით „პოლიციის შესახებ" გათვალისწინებული კომპენსაცია მის ოჯახზე არ გაიცემოდა. მოსარჩელე არ დაეთანხმა დასკვნას, ვინაიდან მისი მეუღლე გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ხოლო საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი ასეთ შემთხვევაში ითვალისწინებდა გარდაცვლილის ოჯახისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ერთჯერადი კომპენსაციის გაცემას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ვ. ყ-ის გარდაცვალება ვერ განიხილებოდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპვის შემთხვევად, რადგან სიკვდილი დადგა დამოუკიდებელი მიზეზით, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და არა ფუნქციონალურად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. გარდაცვალების მიზეზი არ იყო პირდაპირ მიზეზობრივ კავშირში მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ" არ განმარტავდა, კონკრეტულად, თუ რა მიიჩნეოდა პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულად აღიარების საფუძვლად, ამიტომ საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 27-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახ-

მად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო სამართლის ანალოგია. მოცემულ შემთხვევაში ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლის ნორმას წარმოადგენდა საქართველოს კანონი „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ". აღნიშნული კანონის 46-ე მუხლის „ე" პუნქტის თანახმად, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიუროს უნდა განესაზღვრა შრომით დასახიჩრებასთან, ფრონტზე ყოფნასთან და სხვა გარემოებებთან მარჩენალის გარდაცვალების მიზეზობრივი კავშირის არსებობა, გარდაცვლილის ოჯახზე კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების გასავრცელებლად, პენსიის დასანიშნად და მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა გარდაცვალების მოწმობაზე, რომლითაც ვ. ყ-ის გარდაცვალების მიზეზად დასახელებული იყო გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლეოდა ერთდროული კომპენსაცია 10 წლის ხელფასის ოდენობით. საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ ვ. ყ. ცუდად გახდა სამუშაო საათების დროს, მაგრამ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და მისი გარდაცვალება არ ყოფილა დაკავშირებული აღნიშნულთან.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. წ-ამ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

საქართველოს კანონით „პოლიციის შესახებ" გათვალისწინებული კომპენსაციის გასაცემად საჭირო იყო ორი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის არსებობა, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლის დაღუპვა და მისი გარდაცვალება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. აღნიშნული ნორმის განმარტებისას, პოლიციის სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იგულისხმებოდა პოლიციელის სიცოცხლის მხოლოდ ძალადობრივი ხელყოფა. სასამართლოს მიერ არ იქნა გამოკვლეული, თუ რა გახდა 30 წლის

ახალგაზრდა კაცის ცუდად გახდომისა და დაღუპვის მიზეზი. სასამართლო ვალდებული იყო გამოერკვია, უხდებოდა თუ არა ვ. ყ-ს ზენორმატიული სამსახურის შესრულება, შეიძლებოდა თუ არა მისი ავადობის გამომწვევი მიზეზი გამხდარიყო ხშირი სტრესები, რაც პოლიციელის სამსახურის თანმდევი მოვლენაა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ი. წ-ას სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ი. წ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი კომპენსაციის სახით მისი გარდაცვლილი მეუღლის 10 წლის ხელფასის ოდენობის თანხის გაცემა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის თებერვალში ბოლომდე დაკომპლექტებული არ იყო ვ. ყ-ის სამსახური თანამშრომლებით, საპატრულო პოლიცია ახალი ჩამოყალიბებული იყო და 61-ის ნაცვლად მუშაობდა 45-47 პირი. აღნიშნულის გამო პოლიციელებს უწევდათ დაძაბული მუშაობა. სამ ცვლას ებარა 170 კილომეტრი გზის კონტროლი. ერთ-ერთი ცვლის უფროსი იყო ვ. ყ., რომლის საზედამხედველო ტერიტორია კოპიტნარიდან გურიის საზღვრამდე ვრცელდებოდა. იგი ყოველდღიურად, დღე-ღამის განმავლობაში მუშაობდა, რაც იმ დროს არსებული დიდთოვლობით იყო გამოწვეული და რაც დამატებით ძალისხმევას მოითხოვდა. ვ. ყ. ამგვარ გაძლიერებულ რეჟიმში 2004 წლის დეკემბერსა და 2005 წლის იანვარ-თებერვალში მუშაობდა. სახლში იგი 1-2 საათით თუ მიდიოდა, სხვა დროს კი სამუშაოს არ ტოვებდა და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. საქმის მასალებით დასტურდებოდა და ამას არც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი უარყოფდა, რომ ვ. ყ-მა შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის დაწყებისას მკაცრი სამედიცინო შემოწმება გაიარა და იგი სრულიად ჯანმრთელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება, თითქოს ვ. ყ-ის გარდაცვალება დაკავშირებული არ იყო მის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, რომ იგი ცუდად გახდა სამუშაო საათების დროს, მაგრამ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. საქალაქო სასამართლოს ეს მოსაზ-

რება სრულიად წინააღმდეგობრივი იყო, რადგან არ შეიძლებოდა პოლიციელს, მით უფრო, ცელის უფროსს, რომელიც ზენორმატიულად ასრულებდა სამუშაოს, არ შეესრულებინა სამსახურებრივი მოვალეობა სამუშაო საათებში – საკუთარ სამუშაო უბანზე ყოფნის დროს.

სააპელაციო სასამართლომ არც ის მოსაზრება გაიზიარა, რომ საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გავრცელდეს გარდაცვლილის ოჯახზე, თუ პოლიციელის სიკვდილი გამოწვეული იქნებოდა სამსახურებრივი მოვალეობის დროს ჩადენილი ძალადობრივი აქტით. კანონის ამგვარი განმარტება ძალზე ვიწროა. სააპელაციო პალატის მოსაზრებით არ იყო სავალდებულო, რომ დაღუპულის ოჯახს მხოლოდ ძალადობრივი აქტის შედეგად დაღუპვის შემთხვევაში მიცემოდა კომპენსაცია. მოცემულ შემთხვევაში ვ. ყ-ის გარდაცვალება გამოწვეული იყო გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით, რომელიც გამოწვეული იყო უაღრესად დაძაბული სამუშაო გრაფიკით, წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველი იყო, თუ რითი გარდაიცვალა 30 წლის ჯანმრთელი ახალგაზრდა კაცი. სწორედ ზენორმატიულმა სამუშაომ, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა, მუდმივმა სტრესმა და გადაღლილობამ გამოიწვია მისი ჯანმრთელობის შერყევა და, საბოლოოდ, სიკვდილიც.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი ვიწროდ არ უნდა განიმარტოს და პოლიციელის დაღუპვაში არ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ ძალადობრივი აქტის შედეგად დამდგარი სიკვდილი. იმ პირის ოჯახი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ზენორმატიულად ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას და შესაბამისად, ჯანმრთელობაშერყეული გარდაიცვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისევე იმსახურებს სოციალური სახის შეღავათებს (ერთჯერად კომპენსაციას), როგორც უშუალოდ დამნაშავესთან შეტაკებისას დაღუპულო პოლიციელის ოჯახი.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუ-

ქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, არსებითად, სააპელაციო საჩივარში დასახელებული საფუძვლებით[1].

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ" 31-ე მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის პირველი წინადადების თანახმად: „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხდიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით". საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმის სწორად შეფარდებისა და სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებით გამოწვეული პოლიციელის დაღუპვის შემთხვევის სწორად დაკვალიფიცირებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობ ენიჭებოდა პოლიციელის მიერ მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის მიზეზშედეგობრიობის პირდაპირი, უშუალო ჯაჭვის არსებობას: პოლიციელის გარდაცვალება გამოწვეული უნდა ყოფილიყო სწორედ იმის შედეგად, რომ მან თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა ან ასეთ მოვალეობას ასრულებდა. გარდაიცვალა თუ არა პოლიციელი სამუშაო ადგილას ან სამუშაო საათების დროს, ამას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა. ამიტომაც, ზემოაღნიშნული 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნა საფუძვლიანი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იარსებობდა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი პოლიციელის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასა და პოლიციელის გარდაცვალებას შორის.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ვ. ყ. გარდაიცვალა სამუშაო საათებში, კერძოდ, მორიგეობის დროს. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, გარდაცვალების მიზეზს წარმოდგენდა გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვ. ყ-ის

1 იხ. შენიშვნა სქოლიოში – კრებულის გვ. 91

დაავადების – გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობის გამომწვევ კონკრეტულ მიზეზს, რამაც მისი გარდაცვალება განაპირობა, წარმოადგენდა რამდენიმე თვის განმავლობაში ზენორმატიული მუშაობა, უაღრესად დაძაბული სამუშაო გრაფიკი, მუდმივი სტრესი და გადაღლილობა. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, თუ არა ასეთი დაძაბული სამუშაო რეჟიმი, გაურკვეველი იყო, რამ გამოიწვია ახალგაზრდა ჯანმრთელი ადამიანის გარდაცვალება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიზეზობრივი კავშირის არსებობა, ვ. ყ-ის გარდაცვალებასა და მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შორის, არ იყო დამაჯერებლად დადგენილი. სააპელაციო სასამართლოს მიერ, ფაქტობრივად, დადგენილი იყო არა პირდაპირი, არამედ სავარაუდო მიზეზობრივი კავშირის არსებობა გარდაცვალების მიზეზსა და გარდაცვლილის სამუშაო რეჟიმს შორის, მაშინ როდესაც ასეთი სავარაუდო კავშირი სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის საკმარის ობიექტურ საფუძვლად ვერ გამოდგებოდა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე თითქმის ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდა უაღრესად დაძაბული და სტრესული სიტუაციის პირობებში. სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია არც ერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც დაადასტურებდა უაღრესად დაძაბული და სტრესული სიტუაციის არსებობას. მოწმეთა ჩვენებებში კი მითითებული იყო, რომ ვ. ყ-ის მთელი მუშაობის პერიოდში რაიმე მძაფრ შემთხვევას, რასაც არსებითად შეეძლო ემოქმედა მასზე, ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალებით, გარდაცვალების დღეს, 13 თებერვალს, მთელი დღის განმავლობაში ვ. ყ-ის სამოქმედო ტერიტორიაზე რაიმე შემთხვევა არ მომხდარა, ამ დღეს ვ. ყ. დილიდანვე შეუძლოდ გრძნობდა თავს. სარწმუნოდ არ იყო დადგენილი, რომ შეუძლოდ ყოფნის მიზეზი სწორედ ვ. ყ-ის სამუშაო იყო. ამასთან, საქმეში არსებული არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი არ ადასტურებდა ვ. ყ-სათვის ზენორმატიული მუშაობის დავალებას.

პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „პოლიციის შესახებ“ თანახმად, პოლიციის სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზოგადად, პოლიციელის სამუშაო განუყრელადაა დაკავშირებული არანორმირებულ სამუშაო რეჟიმთან, მუდმივ სტრესთან და დაძაბულ მდგომარეობასთან. ამავდროულად, ზოგადად, სტრესი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების თანმდევი მოვლენა-

ცაა. სწორედ ამიტომაც არ იყო სარწმუნოდ დადგენილი, რომ ვ. ვ-ს სწორედ სამუშაოს მიზეზით განუვითარდა დაავადება და გარდაიცვალა.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმის ხელახალი საპელაციო განხილვისას უნდა გამორკვეულიყო, არსებობდა თუ არა პირდაპირი კავშირი ვ. ყ-ის მიერ მის თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულებასა და გარდაცვალებასთან, რისთვისაც კონკრეტულად უნდა დადგენილიყო ვ. ყ-ის სამუშაო რეჟიმი და გათვალისწინებული ყოფილიყო შესაბამისი სპეციალისტების მოსაზრება, გამოიწვევდა თუ არა მხოლოდ ასეთი სამუშაო პირის დაავადებასა და გარდაცვალებას.

8. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, უბედური შემთხვევის გამო, პოლიციის მუშაკის დაღუპვა წარმოადგენს კანონით დადგენილი კომპენსაციისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
20 ივლისის № ბს-460-49(კ-05) განჩინება

რედაქტირებული ამონარიდი

1. ვ. ხ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მისი შვილი – დ. ხ-ძე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის ქვეგანყოფილებაში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დასაცავი ობიექტის შემოვლაზე გასვლის შემდეგ, იგი პოლიციის ჯიხურში აღარ დაბრუნებულა და იმავე დღეს მისი გვამი მდინარის ნაპირზე ნახეს.

წინასაგამოძიებო შემოწმებით დადგინდა, რომ დ. ხ-ძე მდინარეში გადავარდა 5-6 მეტრის სიმაღლიდან და მიღებული დაზიანების შედეგად გარდაიცვალა.

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მისი ოჯახისთვის გადაეხადათ ერთ-

დროული დახმარება, დაენიშნათ პენსია და აენაზღაურებინათ დაკრძალვის ხარჯები, რაზედაც უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ დ. ხ-ძის გარდაცვალების მიზეზი უბედური შემთხვევა იყო და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის დირექტიული მითითების მიხედვით, იგი არ განიხილებოდა, როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარი გარემოებად.

მოსარჩელემ ითხოვა მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდის მოვალეობის დაკისრება.

მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე რაიონული სასამართლოს საოქმო განჩინებებით მოცემულ საქმეში თანამოპასუხედ ჩაება დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, ხოლო მესამე პირად – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით, ვ. ხ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროული კომპენსაციის თანხისა და დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება.

3. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით არ დაკმაყოფილდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

4. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უკანონო იყო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოპასუხეთა სიიდან ამორიცხვის თაობაზე რადგანაც მოცემულ საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმული იყო საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „დაცვის პოლიცია“. მართალია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცენტრალიზებული სისტემაა და მასში შემავალი ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი ექვემდებარება მას, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს თანხის გადახდა უნდა დაეკისრებინა ზე-

მოაღნიშნული დეპარტამენტის სამეურნეო და საფინანსო უზრუნველყოფის სამსახურისთვის, რადგან საქართველოს კანონის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის სახელმწიფო ორგანოებიდან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ და სხვა საჯარო საქმიანობას. ამასთან, სსიპ „დაცვის პოლიციას“ აქვს თავისი დამოუკიდებელი საფინანსო სამსახური და მისი ფინანსური უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება არასაბიუჯეტო სახსრებიდან, დასაცავ ობიექტებთან დადებულ და სხვა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემოსავლებიდან. ამიტომაც, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაბამისი თანხის გადახდა უნდა დაკისრებოდა სსიპ „დაცვის პოლიციას“.

კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა მისი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ დ. ხ-ძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალების საფუძველზე შედგენილი დასკვნით, პოლიციის უფროსი სერჟანტის დ. ხ-ძის გარდაცვალება არ ჩაითვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ გარემოებად. მისი გარდაცვალების მოწმობის მიხედვითაც, დ. ხ-ძის გარდაცვალების მიზეზი უცნობი იყო და ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას. მოსარჩელემ ისე მოითხოვა ერთდროული კომპენსაციის გადახდა, რომ არ გაუსაჩივრებია ზემოაღნიშნული დასკვნა და არ მოუთხოვია ამ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სარჩელში მითითებული და სააპელაციო პალატის მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ დ. ხ-ძე გარდაცვალების დროს ასრულებდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას, რადგანაც არსებული გრაფიკისა და განრიგის მიხედვით, იცავდა მასზე მიმაგრებულ ობიექტებს და დაიღუპა მისი დაცვის ქვეშ არსებული ობიექტის დათვალიერების პროცესში.

9. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე ახლად აღმოჩენილ გარემოებას არ წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის № 93 ბრძანებულება.[1].

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის № ბს-1108-1060(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2004 წლის 24 ნოემბერს ო. ჭ.-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე საჩხერის რაიონის გამგეობის მიმართ, ჯანმრთელობისათვის ვნებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე და მოითხოვა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ ერთდროულად . . . ლარის, ხოლო 2004 წლიდან, ყოველთვიურად, . . . ლარის გადახდის მოვალეობის დაკისრება.

საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინებით, მოპასუხე – საჩხერის რაიონის გამგეობა შეიცვალა სათანადო მოპასუხით – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი.

საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ო. ჭ.-ის სასარჩელო განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროულად . . ლარის, ხოლო 2004 წლის 1 დეკემბრიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე, ყოველთვიურად . . . ლარის გადახდა. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და შევიდა კანონიერ ძალაში.

2. 2007 წლის 10 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელო-

1 ანალოგიური დასკვნა არის გამოტანილი ამ სახის დავაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის №ბს-1117-1068(კ-07), 2008 წლის 4 ივნისის № ბს-1108-1060(კ-07) გაჩინებებში, რომლებშიც საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის (საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების) გაუქმება არ შეიძლებოდა ყოფილიყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების საფუძველი.

ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა საჩხერის რაიონულ სასამართლოს. განმცხადებელმა მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2005 წლის 26 იანვრის-გადაწყვეტილების გაუქმება და საქმისწარმოების განახლება იმ საფუძვლით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულება, რაც მითითებული გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი გახდა, ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის № 93 ბრძანებულებით.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ" 42[1]-ე პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის წყდება სარჩოსა და სხვა გასაცემების გაცემის ვალდებულება 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ შეიძლება წარმოიშვას. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის ფონდის მიერ სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო, დამატებით უნდა გაიცეს ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს – ექვსი თვის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც სამინისტროს დაევალა 2007 წლის 1 მარტიდან მოსარჩელისათვის სარჩოს გადახდა და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა.

3. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განჩინებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება დასაშვებად იქნა მიჩნეული, ხოლო 2007 წლის 15 მაისის განჩინებით გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის 2007 წლის 1 მარტიდან ყოველთვიური სარჩოს გადასახდელად დაკისრების ნაწილში.

ო. ჭ.-ძის განცხადების საფუძველზე, საქმეში მოპასუხედ ჩაება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი.

4. საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით, ო. ჭ.-ძის სასარჩელო განცხადება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ყოველთვიური სარჩოს მიღების ვადის 2007 წლის 1 მარტის შემდეგ გაგრძელების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია დანიშნული ზიანის ანაზღაურების სარჩოს (თვეში . . . ლარი) 6 თვის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში, ხოლო სასარჩელო განცხადება სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

5. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტომ (საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის უფლებამონაცვლემ).

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ 2007 წლის 24 მარტს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ № 53 დადგენილების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლება დაწესდეს ახალი გასაცემები შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძ-

ველზე, რომლებიც არეგულირებდა უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოში. ამასთან, ორგანიზაცია, სადაც ო. ჭ. მუშაობდა, ლიკვიდირებული იყო და მისი სამართალმემკვიდრე არ არსებობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტმა მოითხოვა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, იმავე სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განჩინებით, საქმისწარმოების განახლების საფუძვლად დასახელებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, რაიონულმა სასამართლომ არასწორად განმარტა ზემოაღნიშნული ნორმა, ამასთან, არსებობდა ისეთი საპროცესო დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში, საქმეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" ქვეპუნქტში მითითებული „სხვა ორგანოს დადგენილება" არ გულისხმობს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც პირთა განუსაზღვრელ წრეს შეეხება და რომლებიც ამ პირთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს. დავას არ იწვევდა, რომ კანონის ეს დანაწესი არ გულისხმობს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და მთავრობის დადგენილებებს. ამ სახის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ შეიძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისათვის დადგენილი ახლად აღმოჩენილი გარემობა, ისევე, როგორც ახალი კანონი, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა სამართლებრივი ურთიერთობა და ძალადაკარგულად

გამოაცხადა ძველი კანონი, ვერ გამოიწვევს ძველი კანონის საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას. ახალმა კანონმა, შესაძლოა, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში იქონიოს გავლენა პირის იმ მდგომარეობაზე, რომელიც ძველი კანონით სხვაგვარად იყო მოწესრიგებული (უკუქცევითი ძალა), ამასთან, არა საუარესოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმისწარმოების განახლების შესახებ 2007 წლის 15 მაისის განჩინება უკანონო იყო და მართალია, იგი მხარეების მიერ არ იყო გასაჩივრებული, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით, იგი, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინება, შეიძლება გაუქმებულიყო სააპელაციო სასამართლოს მიერ.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ 2007 წლის 15 მაისის განჩინებით, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა ო. ჭ.-ძის 2007 წლის 1 მარტიდან ყოველთვიური სარჩოს გადახდა. გადაწყვეტილება ამგვარ დათქმას არ შეიცავდა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შემდგომ იგივე (თავდაპირველი) სასარჩელო მოთხოვნა ხელახლა უნდა განხილულიყო, რაზედაც სასამართლოს არ უმსჯელია.

7. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ო. ჭ.-ძეს უნდა მიეღო 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით გათვალისწინებული სარჩო 2004 წლის 1 დეკემბრიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე. ეს ნიშნავდა, რომ ო. ჭ.-ძე ამ სარჩოს მიიღებდა 2004 წლიდან განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა ო. ჭ.-ძის მიერ აღნიშნული სარჩოს 2007 წლის 1 მარტის შემდეგ მიღების შესაძლებლობაც. ეს კი ნიშნავს, რომ 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება 2007 წლის 1 მარტიდან სარჩოს ანაზღაურების დათქმას შეიცავდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩხერის რაიონულ

სასამართლოს არ უნდა განეახლებინა საქმისწარმოება. მან არასწორად მიიჩნია ახლად აღმოჩენილ გარემოებად საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის № 93 ბრძანებულება (რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48 ბრძანებულება) და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილება, რაც, კასატორის განმარტებით, ძველი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების ერთ-ერთი საფუძველი იყო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" პუნქტი პირდაპირ მუთითებს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით თუ სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ორგანო ან დაწესებულება, რომელიც კანონის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ესე იგი, საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი გულისხმობს საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებსაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინების გაუქმებას.

8. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლება მოითხოვა იმ საფუძვლით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის №93 ბრძანებულებით ძა-

ლადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულება, რომლითაც საჩხერის რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების გამოტანისას. საკასაციო სასამართლომ ამ ნაწილში სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია და აღნიშნა შემდეგი:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი შეიცავს იმ გარემოებათა სრულ ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმისწარმოების განახლებას. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" პუნქტის საფუძველზე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა. საკასაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ მითითებული საპროცესო ნორმა „სხვა ორგანოს დადგენილებებში" არ გულისხმობს ნორმატიულ აქტს, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, შეეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და ადგენს მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. საკასაციო სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ისევე, როგორც კანონი, არ შეიძლება იქცეს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების საფუძვლად, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნება და ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილება შესაძლოა საქმისწარმოების განახლების საფუძვლად მიჩნეულიყო.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი შეიცავს იმ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმისწარმოების განახლებას და სასამართლოს არ გააჩნია ამ ჩამონათვალის გაფართოების ან შეკვეცის უფლებამოსილება. შესაბამისად, დაუშვებელი იყო კასატორის მიერ წარდგენილი მოტივაციის საქმისწარმოების განახლების საფუძვლად მიჩნევა.

ამასთანავე, მიუხედავად სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციის სრულად გაზიარებისა, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო იმ სახის პროცესუალური დარღვევა, რომელიც

გასაჩივრებული განჩინების გაუქმებასა და საქმის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნებას განაპირობებდა. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იყო საქართველოს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ, რომელიც სადავოდ არ ხდიდა საჩხერის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 15 მაისის განჩინებას. შესაბამისად, დასახელებული განჩინების გაუქმებით, მოხდა სააპელაციო საჩივრის მხარისათვის საუარესოდ შებრუნება, რითაც სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ არამართებულად მიიჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითება და ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ემყარება მითითებული ნორმის არასწორ ინტერპრეტაციას.

10. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულ, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობას სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია არა მხოლოდ იმ საქმეებზე, რომლებშიც მოპასუხეს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი წარმოადგენს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის
22 ოქტომბრის № ბს-1059-1012(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ა. კ-მა 2005 წლის 7 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მიუთითა, რომ 1963 წლიდან მუშაობდა მარნეულის რაიონის სოფ. .... მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ ინჟინერ-მექანიკოსად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ტრავმის შედეგად დაუზიან-

და ხერხემალი და მკურნალობდა ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის 1981 შემოწმების აქტით, წარმოებაში მიღებული ტრავმის შედეგად უვადოდ დაუდგინდა პროფესიული შრომის უნარის 100%-ით, ხოლო საერთოს – 80%-ით დაკარგვა.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1980 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოპასუხე ორგანიზაციას დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მიღებული დაზიანებიდან გამომდინარე ზარალის საზღაურად ერთდროული თანხის, პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის ყოველთვიურად, ასევე გარეშე მომვლელის ხარჯების ანაზღაურება. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მოსარჩელეს აუნაზღაურდა ზიანი და გარეშე მომვლელის ხარჯები, ხოლო პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობას ღებულობდა 1997 წლის იანვრამდე.

1996 წლის 11 აგვისტოს მარნეულის რაიონის სოფელ . . . მერძევეობა და მებოსტნეობის მეურნეობა ლიკვიდირებულ იქნა და მის უფლებამონაცვლედ რაიმე საწარმო არ აღრიცხულა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის. 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ (შემდგომში, „წესი“ - ჯ.რ.) თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ტრავმის შედეგად დაზარალებულს უნაზღაურდებოდა ყოველთვიური სარჩო დაკარგული პროფესიული შრომის უნარის (100%-ის) გაანგარიშებით. მოსარჩელემ განმარტა, რომ ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობას ვერ მიმართა 2005 წლის 11 აგვისტომდე, ხოლო მიმართვის შემდეგ, ვაკე-საბურთალოს გამგეობამ უფლებამოსილების არქონის გამო ვერ გადაწყვიტა განცხადებაში მითითებული საკითხები.

მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგული პროფესიული შრომის უნარის მიხედვით მიუღებელ ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის 1997 წლის იანვრიდან გადახდის დაკისრება მოპასუხესათვის.

2. საქმე რამდენჯერმე განიხილეს სასამართლოებმა და საბოლოოდ. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ა. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-მა, რომელმაც საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების, გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე, საქმის განხილვის პროცესში მოპასუხედ მიჩნეული საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით – სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოთი.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ა. კ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში შესული ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული სახალხო სასამართლოს 1980 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხეს, მარნეულის რაიონის სოფელი .... მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობას დაეკისრა ზარალის, ხელფასისა და პენსიის სხვაობის, ასევე, გარეშე მომვლელის ხარჯების ანაზღაურება გადამოწმებამდე, 1981 წლის 21 მაისამდე. ა. კ. აღნიშნულ თანხას იღებდა 1997 წლის იანვრამდე. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აგვისტოს №500 ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა მარნეულის რაიონის სოფელ . . . მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. კ-ის მიმართ ვერ გავრცელდებოდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის"მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დადგენილების 3.2 მუხლის თანახმად, წარმოქმნილი დავალიანებების

დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პერიოდამდე არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებული უდავო მოთხოვნები სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება სხვა პირის მიმართ, რაც სააპელაციო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს არ წარმოადგენდა.

4. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. კ-მა, მისი გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი, გარდა სარჩელში დასახელებული ფაქტობრივი გარემოებებისა, მიუთითებდა იმაზე, რომ შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურება დადგენილი იყო კანონიერ ძალაში შესული ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული სახალხო სასამართლოს 1980 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით, რომელიც სათანადო წესით დარეგისტრირდა. მის საფუძველზე იგი ღებულობდა პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობას 1997 წლამდე. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა პენსიის განახლება და 1997 წლის იანვრიდან ან მის მიერ სასამართლოში მიმართვის დღიდან, ბოლო სამი წლის პერიოდის მიუღებელი თანხის ანაზღაურება, რადგან ვალდებულება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ორგანიზაციას ეკისრებოდა, პერიოდულად შესასრულებელს წარმოადგენდა და მასზედ ვრცელდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მოთხოვნები. ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ შექმნა ვაკუუმი და მისი უფლებების განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" საფუძველზე. სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურებამ და კანონებში სისტემატურმა ცვლილებებმა განაპირობა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიმდინარე კანონსაც არ შეესაბამებოდა და იწვევდა მისი უფლებების შელახვას. კასატორის განმარტებით, სასამართლოს უნდა გამოეყენებინა საქართველოს პრეზიდენტის დასახელებული, №48 ბრძანებულე-

ბით დამტკიცებული „წესი“ და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი, მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები. მათი დანაწესებით, იმ პირებზე, რომელთაც ამ დადგენილების ამოქმედებამდე დაუწესდათ გასაცემები ამ პუნქტში მითითებული საფუძვლებით, ვრცელდებოდა ამ წესის მე-3 მუხლის დებულებები. საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის“ 42[1]-ე პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე ფონდში რეგისტრირებულ, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა უნდა განხორციელებულიყო 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე. 2007 წლის 1 მარტამდე არსებობდა 1980 წლის 6 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დავალიანების დაფარვის განხორციელების შესახებ და ამის საფუძველზე, ზემოთ ხსენებული ბრძანებულების თანახმად, უნდა დაკმაყოფილებულიყო მისი სასარჩელო მოთხოვნა.

5. საკასაციო პალატის განჩინებით, ა. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს კანონის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ 27-ე მუხლის თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ურთიერთობები (ე.წ. რეგრესული პენსიები), რეგულირდებოდა დამოუკიდებელი ნორმატიული აქტებით. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული „წესი“, რომელიც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 თებერვლის № 93 ბრძანებულებით, აწესრიგებდა საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, დასაქმებულ მუშაკთა შრომითი მოვალეობის შესრულებისას საწარმოო ტრავმით, პროფესიული დაავადებით ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ

საფუძვლებს. „წესის" მე-3 პუნქტის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად დაზარალებულს ზიანი უნაზღაურდებოდა ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ დამქირავებლის მიერ, რომელთანაც იგი ზიანის მიყენებისას შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა, ამ უკანასკნელის ბრალის არსებობის შემთხვევაში, „წესის" 42[1]-ე პუნქტის თანახმად, 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არ ჰყავდათ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა აღრიცხვას, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშებასა და გაცემას, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფდა სსიპ – სოციალურ იდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის" 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ 2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლებოდა ახალი გასაცემლების დაწესება „წესის" იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის ზემოთ მითითებული დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 42[1]-ე პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის უზრუნველყოფა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე დაევალა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს. დადგენილი იყო, რომ კანონიერ ძალაში შესული ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული სახალხო სასამართლოს 1980 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით მოპასუხეს, მარნეულის რაიონის სოფელ . . . მერძეველობა-მებოსტნეობის მეურნეობას ა. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზარალის, ხელფასისა და პენსიას შორის სხვაობის, ასევე, გარეშე მომ-

ვლელის ხარჯების ანაზღაურება გადამოწმებამდე. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის შრომითი ექსპერტიზის 1981 წლის შემოწმების აქტით, წარმოებაში მიღებული ტრავმის შედეგად დაუდგინდა, რომ პროფესიული შრომის უნარი ა. კ-ს დაკარგული აქვს 100%-ით, ხოლო საერთო შრომის უნარი – 80%-ით. მოსარჩელე სასამართლოს გადაწყვეტილებით დანიშნულ თანხას იღებდა 1997 წლის იანვრამდე. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აგვისტოს № 500 ბრძანებულების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა მარნეულის რაიონის სოფელ .... მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობა.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ა. კ-ის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე, როგორც სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარებული უდავო მოთხოვნად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილებით დამტკიცებულ წესის საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარებოდა მხოლოდ სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნები. დასახელებული ნორმატიული აქტი არ ადგენდა, რომ ვალდებულების დამდგენი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ სსიპ – სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ. სააპელაციო პალატის აღნიშნული მოსაზრება არ ემყარებოდა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილებით დამტკიცებული წესის შინაარსს. მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენდა აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარის – სააგენტოს წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოთხოვნა ფონდში არ იყო რეგისტრირებული, ხოლო წესის მე-3 მუხლი ვრცელდებოდა მხოლოდ ფონდში რეგისტრირებულ მოთხოვნებზე.

საქართველოს მთავრობის დასახელებულ, № 53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 მუხლით, სსიპ – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაევალა „წესის“ 42[1]-ე პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ –საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან ფონდში რეგ-

ისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალებების დაფარვა 2007 წლის 1მარტამდე პერიოდზე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 42[1]-ე მუხლის თანახმად, 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არა ჰყავთ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა აღრიცხვის, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშებების, გაცემის უზრუნველყოფა, მასში შემდგომ შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, თავდაპირველად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ხოლო შემდგომში, თავად ფონდს ევალებოდა. ამასთანავე, ა. კ-ს პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის მიღება დანიშნული ჰქონდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, იგი მიქცეული იყო აღსასრულებლად და მოსარჩელეს, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მიღებული ჰქონდა ზარალის ასანაზღაურებელი თანხა, გარეშე მომვლელის ხარჯები და 1997 წლის იანვრამდე ღებულობდა პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობას. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლი ითვალისწინებდა 2007 წლის 1 მარტამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვას 1 მარტამდე. ამიტომაც არსებობდა მოსარჩელისათვის 2007 წლის 1 მარტამდე წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის საფუძველი.

ამასთანავე, საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ არ არსებობდა ა. კ-ის სასარგებლოდ მოწინააღმდეგე მხარისათვის 2007 წლის 1 მარტის შემდეგ ზიანის ასანაზღაურებელი ყოველთვიური სარჩოს დაკისრების წანამძღვრები. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირებისათვის წყდება სარჩოსა და სხვა გასაცემლების გაცემის ვალდებულება 2007 წლის 1 მარტიდან, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებზეც არ განხორციელებულა მათი გაცემის ვალდებულების დაკისრება, მითითებული ვალდებულებები აღარ უნდა წარმოიშვას. ამასთანავე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო წინადადების საფუძველზე, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დაევალა

სააგენტოს მიერ სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის გამო დამატებით, ერთჯერადი კომპენსაციის ფორმით, ზიანის ანსაზღაურებელი სარჩოს ექვსი თვის ოდენობით გაცემა.

ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის საქმის დაბრუნების საფუძვლად საკასაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

სასარჩელო განცხადებით ა. კ-ი ითხოვდა სარჩელის აღძერამდე მიუღებელ ხელფასსა და პენსიას შორის სხვაობის ანაზღაურებას. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო პენსიასა და ხელფასს შორის სხვაობის ოდენობის დადგენის შედეგად. ამასთან, გათვალიწინებული უნდა ყოფილიყო, რომ სარჩელის აღძვრის დროისათვის მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი კანონმდებლობა, შრომის უნარის ხარისხის დაკარგვიდან განცხადების მოგვიანებით შეტანის შემთხვევაში, ანაზღაურების გაცემას უკავშირებდა განცხადების შეტანის დღეს. ამიტომ, უნდა დადგენილიყო კომპეტენტურ ორგანოში სარჩოს დანიშვნის მოთხოვნით მიმართვის დღე, ასევე საბჭოთა მეურნეობაში ა. კ-ის ყოველთვიური ხელფასის ოდენობა, ხელფასის თანხის ეკვივალენტი ლარებში, პენსიის ოდენობა, რომელსაც ღებულობდა მოსარჩელე.

11. ჯანმრთელობის დაზიანების ასანაზღაურებლად თანხის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა წარმოადგენს სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას და მისი რეალიზაციისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, გამოყენებული არის თუ არა გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის
5 თებერვლის №ბს-1606-1560(კ-კს-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ლ. ც-ძემ სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში ქ. რუსთავის მერიის განათლების სამმართველოსა და ქ. რუსთავის .

. . საშუალო სკოლის მიმართ და საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ და საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს 1997 წლის 4 აპრილის №39 ბრძანების საფუძველზე, ქ. რუსთავის მერიის განათლების სამმართველოსათვის 1997 წლის 29 მაისიდან, შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ვნების გამო, მისი ყოველთვიურად საშუალო ხელფასის ოდენობით, ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

საქმე არაერთგზის იქნა განხილული სასამართლოების მიერ, რომლის პროცესშიც შეიცვალა მხარეები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. რუსთავის მერიის განათლების სამმართველოს უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქ. რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ხოლო ქ. რუსთავის . . . საშუალო სკოლის უფლებამონაცვლედ – ქ. რუსთავის . . . საჯარო სკოლა. ამასთანავე, ლ. ც-ძემ დააზუსტა სარჩელი. საბოლოოდ, ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. ც-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ქ. რუსთავის . . .საჯარო სკოლას ლ.ც-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2004 წლის მაისიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლამდე ყოველთვიურად, სარჩოს სახით . . . ლარის გადახდა.

2. ლ. ც-ძემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პალატის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა მოითხოვა. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ლ. ც-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ მისი 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ იყო სასამართლოს უფლება მხარეთა

თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცა გადაწყვეტილებები დასახიჩრებით ან ჯანრთელობის სხვაგვარი დაზიანებით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ. დასახელებული ნორმის თანახმად, აღნიშნულის განხორციელება წარმოადგენდა სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას. იმავე მუხლის მე-2 ნაწილით, ასევე რეგლამენტირებული იყო სასამართლოს უფლება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას მოეთხოვა მოსარჩელისათვის, სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ დასახელებული ნორმით განსაზღვრული უფლება – მოეთხოვა მოსარჩელისათვის გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა, არ იქნა გამოყენებული განცხადების ავტორის მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საფუძვლად მითითებული (მატერიალური მდგომარეობა) გარემოების მხედველობაში მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე განცხადების დაკმაყოფილება.

განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ც-ძემ, მისი გაუქმება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა მოითხოვა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ლ. ც-ძე ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის იმ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემას, რომლითაც ქ. რუსთავის . . . საჯარო სკოლას მის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად, ვნებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად . . . ლარის ოდენობით სარჩოს გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა

თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები: დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლისათვის მიცემული განმარტება იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული იყო სასამართლოს უფლება და არა ვალდებულება მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცა გადაწყვეტილებები დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ. ამიტომაც, ზემოაღნიშნული მუხლის რეალიზება, ანუ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა, წარმოადგენდა სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას და მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიზანშეუწონლად მიიჩნია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

საკასაციო სასამართლო, ასევე, დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებას, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, რაც მოცემულ შეთხვევაში ვერ იქნებოდა გამოყენებული განცხადების ავტორის მიერ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საფუძვლად მითითებული (მატერიალური მდგომარეობა) გარემოების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ლ. ც-ძის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

12. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად ყოველთვიური სარჩოს სანაცვლოდ, ერთჯერადი კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ დანიშნული სარჩოს არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 მარტის № ბს-865-827(კ-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. მ-მ სარჩელი აღძრა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ქ. ბათუმის მერიის მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება, შემდეგი საფუძვლით:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, ქ. ბათუმის მერიას, როგორც საწარმოო ტრავმაში ბრალეულ საწარმოს შპს „. . .-ის“ სამართალმემკვიდრეს, მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს მიუღებლობით და არასწორად დარიცხვის შედეგად წარმოშობილი დავალიანებისა და მკურნალობის თანხის ნაწილის გადახდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხისათვის ყოველთვიური სარჩოს დაკისრებაზე იმ მოტივით, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის ვნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესის“ (შემდგომში, „წესი“, –ჯ.რ.) 23-ე პუნქტის თანახმად, იურიდიული პირების გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებული იყო დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად მიეცა კომპენსაცია. მიუხედავად გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა, მოპასუხეს არც ერთდროული საკომპენსაციო თანხა გადაუხდია და არც ყოველთვიური სარჩოს გაცემა განუახლებია.

მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ქ. ბათუმის მერიას სარჩოს ანაზღაურების თაობაზე, რაზეც მიიღო პასუხი, რომ ქ. ბათუმის მერია ყოველთვიური სარჩოს გადახდის გადაწყვეტილებას მიიღებდა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ. მოსარჩელის განმარტებით, იგი არ იყო წინააღმდეგი ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად მიეღო ერთდროული კომპენსაცია, მაგრამ დადგენილი არ იყო ერთდროული კომპენსაციის გაანგარიშების წესი.

მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად ერთდროული საკომპენსაციო თანხის, ასევე მორალური ზიანისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნ. მ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

1979 წელს ნ. მ.-მ შპს „. . . -ში“ მუშაობისას მიიღო საწარმოო ტრავმა და დაიზიანა თვალი. სამედიცინო-საექსპერტო კომისიის დასკვნის შესაბამისად, მას დაუდგინდა მე-3 ჯგუფის ინვალიდობა შრომის უნარის 50%-ის დაკარგვით, რის საფუძველზეც დაენიშნა ყოველთვიური სარჩო ფულადი სახით, რომელსაც ღებულობდა 1995 წლამდე.

შპს „ . . .-ის“ ლიკვიდაციის შემდეგ მოსარჩელეს არ მიუღია ყოველთვიური სარჩო იმ ოდენობით, რასაც ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულება, რის გამოც მან მოითხოვა ბრძანებულების ძალაში შესვლიდან სარჩოს მიუღებელი ოდენობის, აგრეთვე, მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება მოპასუხისათვის და ყოველთვიური სარჩოს გადახდის გაგრძელება.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა „წესის“ 23-ე პუნქტი და განმარტა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებული იყო დაზარალებულისთვის ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად ორგანიზაციის ქონებიდან მიეცა კომპენსაცია ფულადი სახით.

შპს „. . . -ის“ ლიკვიდაცია განხორციელდა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებით შეიქმნა შპს-ს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საწარმოს ბალანსზე რიცხული საშუალებების რეალიზაცია და შემოსული თანხებით არსებული დავალიანებების დაფარვა. სწორედ აღნიშნულ სალიკვიდაციო კომისიას უნდა მოეხდინა ქონების რეალიზაციით შემოსული თანხებიდან ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად, საკომპენსაციო თანხის გაცემა ნ. მ.-ზე. შემდგომში, აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს უფლებამონაცვლე

გახდა ქ. ბათუმის მერია, მაგრამ ეს გარემოება არ შეიძლებოდა გამხდარიყო საკომპენსაციო თანხის დაკისრების საფუძველი, რადგანაც ქ. ბათუმის მერიას შპს-ს ქონება არ გადასცემია და შესაბამისად, აღნიშნული ქონებიდან ვერ განახორციელებდა თანხის გადახდას. „წესის“ 23-ე პუნქტი კი იმპერატიულად ადგენდა, რომ საკომპენსაციო თანხის გაცემა საწარმოს ლიკვიდაციის დროს უნდა მომხდარიყო ორგანიზაციის ქონებიდან, რის გამოც საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. მ.-ის სასარჩელო მოთხოვნა ქ. ბათუმის მერიისთვის თანხების დაკისრების თაობაზე, დაუსაბუთებელი იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ.-მ, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივებით:

სასამართლომ არასწორად განმარტა „წესის“ 23-ე პუნქტი, როდესაც მიუთითა იმ ნორმის იმპერატიულობაზე, რომლის თანახმად, საწარმოს ლიკვიდაციის დროს საკომპენსაციო თანხის გაცემა უნდა მომხდარიყო ორგანიზაციის ქონებიდან. აღნიშნული უნდა მოეხდინა ბრალეული საწარმოს სალიკვიდაციო კომისიას, რომელიც შეიქმნა აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებით და რომლის უფლებამონაცვლეც იყო ქ. ბათუმის მერია. ამავე დროს, მოსარჩელეს აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროსა და აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განუმარტეს, რომ წესის 23-ე პუნქტის მიხედვით, ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად ერთდროული საკომპენსაციო თანხის გაანგარიშების წესი კანონით არ იყო დადგენილი, რის გამოც მას მიეცემოდა ყოველთვიური სარჩო ლიკვიდირებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრის მიერ.

აპელანტის მოსაზრებით, აღნიშნული დავა უნდა მოწესრიგებულიყო „წესის“ 42-ე ან 42^1-ე პუნქტებით. სარჩოს დანიშვნაზე მოსარჩელის თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველი სწორედ 42-ე პუნქტი იყო და იქვე აღინიშნა, რომ თანახმა იყო 23-ე პუნქტის მიხედვით, სარჩოს ნაცვლად საკომპენსაციო თანხის მიღებაზე.

4. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ნ. მ.-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, ბათუმის მერიას, როგორც შპს „. . .-ის" სამართალმემკვიდრეს, ნ. მ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს მიუღებლობით და არასწორად დარიცხვის შედეგად წარმოშობილი დავალიანებისა და მკურნალობის თანხის ნაწილის გადახდა. ყოველთვიური სარჩოს დაკისრების ნაწილში კი ნ. მ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულება გაუქმდა და მის სანაცვლოდ მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილება, რომლითაც დამტკიცდა „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი". სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დამსაქმებელს უფლება ჰქონდა, ზიანის ასანაზღაურებლად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" მოთხოვნათა დაცვით დანიშნული ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად, დაზარალებულისათვის მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია. სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელეს ყოველთვიური სარჩო დანიშნული არ ჰქონდა, მას ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით უარი ეთქვა ყოველთვიური სარჩოს მერიაზე დაკისრების მოთხოვნაზე, ამიტომაც, აღარ არსებობდა ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლები და განმარტა, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა იგი. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ საწარმოო ტრავმა მიიღო შპს „. . .-ში". ბათუმის მერიას არ მიუყენებია ზიანი მოსარჩელისათვის, ამიტომაც, „წესის"სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მერიის მიმართ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული.

5. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ.-მ, რომელმაც

მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის № 53 დადგენილება, როდესაც მიუთითა, რომ, რადგანაც ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა ყოველთვიური სარჩოს მერიისათვის დაკისრებაზე, აღარ არსებობდა ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ქ. ბათუმის მერია გარკვეული პერიოდის განმავლობაში იხდიდა სარჩოს და მხოლოდ შემდეგ შეაჩერა მისი გადახდა.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ, დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებელად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეს ყოველთვიური სარჩო დანიშნული არ ჰქონდა და აღარ არსებობდა ერთჯერადი კომპენსაციის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის 48-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის“ 23-ე პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ლიკვიდაციის ან გაკოტრების შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებული იყო, დაზარალებულისთვის ყოველთვიური სარჩოს ნაცვლად მიეცა კომპენსაცია ფულადი სახით ორგანიზაციის ქონებიდან. შპს „. . .-ის“ ლიკვიდაცია განხორციელდა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით. აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებით შეიქმნა შპს „...-ის“ სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საწარმოს ბალანსზე რიცხული საშუალებების რეალიზაცია და შემოსული თანხებით არსებული დავალიანებების დაფარვა. აჭარის ა/რ ქონების მართვის სამინისტროს უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა ქ. ბათუმის მერია, ამიტომაც, სასამართლოს დასკვნა, რომ ქ. ბათუმის მერია არ წარ-

მოადგენდა ზიანის ანაზღაურებისათვის ვალდებულ პირს, სამართლებრივად დასაბუთებელი იყო.

საკასაციო სამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათუმის მერიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური სარჩოს მიუღებლობით და არასწორად დარიცხვის შედეგად წარმოშობილი დავალიანებისა და მკურნალობის თანხის ნაწილის გადახდა, ნ. მ-ის მოთხოვნა ყოველთვიური სარჩოს . . . ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ არ იყო განსაზღვრული სარჩოს ანაზღაურების წესი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა მოიპოვოს მტკიცებულებები და სარწმუნოდ დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ქ. ბათუმის მერიის მიერ შესრულებულ იქნა თუ არა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 5 თებერვლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. მ.-ის სასარგებლოდ მისთვის დაკისრებული ვალდებულება და რა ოდენობის თანხა მიეცა მოსარჩელეს. აღნიშნული მტკიცებულებების მოპოვების შედეგად სასამართლოს უნდა განესაზღვრა დავალიანების ანაზღაურებით, ფაქტობრივად, ქ. ბათუმის მერიამ აღიარა თუ არა მოსარჩელის წინაშე ვალდებულება.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას უნდა იმსჯელოს იმის თაობაზე, რომ სალიკვიდაციო კომისიის მიერ ლიკვიდირებული სანარმოს ქონებიდან კრედიტორთა წინაშე საწარმოს დავალიანების დაუფარაობა იყო თუ არა საკმარისი საფუძველი იმ გარემოების დადგენისათვის, რომ ქ. ბათუმის მერია, როგორც სალიკვიდაციო კომისიის უფლებამონაცვლე, აღარ წარმოადგენდა მოსარჩელის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში ვალდებულ პირს.

საკასაციო სასამართლომ სრულიად დაუსაბუთებლად ჩათვალა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ, რადგანაც ბათუმის მერიას არ მიუყენებია ზიანი, არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ქ. ბათუმის მერიასათვის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ სხეულის დაზიანებისან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

13. დაზარალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება არ უტოლდება ერთჯერადი კომპენსაციის გაცემას და არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს მარჩენალის დაკარგვასთან დაკავშირებული სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის, 2007 წლის 4 აპრილის №ბს-778-744(კ-06) გადაწყვეტილება.

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. და ბ. ბ-ებმა სარჩელით მიმართეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ და მარჩენალის დაკარგვის გამო სარჩოს დანიშვნა მოითხოვეს.

მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კუთვნილი ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მძღოლი ნ. ი., დაეჯახა ქვეითად მოსიარულე მათ შვილს – ა. ბ-ს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა.

მოსარჩელეთა განმარტებით, მათ დაკარგეს მარჩენალი, ვინაიდან იმყოფებოდნენ გარდაცვლილის კმაყოფაზე. ამიტომაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის საფუძველზე, თითოეული მათგანისათვის ყოველთვიურად . . . ლარის ოდენობით სარჩოს დანიშვნა მოითხოვეს.

2. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ნ. ბ-ის სასარგებლოდ ყოველთვიურად . . . ლარის გადახდა დაეკისრა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინ-

დის რაიონულ სასამართლოს და უარი განაცხადა დასახელებული გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.

3. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და ბ-მა (მიუხედავად მათ მიერ განცხადებული უარისა), მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით, მოცემულ საქმეში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ მესამე პირად ნ. ი. ჩაება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში წარადგინა შესაგებელი და აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცალსახად მითითებულია, რომ სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში კი თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილებით, რომელიც უცვლელად დარჩა ზემდგომი სასამართლოს განჩინებით, დაკმაყოფილდა ნ. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნა ერთჯერადი ანაზღაურების შესახებ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დაეკისრა . . . ლარი. შესაბამისად, ნ. ბ-მა მოითხოვა და სარჩოს სანაცვლოდ მიიღო ერთჯერადი ანაზღაურება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. და ბ. -ების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ნ. და ბ. ბ-ებისათვის სარჩოს სახით, ყოველთვიურად, თითოეულისათვის . . . ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ, თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 8 აპრილის კანონიერ ძალაში

შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2001 წლის 29 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის კუთვნილი ავტომანქანა, რომელსაც ნ. ი. მართავდა, დაეჯახა ქვეითად მოსიარულე ა. ბ-ს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. აღნიშნული გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. ბ-ის სარჩელი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ზარალის ასანაზღაურებლად მოსარჩელის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდა დაეკისრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. და ბ. ბ-ები 1973 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. საქმეზე წარმოდგენილი საპენსიო მონმობის თანახმად, ნ. ბ. პენსიონერია, ხოლო მის მეუღლეს – ბ. ბ-ს აღენიშნება ადაპტაციის დარღვევები და ფაქტობრივად ლოგინადაა ჩავარდნილი. ქ. ქუთაისის მთავრობის „ავტოქარხნის“ მართვის ტერიტორიული ორგანოს ცნობის თანახმად, ნ. და ბ.-ები შვილის – ან გარდაცვლილი ა. ბ-ის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო.

სარჩოს ოდენობასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქართველოში პენსიის მინიმალური ოდენობა . . . ლარს შეადგენდა, მოპასუხეს მოსარჩელეების სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩოს სახით, თითოეულისათვის, ამ ოდენობით თანხის გადახდა უნდა დაკისრებოდა.

5. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის

თანახმად, სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი დაკმაყოფილდა ნ. და ბ. ბ-ების მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების თაობაზე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გადაუხადა მათ ერთჯერადად ფულადი თანხა – . . . ლარი.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარზე შეგებებული საკასაციო საჩივარი წარადგინეს ნ. და ბ. ბ-ებმა და მოითხოვეს დეპარტამენტის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

შეგებებული საკასაციო საჩივრის ავტორთა განმარტებით, საჩივრის წარდგენის მომენტისათვის, პენსიის მინიმალური ოდენობა . . . ლარსშეადგენდა, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის 1-ლი ნაწილი არ ითვალისწინებდა სარჩოს ოდენობის პენსიის მინიმალური ოდენობის შესაბამისად განსაზღვრას. ამიტომაც, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მათ სასარგებლოდ თითოეულისათვის თვეში . . . ლარის გადახდა უნდა დაკისრებოდა.

6. საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ნ. და ბ. ბ-ების შეგებებული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ნ. და ბ -შვილების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ნ. და ბ. ბ-ებისათვის სარჩოს სახით ყოველთვიურად, თითოეულისათვის . . . ლარის გადახდა დაეკისრა.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2001 წლის 29 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის

კუთვნილი ავტომანქანის მძღოლი ნ. ი. დაეჯახა ქვეითად მოსიარულე ნ. და ბ. ბ-ების შვილს – ა. ბ-ს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. მოსარჩელეებმა დაკარგეს მარჩენალი, ვინაიდან იმყოფებოდნენ გარდაცვლილი შვილის კმაყოფაზე.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 8 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ნ. ბ-ის სარჩელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდადაეკისრა.

გადაწყვეტილებაში, რომელიც საბოლოოდ უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით, მიეთითა, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ნ. ი. ცნობილ იქნა დამნაშავედ და დაზარალებულ ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზარალის – . . . ლარის გადახდა, იგი პენსიონერია, ხოლო მის მეუღლეს, ბ. ბ-ს, რომელთანაც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 1973 წლიდან, აღენიშნება ადაპტაციის დარღვევები და რეაქცია უბედურ შემთხვევაზე, იგი ფსიქიკურად დაავადებულია. ნ. ბ-მა გაიღო შვილის – ა. ბ-ის დაკრძალვის ხარჯი.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოსაზრება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ვინაიდან დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი დაკმაყოფილდა ნ. და ბ. ბ-ის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების თაობაზე და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა გადაუხადა მათ ზარალის სანაცვლოდ . . . ლარი და არა სარჩოს სანაცვლო ერთჯერადი ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს განაჩენით. ნ. ი-ს დაზარალებულ ნ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მის მიერ ა. ბ-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯის . . . ლარის გადახდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, ვინაიდან ნ. და ბ. ბ-ებს არ მოუთხოვიათ დასახელებულ ნორმის შესაბამისად, სარჩოს სანაცვლოდ ერთჯერადი ანაზღაურება, არამედ მათ შესაბამისი სარჩელით სარჩოსაგან დამოუკიდებლად მოითხოვეს ა. ბ-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული ხარჯის – . . . ლარის ანაზღაურება, რაც საერთოდ არ არის კავშირში იმავე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ, მათთვის სარჩოს დანიშვნასთან.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. ბ-მა განცხადებით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და უარი განაცხადა დასახელებულ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უარის თქმის შეუქცევადი ხასიათისა, სააპელაციო სასამართლომ მიიღო და განიხილა ნ. და ბ. ბ-ბის სააპელაციო საჩივარი, ამიტომაც, საკასაციო სასამართლო ვეღარ იმსჯელებდა აღნიშნულ საკითხზე, რომელიც სადავოდ კასატორს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს არ გაუხდია.

14. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელმაც მიიღო ლიკვიდირებული საწარმოს ქონება და აიღო ვალდებულება დაეფარა მოსარჩელეთა დავალიანება, მასზე გადაცემული ქონების ფარგლებში წარმოადგენს საწარმოს სამართალმემკვიდრეს და საწარმოო ტრავმის საკომპენსაციო ანაზღაურების გაცემისთვის პასუხისმგებელ პირს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ივლისის
ბს-111-109(2კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2004 წლის 28 სექტემბერს ა. ს-მა და სხვ. სარჩელი აღძრეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში აჭარის ა/რ ფინანსთა და

ეკონომიკის სამინისტროსა და ქ. ბათუმის სოციალური დახმარების განყოფილების მიმართ.

მოსარჩელეების განმარტებით, ისინი წლების განმავლობაში მუშაობდნენ ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში სხვადასხვა სპეციალობით. ქარხანაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რის გამოც ისინი წლების განმავლობაში ღებულობდნენ ყოველთვიურ სარჩოს.

1999 წლის 7 ივლისიდან დაიწყო ქარხნის ლიკვიდაციის პროცესი, რომელიც დამთავრდა 2002 წლის 30 აპრილს.

მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ მათ აუნაზღაურდათ 2001 წლის 1 იანვრამდე სარჩოს გაუცემლობით დაგროვილი დავალიანება, ხოლო შემდგომ, ქ. ბათუმის მერიამ (რომელსაც სარეალიზაციოდ გადაეცა ქარხნის ქონების ნაწილი და ჯართი), ქონების რეალიზაციით შემოსული თანხებიდან მოსარჩელეებს, 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე, სარჩოს სახით დაგროვილი დავალიანების ... ლარის ნაცვლად მხოლოდ . . . ლარი აუნაზღაურა. მოსარჩელეების განმარტებით, აჭარის ა/რ – ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2004 წლის 9 სექტემბრის წერილის საფუძველზე, 2004 წლის 1 იანვრიდან სოციალური განყოფილების მიერ შეწყდა მოსარჩელეებზე ყოველთვიური სარჩოს თანხების გაცემა, იმ მოტივით, რომ დასახიჩრებულ პირებზე გაცემული თანხები ზიანის სრულ კომპენსაციად ჩაითვალა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეებმა მოპასუხეებისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიღებული დაზიანების გამო, როგორც გასული, ასევე, შემდგომი პერიოდისათვის, ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურების დაკისრება მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინებით, საქმეში მოპასუხეებად მიჩნეულ იქნენ ქ. ბათუმის მერია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განესაზღვრა მესამე პირის სტატუსი.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ა. ს-ის და სხვ. სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრათ ყოველთვიურად სარჩოს სახით სხვადასხვა ოდენობით კონკრეტული თანხების ანაზღაურება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

3. საქმის ხელახალი განხილვის პროცესში შეიცვალა მოსარჩელეების – ფიზიკური პირების წრე, გარდაცვლილთა ნაცვლად საქმეში ჩაებნენ მათი უფლებამონაცვლეები, ამავე საქმესთან გაერთიანდა სხვა ფიზიკური პირის ანალოგიური სარჩელი და საბოლოოდ, მოცემულ საქმეში სათანადო მოპასუხეებად მიჩნეულ იქნენ ქ. ბათუმის მერია და სსიპ მომსახურების სააგენტო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ქ. ბათუმის მერიას მოსარჩელეებისა და მათი უფლებამონაცვლეების სასარგებლოდ დაეკისრა 2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე და 2004 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრის პერიოდისათვის, შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის სახით, ყოველთვიური სარჩოს აანაზღაურებლად, სხვადასხვა ოდენობის თანხების გადახდა, ხოლო იგივე მოვალეობა, 2007 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდისათვის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაეკისრა. მოსარჩელეებს უარი ეთქვათ 2001 წლის 1 იანვრიდან 2001 წლის 28 სექტემბრამდე თანხების ანაზღაურებაზე ხანდაზმულობის, ხოლო 2002-2003 წლების და 2007 წლის 1 მარტის შემდგომ პერიოდისათვის, ყოველთვიური სარჩოს ანაზღაურებაზე, უსაფუძვლობის გამო.

4. გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, რომლებმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ჩადაწყვეტილება, დაკისრებული თანხების ანაზღაურების ნაწილში, სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და ქ. ბათუმის მერიამაც, რომლებმაც

გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეები წლების განმავლობაში მუშაობდნენ ქ. ბათუმის მანქანათმშენებლ ქარხანაში სხვადასხვა სპეციალობით. ქარხანაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მათ ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რის გამოც ისინი წლების განმავლობაში ღებულობდნენ ყოველთვიურ სარჩოს. აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა ლიკვიდაციის რეჟიმზე იქნა გადაყვანილი. ქ. ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანასა და საყოფაცხოვრებო მანქანათმშენებლ ქარხანაში სანარმო ტრავმებითა და პროფესიულ დაავადებების – შედეგად დაზარალებულ პირთათვის საკომპენსაციო თანხის გაცემის მიზნით,აჭარის ა/რ ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველთვიურად – . . . ლარი გამოიყო.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცა ქ. ბათუმის მერიას, რომელსაც ჯართის რეალიზაციით მიღებული თანხით ტრავმირებული მუშაკების დავალიანების დაფარვა დაევალა. ქ. ბათუმის მერიამ მიიღო ნარჩენი ქონება და მოახდინა მისი რეალიზაცია. ტრავმირებულ მუშაკებს და მათ შორის მოსარჩელეებს, აუნაზღაურა 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება – . . . ლარი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, რადგან საწარმოო ტრავმის შედეგად დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა თავისი ბუნებით წარმოადგენდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას, რომლის ხანდაზმულობის ვადა 3 წლით განისაზღვრებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის [1]№ 48 ბრძანებულებით დამტკიცებულ „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის" (შემდგომში, „წესი"

– ჯ.რ.) მე-2 თავის მე-11 პუნქტზე, რომლის თანახმად, „დაზარალებულს ზიანი აუნაზღაურდებოდა ყოველთვიური სარჩოს გადახდით იმ ვადით, რა ვადითაც დადგენილი ჰქონდა შრომის უნარის ხარისხის დაკარგვა, მიუხედავად იმისა, მინიჭებული ჰქონდა თუ არა ინვალიდობის ჯგუფი. ზიანი ანაზღაურდებოდა იმავე ან იმავე თანრიგის ნებისმიერი სპეციალობის მუშაკის ბოლო 3 თვის სრულად ნამუშევარი ფაქტობრივად მიღებული საშუალო ხელფასიდან იმ ოდენობით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული ჰქონდა შრომის უნარის ხარისხი. თუ ორგანიზაციაში აღარ არსებობდა აღნიშნული ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო ორგანიზაციაში არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ათმაგი ოდენობიდან განესაზღვრებოდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დაკარგული შრომის უნარის ხარისხში იგულისხმებოდა როგორც პროფესიული, ისე საერთო შრომის უნარის ხარისხის დაკარგული ოდენობა. ყოველთვიური სარჩოს ოდენობის გაანგარიშება ხდებოდა შრომის უნარის ხარისხის დაკარგული ნაწილის იმ ოდენობიდან (პროფესიული ან საერთო), რომელიც უფრო მეტი ჰქონდა დაზარალებულს დაკარგული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ვინაიდან, 1999-2002 წლებში ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა სალიკვიდაციო რეჟიმზე იმყოფებოდა და იქ შესაბამისი თანრიგისა და სპეციალობის მუშაკები არ იმყოფებოდნენ, სასამართლომ იხელმძღვანელა ანალოგიით და გაანგარიშება საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივლისის № 51 ბრძანებულებით დადგენილი მინიმალური ხელფასის . . . ლარის ოდენობიდან მოახდინა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს პრეზიდენტის № 48 ბრძანებულება ანაზღაურების ოდენობის თაობაზე უცვლელად მოქმედებდა 2003 წლის 11 სექტემბრამდე, 2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე მოსარჩელეების ყოველთვიური სარჩო განისაზღვრა მინიმალური ხელფასის ათმაგი ოდენობით – იმ პროცენტული ოდენობის ფულადი თანხით, რამდენი პროცენტითაც დაკარგული ჰქონდათ შრომის უნარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის“ მე-2 თავის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე, რომელიც 2003 წლის 11 სექტემბრის ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „თუ ორგა-

ნიზაციაში აღარ არსებობდა დაზარალებულის ან იმავე თანრიგის პროფესიები და თანამდებობები, დაზარალებულს სარჩო განესაზღვრებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასის სამმაგი, ხოლო იმ ორგანიზაციებში, სადაც ხორციელდებოდა ან განხორციელდა მის ბალანსზე არსებული ქონების 10 %-ზე მეტი ინვესტიცია, არსებული შრომის ანაზღაურების მინიმალური დონის ორმაგი ოდენობიდან". აღნიშნული წესი მოქმედებდა 2007 წლის 1 მარტამდე. დასახელებული ნორმის თანახმად, იმ საწარმოში, სადაც აღარ არსებობდა დაზარალებულის თანრიგის პროფესია, სარჩო მინიმალური ხელფასის . . . ლარის სამმაგი ოდენობიდან უნდა განსაზღვრულიყო. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2003 წლის 11 სექტემბერს მანქანათმშენებელი ქარხნის ლიკვიდაცია დასრულებული იყო, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება სარჩოს დასახელებული ფორმულის მიხედვით უნდა განხორციელებულიყო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის № 48 ბრძანებულებაში, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული გაანგარიშების საფუძველზე სარჩოს გაცემა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახლმწიფო ფონდს დაევალა. სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2007 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებით შეიქმნა სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების შემსწავლელი კომისია, რომელმაც დეტალურად შეამოწმა პირადი საქმეები და გადაწყვიტა ვის ერგებოდა სარჩოს ანაზღაურება, თანხის რაოდენობა კი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განისაზღვრა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ 2007 წლის1 მარტიდან შეწყვიტა სარჩოს გაცემა, ამიტომაც, მოსარჩელეებს 2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე და 2004-2005 წლების პერიოდის სარჩო უნდა ანაზღაურებოდათ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესი" შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2007 წლის № 53 დადგენილებით, რომელმაც ზიანის ანაზღაურების წესი და პირობები მნიშვნელოვნად შეცვალა. 2007 წლის 1 მარტიდან არ შეიძლება დაწესებულიყო ახალი გასაცემლები № 48 ბრძანებულე-

ბით დამტკიცებული „წესის" იმ დებულების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა უზრუნველეყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 42[1] პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ საქართველოს სოცდაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში. ამ ნორმის თანახმად, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ, სარჩოს გასაცემი თანხა აღარ შეიძლებოდა დაწესებულიყო, თუ არ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მიღებულ იქნა საწარმოო ტრავმა. 2007 წლის 1 მარტამდე დავალიანების დაფარვა კი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის გარკვეული ოდენობის ქონება ქ. ბათუმის მერიას გადაეცა, რათა ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხით მოსარჩელეთა დავალიანება დაეფარა. ქ. ბათუმის მერიის მიერ ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ქონების ჯართის სახით რეალიზება განხორციელდა, მიწის ნაკვეთები მის სახელზე აღირიცხა, ხოლო მოსარჩელეებს მხოლოდ 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება სულ – . . . ლარი აუნაზღაურდათ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ქ. ბათუმის მერიამ მიიღო მანქანათმშენებელი ქარხნის ქონება და აიღო ვალდებულება, დაეფარა მოსარჩელეთა დავალიანება, შესაბამისად, ის მასზე გადაცემული მანქანათმშენებლი ქარხნის ქონების ფარგლებში, ლიკვიდირებული ქარხნის სამართალმემკვიდრე გახდა, რაც ქ. ბათუმის მერიის ქმედებითაც აღიარებული იყო. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზე იყო ქ. ბათუმის მერიის მიერ მანქანათმშენებელი ქარხნისაგან ქონების სახით დიდი ფასეულობის აქტივებისა და პასივების მიღება ვალების სახით, ანუ აქტივების ფარგლებში მას ევალებოდა პასივების დაფარვა, შესაბამისად, ქ. ბათუმის მერი-

ის ვალდებულებაც ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების გაცემით დამთავრდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ ქ. ბათუმის მერიის ვალდებულება და მანქანათმშენებელი ქარხნის უფლებამოსილება დასრულდა 2006 წლის 1 იანვარს, როდესაც სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ აიღო ვალდებულება და მოსარჩელეებს ყოველთვიური სარჩოს თანხები აუნაზღაურა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩოს 2007 წლის 1 მარტის შემდგომი პერიოდის ანაზღაურების საფუძველი არ არსებობდა, რადგან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ სარჩოს გასაცემი თანხა არ შეიძლება დაწესებულიყო, თუ აღარ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მოსარჩელეებმა მიიღეს საწარმოო ტრავმა, ხოლო 2007 წლის 1 მარტამდე დავალიანების დაფარვა სწორად ჰქონდა დავალებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

.

6. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა ქ. ბათუმის მერიამ, რომელმაც მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

კასატორის – ქ. ბათუმის მერიის განმარტებით, იგი სადავოდ არ ხდიდა მოსარჩელეებზე გასაცემი თანხების რაოდენობასა და არსებულ გაანგარიშებას, მაგრამ არ ეთანხმებოდა აღნიშნული თანხის ქ. ბათუმის მერიისათვის დაკისრებას, ვინაიდან, მისი განმარტებით, ის არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა.

კასატორის განმარტებით, განჩინებაში არ იყო მითითებული თუ რა საფუძვლით ჩაითვალა ქ. ბათუმის მერია სამართალმემკვიდრედ, როდესაც არსებული ნორმატიული აქტით პირდაპირ განისაზღვრა ორგანო, რომელსაც მსგავსი დავალიანებების დაფარვა დაევალა. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის 53 დადგენილებით დამტიცებული „შრომითი მოვალეობის შერულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის" მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სსიპ სოციალური მომსახ-

ურების სააგენტოს დაევალა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის [1]48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 42[1] პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში.

კასატორის – ქ. ბათუმის მერიის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს დაეყრდნო აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, რომლის თანახმად, ქ. ბათუმის მერიას ვარგისი ძირითადი საშუალებების რეალიზაცია და შემოსული სახსრებით მანქანათმშენებელი ქარხნის დავალიანების დაფარვა დაევალა, თუმცა საქართველოს მთავრობამ გამოსცა ნორმატიული აქტი, რომლითაც პირდაპირ განსაზღვრა, რომ აღნიშნული დავალიანებების გაანგარიშება, ანაზღაურება და გაცემა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უნდა მოეხდინა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საკასაციო წესით ასევე გაასაჩივრეს მოსარჩელეებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

7. საკასაციო სასამართლოს გაჩინებით საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო და სააპელაციო სასამართლოს დასკვნები იმის თაობაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნა 2001 წლის 28 სექტემბრამდე სარჩოს ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იმ მოთხოვნისა, რომელიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. საწარმოო ტრავმის შედეგად დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ ყოველთვიური სარჩოს გადახდა პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას წარმოადგენდა, ამიტომაც, მასზე ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა ვრცელდებოდა.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით 2004 წლის 28 სექტემბერს მიმართეს, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა 2001 წლის 28 სექტემბრამდე სარჩოს ანაზღაურების ნაწილში ხანდაზმულს წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის № 48 ბრძანებულებამ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 ნოემბრის №923 ბრძანებულებით განიცადა ცვლილება იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაკეთებული გაანგარიშების საფუძველზე, სარჩოს გაცემა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახლმწიფო ფონდს დაევალა. სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს 2007 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებით შეიქმნა სარჩოს მიმღებთა პირადი საქმეების შემსწავლელი კომისია, რომელმაც დეტალურად შეამოწმა პირადი საქმეები და გადაწყვიტა, ვის ერგებოდა სარჩოს ანაზღაურება, თანხის რაოდენობა კი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განისაზღვრა. საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სოციალური სუბსიდიების სააგენტომ 2007 წლის 1 მარტიდან შეწყვიტა სარჩოს გაცემა, შესაბამისად, მოსარჩელეებს 2001 წლის 28 სექტემბრიდან 2002 წლის 1 იანვრამდე და 2004-2005 წლების პერიოდის სარჩო უნდა ანაზღაურებოდათ. მოსარჩელეთა მოთხოვნა, 2007 წლის 1 მარტის შემდგომი პერიოდის სარჩოს ანაზღაურების ნაწილში, უსაფუძვლო იყო, რადგან საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის დადგენილებით, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ სარჩოს გასაცემი თანხა არ შეიძლება დაწესებულიყო თუ აღარ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მოსარჩელეებმა მიიღეს საწარმოო ტრავმა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ზიანის გამო სარჩოს ანაზღაურების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დადგენილი „წესი" შეიცვალა საქართველოს მთავრობის 2007 წლის № 53 დადგენილებით, რომელმაც ზიანის ანაზღაურების წესი და პირობები მნიშვნელოვნად შეცვალა.

2007 წლის 1 მარტიდან არ შეიძლება დაწესებულიყო ახალი გასაცემლები „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების

წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების იმ დებულების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა უზრუნველეყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 42[1] პუნქტის საფუძველზე 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ საქართველოს სოცდაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში.

ამ ნორმის თანახმად, 2007 წლის 1 მარტის შემდეგ სარჩოს გასაცემი თანხა აღარ შეიძლებოდა დაწესებულიყო, თუ არ არსებობდა ის საწარმო და მისი უფლებამონაცვლე, სადაც მიღებულ იქნა საწარმოო ტრავმა. 2007 წლის 1 მარტამდე დავალიანების დაფარვა კი სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" დაევალა. საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს და არც მხარეები ხდიან სადავოდ იმ გარემოებას, რომ ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ქონება ქ. ბათუმის მერიას გადაეცა, რათა მას ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხით მოსარჩელეთა დავალიანება დაეფარა.

ქ. ბათუმის მერიის მიერ განხორციელდა ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის ქონების ჯართის სახით რეალიზება, მიწის ნაკვეთები მის სახელზე აღირიცხა, ხოლო მოსარჩელეებს მხოლოდ 2001 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 მაისამდე პერიოდის დავალიანება, სულ . . . ლარი აუნაზღაურდათ.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის – ქ. ბათუმის მერიის მოსაზრება, რომ ქ. ბათუმის მერია არასათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა. საქმის მასალებით დადგინდა, რომ ქ. ბათუმის მერიამ მიიღო მანქანათმშენებელი ქარხნის ქონება და აიღო ვალდებულება, დაეფარა მოსარჩელეთა დავალიანება, შესაბამისად, ის მასზე გადაცემული მანქანათმშენებელი ქარხნის ქონების ფარგლებში გახდა ლიკვიდირებული ქარხნის სამართალმემკვიდრე. ეს გარემოება ქ. ბათუმის მერიის ქმედებითაც იყო აღიარებული,

რადგან მან მოსარჩელეებს აუნაზღაურა 2001 წლის 1 იანვრიდა 2002 წლის 1 – მაისამდე პერიოდის დავალიანება . . . ლარის ოდე ნობით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერიას მანქანათმშენებელი ქარხნისაგან ქონების სახით მიღებული აქ ტივების ფარგლებში ევალებოდა პასივების – ვალების დაფარვა, ამიტომაც, ქ. ბათუმის მერიის ვალდებულებაც ამ ქონების რე ალიზაციით მიღებული თანხების გაცემით დამთავრდებოდა.

15. მარჩენალის გარდაცვალების გამო დანიშნული სარჩოს გადაანგარიშებაზე უკანონო უარის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის № ბს-991-955(კ-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2006 წლის 26 აპრილს ნ. ხ-ემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართ.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ნ. ხ-ის აწ გარდაცვლილი მეუღლე – მ. ხ. 2000 წლის 14 სექტემბრიდან 2002 წლის 2 აპრილამდე მუშაობდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ და იგი 2002 წლის 2 აპრილს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დაიღუპა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ (შემდგომში, „წესი“ – ჯ.რ.) შესაბამისად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებით გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს: მეუღლეს – ნ. ხ-ეს და შვილებს

– ე. და თ. ხ-ეებს დაუდგინდათ ყოველთვიური სარჩო მ. ხ-ის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის (თითოეულს . . . ლარის), სულ – . . . ლარის ოდენობით.

მოსარჩელის განმარტებით, 2004 წლის 1 მაისიდან სამინისტროში გაიზარდა მუშაკთა შრომის ანაზღაურება. გარდაცვლილ მ. ხ-ის თანამდებობრივი სარგო, რომელიც მისი გარდაცვალების მომენტში შეადგენდა . . . ლარს, გახდა . . . ლარი, ხოლო 2005 წლის იანვრიდან – . . . ლარი.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლის თანახმად, თუ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურება ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა, ასეთ შემთხვევაში ამ „წესის" შესაბამისად ხელახლა გადანაწილდებოდა სარჩო მისი მიღების უფლების მქონე პირებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გარდაცვლილი მ. ხ-ის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 1 იანვრამდე სარჩო უნდა მიეღოთ . . . ლარის 3/4-ის, ხოლო 2005 წლის 1 იანვრიდან 7 ნოემბრის ჩათვლით – . . . ლარის 3/4-ის ანგარიშით, ვინაიდან 2005 წლის 7 ნოემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლით დადგენილი ზემოდასახელებული დანაწესი ამოღებულ იქნა, თუმცა საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აღნიშნული არ გამორიცხავდა სამინისტროს ვალდებულებას 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდში, შესაბამისი სახელფასო ცვლილებების გათვალისწინებით, აენაზღაურებინა მისთვის მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული ზიანის თანხა, რაც . . . ლარს შეადგენდა.

მოსარჩელის განმარტებით, მან თანხის გადაანგარიშების მოთხოვნით განცხადებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რაზეც უარი ეთქვა, ხოლო 2005 წლის იანვრიდან სარჩოს ოდენობა შეუმცირდა . . . ლარამდე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ, ნ. ხ-ემ დაზუსტებული სასარჩელო განცხადებებით მოითხოვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასანაზღაურებლად დაკისრებოდა მარჩენალის გარდაცვალების გამო ზიანის სახით დანიშნული სარჩოს . . . ლარის – 2004 წლის

1 მაისიდან 2006 წლის სექტემბრის პერიოდისათვის . . .ოდენობით ანაზღაურება, სარჩოს მიღებაზე უფლებამოსილ პირთა: ნ. ხ-ის, ე. და თ. ხ-ეების სასარგებლოდ, ასევე, მოპასუხის დავალდებულება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებული ახალი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად ხელახლა გადაენგარიშებინათ მარჩენლის გარდაცვალებისას გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს თანხის ოდენობა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ნ. ხ-ისა და ე. და თ. ხ-ეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაევალა მოსარჩელეების სასარგებლოდ 2004 წლის 1 მაისიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე შრომის ანაზღაურების ოდენობის შეცვლის გამო, მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩოს გადაანგარიშება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2006 წლის 26 სექტემბრის წერილით დადგენილი იყო, რომ იმ თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რაც ეკუთვნოდა გარდაცვალებამდე მ. ხ-ეს, 2004 წლის მაისიდან და 2005 წლის იანვრიდან ორჯერ გაიზარდა. მინისტრის მოადგილის 2006 წლის 16 მარტის წერილით დასტურდებოდა, რომ ნ. ხ-ეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურების თაობაზე განცხადებების დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სახეზე იყო მოსარჩელეთა უფლება სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნის თაობაზე 2005 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდის ჩათვლით და იგი უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლში ცვლილებების შეტანით და ძველ პერიოდზე, მოთხოვნის წარმოშობიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე, ახალი კანონის ამოქმედებით, მას მიენიჭა უკუქცევითი ძალა. 2005 წლის 7 ნოემბრის ცვლილებამდე საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლის თანახმად, მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩო

გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა თუ მისი გარდაცვალების შემდეგ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა. იმავე მუხლის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული წესის შესაბამისად, ხელახლა გადანაწილდებოდა სარჩო მისი მიღების უფლების მქონე პირებზე. მოცემული ნორმის არსებობა 2005 წლის 7 ნოემბრამდე ცხადყოფდა მოპასუხის ვალდებულებას – გადაეანგარიშებინა დანიშნული სარჩო, რადგან საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ" არეგულირებდა ნორმატიული აქტების მოქმედების ზოგად წესებს. დასახელებული კანონის 47-ე მუხლის შესაბამისად კი ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენდა ან ამძიმებდა პასუხისმგებლობას, უკუძალა არ ჰქონდა, მას უკუძალა ენიჭებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ იყო დადგენილი ამ ნორმატიული აქტით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლში 2005 წლის 7 ნოემბერს შევიდა ცვლილება და ამოღებულ იქნა დასახელებული ნორმით გათვალისწინებული, შრომის ანაზღაურების შეცვლისას სარჩოს გადაანგარიშების შესაძლებლობა, რის გამოც საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა უფლების რეალიზება მხოლოდ მოცემულ პერიოდამდე იყო შესაძლებელი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს, აგრეთვე, ნ. ხ-ემ და ე. და თ. ხ-ეებმაც, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსსააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ნ. ხ-ისა და ე. და თ. ხ-ეების საა-

პელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით – . . . ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად შეაფასა სარჩელის სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყო საკმარისად დასაბუთებული. საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ამიტომ, არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები.

სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მაგრამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი დაზუსტებული სარჩელის მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მარჩენლის გარდაცვალების გამო მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ყოველთვიური სარჩოს სახით 2004 წლის 1 მაისიდან 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდის გადასახდელი თანხის – . . . ლარის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის დაკისრება და სამინისტროსთვის, ახალი თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად, ნ. ხ-ისა და ე. და თ. ხ-ეებისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს თანხის გადაანგარიშების დავალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ იყო დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით კი პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა მისთვის ეს ზიანი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, მაგრამ მან ვერ მიიღო გადაანგარიშების შედეგად გაზრდილი სარჩო, თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, ზიანი უნდა ანაზღაურებულიყო მიუღებელი შემოსავლისთვისაც.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის ბრძანებით, მ. ხ-ის ოჯახის წევრებს დაუდგინდათ ყოველთვიური სარჩო მ. ხ-ის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით სამინისტროს მიმართა 2004 წლის 5 ნოემბერს და 2005 წლის 8 ივლისს, რაზეც უარი ეთქვა. საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლის თანახმად, მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა. აღნიშნული ნორმა მოქმედებდა 2005 წლის 7 ნოემბრამდე, ანუ მოსარჩელეთა მიერ დასახელებული სამინისტროსადმი სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით ორჯერ მიმართვის პერიოდში. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ არ შეასრულა კანონით დადგენილი ვალდებულება, ანუ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეთათვის სარჩოს დანიშვნიდან 2005 წლის 7 ნოემბრამდე, მ. ხ-ის გარდაცვალებამდე, დაკავებულ თანამდებობაზე შრომის ანაზღაურება გაიზარდა ორჯერ, კერძოდ, 2004 წლის 1 მაისიდან და 2005 წლის 1 იანვრიდან. ამიტომ, მოპასუხის მართლზომიერი მოქმედების შემთხვევაში 2004 წლის ნოემბრიდან (გადაანგარიშებისათვის პირველი მიმართვის თარიღი) 2006 წლამდე პერიოდში, გადაანგარიშებისათვის მეორედ მიმართვის გათვალიწინებით, იგი მიიღებდა . . . ლარს. მისაღები სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას

სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა გადაანგარიშების გარეშე მოსარჩელეთა მიერ მიღებული სარჩოს ოდენობა . . . ლარი და დაასკვნა, რომ ფაქტობრივად, მიუღებელი შემოსავლის ოდენობა შეადგენდა . . . ლარს, რაც მოსარჩელეთა სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა მოპასუხეს. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან მოსარჩელეები ითხოვდნენ ზიანის ანაზღაურებას 2006 წლის სექტემბრამდე მიუღებელი შემოსავლის ოდენობით, ხოლო მიუღებელი შემოსავლის თანხა შეადგენდა . . . ლარს, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო შეზღუდული იყო მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება მოპასუხისათვის მხოლოდ 2005 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის დაკისრების შესახებ და განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვის დროს მოქმედი, საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა თანამდებობრივი სარგოს ცვლილების შემთხვევაში სარჩოს გადაანგარიშების შესახებ ვალდებულება, მოსარჩელეთა მიმართვის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მართლზომიერი მოქმედების – თანხის გადაანგარიშების შემთხვევაში, მოსარჩელეებს 2005 წლის 7 ნოემბრიდანაც გაუგრძელდებოდათ იმ დროისათვის უკვე გადაანგარიშებული თანხის ანაზღაურება დანიშნული სარჩოს სახით.

სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია მოსარჩელის მოსაზრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცის სამინისტროსათვის ახალი თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად სარჩოს თანხის ოდენობის ხელახალი გადაანგარიშების დავალდებულების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლი,რომელიც თანამდებობრივი სარგოს ცვლილების შესაბამისად სარჩოს გადაანგარიშების ვალდებულებას ადგენდა, 2005 წლიდან ამოღებულ იქნა. ამიტომ, სარჩელის განხილვის დროისათვის აღარ არსებობდა ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენდა თანხის გადაანგარიშების თაობაზე მოპასუხის ვალდებულებას. საქართველოს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არ ჰქონდა, კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა რაიმე ქმედება. უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას არ ჰქონდა იურიდიული ძალა და იგი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. ამიტომ, სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხისათვის სარჩოს გადაანგარიშების დავალდებულების თაობაზე.

5. გადაწყვეტილება მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიღებული შემოსავლის სახით . . . ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა მის საფუძვლად, არსებითად, სარჩელის შესაგებელში დასახელებული გარემოებები მიუთითა.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2000 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით მ. ხ. დაინიშნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ აქტით დასტურდებოდა, რომ ხელმძღვანელობის დავალებით მ. ხ. უნდა გამგზავრებულიყო ქვემო ქართლის რეგიონის ოფისში საჭირო ინფორმაციის ჩამოსატანად, ხოლო, ვინაიდან დავალება სასწრაფოდ უნდა შესრულებულიყო, მ. ხ-ეს დაევალა საკუთარი ავტომანქანის გამოყენება. ქ. რუსთავში მომხდარი ავტოავარიის შედეგად იგი დაიღუპა. ეს გარემოება დადგენილი იყო ავტოკატასტროფის შედეგად მომხდარი უბედური შემთხვევის შემსწავლელი კომისიის სპეციალური გამოკვლევის აქტით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაც-

ვის მინისტრის 2002 წლის 4 ოქტომბრის № 273/ო ბრძანებით ასევე დასტურდებოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესისა“ და სამინისტროს შრომის ინსპექციის მიერ მომზადებული მ. ხ-ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკული დაღუპვის შესახებ სპეციალური გამოკვლევის აქტის შესაბამისად, მ. ხ-ის კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს – მეუღლეს ნ. ხ-ეს და შვილებს – ე. და თ. ხ-ეებს დაენიშნათ ყოველთვიური სარჩო, გარდაცვლილ მ. ხ-ძის თანამდებობრივი სარგოს 3/4-ის ოდენობით (თითოეულს – ... ლარი). სარჩოს გადახდის უზრუნველყოფა დაევალა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის 2006 წლის 26 სექტემბრის მიწერილობით დასტურდებოდა, რომ იმ თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რაც ეკავა გარდაცვალებამდე მ. ხ-ეს, გაიზარდა ორჯერ, 2004 წლის მაისიდან და 2005 წლის იანვრიდან. მინისტრის მოადგილის 2006 წლის 16 მარტის მიწერილობით კი დგინდებოდა, რომ ნ. ხ-ეს უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურების გადაანგარიშების შესახებ 2004 წლის 5 ნოემბრისა და 2005 წლის 8 ივლისის განცხადებების დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა მხოლოდ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით – . . . ლარის ანაზღაურების დაკისრება, ვინაიდან სამინისტრო მხოლოდ ამ ნაწილში ასაჩივრებდა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი საბოლოო, დაზუსტებული სახით სარჩელი ორი, კერძოდ, მარჩენლის გარდაცვალების გამო მიყენებული ზიანის, ყოველთვიური სარჩოს სახით 2004 წლის 1 მაისიდან 2006 წლის სექტემბრის ჩათვლით გადასახდელი თანხის – . . . ლარის მოპასუხისათვის დაკისრებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინიტროსთვის ნ. ხ-ის, ე. და თ. ხ-ეებისათვის მარჩენლის გარდაცვალების გამო გადასახდელი ყოველთვიური სარჩოს თანხის ოდენობის გადაანგარიშების დავალდებულების, სასარჩელო მოთხოვნისაგან შედგებოდა. მოსარჩელეთა ერთ-ერთ მოთხოვნას სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მოქ-

მედებით (სარჩოს გადაუანგარიშებლობა) მიყენებული ზიანის არსებობის აღიარება წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში დასახელებული მოთხოვნა თავისი იურიდიული ბუნებით აღიარებითი სარჩელი იყო. მოსარჩელეებს მიკუთვნებით სარჩელთან ერთად აღძრული ჰქონდათ აღიარებითი სარჩელიც, რომელზეც არ ვრცელდებოდა სასარჩელო ხანდაზმულობის ერთთვიანი ვადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის მოსაზრება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის" 38-ე მუხლის შესაბამისად, მარჩენალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დანიშნული სარჩო გადაანგარიშებას ექვემდებარებოდა, თუ მარჩენლის გარდაცვალების შემდეგ ორგანიზაციაში შრომის ანაზღაურების ან მისი მინიმალური დონე შეიცვლებოდა. აღნიშნული ნორმა მოქმედებდა 2005 წლის 7 ნოემბრამდე.საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ნ. ხ-მა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სარჩოს გადაანგარიშების მოთხოვნით მიმართა 2004 წლის 5 ნოემბერს და 2005 წლის 8 ივლისს, ანუ ზემოდასახელებული ნორმის მოქმედების პერიოდში. შესაბამისად, მოსარჩელემ თავისი უფლების რეალიზაცია მოახდინა დროულად, 2005 წლის 7 ნოემბრამდე, – თუმცა მოპასუხემ 2006 წლის 16 მარტის წერილით მას უარი უთხრა სარჩოს გადაანგარიშებაზე. ამიტომ, საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მოპასუხის მიერ კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას, ანუ მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ამიტომ, საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მოცემულ საქმეზე გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან

გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ – მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებითდადასტურებული იყო, რომ მოსარჩელეს ადმინისტრაციული ორგანოს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიადგა მატერიალური ზიანი, კერძოდ, ვერ მიიღო მისი კუთვნილი, გადაანგარიშების შედეგად გაზრდილი სარჩო. საკასაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა სააპელაცო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილ მიუღებელი სარჩოს ოდენობის გადაანგარიშებას და მართებულად მიიჩნია მოპასუხისათვის . . . ლარის დაკისრება.

საკასაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის № 48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესიდან“ 38-ე მუხლის ამოღებით, მართალია, ფაქტობრივად გაუქმდა თანამდებობრივი სარგოს ცვლილების შემთხვევაში სარჩოს გადაანგარიშების ვალდებულება, მაგრამ იგი არ იწვევდა უკვე გადაანგარიშებული თანხის ცვლილებას. ამიტომ, მოსარჩელეთა მიმართვის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მართლზომიერი მოქმედების – თანხის გადაანგარიშების შემთხვევაში, მოსარჩელეებს 2005 წლის 7 ნოემბრიდანაც გაუგრძელდებოდათ უკვე დანიშნული სარჩოს სახით გადაანგარიშებული თანხის ანაზღაურება. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეები მიუღებელი შემოსავლის ოდენობით ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ 2006 წლის სექტემბრამდე, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო ვერ გასცდებოდა მოსარჩელეთა მოთხოვნის ფარგლებს.

16. საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ სარჩოს გადახდის აღსრულებაზე უარის და დაფინანსების წყაროს საკითხის გარკვევამდე, აღსრულების შეჩერების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის
№ბს-1521-1452 (კს-09) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, გორის რაიონის გამგეობის სოციალური დახმარების განყოფილებას დაევალა რ. გ-ისათვის საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, 2002 წლის 30 აგვისტოდან, ყოველთვიურად . . . ლარის გადახდა. გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით დაკმაყოფილდა შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს განცხადება და მოვალის – გორის რაიონის გამგეობის სოციალური დახმარების განყოფილების უფლებამონაცვლის დადგენამდე, შეჩერდა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების აღსრულება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით, გორის რაიონის გამგეობის სოციალური დახმარების განყოფილების უფლებამონაცვლედ დადგენილი იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის ცენტრი. საოქმო განჩინების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

სოციალური მომსახურების სააგენტომ 2009 წლის 10 სექტემბერს განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მიუთითა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროდან მიიღო შრომითი მოვალეობის შესრულებისას ზიანის ანაზღაურების შესახებ რ. გ-ის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების

აღსრულების შესახებ წინადადება. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის“ (შემდგომში, “წესი” — ჯ.რ.) 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის და მე-3 მუხლის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტიდან შეწყდა სარჩოს გაცემის ვალდებულება ლიკვიდირებულ სახელმწიფო საწარმოებში ტრავმირებული იმ პირების მიმართ, ვისი მოთხოვნებიც ყოფილი სოცდაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული იყო 2007 წლის 1 მარტამდე ან ამავე პერიოდისათვის დადასტურებული იყო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით.

განცხადების ავტორმა აღნიშნა, რომ სოცდაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის და შემდგომში, მისი უფლებამონაცვლის – სოციალური სუბსიდიების (დღეის მდგომარეობით სოციალური მომსახურების) სააგენტოს მიერ, იმ პირების მიმართ, ვისი მოთხოვნებიც ფონდში რეგისტრირებული იყო მითითებულ პერიოდამდე, 2007 წლის საბიუჯეტო კანონით ამ მიზნით გათვალისწინებული ასიგნებიდან სრულად იქნა დაფინანსებული ყველა ამგვარი ვალდებულება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 2008-2009 წლების საბიუჯეტო კანონებით აღარ იქნა გათვალისწინებული 2007 წლის 1 მარტის შემდგომ პერიოდში სააგენტოს მიმართ წარმოდგენილი ამგვარი მოთხოვნების დასაფინანსებლად საჭირო ასიგნებები, განმცხადებელმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნტისა და საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით მოითხოვა საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფამდე, მოცემულ საქმეზე აღსრულების შეჩერება.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადება აღსრულების შეჩერების შესახებ არ დაკმაყოფილდა. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდებოდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ვალდებ-

ულებებზე. შესაბამისად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საფუძველს მოკლებული იყო განცხადების ავტორის მიერ დასახელებულ დადგენილებაზე აპელირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 36-ე მუხლით გათვალისწინებული აღსრულების შეჩერებისა და განცხადების დაკმაყოფილების წინაპირობები.

3. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც მისი გაუქმება და საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 36-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დაგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, აღსრულების შეჩერება მოითხოვა.

კერძო საჩივრის ავტორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მითითებული დადგენილება არ ვრცელდებოდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ვალდებულებებზე და აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნა გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების თაობაზე ეფუძნებოდა დადგენილების 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტს, ხოლო დადგენილების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტით, სააგენტოს განესაზღვრა 2007 წლის 1 მარტამდე სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, ასევე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული დავალიანების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდში. კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა. რომ სახელმწიფოს მიერ ნორმატიულ დონეზე იქნა გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შეწყვეტა იმ პირთა მიმართ, რომელთაც შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიადგათ ზიანი. სააგენტოს მკაცრად განესაზღვრა ამგვარი ვალდებულების შესრულება 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე და იმ პირებისათვის ექვსი თვის ოდენობის ზიანის თანხის ანაზღაურება, რომელთაც დანიშნული ჰქონდათ სარჩო. ყველა ამ ვალდებულების შესრულება დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა სახელმწიფო ბიუჯეტით ამ დანიშნულებით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, შესაბამისად, სახელმწიფომ შეწყვეტა საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა სარჩოთი უზრუნველყოფა 2007 წლის 1 მარტის შემდგომ

პერიოდში და ამგვარი ვალდებულებების შესრულებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა აღარ ხდებოდა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ 2007 წლის 1 მარტის შემდეგ არ შეიძლებოდა ახალი გასაცემლების დაწესება.საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების იმ დებულებების საფუძველზე, რომლებიც არეგულირებდნენ უფლებამონაცვლის არარსებობის პირობებში გასაცემების დანიშვნის საფუძვლებს, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობდა თუ არა ამ საკითხზე სამართალწარმოება სასამართლოებში. ამასთანავე, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის“ 42[1] პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე აღნიშნულ პერიოდამდე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის უზრუნველყოფა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე დაევალა სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს.

საქმის მასალებით დაგენილი იყო, რომ კანონიერ ძალაში შესული თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, გორის რაიონის გამგეობის სოციალური დახმარების განყოფილებას დაევალა რ. გ-ისათვის საწარმოო ტრავმით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ყოველთვიურად . . . ლარის ოდენობით, 2002 წლის 30 აგვისტოდან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან. გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. შესაბამისად, 2007 წლის 1 მარტამდე არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ყველა პირობა. ამიტომაც, საფუძველს მოკლებული იყო განცხადებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ყველა დავალიანება სრულად იქნა დაფინანსებული ფონდის მიერ. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონი-

ერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება ვერ იქნებოდა დამოკიდებული სასამართლო გადაწყვეტილების ფონდში რეგისტრაციაზე. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „წესის“ 42[1] მუხლის თანახმად, 100%-იანი სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში, რომლებსაც უფლებამონაცვლე არა ჰყავთ, საწარმოო ტრავმით დაზარალებულ პირთა ალრიცხვის, ზიანის ანაზღაურების გაანგარიშების, გაცემის უზრუნველყოფა, სსიპ სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს ევალებოდა, რომლის უფლებამონაცვლესაც სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ წარმოადგენდა.

რ. გ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური თანხის გადახდა განისაზღვრა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით გორის რაიონის გამგეობის სოციალური დახმარების განყოფილების უფლებამონაცვლედ დადგენილად მიჩნეულ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გორის ცენტრი, რის გამოც იგი იმ უდავო მოთხოვნად უნდა ჩაითვალოს, რომლის აღსრულებასაც საქართველოს მთავრობის №53 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ მე-3 მუხლი ითვალისწინებს. ამ ნორმის იმპერატიული დანაწესით სააგენტოს დაევალა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 9 თებერვლის №48 ბრძანებულების 42[1]-ე პუნქტის საფუძველზე, 2007 წლის 1 მარტამდე სსიპ – საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან ფონდში რეგისტრირებული, აგრეთვე, აღნიშნულ პერიოდამდე, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებებით დადასტურებული უდავო მოთხოვნებით წარმოქმნილი დავალებების დაფარვა 2007 წლის 1 მარტამდე პერიოდზე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საბიუჯეტო დაფინანსების შემცირება არ წარმოადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს, „საღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 36-ე მუხლი საბიუჯეტო დაფინანსების საკითხებს არ განიხილავს აღსრულების შეჩერების პირობად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა აღსრულების შეჩერების საფუძველი და დაუსაბუთებელი იყო საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „წესის“ მე-3

მუხლის მე-4 ნაწილზე მითითებით საქართველოსკანონის „საა ღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 36-ე მუხლის პირველი პუნ ქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აღსრულების შე ჩერების მოთხოვნა.

17. მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა რაიონის განათლების განყოფილების ნაცვლად მის უფლებამონაცვლეს – საგანმანათლებლო რესურსცენტრს ეკისრება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის
10 აპრილის ბს-536-508 (კ-06) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2004 წლის 31 მაისს ვ. ჯ-მა კასპის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ქ. კასპის გამგეობის, კასპის განათლების განყოფილებისა და კასპის . . . საშუალო სკოლის მიმართ. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კასპის . . . საშუალო სკოლაში შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიიღო ტრავმა, რის შემდეგაც გახდა შრომისუუნარო. კასპის რაიონის განათლების განყოფილება ზიანის ასანაზღაურებელ ყოველთვიურ თანხას უხდიდა 1994 წლის სექტემბრამდე, ხოლო შემდეგ შეწყვიტა. მოსარჩელემ მოპასუხეებისათვის . . . ლარის ოდენობით მიუღებელი თანხის ანაზღაურების და ყოველთვიურად . . . ლარის გადახდის მოვალეობის დაკისრება მოითხოვა.

2. კასპის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ქ. კასპის გამგეობას, კასპის განათლების განყოფილებასა და კასპის ... საშუალო სკოლას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ დასახიჩრების შედეგად მიყენებული ზიანის . . . ლარის ოდენობით ერთდროულად ანაზღაურება, ხოლო 2004 წლის 1 ოქტომბრიდან ყოველთვიურად . . . ლარის გადახდა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქ.

კასპის გამგეობის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ამოირიცხა მითითება ქ. კასპის გამგეობისათვის ვ. ჯ-ის სასარგებლოდ დასახიჩრების შედეგად მიყენებული ზარალისა და ყოველთვიური სარჩოს გადახდის მოვალეობის დაკისრების შესახებ, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს დასკვნა ზიანის ანაზღაურების მოვალეობის კასპის რაიონის გამგეობისათვის დაკისრების თაობაზე. პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 8 თებერვლის №48 ბრძანებულებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობების შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის“ მე-3 პუნქტის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად მუშაკისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა ეკისრებოდა დამქირავებელს, რომელთანაც ჯანმრთელობის დაზიანების დროს მუშაკი იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში. სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ქ. კასპის გამგეობა მოსარჩელესთან შრომით ურთიერთობაში არ იმყოფებოდა და შესაბამისად, მას ვ. ჯ-ის ჯანმრთელობისათვის შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ უნდა დაკისრებოდა.

4. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს კასპის ... საჯარო სკოლამ და კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა.

ქ. კასპის . . . საჯარო სკოლამ აღნიშნა, რომ კასპის . . . საშუალო სკოლას მოსარჩელისათვის არასოდეს გადაუხდია ზიანის ასანაზღაურებლად რაიმე თანხა, შესაბამისად მისგან კასპის . . . საჯარო სკოლას მემკვიდრეობით არაფერი მიუღია. კასპის . . . საშუალო სკოლაში ვ. ჯ-ის მუშაობის დროს სკოლა განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებული რაიგანყოფილებაზე დაქვემდებარებული სასწავლო რგოლი იყო, სადაც მასწავლებელს ნიშნავდა არა სკოლის დირექტორი, არამედ განათლების განყოფილების გამგე. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი თვლიდა, რომ ვ. ჯ. იყო განათლების განყოფილების მიერ დაქირავებული მუშაკი და ტრავმის მიღების შემთხვევაში მისთვის ზარალი უნდა აენაზღაურე-

ბინა სწორედ დამქირავებელს, რომელიც 1971 წლიდან 1994 წლის სექტემბრამდე უხდიდა კიდეც მას სარჩოს. კასპის. . . საშუალო სკოლა არ იყო დამოუკიდებელი დაწესებულება, რის გამო მას არ შეეძლო და არც იყო ვალდებული ვ. ჯ-ის აენაზღაურებინა ხელფასი ან ზარალი. კასპის . . . საშუალო სკოლას არ გააჩნდა რაიმე დავალიანება მოსარჩელის მიმართ და მის სამართალმემკვიდრეს . . . საჯარო სკოლას მისგან რაიმე ვალდებულება არ გადასცემია. კასატორის განმარტებით, 2005 წლის 1 ოქტომბრიდან სკოლა გახდა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საბანკო ანგარიშზე, სკოლაში ჩარიცხულ მოსწავლეთა ოდენობის მიხედვით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი ვაუჩერების საფუძველზე, თანხა ირიცხება ცენტრალური ბიუჯეტიდან. ვაუჩერით მიღებული სახსრები თვით სკოლის მუშაკთა ხელფასებისთვისაც არ არის საკმარისი. ამასთანავე, ვაუჩერის თანხა კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას უნდა მოხმარებოდა. კასატორს მიაჩნდა, რომ უფრო მართებული იქნებოდა სადავო თანხის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დაკისრება.

კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრი საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ განათლების განყოფილების რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომლის ბიუჯეტშიც გათვალისწინებული არ იყო სადავო თანხა. 2005 წლის 1 ოქტომბრიდან სკოლები გახდნენ დამოუკიდებელი იურიდიული პირები, ფინანსდებიან ვაუჩერით, აქვთ ცალკე ბიუჯეტი და ემსახურებათ ბუღალტერი. კასატორმა დაკისრებული თანხის გადახდის მოვალეობისაგან განთავისუფლება მოითხოვა.

5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილებით რესურსცენტრის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო კასპის . . . საშუალო სკოლის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც კასპის . . . საშუალო სკოლას ვ. ჯ-ის სასარგებლოდ დასახიჩრების შედეგად მიყენებული ზარალის და ყოველთვიური სარჩოს გადახდის მოვალეობა დაეკისრა, ხოლო დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია და მხარეებიც არ დავობდნენ, რომ ტრავმის მიღების შემდეგ ვ. ჯ-ის ზიანის ანაზღაურებას 1994 წლის სექტემბრამდე კასპის რაიონის განათლების განყოფილება ახორციელებდა. საქმეში მოპასუხედ ჩაბმული კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოდგენდა განათლების განყოფილების უფლებამონაცვლეს, ხოლო მისი საფუძველი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამონაცვლეობა იყო. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 22 დეკემბრის № 233 დადგენილების „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების რეორგანიზაციისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების შექმნის შესახებ" საფუძველზე, ქ. კასპის განათლების განყოფილება რეორგანიზებულ იქნა ქ. კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრად. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ ახალ სუბიექტზე მთლიანად გადადის მისი წინამორბედის უფლება-მოვალეობები. მატერიალური სამართლის მიხედვით, რესურსცენტრის უფლებამონაცვლეობა დავას არ იწვევდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელი იქნებოდა საპროცესო უფლებამონაცვლეობაც. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებით დამტკიცებული „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის" 2.3 მუხლის თანახმად, დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულება წყდება დამსაქმებლის (მათ შორის სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, სტრუქტურული ერთეულის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის) გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში. ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2005 წლის 22 დეკემბრის № 233 დადგენილებით განხორციელდა განათლების განყოფილების არა ლიკვიდაცია, არამედ საგანმანათლებლო რესურსცენტრად რეორგანიზაცია, ამ უკანასკნელის პროცესუალური და მატერიალური უფლებამონაცვლეობა დავას არ იწვევდა. შესაბამისად, არ არსებობდა ზიანის აზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი, რესურსცენტრს უნდა დაკისრებოდა ზიანის ანაზღაურების მოვალეობის შესრულება, რომელიც მანამდე მის წინამორბედს, განათლების განყოფილებას ჰქონდა დაკისრებული.

18. სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან წამლის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების მოქმედების იმ თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში და ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად, პაციენტის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება წარმოადგენს მოპასუხეებისათვის მისი ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 26 ივლისის № ბს-434-25 (3კ-05) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. გ. ქ-ას კანონიერმა წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოპასუხეების: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის, გაეროს ბავშთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობისა და „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის“ მიმართ ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 12 წლის გ. ქ-ას გაუკეთდა B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრა. მას წინ უსწრებდა გამოკვლევა, რომლითაც დადგინდა, რომ ბავშვი აცრის მომენტისთვის იყო ჯანმრთელი. აცრა განახორციელა წალენჯიხის ბავშვთა პოლიკლინიკის უბნის პედიატრმა, ხოლო ასაცრელ მასალას წარმოადგენდა კორეული წარმოების ვაქცინა, რომელიც ჰუმანიტარული მისიით საქართველოში შემოიტანა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობამ. აცრიდან მესამე დღეს, კერძოდ, 2002 წ. 20 მარტს გ. ქ-ას განუვითარდა ტეტრაპარეზი (ზედა და ქვედა კიდურების პარალიზი) და ჩავარდა კომაში. მოსარჩელის განმარტებით, გ. ქ. ვერ ამოძრავებს ქვედა კიდურებს, მარცხენა ხელში მოძრაობა ჰქონდა 60%-იანი, ხოლო მარჯვენაში – 70%-იანი, მას არ შეეძლო დამოუკიდებელად ჯდომა, აღენიშნებოდა ძლიერი ტკივილები თავისა და ფეხების არეში. ფილტვების სასიცოცხლო მოცულობა აუცილებელი ნორმაზე სამჯერ ნაკლები

იყო. ცნობიერება და ინტელექტი არ შესცვლია.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოში „იუნისეფის“ მიერ კორეული წარმოების B-ჰეპატიტის ვაქცინის შემოტანა ისე განხორციელდა, რომ პრეპარატს არ გააჩნდა აღნიშვნა მისი გამოყენების შესაძლო გვერდითი შედეგების შესახებ, რითაც მწარმოებელმა – „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენმა“ დაარღვია საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილითა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ვაქცინის ანოტაციაზე შესაბამისი აღნიშვნების არსებობის შემთხვევაში მშობლები ბავშვის ვაქცინაციის ნებას არ დართავდნენ.

მოსარჩელე ბავშვის ჯანმრთელობის მოშლის მიზეზად მიუთითებდა, აგრეთვე, სსიპ – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გაუფრთხილებელ ქმედებებზეც, რაც, გამოიხატა საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნათა სრულ უგულებელყოფაში, კერძოდ, საქართველოში „იუნისეფის“ მიერ შემოტანილი კორეული წარმოების ვაქცინის მიმართ სტანდარტი შემუშავებული არ იყო. ასეთ შემთხვევაში დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყვნენ, უზრუნველეყოთ კანონით გათვალისწინებული სტანდარტის შემუშავება, ხოლო მანამდე კი შეეჩერებინათ პროდუქციის რეალიზაცია.

მოსარჩელის მოსაზრებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს არ უნდა დაეშვათ საქართველოში ისეთი პრეპარატის შემოტანა, რომელსაც არ გააჩნდა ინფორმაცია იმ გვერდითი მოვლენების შესახებ, რაც ვაქცინაციას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მათ უნდა განემარტათ საზოგადოებისათვის და მოსახლეობაში უნდა ჩაეტარებინათ ფართო საგანმანათლებლო აქცია ვაქცინაციის შესაძლო გართულებების შესახებ. ამასთან, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობას აუცილებლად უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული ასაცრელი მასალის გამოყენებისას წარმოქმნილი უბედური შემთხვევის საკომპენსაციო ფონდი.

მოსარჩელის განმარტებით, ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხეთა გაუფრთხილებელი მოქმედებით, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი, ამიტომაც სახეზე იყო მიზეზშედეგობრივი კავშირი მოპასუხეთა ქმედებასა (უმოქმედობასა) და დამდგარ შედეგს შორის.

მოსარჩელემ საქმის განხილვის პროცესში კორექტირებული სარჩელით, საბოლოოდ, მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხეებს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობასა და „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენს" გ. ქ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაკისრებოდათ . . . აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ფინანსთა სამინისტრო.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, გ. ქ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ა) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს გ. ქ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად ერთჯერადად დაეკისრათ . . . ლარის მინიმალური ხელფასის ოდენობის გადახდა, გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით; ბ) დასახელებულ მოპასუხეებს გ. ქ-ვას სასარგებლოდ, ასევე სოლიდარულად დაეკისრათ ყოველთვიურად 50 (ორმოცდაათი) მინიმალური ხელფასის ოდენობის გადახდა, 2054 წლის პირველ ივნისამდე, ხოლო სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ გ. ქ-ას ჰეპატიტით იმუნიზაციის მომენტისთვის მოქმედებდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანება, რომლის შესაბამისად, დამტკიცებული იყო პროფილაქტიკური აცრების მათ შორის B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე იმუნიზაციის კალენდარი. ბრძანებაში, ასევე, მოცემული იყო აცრის შემდგომი შესაძლო რეაქციები, რომელთა ჩამონათვალში არ შედიოდა ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინისათვის დამახასიათებელი უკუჩვენებები. სასამართლო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ სახეზე იყო

პოსტვაქცინალური მწვავე ენცეფალომიელიტი, რაც ადასტურებდა ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობას.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა. საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" მე-15 მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ევალება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. იგი ადგენს ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის წესებსა და ნორმებს. ამავე კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია მოსახლეობის სრული ინფორმირება სამედიცინო დახმარების ყველა არსებული ფორმისა და მისი მიღების შესაძლებლობების შესახებ. საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის „დ" პუნქტის თანახმად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციაა ფარმაცევტული საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, მეთოდური, ინსტრუქციული დოკუმენტაციისა და ანალიზის ინფორმაციის გამოცემა.

დასახელებულ ნორმატიულ საფუძველზე, სასამართლოს მოსაზრებით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრალი გამოიხატა შემდეგში: იმის გათვალისწინებით, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამოცანას წარმოადგენდა სახელმწიფო ჯანდაცვისა და სტრატეგიულ-პროფილაქტიკურ მმართველობათა განვითარება, სახელმწიფო სამედიცინო სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, ქვეყნის ტერიტორიაზე ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, სამინისტრო ვალდებული იყო მაქსიმალურად შეესწავლა, გაეანალიზებინა ის ინფორმაცია, რაც არსებობდა იმ დროისათვის B-ჰეპატიტის ვაქცინაციის პროცესებთან დაკავშირებით და მიეწოდებინა მოსახლეობისათვის, რათა მინიმუმამდე დაეყვანა მავნე შედეგი და უზრუნველეყო ბავშვის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება სავარაუდო შედეგის მიმართ. აცრის პერიოდისთვის მოქმედი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული პროფილაქტიკური აცრების კალენდარში უკუჩვენებების სრულად დაუფიქსირებლობამ მშობლებს მოუსპო ვაქცი-

ნაციასა და სავარაუდო შედეგს შორის არჩევანის შესაძლებლობა.

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მომხმარებლის უფლება, მოითხოვოს, რომ პროდუქცია უსაფრთხო იყოს მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის, ასევე ვრცელდება შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საჯარო სამართლის სუბიექტების მიმართაც. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-3 ნაწილში საუბარია სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ სავალდებულო მოთხოვნებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სტანდარტის არარსებობის შემთხვევაში კი პროდუქციის იმ სახეობათა მიმართ, რომელთა გამოყენებამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მომხმარებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ასეთი სტანდარტების დაუყონებლივ შემუშავება და ამოქმედება, აუცილებლობის შემთხვევაში – შეაჩერონ პროდუქციის რეალიზაცია.

საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ B-ჰეპატიტის მიმართ სახელმწიფო სტანდარტი შემუშავებული არ ყოფილა, ასეთ შემთხვევაში სსიპ – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ვალდებული იყვნენ, უზრუნველეყოთ ამგვარი სტანდარტების შემუშავება, რაც მათი მხრიდან არ განხორციელებულა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას იგი.

სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მიზეზშედეგობრივი კავშირი ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი ნორმებიდან გამომდინარე, მოპასუხეებს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს უნდა დაკისრებოდათ ზიანის ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობდა პოსტვაქცინალური გართულებების კომპენსირების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმები, სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა

ის გარემოება, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საჯარო სამართლის იურდიული პირის – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის არამართლზომიერ ქმედებას (უმოქმედებას) შედეგად მოჰყვა ბავშვის დაავადება, რომელიც სრულიად უმწეო აღმოჩნდა და ესაჭიროებოდა კვალიფიციური სამედიცინო დახმარება და სხვა მომსახურება. არსებული რეალობის გათვალისწინებით, სასამართლო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ უნდა მიიღოს მატერიალური დახმარება ერთჯერადად . . . ლარი მინიმალური ხელფასის ოდენობით (გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით) და ყოველთვიურად . . . ლარი მინიმალური ხელფასის ოდენობა (გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით).

სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია მოპასუხეების – გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობისა და „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის" მიმართ და მიუთითა, რომ გაეროს ბავშვთა ფონდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილია, რომელმაც მიიღო რა დაკვეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინის შემოტანის თაობაზე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო ვაქცინების შემოტანა საქართველოში. „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენი" წარმოადგენს შვეიცარიული კონსორციუმის „ბრენა ბიოტექსის" შემადგენლობაში არსებულ ფარმაცევტულ კომპანიას. „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენი", როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ვაქცინების მსოფლიო სტანდარტების დონის მწარმოებელი, ჩართულია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ უნიფიცირებული ვაქცინებისა და იმუნიზაციის გლობალურ პროგრამაში. შესაბამისად, გაეროს ბავშვთა ფონდმა დააკმაყოფილა რა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განაცხადი, თავისი სახსრებით შეიძინა და უზრუნველყო „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის" მიერ წარმოებული, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული ვაქცინის საქართველოში შემოტანა. ამით არც ერთი მოპასუხის (გაეროს ბავშთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობისა და „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის") ქმედებაში არ არის მიზეზშედეგობრივი კავში-

რი დამდგარ შედეგთან, მათ არ ჩაუდენიათ არამართლზომიერი ქმედება, შესაბამისად, არ არსებობს მათი ბრალი.

3. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. ქ-ას წარმომადგენელმა, ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულმა ცენტრმა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

კასატორ გ. ქ-ას წარმომადგენელი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ კოლეგიის გადაწყვეტილება „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის" ნაწილში დაუსაბუთებელია. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილება ამ მოპასუხისათვის პასუხისმგებლობის არდაკისრების ნაწილში უნდა გაუქმებულიყო იმ მოტივით, რომ ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინას გააჩნია მთელი რიგი გვერდითი მოვლენები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენს" არ გააჩნდა. საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით, მომხმარებელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ პროდუქცია გამოყენების ჩვეულებრივ პირობებში უვნებელი იყოს მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამავე კანონის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილით, დამამზადებელი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს მომხმარებელს აუცილებელი და უტყუარი ინფორმაცია პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევანის შესაძლებლობას. კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით კი, პროდუქციის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებათა შემცველობას და ცალკეული სახეობის დაავადებათა დროს შესაძლო უკუჩვენებებს. მოცემულ შემთხვევაში კანონის აღნიშნული მოთხოვნები დამამზადებლის – „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის" მიერ შესრულებული არ ყოფილა.

კასატორის მითითებით, მათთვის უცნობი იყო გამოყენებული ვაქცინის გვერდითი მოვლენების შესახებ, აქედან გამომდინარე, გ. ქ-ას ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლა „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის" ბრალითაც იყო გამოწვეული, მით უფრო, რომ სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობა ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის. ამასთან, სასამართლოს მიერ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საჯარო სამართლოს იურიდიული პირის – დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული

ცენტრისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი საფუძველი გახდა ის, რომ მათ არ განუხორციელებიათ ინფორმაციული უზრუნველყოფა ვაქცინაციის სავარაუდო შედეგების თაობაზე, რაც სწორი იყო და გამომდინარეობდა საქართველოს კანონიდან „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. ამასთანავე, კასატორის განმარტებით, სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა ზემოთ მითითებული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები და არ დააკისრა პასუხისმგებლობა დამამზადებელს, რომელიც, აღნიშნული ნორმების შესაბამისად, ვალდებული იყო, დროულად მოეწოდებინა ინფორმაცია პროდუქციის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენი“ უსაფუძვლოდ იქნა გათავისუფლებული პასუხისმგებლობისაგან. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, გ. ქ-ას სასარჩელო მოთხოვნა უფრო მეტი მოცულობით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მისი მკურნალობის ხარჯები უფრო მეტი იყო და ამასთან, გასათვალისწინებელი იყო დანახარჯებიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის გაუქმებასა და მოპასუხეებისათვის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის დამატებით, ხოლო „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენისთვის“ ზემოაღნიშნულ ორ მოპასუხესთან ერთად გ. ქ-ას სასარგებლოდ სოლიდარულად . . . აშშ დოლარის დაკისრებას.

მეორე კასატორი – ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. ამ ნორმით კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა მასში მითითებულ ელემენტების ერთობლიობა. კერძოდ, ქმედების მართლწინააღმდეგობა, ბრალი, ზიანის არსებობა და მიზეზშედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. კასატორის განმარტებით, სასამართლომ ისე დააკმაყოფილა მოთხოვნა, რომ საერთოდ არ უმსჯელია B-ჰეპატიტის ვაქცინაციის ჩატარებისას რა მართლსაწინააღმდეგო ქმედება იყო ჩადენილი; ამ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში რა როლი აქვს უშუალოდ სამინისტროს და შესაბამისად,

დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს. გადაწყვეტილებაში საერთოდ არ ყოფილა მსჯელობა ვალდებულებების წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველზე – ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, რაც გადაწყვეტილების იურიდიულდაუსაბუთებლობაზე მიუთითებდა.

კასატორის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მასალებით გამორიცხული იყო მათი ბრალეულობა. ამასთან, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლების დაცვის შესახებ“, ვინაიდან იგი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძვლებს, ხოლო პროდუქცია, ამ კანონის მიხედვით, არის საქონელი, მომსახურება, სამუშაო. კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, რომლის 1-ლი მუხლის შესაბამისადაც, იგი აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. სასამართლომ, ასევე, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონი, რომელიც ადგენს სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის სუბიექტთა საქმიანობისა და ამ სფეროში მართლზომიერი პრაქტიკის სახელმწიფო გარანტიების სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 74-ე მუხლით დადგენილია, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს გადამდებ და განსაკუთრებით გავრცელებულ დაავადებათა ნუსხას, შეიმუშავებს მათი ეპიდემიოლოგიური შესწავლის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ფართომასშტაბიან პროგრამებს. შესაბამისად, ვაქცინის შემოტანა და მისი გამოყენება ხორციელდება მითითებული კანონის საფუძველზე სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და ამ პროგრამით განსაზღვრული წესით.

კასატორის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივრის მოტივაცია არსებითად ემთხვეოდა ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივრის არგუმენტაციას.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის და გ. ქ-ას კანონიერი წარმომდგენლის საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრსა და „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენს" გ. ქ-ას სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისრათ. . . ლარის გადახდა; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად . . . მინიმალური ხელფასის ოდენობით თანხის გადახდა, გადახდის დღისათვის არსებული მინიმალური ხელფასის გათვალისწინებით, 2054 წლის 1 ივნისამდე.

გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო შემდეგ გარემოებებზე მითითებით: საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ლ. საყვარელიძის სახ.ელობის დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელთა მოსაზრება ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არარსებობის თაობაზე. საკასაციო სასამართლო დაეფუძნა საქმეში წარდგენილ და საოლქო სასამართლოს მიერ გამოკვლეულ დასკვნებს, რომლებიც ადასტურებდნენ მიზეზობრივი კავშირის არსებობას და მიიჩნია, რომ მათი გამაქარწყლებელი არგუმენტაცია კასატორის მიერ წარდგენილი არ ყოფილა. საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კასატორების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მიერ არ იყო წარდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დაავადების ვირუსულ ხასიათს და აბსოლუტურად გამორიცხავდა მას, როგორც აცრის შედეგს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტ-

კიცოს გარემოებები, რომელზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. აღნიშნული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო პოსტვაქცინალური მწვავე ენციფალომიელიტი და შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მიზეზშედეგობრივ კავშირს ვაქცინაციასა და დამდგარ შედეგს შორის.

ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზიანის არსებობის ფაქტი თავისთავად წარმოადგენდა ვალდებულების წარმოშობის საფუძველს, რომლის ძალითაც დაზარალებულს (მოსარჩელეს) უფლება ჰქონდა მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პრეპარატს, რომელიც გამოყენებულ იქნა ვაქცინაცის მიზნით, არ გააჩნდა ინფორმაცია გვერდითი მოვლენების შესახებ. თუმცა, საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულება ადასტურებდა ჰეპატიტის სანინააღმდეგო ვაქცინაციის შედეგად მათი არსებობის ფაქტს. საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ" 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და გამოყენების სუბიექტები ვალდებული არიან წამლის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია სამკურნალო საშუალების სხვა ურთიერთქმედების თავისებურებათა შესახებ, რომელიც მითითებული არ არის მათი გამოყენების ინსტრუქციაში. სამკურნალო საშუალების მიმოქცევა, ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-18 ნაწილის შესაბამისად, მოიცავს სამკურნალო საშუალების მომზადება-წარმოებას.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ნორმებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენის" მიერ წარდგენილი არ იყო არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მითითებული ინფორმაციის მიწოდების ფაქტს, დაუშვებელი იყო ამ მოპასუხის პასუხისმგებლობის გამორიცხვა და არ გაიზიარა საოლქო სასამართლოს მოსაზრება კორპორაციის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკასაციო სამართლოს მოსაზრებით, სახეზეა იყო უმოქმედობით გამოწვეული ზიანი, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ქმნიდა მისი ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს. საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის

დაცვის შესახებ" მე-4 და მე-15 მუხლების პრინციპებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურება „გრეენ კროს ვაქცინე კორპორეიშენთან" ერთად უნდა დაკისრებოდა სახელმწიფოს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით და დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნულ ცენტრს, როგორც იმუნიზაციის პროგრამის უშუალო მონაწილე პირს.

საკასაციო სასამართლომ, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობასთან დაკავშირებით, ყურადღება მიაქცია სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკას. მხედველობაში მიიღო რა ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არსებობდა სპეციალური ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა პოსტვაქცინალური გართულების შედეგად გასაცემი კომპენსაციის ოდენობას, მიიჩნია, რომ თანხა გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. ამასთან, ჩათვალა, რომ დასაკისრებელი თანხის ოდენობა არ უნდა უგულებელყოფდეს სამართლიანი ანაზღაურების პრინციპს და შესაბამისობაში უნდა იყოს იმ ხარჯებთან, რაც გაწეულია მოსარჩელის მხრიდან. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკომპენსაციო თანხის ოდენობა უნდა განსაზღვრულიყო . . . ლარის ოდენობით, რომლის გადახდაც ყველა მოპასუხეს თანაბარწილად უნდა დაკისრებოდა.

ყოველთვიური სარგოს ოდენობასთან მიმართებით, საკასაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული გარემოებებისა და საქმეში წარმოდგენილი სარეაბილიტაციო პროგრამის გათვალისწინებით ჩათვალა, რომ სახელმწიფოს – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, გ. ქ-ას სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა თანხის, ყოველთვიურად . . . ლარის მინიმალური ხელფასის ოდენობით გადახდა გ. ქ-ას სოციალური დაცვის განსხვავებულ რეჟიმში გადასვლამდე, 2054 წლამდე, რაშიც საკასაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა საოლქო სასამართლოს მოსაზრებას.

საკასაციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დაკისრებული თანხა მოიცავდა მატერიალურ ზიანს, ხოლო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მისი არარსებობის გამო ვერ იქცეოდა სასამართლოს მსჯელობის საგნად[1].

---

1 მოცემულ საქმესთან დაკავშირებულ მორალური ზიანის ანაზღაურებაზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 8 აპრილის № ბს-972-936 (კ-08) გადაწყვეტილება – კრებულის გვ. 274

თავი VII. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურება

1. კანონის დარღვევით ჩატარებული აუქციონის ბათილად ცნობის შედეგად დაზარალებულს აუნაზღაურდება მხოლოდ უშუალოდ მისგან გამომდინარე ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 27 მაისის № ბს-205-159-კ-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. ს-მა სარჩელი აღძრა თელავის რაიონულ სასამართლოში კახეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ და მოითხოვა . . . ლარის ოდენობით მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, ყვარლის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით მის სასარგებლოდ ა. ბ-ას დაეკისრა . . . აშშ დოლარის გადახდა. 2002 წლის 10 ივლისს აღმასრულებელის მიერ განმეორებით ჩატარებულ აუქციონზე ა. ბ-ას სახლი შეიძინა მოსარჩელემ. აუქციონის ჩატარების შემდეგ ა. ბ-ას დედამ – ე. ბ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ აუქციონზე გატანილი სახლის მესაკუთრე იყო თვითონ და არა ა. ბ.

ყვარლის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი აუქციონის შედეგები. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ე. ბ-ამ სახლზე საკუთრების უფლების თაობაზე აუქციონის ჩატარებამდე აცნობა აღმასრულებელს. კანონიერ ძალაში შესული აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილად იყო ცნობილი, რომ აღმასრულებელმა არაჯეროვნად შეასრულა თავისი მოვალეობა, კერძოდ, მის მიერ სახლის დაყადაღებისას არ იქნა გარკვეული, თუ ვინ წარმოადგენდა მესაკუთრეს, რითაც დაირღვა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 42-ე მუხლის მოთხოვნა.

მოსარჩელის მითითებით, მან აუქციონისა და მისი შედეგების გაბათილებით განიცადა . . . ლარის ოდენობის მორალური

და მატერიალური ზიანი, რომლის ანაზღაურებაც მან მოპასუხისაგან მოითხოვა.

2. თელავის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ნ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, კახეთის სააღსრულებო ბიუროს მის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა კახეთის სააღსრულებო ბიურომ.

3. საქმე არაერთგზის განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ. საბოლოოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით კახეთის სააღსრულებო ბიუროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თელავის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ს-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ კახეთის სააღსრულებო ბიუროს დაეკისრა . . . ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2000 წლის 10 ივლისს ნ. ს-მა ყვარლის სასამართლოს აღმასრულებლისაგან მიიღო . . . ლარი, ასევე, აუქციონის ჩატარებისათვის გაწეული ხარჯი – . . . ლარი და დაცვის ჰონორარი – . . . ლარის ოდენობით. სააპელაციო პალატამ ასევე დადასტურებულად მიიჩნია, რომ ყვარლის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აუქციონი.

პალატის განმარტებით, აუქციონი ჩატარდა ყვარლის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლითაც ნ. ს-ის სასარგებლოდ ა. ბ-ას დაეკისრა . . . ლარის გადახდა. მაგრამ აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის გამო, სააპელაციო პალატის მითითებით, ნ. ს. უფლებამოსილი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის შესაბამისად, მოეთხოვა ყვარლის რაიონული სასამართლოს 1998 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულება. სააპელაციო პალატის მითითებით, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. ს-ს ა. ბ-ას ვალის სახით აუნაზღაურდა . . .ლარი, აუქციონის ხარჯები – .

. . ლარი და დაცვის ჰონორარი – . . . ლარი, მოპასუხემ ნ. ს-ს უნდა აუნაზღაუროს . . . ლარი. სასარჩელო მოთხოვნა ნ. ს-ის მიერ სესხის სახით აღებული თანხის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-მა, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:

კასატორის მითითებით, სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ იქნა მისი, როგორც კრედიტორის მოთხოვნები, ხოლო, როგორც ბინის შემძენის ინტერესები – უგულებელყოფილ იქნა. კასატორის აზრით, აუქციონის შედეგების ბათილად ცნობის გამო უნდა აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა და მხარეებს დაუბრუნდეთ ის, რაც მათ ხელშეკრულებით გადასცეს ერთმანეთს. შესაბამისად, მას, როგორც მყიდველს, სრულად უნდა დაუბრუნებოდა ბინის შესაძენად გადახდილი . . . ლარი, სასამართლოს გადაწყვეტილებით კი დაუბრუნდა მხოლოდ ა. ბ-სათვის გაცემული სესხი, რის გამოც ასანაზღაურებელი დარჩა ბინის შესაძენად აუქციონზე გადახდილი თანხა.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ 1997 წელს დაიდო სესხის ხელშეკრულება ნ. ს-სა და ა. ბ-ას შორის, რომლის თანახმად, ნ. ს-მა ერთი თვის ვადით . ... აშშ დოლარი ასესხა ა. ბ-ას. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ, ა. ბ-ამ სესხი არ დააბრუნა რის გამოც ნ. ს-მა სარჩელით მიმართა ყვარლის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ა. ბ-ათვის . . . აშშ დოლარის დაკისრება.

ყვარლის რაიონის სასამართლოს 1998 წ. 30 დეკემბერს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ნ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შესაბამისად, გაიცა სააღსრულებო ფურცელი. 2002 წლის 10 ივლისს ჩატარებულ აუქციონზე ყვარლის რაიონის სოფ. . . მდებარე საცხოვრებელი სახლი შეიძინა ნ. ს-მა.

საკასაციო პალატამ აუქციონთან დაკავშირებით მიუთითა ყვარლის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც 2000 წლის 10 ივლისს ჩატარებული აუქციონი ბათილად იქნა ცნობილი იმ მოტივით, რომ აუქციონზე გასხვისებული სახლი ეკუთვნოდა არა ა. ბ-ას, არამედ მის შვილს – ე. ბ-ას.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, რადგანაც 1998 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნ. ს-ის სასარგებლოდ დაკისრებული . . . აშშ დოლარი ა. ბ-ას არ გადაუხდია, ნ. ს-მა უნდა მოითხოვოს სწორედ აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება და ამ მოთხოვაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ სააღსრულებო ბიუროს არასწორად დაეკისრა . . . ლარი და დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განჩინების მოტივაციას ამ ნაწილში. სახელდობრ, საქმეში წარმოდგენილი ხელწერილის თანახმად, 2000 წლის 10 ივლისს ნ. ს-ს აღმასრულებელისგან დაუბრუნდა . . . ლარი, აუქციონის ჩატარების ხარჯი – . . . ლარი და ადვოკატის ჰონორარი – . . . ლარი. ამიტომაც ნ. ს-ის ის მოთხოვნა სააღსრულებო ბიუროსადმი საფუძველს მოკლებული იყო, რადგან მან, როგორც კრედიტორმა, მიიღო ბინის შესაძენად აუქციონზე გადახდილი თანხა და აუნაზღაურდა გაწეული ხარჯიც. ამავე დროს, მოსარჩელე წარმოადგენდა პირს, რომელიც ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა აუქციონის ბათილად გამოცხადების საფუძველზე, ამიტომაც მიღებული თანხა ზიანის ანაზღაურებად უნდა მიჩნეულიყო.

2. აღმასრულებლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა 3 წელია და მის სამართლებრივ საფუძველს წარმოდგენს არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
20 ოქტომბრის №ბს-782-369(კ-05) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ზ. ბ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საოლქო სასამართლოში მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის ჯარიმის სახით . . . აშშ დოლარის გადახდის დაკისრება და სააღსრულებო ფურცლების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის დავალებულება შემდეგი

საფუძვლით:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სს „...-ს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პატენტებით დაცული გამოგონებების 1994 – 1997 წლებში გამოყენების საავტორო ჯილდოს . . . აშშ დოლარის და ჯარიმის სახით . . . აშშ დოლარის 1999 წლის 31 დეკემბრამდე გადახდა. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ „აღნიშნული თანხების გადახდის შემდეგ შეთანხმების საფუძველზე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება გამოგონებების გამოყენების შესახებ ჩაითვალოს გაუქმებულად, ზუგდიდის რაიონის „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატზე" აღნიშნული გამოგონების გადაცემის უფლების ჩამორთმევით". მოპასუხე მხარის მიერ დადგენილ დროში გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს გადასცა სააღსრულებო ფურცელი გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული . . . აშშ დოლარის ოდენობით საავტორო ჯილდოს და . . . აშშ დოლარის ჯარიმის დაუყოვნებლივ ამოღებაზე, რაც მოპასუხის მიერ არ შესრულდა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს განჩინებების, ამავე სასამართლოს მიმართვის საფუძველზე მოპასუხემ, რეგიონალურმა სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურომ, 2002 წლის 12 მარტს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, წარმოებაში მიიღო სააღსრულებო ფურცლები მითითებული თანხის დაუყოვნებლივ ამოღებაზე, რომელიც მოპასუხემ არ აღასრულა და უკან დაუბრუნა მოსარჩელეს.

მოსარჩელემ სააღსრულებო ბიურო გააფრთხილა გადაწყვეტილებების აღუსრულებლობის მოსალოდნელ შედეგებზე, რომ აღუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს კანონის სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-5, მე-11, მე-16, მე-17, 25-ე, და 26-ე მუხლების მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის შეიტანდა სარჩელს სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს დაუყოვნებლივ აღსრულების ფურცელში ნაჩვენები . . . აშშ დოლარის ამოუღებლობისათვის ჯარიმის სახით ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე გადასახდელი თანხის 5%-ის, სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების გადასახდელად მოპასუხისათვის დაკისრება; ასევე სააღსრულებო ფურცლების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე გადაცემა.

2. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ზ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგ გარემოებებზე მითითებით.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სს „. . .-ს" ზ. ბ-ის სასარგებლოდ გადასახდელი ჰქონდა . . . აშშ დოლარი და სააღსრულებო ფურცლები აღსრულებისათვის წარმოებაში ჰქონდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს. აღწერილი იქნა და დაყადაღდა . . . ლარად ღირებული მოვალე სს „ . . .-ის" ქარხანა. ორჯერ ჩატარებულ იძულებით აუქციონზე მოვალის ქონების რეალიზაცია არ მომხდარა, რის გამოც სასამართლო აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელეს აღუსრულებლად დაუბრუნა, მიუხედავად იმისა, რომ ის ვალდებული იყო მოსარჩელისთვის მოვალის მიერ გადასახდელი თანხის გადახდევინების ნაცვლად ქონება ნატურით გადაეცა.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" და განმარტა, რომ იგი არ ითვალისწინებდა აღუსრულებლობის შემთხვევაში სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისათვის დაუბრუნებას. ამასთან, მიუთითა, რომ აღსრულება შესაძლებელი იყო, რადგან მოვალეს გააჩნდა აღსრულებისთვის საკმარისი ქონება, მით უფრო, რომ მოსარჩელემ მრავალჯერ მიმართა მოპასუხეს, რათა აღესრულებინა სააღსრულებო ფურცელი.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, დაასკვნა, რომ მოსარჩელეს მიადგა ზიანი, რადგან აღმასრულებლის ბრალით მან ვერ მიიღო მოვალისგან მის სასარგებლოდ დაკისრებული თანხა, რის გამოც სასამართლომ გონივრულად მიიჩნია მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ზიანის ანაზღაურების მიზნით დაკისრება.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტ-

მა, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

გადაწყვეტილების გამოტანის დროს დაირღვა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, მე-12 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლების მოთხოვნები. ზ. ბ-ს სასამართლო აღმასრულებლმა გაუგზავნა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 77[1] მუხლის შესაბამისად, 2003 წლის აპრილის თვის ბოლომდე ზ. ბ-ს წერილობით უნდა მიემართა სააღსრულებო ბიუროსათვის, აუქციონზე გატანილი და არარეალიზებული მოვალის ქონების ნატურით გადაცემის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელი უკან დაუბრუნდებოდა. ზ. ბ-მა სააღსრულებო ბიუროს არ მიმართა, ამიტომაც, საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 35-ე მუხლის „დ" პუნქტის შესაბამისად, აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცელი კრედიტორს დაუბრუნა.

გარდა აღნიშნულისა, რაიონულ სასამართლოს არ უნდა განეხილა ზ. ბ-ის სარჩელი, რადგან საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-18 მუხლის შესაბამისად, სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრება სასამართლოში შესაძლებელია სააღსრულებო მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში.

4. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში იმყოფებოდა სააღსრულებო ფურცლები. მოვალე სს „. . .-ის" მიმართ საერთო თანხით . . .ლარის გადახდევინებაზე, ზ. მ. და მ. ბ-ების სასარგებლოდ. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა მოვალის სს „ . . . -ის" ქონება თანხით . . . ლარი აღწერა, დააყადაღა და შეადგინა ოქმი. კრედიტორებს ეცნობათ, რომ სააღსრულებო ბიუროს მიერ ორჯერ ჩატარებულ იძულებით აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი

ქონების შემძენი არ გამოვლინდა. მათ ჰქონდათ უფლება საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 77-ე მუხლის შესაბამისად, მიემართათ განცხადებით და მიეღოთ ქონება ნატურით, აგრეთვე, ისინი გაფრთხილდნენ, რომ თუ მ/წლის აპრილის თვის ბოლომდე არ მიმართავდნენ განცხადებით მოვალის ქონების მათთვის ნატურით გადაცემის თაობაზე, სააღსრულებო ფურცელი უკან დაუბრუნდებოდათ. კრედიტორებს უკან დაუბრუნდათ სააღსრულებო საბუთები იმ მოტივით, რომ, მიუხედავად გაფრთხილებისა, მათ არ მიმართეს სააღსრულებო ბიუროს საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 77-ე მუხლის შესაბამისად, აუქციონზე გატანილი და არარეალიზებული მოვალის ქონების მათთვის ნატურით გადაცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" პუნქტი და განმარტა, რომ აღმასრულებელმა სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელეს დაუბრუნა კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დაუცველად, რაც ზ. ბ-ის მიმართ ზემოაღნიშნული ნორმის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. აღნიშნული სააღსრულებო მოქმედებით მოსარჩელეს შეეზღუდა უფლება კანონით განსაზღვრულ ვადაში ესარგებლა მითითებული ნორმით კრედიტორისთვის მინიჭებული უფლებით და წერილობითი განცხადების საფუძველზე მოეთხოვა ქონების ნატურით გადაცემა.

აღმასრულებლის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შედეგად მოსარჩელე ზ. ბ-ს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, რადგან გადაწყვეტილება მის სასარგებლოდ მოვალისთვის თანხის დაკისრების თაობაზე აღუსრულებელი დარჩა, იმისდა მიუხედავად, რომ არსებობდა მისი აღსრულების შესაძლებლობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო მიზეზობრივი კავშირი სახელმწიფო მოსამსახურეების აღნიშნულ მოქმედებასა და დამდგარ შედეგს – მოსარჩელისთვის მატერიალური ზიანის მიყენებას შორის და გაიზიარა რაიონული სასამართლოს მოსაზრება მოპასუხისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე დამდგარი ზიანის ანაზღაურების გონივრულ ფარგლებში დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნის თანახმად, სააღსრულებო საქმის მასალებით არ დგინდებოდა, თუ როდის გახდა ცნობილი მოსარჩელისათვის სააღსრულებო მოქმედების შეს-

ახებ ან როდის ჩაბარდა მოსარჩელეს უკან დაბრუნებული სააღსრულებო ფურცლები, მაგრამ აპელანტის მიერ ვერ იქნა წარდგენილი აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-18 მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის მიერ გაშვებულ იქნა სასამართლო აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადა.

5. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტმა, რომლითაც მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დადგენილი, რომ მოსარჩელეებს დაგვიანებით ეცნობათ ქონების ნატურით შეძენის შესაძლებლობის შესახებ, რადგანაც სასამართლო აღმასრულებლის ოქმის თანახმად, კრედიტორს განემარტა მისი უფლება: საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 77[1] მუხლის შესაბამისად ქონების ნატურით გადაცემის შესახებ, რომელიც მისივე ბრალით გამოყენებული არ ყოფილა. სასამართლო აღმასრულებლის მიერ ასევე დაცული იყო ამავე კანონის 35-ე მუხლის „დ" პუნქტის მოთხოვნები, რადგანაც აღმასრულებლის წერილი წარმოადგენდა არა გაფრთხილებას, არამედ შეთავაზებას ქონების ნატურით გადაცემაზე.

კასატორმა მიიჩნია, რომ მიუხედავად სააღსრულებო ფურცლის კრედიტორისთვის დაუბრუნებლობისა, აღნიშნულს არ შეუზღუდავს მისი ინტერესები და შესაბამისად, არ არსებობდა კასატორის მიერ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. სააპელაციო სასამართლოს მიერ ასევე არ იქნა დადგენილი საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 18-ე მუხლის შესაბამისად, იყო თუ არა ხანდაზმული მოთხოვნა.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოტივი, რომ მოსარჩელეს ეცნობა ქონების ნატურით შეძენის შესაძლებლობის

შესახებ. აღმასრულებლის წერილით ირკვეოდა, რომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 77-ე მუხლის შესაბამისად, ზ. მ. და მ. ბ-ბი გაფრთხილებულ იქნენ, თუ რა ვადაში უნდა წარედგინათ განცხადება მოვალის აუქციონზე გატანილი და არარეალიზებული ქონების ნატურით გადაცემის თაობაზე. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას სწორად გამოიყენა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ" პუნქტი. ამ ნორმის თანახმად, სააღსრულებო საბუთი, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა გადახდევინება, უბრუნდება კრედიტორს თუ კრედიტორისათვის სააღსრულებო საბუთის მოსალოდნელი დაბრუნების შესახებ სასამართლო აღმასრულებლის მიერ მიცემული გაფრთხილებიდან ერთი თვის შემდეგაც კრედიტორი არ ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობას, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააღსრულებო ბიუროს წერილით დასტურდებოდა, რომ მოსარჩელეს მოპასუხის მიერ კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გასვლამდე, 12 დღით ადრე, დაუბრუნდა სააღსრულებო საბუთები. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოტივი, რომ სააღსრულებო ბიუროს წერილი წარმოადგენდა არა გაფრთხილებას, არამედ შეთავაზებას ქონების ნატურით ჩაბარებაზე.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააღსრულებო ბიუროს მიერ კანონით გათვალისწინებული პროცედურა, კერძოდ, სააღსრულებო დოკუმენტაციის კრედიტორისათვის დაბრუნება, განხორციელდა კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დაუცველად, რის გამოც საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა იმის თაობაზე, რომ აღნიშნული წარმოადგენდა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მოთხოვნათა უხეშ დარღვევას და რომ მითითებული სააღსრულებო მოქმედებით მოსარჩელეს შეეზღუდა შესაძლებლობა კანონით განსაზღვრულ ვადაში ესარგებლა მისთვის საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 77-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით.

საკასაციო სასამართლომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე

განმარტა, რომ სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, რაც მოცემულ საქმეზე უგულებელყოფილი იყო.

საკასაციო სასამართლომ, ასევე, არ გაიზიარა კასატორის მოტივი სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გაშვების შესახებ. სასამართლომ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-18 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა არა აღმასრულებლის მიერ განხორციელებული მოქმედება, არამედ მოსარჩელისათვის მითითებული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა დადგენილი არ არის, ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში, გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი, რომლის თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია, რაც მოსარჩელის მიერ დაცული იყო.

საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ არ იქნა აღსრულებული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რის გამოც ზ. ბ-ს მიადგა ზიანი. ამასთან, საკასაციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე განმარტა, რომ ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებელობის განსაკუთრებულ წესი დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინ-

ისტრაციული კოდექსის 207-209 მუხლებით. კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის გამოყენება, რადგან მითითებული ნორმის მიხედვით, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. კონკრეტულ შემთხვევაში, სახელმწიფო მოსამსახურის ბრალეული ქმედება (განზრახვა და გაუფრთხილებლობა) კანონმდებლობით განსაზღვრული წესით არ იყო დადგენილი. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი იურიდიულად გამართლებული იყო არა საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე.

3. ადმინისტრაციული ორგანოსაგან სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის სრულად გადაცემა მხარემ უნდა მოითხოვოს საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" დადგენილი პროცედურების დაცვით, ხოლო მის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება – შესაბამისი სარჩელის წარდგენით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
25 მაისის № ბს-148-114-კ-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. სს „. . .ის" აქციონერებმა მ. და ზ. ყ-ძეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვეს სასამართლო გადაწყვეტილების

აღუსრულებლობით მიყენებული ზიანის, . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელეები მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითებდნენ შემდეგ გარემოებებზე:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1998 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევალა მოსარჩელეთათვის . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნება. მოპასუხე მხარემ არ შეასრულა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და ნაცვლად . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა, მ. და ზ. ყ-ძეების სახელზე გახსნილ სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხა მხოლოდ 129835 ლარი, რომელიც . . . აშშ დოლარის ეკვივალენტს შეადგენდა.

მოსარჩელეებმა მოითხოვეს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის აუნაზღაურებელი ნაწილის, . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხისათვის დაკისრება და მისი დროულად გადაუხდელობის გამო, ეროვნული ბანკის ბანკთაშორის აუქციონზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის დაკისრებას, რაც მათი გაანგარიშებით, შეადგენდა . . . აშშ დოლარს.

2. ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა მ. და ზ. ყ-ძეების სარჩელი. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელეების სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის გადახდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

3. ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. აპელანტი სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით სამინის-

ტროს წარმოეშვა მ. და ზ. ყ-ძეებისათვის . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაბრუნების ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სადავო არ იყო, რომ სამინისტრომ მოსარჩელეების სახელზე გახსნილ ანგარიშზე ჩარიცხა . . . ლარი, რაც . . . აშშ დოლარს შეადგენდა. რის გამოც სამინისტროს მიერ ასანაზღაურებელი დარჩა 5542,35 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, მოპასუხისათვის ფულადი თანხის ვადაგადაცილების გამო, კანონით განსაზღვრული პროცენტის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, რომელიც ითხოვდა გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

4. საკასაციო პალატის განჩინებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მ. და ზ. ყ-ძეების სარჩელი, გაუქმდა სს „. . . -ის“ პრივატიზება . . .ცალი აქციის ნაწილში და საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაევალა უზრუნველეყო მოსარჩელეებისათვის . . . ცალი აქციის ღირებულების – . . . აშშ დოლარის ეკვივალენტური ოდენობით ლარის დაბრუნება. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 1998 წელს გადარიცხა . . . ლარი მ. და ზ. ყ-ძეების სახელზე გახსნილ პირად ანგარიშზე. ასევე, დადგენილ იქნა, რომ სამინისტროს მიერ მ. და ზ. ყ-ძეების სახელზე გახსნილ ანგარიშზე გადარიცხული . . . ლარი გადარიცხვის დროისათვის არსებული კურსის შესაბამისად შეადგენდა . . . აშშ დოლარს.

საკასაციო პალატამ, ამ ფაქტობრივი გარემოებების გათვალ-

ისწინებით, უსაფუძვლობის გამო არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მან სრულად აუნაზღაურა მ. და ზ. ყ-ძეებს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მოსარჩელეებმა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე ჩარიცხეს . . . და არა . . . აშშ დოლარი, ე.ი. ანგარიშსწორება განხორციელდა ეროვნული და არა უცხოური ვალუტით, იმის გათვალისწინებით, რომ იმდროინდელი ლარის კურსით, აქციათა ღირებულება უტოლდებოდა . . . აშშ დოლარს.

საკასაციო პალატამ ყურადღება მიაქცია კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რომლითაც სამინისტროს დაეკისრა ყ-ძეებისათვის . . . აშშ დოლარის და არა აქციების შესაძენად გადახდილი თანხის . . . ლარის გადახდა, რადგან კასატორს სადავოდ გაუხდია ის გარემოება, რომ საქართველოს ბანკში მ. და ზ. ყ-ძეების პირად ანგარიშზე ჩარიცხული – . . . ლარი ჩარიცხვის დროისათვის არსებული კურსის მიხედვით შეადგენდა . . . აშშ დოლარს. აღნიშნულის გამო, პალატამ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ჯეროვნად შესრულების თაობაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მ. და ზ. ყ-ძეების სარჩელზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ძირითადი თანხის – . . . აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში, საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. მოსარჩელეები სასარჩელო განცხადების ამ ნაწილში დაკმაყოფილებას ითხოვდნენ იმ მოტივით, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა სამინისტრომ სრულად არ აუნაზღაურა, ანუ სარჩელი აღძრული იყო კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რაც, საკასაციო პალატის აზრით, არ წარმოადგენდა სასარჩელო წესით განსახილველ დავას. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება უნდა მომხდარიყო საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლად ახალი სარჩელის წარდგენა დაუშვებელი იყო.

საკასაციო პალატამ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, დაეკისრა . . . აშშ დოლარის მ. და ზ. ყ-ძეებისათვის დაბრუნება, ხოლო უზენაესი კანონის, საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო აქტები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მოსარჩელეებისათვის . . . აშშ დოლარის დაბრუნების ვალდებულება წარმოეშვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 გადაწყვეტილების საფუძველზე. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება და არ გაითვალისწინა ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას.

საკასაციო პალატის აზრით, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში ვალდებულება წარმოიშვა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე და ეხება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არაჯეროვნად შესრულების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია, ხომ არ შეუწყო ხელი ზიანის წარმოშობას მოსარჩელის უმოქმედებამ, კერძოდ, მიმართეს თუ არა მოსარჩელეებმა სამინისტროს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მოთხოვნით და დაიწყეს თუ არა იძულებითი აღსრულება, აიღეს თუ არა სააღსრულებო ფურცელი და მიმართეს თუ არა სასამართლოს აღმასრულებელს. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით დასახელებული გარემოების გამორკვევის მეშვეობით დადგინდებოდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედების მნიშვნელობა ზიანის მიყენებაში.

4. ზიანის ანაზღაურების აღსრულების წესის შეცვლა – მოვალის ქონების დაყადაღება-რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ არ იცვლება სააღსრულებო ფურცელში დასახელებული მოვალე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 15 ნოემბრის №ბს-538-514(კს-07) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა ნ. წ-მა, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა, კერძოდ მოვალის, ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ზესტაფონის სამმართველოს კუთვნილი ქონების – შენობებისა და მიწის ნაკვეთის დაყადაღება-რეალიზაციის გზით.

განმცხადებლის მითითებით, ქუთაისის საოლქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ზესტაფონის რაიონის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის გადახდა, გამოიწერა სააღსრულებო ფურცელი და გადაწყვეტილება სააღსრულებო ფურცელთან ერთად აღსასრულებლად გადაეცა იმერეთის სააღსრულებო ბიუროს ზესტაფონის სასამართლო აღმასრულებელს. განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა, რომ სააღსრულებო ბიუროს მიმართვით მოვალეს მიეცა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების თაობაზე, მაგრამ ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ზესტაფონის სამმართველოს პასუხით, მოვალემ შეუძლებლად მიიჩნია ვალდებულების შესრულება იმ მიზეზით, რომ არ გააჩნდა საკუთარი ანგარიში.

განმცხადებლის მოსაზრებით, ვინაიდან საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ფულით ან ქონების გადახდევინებისას, წინადადების ჩაბარებასთან ერთად სასამართლო აღმასრულებელი დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადაღებას, სააღსრულებო სამსახური ვალდებული იყო გადაუდებელი ღონისძიების სახით

აღეწერა და დაეყადაღებინა მოვალის კუთვნილი ქონება, რომელიც შემდგომში შეიძლებოდა მიქცეულიყო იძულებით აღსასრულებლად. სასამართლო აღმასრულებელმა სრულიად უსაფუძვლოდ, საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 28-ე მუხლის მე-5 ნაწილზე და 92-ე მუხლებზე მითითებით, საქმე სააღსრულებო დეპარტამენტში გადააგზავნა, რითაც ხელი შეუშალა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნული, განმცხადებლის მოსაზრებით, ხელს უშლიდა მისი კანონიერი უფლების უზრუნველყოფას, რის გამოც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია გადაწყვეტილებით განსაზღვრულ აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა.

განმცხადებელმა მოითხოვა გადაწყვეტილების აღსრულება მოვალის საკუთრებაში არსებული იმ ქონების დაყადაღება-რეალიზაციით, რომელშიც პირდაპირ და უშუალოდ განივთებული იყო მისი ფული. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, შპს „ტ-სი" დაფუძნებულია მისი მოვალის 100%-იანი ქონებრივი წილით სწორედ სახაზინო საწარმო „ტ-სის" ქონებაზე და ფუნქციონირებს იმ ქონებით, რომელშიც ნ. წ-ის ფულია განივთებული, იმავე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, ნ. წ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ნ. წ-მა პრივატიზაციის წესით შეიძინა „ტ-სი," მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით აღნიშნული პრივატიზება გაუქმდა, ნ. წ-მა სასარჩელო განცხადებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით, ზესტაფონის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პირივატიზების სამმართველოს ნ. წ-ის სასარგებლოდ . . ლარის გადახდა დაეკისრა. გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, მაგრამ, ვინაიდან ვერ მოხდა თანხის

ამოღება, ნ. ნ-მა გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა, კუთვნილი თანხის სანაცვლოდ „ტ-სის“ ობიექტების გადაცემა მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 92[1] მუხლის თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ იძულებითი აღსრულება თანხის გადახდევინების ნაწილში შეიძლება დაიწყოს სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან 3 თვის შემდეგ, ან მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი უარს განაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფაზე. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

3. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ნ-მა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო გასცდა განცხადებით დასაბუთებულ მოთხოვნას, როდესაც გასაჩივრებულ განჩინებაში მიუთითა, თითქოს, ნ. წ. მოითხოვდა გადაწყვეტილების აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლას – დავალიანების სანაცვლოდ „ტ-ის“ ობიექტების გადაცემას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

განცხადების როგორც შინაარსში, ისე მოთხოვნით ნაწილში, ცალსახად და არაორაზროვნად იყო აღნიშნული, რომ განმცხადებელი მოითხოვდა აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლას იმ საწარმოს ქონების ნაწილის დაყადაღება-რეალიზაციის გზით, რომელშიც პირდაპირ და უშუალოდ განივთებული იყო მისი ფული. შპს „ტ–ში“ ნ. ნ-ის ფულის განივთების რეალობას კი სასამართლო არც უარყოფდა და არც სადავოდ მიიჩნევდა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ნ. წ-ზე, როგორც კრედიტორზე, გაიცა სააღსრულებო ფურ-

ცელი, რომლითაც ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ზესტაფონის სამმართველოს მის სასარგებლოდ . . . ლარის გადახდა დაეკისრა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმერეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართვით მოვალეს მიეცა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ზესტაფონის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს პასუხით კრედიტორმა უარი განაცხადა გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულებაზე იმ მოტივით, რომ სამმართველოს არ გააჩნდა ანგარიში, რის შემდეგაც იმერეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს.

ნ. წ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს და შპს „ტ-ის" კუთვნილი ქონების დაყადაღება-რეალიზაციის გზით აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა მოითხოვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოიტანა, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით შეცვალოს აღსრულების საშუალება და წესი. საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის საოლქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცლის თანახმად, კრედიტორი არის ნ. წ-ლი, ხოლო მოვალე – ქონების მართვისა და პრივატიზების ზესტაფონის სამმართველო. აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის სახით კრედიტორი ითხოვდა შპს „ტ-ის" ქონების იძულებითი წესით გასხვისებას.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა ნიშნავდა აღსრულების ერთი სახის მეორე სახით შეცვლას, რა დროსაც იცვლება მხოლოდ აღსრულების ფორმა და არა – კრედიტორი და მოვალე.

მოცემულ შემთხვევაში ქონება, რომლის დაყადაღებასა და რეალიზაციას ითხოვდა ნ. წ., შპს „ტ-ის" საკუთრებას წარმოადგენდა. აღნიშნული საწარმო, ზესტაფონის რაიონის გამგეობის დადგენილებით, შექმნილი იყო ყოფილი მრავალდარგოვანი საწარმო „ტ-სის" ბაზაზე, როგორც სახაზინო საწარმო „ტ-სი,"

ხოლო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს დადგენილების თანახმად, სახაზინო საწარმო „ტ-სი" გარდაიქმნა შპს „ტ-სად" სახელმწიფო ქონების მართვის ზესტაფონის სამმართველოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. შესაბამისად, სრულიად ცალსახა იყო და დავას არ იწვევდა ის გარემოება, რომ შპს „ტ-სი" განცხადების განხილვის მომენტისათვის წარმოადგენდა დამოუკიდებელ, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიულ პირს და აქედან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ მონაწილეს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მისი დამფუძნებელი. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი ითხოვდა შპს-ის ქონებაზე აღსრულების მიქცევას, იგი არ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ შპს „ტ-სი" სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტს წარმოადგენდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნ. წ-ის მოთხოვნის დაკმაყოფილება და შპს „ტ-ის" ქონებაზე გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევა გამოიწვევდა სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალის სრულიად სხვა სუბიექტით შეცვლას, რის შედეგადაც სახეზე იქნებოდა არა აღსრულების წესისა და საშუალების, არამედ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეცვლა, რაც დაუშვებელი იყო.

5. საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" დადგენილი, ქონებაზე ყადაღის დადების წესების დარღვევა, რამაც ქონების გასხვისება გამოიწვია, წარმოადგენს სააღსრულებო ბიუროს მიერ კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის
17 მაისის №ბს-105-100(2კ-05) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ვ. მ-მა გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, მესამე პირები ა. პ. და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი, ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ქარელის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და ა. პ-ს მის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შიდა ქართლის სააღსრულებო ბიურომ ივალდებულა ა. პ-აგან მოსარჩელის სასარგებლოდ. . . აშშ დოლარის გადახდევინება. მოსარჩელემ წინასწარ გადაიხადა სააღსრულებო ხარჯები . . . ლარის ოდენობით. 2000 წლის სექტემბერში სააღსრულებო ბიურომ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაადო ა. პ-ის კუთვნილ ავტომანქანას.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ მისთვის ცნობილი გახდა სააღსრულებო ბიუროს მიერ ქონებაზე ყადაღის მოხსნის თაობაზე. საქართველოსიუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურმა აცნობა, რომ სააღსრულებო ფურცლის აღსრულება არ ხდებოდა, ვინაიდან მას არ ჰქონდა შედგენილი განცხადება იძულებითი აუქციონის დანიშვნის მოთხოვნით, მოგვიანებით კი განაცხადეს, რომ არ იყო გადახდილი აღსრულებისათვის განსაზღვრული წინასწარი ხარჯები.

მოსარჩელის მითითებით, ხელშეკრულების 4.3. მუხლის თანახმად, იგი სამი დღით ადრე წერილობით, დასაბუთებული მიზეზის მითითებით, გაფრთხილებული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს დაკისრებოდა ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის . . აშშ დოლარის გადახდა, ასევე მიუღებელი შემოსავლის . . . აშშ დოლარის ანაზღაურება.

2. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. მ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით ვ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გორის რაიონული სა-

სამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს მის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის გადახდა ლარებში; სარჩელი მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქარელის რაიონული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ა. პ-ს ვ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის გადახდა. შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროსა და ვ. მ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც სააღსრულებო ბიურომ ივალდებულა მოვალისგან თანხის ამოღება კრედიტორის სასარგებლოდ. მოსარჩელემ გაიღო წინასწარი ხარჯი სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით. ვ. მ-მა მრავალჯერ მიმართა განცხადებებით როგორც სააღსრულებო დეპარტამენტს, ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს თანამშრომლებმა (აღმასრულებლებმა) არაჯეროვნად შეასრულეს მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა, რადგან მოვალის საკუთრებაში მყოფ ავტომობილს ყადაღა დაედო სააღსრულებო ფურცლის გაცემიდან თვენახევრის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს კანონში სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" პირდაპირ არ იყო განსაზღვრული თუ რა პერიოდში უნდა დაედოს ყადაღა მოვალის ქონებას, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმავე კანონის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილში, ნათლადაა აღნიშნული, რომ სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია, მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აღმასრულებლებმა არაჯეროვნად შეასრულეს თავიანთი მოვალეობები, კერძოდ, საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 56-ე მუხლის თანახმად, ყადაღის დადება უნდა მოხდეს განკარგულების გამოცემით. მოცემულ შემთხვევაში კი, ადგილი ჰქონდა მხოლოდ ოქმის შედგენას ყადაღის დადების შესახებ, რომლიდანაც არ ჩანდა, თუ კონკრეტულად ვის ჩაბარდა და ვის დაეკისრა პასუხისმგებლობა მოვალის ავტომანქანის სათანადოდ შენახვაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ ვერ იქნა წარდგენილი მტკიცებულებები აღმასრულებლების მხრიდან კანონის დარღვევის არარსებობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მიუღებელი შემოსავლებისათვის ზიანის ანაზღაურებას, განმარტებულ უნდა იქნეს ვიწროდ, ანუ, როდესაც მიუღებლად მიჩნეული შემოსავალი არა ჰიპოთეტური, არამედ რეალურია. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა, რომ თუკი სააღსრულებო ბიურო ჯეროვნად და დროულად შეასრულებდა თავის ვალდებულებას, ვ. მ. კუთვნილი . . . აშშ დოლარის დროულად დაბრუნების შემთხვევაში მიიღებდა შემოსავალს.

4. გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრეს შიდა ქართლის სააღსრულებო ბიურომ და ვ. მ-მა.

კასატორი – შიდა ქართლის სააღსრულებო ბიურო საკასაციო საჩივარში უთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" ზოგიერთი ნორმა. კასატორის განმარტებით, ვ. მ-ს გადახდილი ჰქონდა ტიპური ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, მაგრამ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" მე-10 მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებლის ხარჯების ოდენობა განისაზღვრება სასამართლო აღმასრულების მიერ შედგენილი გაანგარიშებით, რომელიც შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროს მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიუთითა საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 56-ე მუხლზე და არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ეს ნორმა მოქცეულია მე-10 თავში, რომელიც განსაზღვრავს მოვალეთა მოთხოვნების აღსრულების წესს. მოცემულ შემთხვევაში კი აღმასრულებელს უნდა ემოქმედა მე-9 თავში მოცემული კანონის ნორმათა შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა ქართლის სააღსრულებო ბიურომ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებას, რომლითაც შიდა ქართლის სააღსრულებო ბი-

უროს ვ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის გადახდა

ვ. მ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავდა, რომ მოთხოვნა შიდ ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიმართ მიუღებელი შემოსავლი . . . აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ სამართლიანია საქართ ველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის თანახმად მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი და ზემოაღნიშნული კოდექსის 625-ე მუხლის შესაბამისად, პროცენტის ოდენობა გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ ბანკთან ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მან მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და მოპასუხისათვის ასევე . . . აშშ დოლარის ოდენობით მიუღებელი შემოსავლის დაკისრება.

5. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე არ იყო მნიშვნელოვანი სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ განსხვავდებოდა ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან, არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმების განმარტებისა და სამართლის განვითარების მიზნით საკასაციო სასამართლოს მიერ ზოგადი მნიშვნელობის მქონე (კონკრეტულთან ერთად) სახელმძღვანელო და სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ საქმეს არ გააჩნდა არავითარი პრინციპული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის, ამიტომაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

6. სასამართლო აღმასრულებლის მიერ აუქციონზე გატანილი ქონების თაობაზე მცდარი ინფორმაციის გამოქვეყნება მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს, თუ აღმასრულებლის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ზიანის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
18 მაისის №ბს-237-182-კ-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. დ. მ-ძემ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, მესამე პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით, და სადავო ბინაზე აუქციონის ხელახლა ჩატარება და ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად შემდეგ გარემოებებზე მიუთითა: თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცლის თანახმად, თ. ბ-ას მის სასარგებლოდ . . . აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. მან განცხადებით მიმართა თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსს და სააღსრულებო ფურცლის აღსრულება მოითხოვა.

პირველი აუქციონის შედეგად ბინა არ გაიყიდა, ამიტომაც ჩატარდა განმეორებითი აუქციონი.

თ. ბ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს და თბილისის სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებლისთვის ქ. თბილისში მდებარე ბინაზე აუქციონის ხელახლა ჩატარების დავალება მოითხოვა. მისი განმარტებით, პირველ საჯარო აუქციონზე გაიტანეს არა მისი კუთვნილი, არამედ არარსებული ხუთსართულიანი კორპუსის მე-5 სართულზე მდებარე ბინა, ასეთივე ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „სიტყვა და საქმეში“, რაც სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძველი გახდა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაში იყო შესული, თ. ბ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა,

სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს თ. ბ-ას კუთვნილ ბინაზე საჯარო აუქციონის ხელმეორედ ჩატარება დაევალა. მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, გადაწყვეტილება არ აღსრულდა.

მოსარჩელემ მოგვიანებით, იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მოთხოვნა სააღსრულებო წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა, შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და სააღსრულებო ბიუროსთვის . . . აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა. თ. ბ-ას მტკიცებით, ეს თანხა წარმოადგენდა ზიანს, რაც მან განიცადა აუქციონზე გატანილი ქონების რეალიზაციის შეჩერებით, რის გამოც იძულებული გახდა გაეყიდა საცხოვრებელი სახლი და უბინაოდ დარჩა.

2. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ, ქ. თბილისის სააღსრულებო ბიუროს მის სასარგებლოდ . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააღსრულებო ბიურომ და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

აპელანტის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე და 413-ე მუხლები, ვინაიდან აღნიშნული ნორმები მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავებში გამოიყენება იმ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც სავარაუდოდ ცნობილი იყო მოვალისათვის, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

4. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით თბილისის სააღსრულებო ბიუროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რაიონულმა სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა რა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე სწორად განმარტა, რომ იგი წარმოადგენდა ზოგად ნორმას, ამასთანავე, სააპელაციო სასამართ-

ლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ ზიანის ანაზღაურების საფუძვლად დასახელებულ, ასევე, საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 411-ე, 414-ე და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლების გამოყენება. პალატამ ჩათვალა, რომ კანონის აღნიშნული ნორმების გამოყენება გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კანონის ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევას ექნებოდა ადგილი, რა დროსაც არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურების ვალდებულება დგება.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებლის მოქმედება, აუქციონის საგნის შესახებ ინფორმაციის შეცდომით გამოქვეყნება, მოვალისთვის წინასწარ ცნობილ, სავარაუდო ზიანად არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო და როგორც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგი, ისე უნდა ყოფილიყო განხილული.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააღსრულებო ბიუროს, როგორც სახელმწიფო ორგანოს, პასუხისმგებლობა მოსარჩელის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგებოდა, თუ მოსამსახურე სამსახურებრივ მოვალეობას განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვევდა, რაც საქმეში არსებული მასალებით არ დასტურდებოდა.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. მ-ძემ, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა უსაფუძვლოდ მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ზიანის ანაზღაურების საფუძველი, თუმცა რა შემთხვევაში დადგებოდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, არ მიუთითა.

კასატორმა მიუთითა აღმასრულებლის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობაზე, რაც, მისი აზრით, ზიანის ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენდა.

6. საკასაციო პალატის განჩინებით დ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო სა-

სამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, ამასთან, არ შეაფასა საქმეში არსებული გარემოებები.

საკასაციო სასამართლომ მოიხმო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავი, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობაა დადგენილი და განმარტა, რომ 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს.

საკასაციო სასამართლომ ნიშანდობლივად მიიჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მოცემულისაგან განსხვავებულ წესს ადგენდა და განმარტა, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი). ყურადსაღები იყო ის გარემოება, რომ მოცემული ნორმები ზიანის მიმყენებლის ბრალის ფორმას არ აკონკრეტებდა და სავარაუდოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ანაზღაურებას ექვემდებარებოდა ნებისმიერი ზიანი, რომელიც გამოწვეული იყო მისი თანამდებობის პირის ან მოსამსახურის მოქმედებით, მიუხედავად ამ უკანასკნელის განზრახვისა.

საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ სასამართლო აღმასრულებელმა აუქციონის გამოცხადებისას გაზეთში, ნაცვლად მოვალე თ. ბ-ას ბინისა, მდებარე, თბილისში, . . . , გამოაქვეყნა ინფორმაცია სხვა ბინის, კერძოდ, არარსებული ხუთსართულიანი სახლის მე-5 სართულზე არსებული ბინის გასაყიდად აუქციონის ჩატარების თაობაზე, რის გამოც აუქციონი არ ჩატარდა და კრედიტორმა – დ. მ-ძემ ვერ შეძლო კუთვნილი თანხის დროულად მიღება (რამდენად

არ იყო მოცემულ შემთხვევაში აღმასრულებლის უხეში გაუფრთხილებლობა, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი საერთოდ არ გამხდარა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს აღმასრულების ქმედებით, კერძოდ, მის მიერ გასაყიდად მიქცეული ბინის არასწორი მისამართის მითითებით, რეალურად შეილახა თუ არა მოსარჩელის ინტერესები და მიადგა თუ არა მას ზიანი.

თავი VIII. სხვა სახის სარჩელები ზიანის ანაზღაურებაზე

1. სახელმწიფო წყობილების შეცვლა არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს 1991 წლამდე მიღებული ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
8 ივნისის № ბს-1307-1101-კ-04 გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ნ. გ. და ფ. ხ-ძეებმა ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი აღძრეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიმართ და მოითხოვეს მოპასუხისთვის მათ სასარგებლოდ ფულადი კომპენსაციის – . . .შშ დოლარისა და ქირის სახით გადახდილი თანხის – . . . აშშ დოლარის დაკისრება.

მოსარჩელეები თავიანთ მოთხოვნას აფუძნებდნენ შემდეგ გარემოებებზე:

1988 წლის იანვარში მოსარჩელეებს სტიქიური უბედურების შედეგად დაენგრათ საცხოვრებელი სახლი და დაეღუპათ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. მოსარჩელეთა საცხოვრებელი ტერიტორია, გეოლოგიური დასკვნის შედეგად, გამოცხადდა საშიში გეოლოგიური პროცესების აქტიურ ზონად და შეუძლებელი გახდა მიწის ნაკვეთით სარგებლობა, რის გამოც ისინი იძულებულები გახდნენ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილი.

1988 წელს საცხოვრებელი ბინითა და მიწის ნაკვეთით დაკმაყოფილების შესახებ მოსარჩელეთა განცხადება განსახილველად გადაეგზავნა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს, რომელმაც დაზარალებულებს შესთავაზა დასახლებულიყვნენ ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის მეურნეობაში, რომლის ხელმძღვანელობაც მათ უზრუნველყოფდა როგორც საცხოვრებელი ბინით, ასევე მიწის ნაკვეთითა და სამუშაოთი.

აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს მიმართვის საფუძველზე, ხულოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა 1988 წლის ივნისში მიიღო გადაწყვეტილება და დაზარალებულები ჩაასახლეს

ცეცხლაურის მეურნეობაში, რომლის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული მეურნეობა მათ წინაშე არანაირ ვალდებულებას არ კისრულობდა, რის გამოც 1988 წლის იანვრიდან, ერთი წლის განმავლობაში, შეხიზნულები იყვნენ ნათესავთან, ხოლო 1989 წლიდან სარჩელის წარდგენამდე ცხოვრობდნენ ქ. ბათუმში, ნაქირავებ ბინაში.

მოსარჩელეები აღნიშნავდნენ, რომ სტიქიური უბედურებით მიყენებულმა ზიანმა წარმოშვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დაუყოვნებლივ და სამუდამოდ წასვლის აუცილებლობა, მათ დაკარგეს მიწა და თავის რჩენისა და შემოსავლის ძირითადი წყარო – მსხვილფეხა პირუტყვი, რის გამოც მათ, როგორც დაზარალებულებს, უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდათ საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეებმა მოითხოვეს აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოსთვის, რომელსაც ევალებოდა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მოსარჩელეთა სასარგებლოდ ფულადი კომპენსაციის – . . . აშშ დოლარის, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების სახით, 1989 წლიდან სარჩელის აღძვრამდე ბინის ქირავნობისთვის გადახდილი თანხის – . . . აშშ დოლარის დაკისრება.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. გ. და ფ. ხ-ძეების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქმე რამდენჯერმე განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ. ბოლოს, აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით. ნ. გ. და ფ. ხ-ძეების სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. გ. და ფ. ხ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

3. საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ

დააკმაყოფილა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოცემული საქმის განხილვისას გამოყენებულ უნდა ყოფილიყო ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რადგან საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ მხარეები წინააღმდეგი არ იყვნენ, ერთმანეთს შორის ურთიერთობა მოეწესრიგებინათ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მეშვეობით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა არა ბუნებრივი სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი, არამედ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს (ამჟამად აჭარის ა/რ მთავრობა) მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, ხოლო ის ფაქტი, რომ ზიანი მიყენებული იყო ბუნებრივი სტიქიური მოვლენების და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, არ ასაბუთებდა სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობას.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოტივაცია, რომ, რადგანაც აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს (ამჟამად აჭარის ა/რ მთავრობას) რაიმე გარიგება დაზარალებულებთან არ დაუდია, ხოლო მათი ბინით დაკმაყოფილება არ მოხერხდა სახელმწიფო წყობილების შეცვლის გამო, ამიტომ მოსარჩელეების მოთხოვნა აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს (ამჟამად აჭარის ა/რ მთავრობა) მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას, რომ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს არ აუღია სტიქიით დაზარალებულების შესაბამისი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის ვალდებულება, არამედ იგი, როგორც სახელმწიფო ორგანო ღებულობდა ზომებს, რათა შეექმნა დაზარალებულთათვის ნორმალური საცხოვრებელი პირობები.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 6 მაისის №220 დადგენილების 1-ლი პუნქტის თანახმად, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა სტიქიის გამო უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, ხოლო აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 29 მაისის №178 დადგენილების მე-8 პუნქტის თანახმად, ქობულეთისა და ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოე-

ბის აღმასკომებს დაევალათ ოჩხამურის აგროსამრეწველო კომბინატის ტერიტორიაზე სამოცდაათბინიანი სახლის, ხოლო თხილნარის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ოცდაოთხბინიანი სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთების შერჩევა და გამოყოფა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების საფუძველზე აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს ვალდებულება წარმოეშვა კანონის საფუძველზე, ხოლო სახელმწიფო წყობილების შეცვლამ არ გაათავისუფლა აჭარის ა/რ ამჟამინდელი მთავრობა მისი შესრულების მოვალეობისგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომჩათვალა, რომ აჭარის ა/რ მთავრობა ვალდებული იყო მოსარჩელეებისათვის აენაზღაურებინა სტიქიით მიყენებული ზიანი, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წარმოეშვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 6 მაისის №220 დადგენილებისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1990 წლის 29 მაისის №179 დადგენილების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოტივაცია სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატამ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი, რის გამოც არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კასაციის საფუძველი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებში არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მოსარჩელეებმა არაერთხელ მიმართეს სახელმწიფო ორგანოებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ ნ. გ. და ფ. ი ხ-ძეებს არ ჰქონდათ გაშვებული სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სასარჩელო მოთხოვნა ზიანის შეფასების ნაწილში. მოსარჩელეებმა ვერ დაასაბუთეს მათ მიერ მითითებული ბინის ქირის . . . აშშ დოლარის გადახდის ფაქტი, რის გამოც ამ ნაწილში მათ უარი ეთქვათ მოთხოვნის და-

კმაყოფილებაზე. რაც შეეხება საცხოვრებელი სახლის შესაძენად მითითებულ თანხას . . . აშშ დოლარს, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თანხის აღნიშნული ოდენობაც არ იყო დასაბუთებული, რის გამოც საკასაციო სასამართლომ, საქართველოში არსებული საბაზრო ფასების გათვალისწინებით, გონივრულად მიიჩნია აჭარის ა/რ მთავრობისთვის მოსარჩელეების – ნ. გ. და ფ. ხ-ძეების სასარგებლოდ საცხოვრებელი სახლის შესაძენად ... ლარის დაკისრება.

2. საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლში მოცემულ სახელმწიფოს საშინაო ვალდებულებათა ჩამონათვალში მიუთითებლობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს სხვა სამართლებრივი აქტით ნაკისრი, ზიანის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
29 ივნისის № ბს-423-13-კ-05 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. რ. ა-მა, ბ. შ-ძემ, გ. ლა-ძემ და ბ. ტ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს საჩხერის რაიონის სასამართლოს მოპასუხე სს „დ- ტის“ მიმართ მოსარჩელეთა სასარგებლოდ ლარის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელეები სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდნენ, რომ მოპასუხე სს „დ–ტი“ წარმოადგენდა დარკვეთის საშენ მასალათა კომბინატის უფლებამონაცვლეს, რომელსაც საჩხერის რაიონის სოფ. იცქისის ტერიტორიაზე გააჩნდა ქვიშის მოსაპოვებელი კარიერი. კარიერის დამუშავების შედეგად დაიმეწყრა სოფ. იცქისი და სხვებთან ერთად დაინგრა მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლებიც, რის გამოც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წ. №42 დადგენილების საფუძველზე, მოსარჩელეებმა სს „დ-ტისაგან“, როგორც დარკვეთის საშენ მასალათა კომბინატის უფლებამონაცვლისაგან, მოითხოვეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოპასუხის შუამდგომლობით, საჩხერის რაიონული სასამართლოს განჩინებით, საქმეში მოპასუხედ ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელმაც სარჩელი არ ცნო ხან-

დაზმულობის მოტივით, ამასთან, მიიჩნია, რომ იგი არასათანადო მოპასუხეს წარმოდგენდა.

2. საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაეკისრა სხვადასხვა ოდენობით თანხების გადახდა.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქმე არაერთხელ განიხილა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლომ. საბოლოოდ, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა საჩხერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით შემცირდა ფინანსთა სამინისტროსათვის მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაკისრებული თანხები ოდენობა.

4. საკასაციო საჩივრით ფინანსთა სამინისტრომ მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა.

კასატორის განმარტებით, არასწორი იყო სასმართლოს დასკვნა, თითქოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №42 დადგენილებით სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა, აენაზღაურებინა მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანი, მაშინ, როდესაც სახელმწიფომ კი არ აღიარა თავისი ბრალეულობა, არამედ შესაბამის სამინისტროებს დაავალა მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა.

ამასთან, დადგენილი იყო, რომ მოსარჩელეებს ზიანი მიადგათ ქვიშის არასწორი მოპოვების შედეგად დარკვეთის საშენ მასალათა კომბინატის მიერ, რომლის უფლებამონაცვლეც იყო სს „დ-ტი". ამიტომაც, სახეზე იყო ზიანის მიმყენებელი და მისი უფლებამონაცვლეც, რომელსაც უნდა აენაზღაურებინა იგი.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წ. 9 თებერვლის №42 დადგენილებაში მითითებული სამინისტროების ლიკვიდაციის გამო, სახელმწიფო წარმოადგენდა მათ უფლებამონა-

ცვლეს.

სასამართლოს მიერ ფინანსთა სამინისტროს სახით სახელმწიფოს მოვალედ ცნობა უსაფუძვლო იყო, რადგანაც არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ" 1-ლი მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებს, რომლებითაც განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფო ვალისა და საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის ცნებები. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მიმართ სახელმწიფოს არ გააჩნდა რაიმე ვალდებულება. დასახელებული კანონის 48-ე მუხლით განსაზღვრული იყო ამ კანონის მიღებამდე სხვადასხვა სახელმწიფოს საშინაო სავალო ვალდებულებები, რომელთა რიცხვშიც არ შედიოდა სარჩელში მოხსენიებული ვალდებულება.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია სააპელაციო პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სს „დ-ტი" წარმოადგენდა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დარკვეთის საშენ მასალათა კომბინატის სამართალმემკვიდრეს, რომელსაც საჩხერის რაიონის სოფ. იცქისის ტერიტორიაზე გააჩნდა ქვიშის მოსაპოვებელი კარიერი, რომლის დამუშავების შედეგად დაიმეწყრა სოფ. იცქისი და სხვებთან ერთად დაინგრა მოსარჩელეთა საცხოვრებელი სახლებიც. საჩხერის რაიონის სოფ. იცქისის დაზარალებულ მოსახლეობას სახელმწიფომ გამოუყო მიწის ფართობი და აუშენა საცხოვრებელი სახლები, რითაც სახელმწიფომ ნაწილობრივ შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987წლის 9 თებერვლის №42 დადგენილების მოთხოვნები.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია და საკასაციო სასამართლოც დაეთანხმა, რომ მეწყერის შედეგად საჩხერის რაიონის სოფ. იცქისის დაზარალებული მოსახლეობისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება აიღო სახელმწიფომ და მოსახლეობის ნაწილის მიმართ შეასრულა კიდეც იგი. ამასთანავე, მოსარჩელეების მიმართ სახელმწიფოს არ შეუსრულებია თავისი ვალდებულება, რის გამოც მოსარჩელეთა მოთხოვნას სახელმწიფოს მიმართ სამართლებრივი საფუძველი გააჩნია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ფინანსთა სამინისტროს, როგორც სახელმწიფოს ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააპელაციო პალატამ სწორად დააკისრა სასარჩელო მოთხოვნების შესაბამისად მოსარჩელეთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის მოსაზრება, რომ, რადგანაც სარჩელში მითითებული ვალდებულება არ არის გათვალისწინებული საქართველოსკანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლით განსაზღვრულ, ამ კანონის მიღებამდე არსებულ სხვადასხვა სახელმწიფო საშინაო ვალდებულებებში, ამიტომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სახელმწიფოს ვალდებულება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 48-ე მუხლში სახელმწიფოს საშინაო ვალდებულების მიუთითებლობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს მისი შესრულების მოვალეობისაგან.

3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელის აღძრის უფლების სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურება არ ნიშნავს სასამართლოს მიერ ზიანის არსებობის ფაქტის აღიარებას და არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
11 თებერვლის № ბს-929-788-კ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. შპს „ტ-ნის“ გენერალურმა დირექტორმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში სარჩელი აღძრა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ფ. . .ის“ მიმართ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

სარჩელში აღნიშნული იყო, რომ 1997 წლის 1 თებერვალს შპს „ტ-ნსა“ და ფოთის ნავსადგურს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. მხარეების მიერ ხელშეკრულებით აღიარებული ურთიერთვალდებულებები სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად შევიდა

კანონიერ ძალაში.

ფოთის ნავსადგურის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო შპს „ტ-ნმა“ ნავსადგურის წინააღმდეგ სარჩელით მიმართა ქ. ფოთის სასამართლოს და მოითხოვა . . . ლარის ანაზღაურება.

საქმე არაერთხელ განიხილეს სასამართლოებმა დაბოლოს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ტ-ნის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ფოთის ნავსადგურს შპს-ს სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარისა და ადვოკატის ხარჯების – . . .ლარის, სულ, . . . ლარის გადახდა.

გადაწყვეტილების საფუძველზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც დასახელდა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-4 აბზაცის მე-6 სტრიქონში მიეთითა, რომ სამოქალქო კოდექსის 411-ე მუხლი ადგენს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლისათვის, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ ჰქონია.

მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 403-ე და 411-ე მუხლების საფუძველზე უფლებამოსილი იყო, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გარდა, მოპასუხისაგან მოეთხოვა იმავე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება კანონით დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ოდენობით.

აქვე მოსარჩელემ მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის არსებობის მიუხედავად, ფოთის ნავსადგურმა დაარღვია დავალიანების დაფარვის ყველა ვადა, იგი დაგვიანებით დაფარა, ამიტომაც უნდა დაკისრებოდა ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელე მოითხოვდა ფასიანი ქაღალდების დაუბრუნებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასაც. შპს „ტ-ნი“ აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ფოთის ნავსადგურმა, გადაცემული საგარანტიო წერილის სანაცვლოდ, მოითხოვა და ჩაიბარა შპს „ტ-ნის“ კუთვნილი . . . ცალ აქციაზე საკუთრების დამადასტურებელი სერტიფიკატის

ორიგინალი, რომელიც მას უნდა დაებრუნებინა ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე. მიუხედავად არაერთჯერადი თხოვნისა, მოპასუხემ სერტიფიკატი დაგვიანებით დააბრუნა. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მისი ქონების გაუმართლებელმა და უკანონო დაყადაღებამ მიაყენა . . . ლარის ზიანი, ხოლო ამ თანხის გადაუხდელობის გამო დარიცხულმა საურავმა შეადგინა . . . ლარი. მოსარჩელე ასევე მოითხოვდა ადვოკატის მომსახურების ხარჯებს სადავო თანხის 4%-ის ოდენობით, რაც შეადგენდა . . . ლარს, საბოლოოდ, სასარჩელო მოთხოვნის თანხამ ჯამში შეადგინა . . . ლარი.

2. სსიპ „ფ-მა" სარჩელი არ ცნო. მისი აზრით, შპს „ტ-ნს" უფლება ჰქონდა მოეთხოვა არა პირგასამტეხლო, არამედ შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტი, რადგან სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ორი დამოუკიდებელი ზომის გამოყენება ერთსა და იმავე სამოქალაქო ვალდებულებების დარღვევისათვის მიუღებლად მიაჩნდა. მისი აზრით, ასევე დაუშვებელი იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, რადგან ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულება მოვალეს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოვალის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.

მოპასუხის აზრით, არასწორი იყო სასარჩელო მოთხოვნაზე საურავის დარიცხვის წესი. მოსარჩელე საურავს არიცხავდა სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი დავალიანების მთლიან თანხას, მაშინ, როდესაც საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია, პროცენტიდან პროცენტის გადახდა. სევე, მართებული არ იყო საურავის დარიცხვის სამართლებრივ საფუძვლად საქართველოსსაგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის გამოყენება, რადგან კერძო ურთიერთობებში საგადასახადო კოდექსი არ გამოიყენება.

შპს „ტ-ნის" კუთვნილი აქციების სერტიფიკატის დაუბრუნებლობით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურების ნაწილში, მოპასუხემ სარჩელი ხანდაზმულად მიიჩნია.

3. ქ. ქუთაისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმთა კოლეგიის გადაწყვეტილე-

ბით, შპს „ტ-ნის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ფოთის საზღვაო ნავსადგურს შპს „ტ-ნის“ სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს გადახდა.

ურთიერთშეთანხმებით, გადაწყვეტილების აღსრულება ეტაპობრივად განხორციელდა და საბოლოოდ, გადასახდელი თანხა დაიფარა. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე ფოთის ნავსადგურმა საგარანტიო წერილის სანაცვლოდ, შპს „ტ-ნის“ კუთვნილი . . . ცალი აქციის სერტიფიკატი დაგვიანებით დააბრუნა.

სასამართლო კოლეგიამ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პირგასამტეხლო დავალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის და კანონით განსაზღვრული პროცენტი წარმოადგენდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვადასხვა ფორმას, რომელთაგანაც პირგასამტეხლო სახელშეკრულებო, ხოლო პროცენტი – არასახელშეკრულებო ხასიათისა იყო. ამიტომ, მათი გამოყენება ერთი და იმავე სამოქალაქო ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო კანონმდებლობით არ იყო დაშვებული. ამასთან, როგორც პირგასამტეხლო, ასევე კანონით გათვალისწინებული პროცენტი უნდა დარიცხოდა მხოლოდ ფულადი ვალდებულების ძირითად თანხას.

სასამართლო კოლეგიამ დაუშვებლად მიიჩნია საქართველოსსაგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის გამოყენება, რადგან მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობა წარმოშობილი იყო კერძო სამართლის იურიდიულ პირებს შორის სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე, ხოლო დასახელებული ნორმა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში მოქმედებდა.

სასამართლო კოლეგიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ზიანის ანაზღაურების დასასაბუთებლად მოსარჩელის მიერ საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლზე მითითება, რადგან დასახელებული მუხლის მიხედვით, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სასამართლომ ჩათვალა, რომ მიუღებელი შემოსავალი უნდა ყოფილიყო რეალური, რაც მოსარჩელემ ვერ დაასაბუთება.

სასამართლო კოლეგიამ შპს „ტ-ნის" კუთვნილი . . . ცალი აქციის დაუბრუნებლობით გამოწვეული ზიანის ნაწილში მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია და ამ საფუძვლით არ დააკმაყოფილა.

4. საკასაციო საჩივრით შპს „ტ-ნმა" მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად, ძირითადად, სარჩელში მითითებულ გარემოებებს ასახელებდა, მასვე მიაჩნდა, რომ სამართლომ არასწორად გამოიყენა და არაამართებულად განმარტა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლი.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ფოთის საზღვაო ნავსადგურს შპს „ტ-ნის" სასარგებლოდ დაეკისრა ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ძირითადი დავალიანების და პირგასამტეხლოს, სულ . . . ლარის გადახდა. გადაწყვეტილება აღსრულდა ეტაპობრივად და საბოლოოდ, თანხა დაიფარა. ფოთის საზღვაო ნავსადგურსა და შპს „ტ-ნს" შორის არსებული გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე, ფოთის ნავსადგურმა საგარანტიო წერილის სანაცვლოდ ჩაიბარა შპს „ტ-ნის" კუთვნილი აქციები, რომლებიც კონკრეტულ ვადაში უნდა დაებრუნებინა.

კასატორის (მოსარჩელის) მოთხოვნა ეფუძნებოდა სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის დაგვიანების გამო მიყენებული ზიანის, მიუღებელი შემოსავლისა და ფასიანი ქაღალდების უკანონო დაკავების შედეგად მიუღებელი მატერიალური ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა კასატორის ამ მოსაზრებას და დაადასტურა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს, მოითხოვოს ვადის გადაცილების გამო გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამასთანავე, საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლს, რომლის თანახმად, ანაზღაურებას

ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

კასატორს ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულება არ მოუთხოვია და სადავოდ არ გაუხდია გრაფიკი, რომლითაც დადგენილი იყო გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხების ეტაპობრივ გადახდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოვალისათვის შეუძლებელი იყო იმ შესაძლო ზიანის ვარაუდი, რაც თან მოჰყვებოდა მის ქმედებას. იმავე გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია ქვემდგომი სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე მითითება და დაადასტურება, რომ მოვალის მხრიდან ადგილი არ ჰქონდა განზრახ ან გაუფრთხილებელ მოქმედებას, რაც ამავე მუხლის საფუძველზე, გამორიცხავდა მის პასუხისმგებლობას.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია კასატორის პრეტენზია სასამართლოს მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის გამოუყენებლობის არამართებულობაზე და განმარტა, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრამდე, მოსარჩელე ვალდებული იყო დაედასტურებინა ზიანის წარმოშობის ფაქტი და მისგან გამომდინარე, საკუთარი უფლება – მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება.

კასატორი (მოსარჩელე) თავის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების ნაწილში აფუძნებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლს, რომლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია ამ დებულებას და დაეთანხმა სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ მიუღებელი შემოსავალი უნდა იყოს რეალური და დასაბუთებული და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მარტოოდენ ვარაუდს შესაძლო მოგების მიღების თაობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კასატორის მხრიდან საქმის განხილვის ვერც ერთ სტადიაზე წარმოდგენილი და დადასტურებული ვერ იქნა მიუღებელი შემოსავალი, საკასაციო

სასამართლომ მართებულად მიიჩნია საოლქო სასამართლოს მსჯელობა მოთხოვნის დაუსაბუთებლობის თაობაზე და ჩათვალა რომ მხარეს მართებულად ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე უსაფუძვლოს წარმოადგენდა კასატორის პრეტენზია ხანდაზმულობის ნაწილში და მიიჩნია, რომ სასამართლო კოლეგიის მხრიდან ხანდაზმულობის გამოყენებისას ადგილი არ ჰქონდა კანონის ნორმათა დარღვევას. თვით კასატორი ადასტურებდა, რომ აქციები შპს „ტ-ნს" უნდა დაბრუნებოდა ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე. აქციები დააბრუნეს დაგვიანებით. კასატორი მიიჩნევდა, რომ დროის ამ შუალედში მოპასუხე უკანონოდ ფლობდა მის აქციებს, რისთვისაც ამ უკანასკნელს ეკისრებოდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან და ასეთად ჩაითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ დაადასტურა, რომ შპს „ტ-ნს" აქციების დაბრუნების მომენტში, ე.ი. 2000 წლის 12 იანვარს, წარმოეშვა სსიპ „ფ-სადმი" მოთხოვნის უფლება, რაც ზემოაღნიშნული მუხლის პრინციპებიდან გამომდინარე, იძლეოდა საფუძველს, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაეკავშირებინა აქციების დაბრუნების მომენტისათვის, რამაც, თავის მხრივ, საკასაციო სასამართლოს მისცა საფუძველი მართებულად მიეჩნია ქუთაისის საოლქო სასამართლოს მსჯელობა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყებულიყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან და მიუთითა:

შპს „ტ-ნის" მოთხოვნას წარმოადგენდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება. მხარეს არ მოუთხოვია აქციების სასამართლო წესით დაბრუნება და არც აქციების მისთვის დაბრუნება არ უკავშირდება სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე იძულებით აღსრულებას. შესაბამისად, უსაფუძვლოს წარმოდგენდა ხანდაზმულობის ვადის სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირება და ამიტომაც დაუშვებელი იყო საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენება.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ზიანის ანაზღაურების მოთხვნით სარჩელის აღძვრის უფლების დადასტურება არ ნიშნავს სასამართლოს მიერ ზიანის არსებობის ფაქტის აღიარებას და, თავის მხრივ, არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას.

4. ფინანსთა სამინისტროს სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველს არ წარმოადგენს საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირების გამო, დარგობრივი სამინისტროს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით ზიანის მიყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
6 ივლისის № ბს-316-250-კ-05 გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2004 წლის 17 სექტემბერს სს „ი-ნმა" სარჩელი აღძრა თბილისის საოლქო სასამართლოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ შესრულებული სამუშაოების ღირებულებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2003 წლის 11 ივლისს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან დადო ხელშეკრულება ქ. თბილისში გაზგამანაწილებელი ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე. მათ იკისრეს ვალდებულება, შეესრულებინათ სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოპასუხეს კი ხელშეკრულების 5.2 მუხლის თანხმად, დაეკისრა ვალდებულება აენაზღაურებინა ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

მოსარჩელის განმარტებით, მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებები სრულდებოდა დროულად, სრულად და კეთილსინდისიერად, მოპასუხე კი სისტემატურად არღვევდა მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობებს. ამიტომაც, ისინი შეთანხმდნენ ხელშეკრულების ახალ პირობებზე, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა 2003 ნლის 19 სექტემბრის დამატებით შეთანხმებაში.

2003 წლის 19 სექტემბრის დამტებითი შეთანხმების შესაბამ-

ისად, სამუშაოთა შესრულების ვადები ახლებურად განისაზღვრა.

მოპასუხე მხარემ კვლავ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რითაც მიადგათ მნიშვნელოვანი ზიანი, რაც ვადაგადაცილებულ თვეზე შეადგენს 3%-ს და სულ – . . . ლარს. მოპასუხის მიერ, ასევე, არ იქნა გადარიცხული 2004 წლის პირველ კვარტალში ხელშეკრულებით გათვალისწინებული . . .ლარი, რისი გადარიცხვის შემთხვევაშიც საზოგადოება მიიღებდა მოგებას – 12%-ს, რაც შეადგენს . . . ლარს. მოსარჩელის განმარტებით, სარჩელის წარდგენის მომენტისათვის მოპასუხეს შესრულებული სამუშაოებისათვის ასანაზღაურებელი ჰქონდა . . . ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა: 1) შესრულებული სამუშოების ღირებულების . . . ლარის; 2) თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო . . . ლარის; 3) ბანკიდან აღებული კრედიტორისთვის პროცენტის სახით გადახდილი თანხის – . . . ლარის; 4) ზიანის ასანაზღაურებელ თანხაზე ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე გადაწყვეტილების აღსრულებამდე 3%-ის და 5) მიუღებელი შემოსავლის – . . . ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობით, საქმეში მესამე პირად ჩაება ფინანსთა სამინისტრო, რომელიც შემდგომ დასახელებულ იქნა მოპასუხედ.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სს „ი-ნის" სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელის სასარგებლოდ ა) ... ლარის ოდენობით შესრულებული სამუშაოების ღირებულების გადახდა; ბ) . . . ლარის ოდენობით, ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის, ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 3%-ის გადახდა გ) . . . ლარის ოდენობით ბანკიდან აღებული კრედიტის სარგებლობისათვის დამატებით გადახდილი პროცენტის გადახდა.

დანარჩენ ნაწილში სს „ი-ნის" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლო კოლეგიამ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" სათბობ-

ენერგეტიკის სამინისტრო ვალდებული იყო, განეხორციელებინა სახელმწიფო შესყიდვა ფინანსთა სამინისტროს მიერ მისთვის გამოყოფილი თანხით. დადასტურებული იყო, რომ თბილისში გაზგამანაწილებელი ქსელების სარეაბილიტაციოდ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილი . . . ლარიდან მას ფაქტობრივად ჩაერიცხა მხოლოდ . . . ლარი. აღნიშნული წარმოადგენდა ხელშეკრულების შეუსრულებლობაში ბრალეული პირების, ორივე მოპასუხის სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა კრედიტორის ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ შეასრულებს. ენერგეტიკის სამინისტროს კი შესრულებული სამუშაოებისათვის ყოველი თვის 15 რიცხვში თანხა უნდა ჩაერიცხა სს „ი. . .ნს", რაც მას არ განუხორციელებია და რითაც გადააცილა გადახდის ვადას. ამავე კოდექსის 391-ე მუხლით, კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მიადგა მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო. სასამართლო კოლეგიის მოსაზრებით, მოპასუხეებმა ვადა გადააცილეს თავიანთი ბრალეული მოქმედებით.

სასამართლო კოლეგიამ ბანკიდან კრედიტის სახით გამოტანილი თანხის სარგებლობისათვის დარიცხული პროცენტის მოპასუხეთათვის დაკისრების თაობაზე განმარტა: სს „. . .მა" ბანკიდან სესხი გამოიტანა იმის გამო, რომ მას მოპასუხეებმა შესრულებული სამუშაოებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა არ ჩაურიცხეს. კრედიტის გამოტანის შესახებ მოპასუხეები ინფორმირებულები იყვნენ და მათ სს „. . .-ს".კომერციულ ბანკებთან რეკომენდაცია გაუწიეს. კრედიტის გამოტანის დროს სს მოქმედებდა საჯარო ინტერესებისა და მოპასუხეთა სასარგებლოდ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, რაც მოპასუხეებმა დაარღვიეს. სასამართლომ ეს გარემოება მიიჩნია მოპასუხეებისათვის სს „ი-ნის" მიერ ბანკიდან აღებული კრედიტის სარგებლობისათვის დამატებით გადახდილი პროცენტის სოლიდარულად ანაზღაურების საფუძვლად.

თანხების სოლიდარულად დაკისრების საფუძვლად სასამართლო კოლეგიამ დაასახელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

456-ე მუხლი, რომლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. 2003 წლის 11 ივლისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს-ს შორის დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, მისი მე-11 მუხლის 11.1 პუნქტის საფუძველზე ძალაში შევიდა მისი მხარეთა მიერ ხელმოწერიდან და ფინანსთა სამინისტროში რეგისტრაციის დროიდან. ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერის საფუძველზე, რომლის პირობებითაც ტენდერში გამარჯვებული უნდა დაფინანსებულიყო სახელმწიფო ხაზინის სახსრებით. ასეთ შემთხვევაში, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროებისათვის მოსარჩელისათვის თანხის გადახდის ვალდებულება ფაქტობრივად განუყოფელი იყო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არასწორად მიიჩნია რა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად სოლიდარულად თანხების ანაზღაურების დაკისრება, ამ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის უარყოფა, ამასთან, მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

ფინანსთა სამინისტრო არ წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „ი-ეს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებების მხარეს და შესაბამისად, მას არანაირი ვალდებულება არ შეიძლებოდა დაკისრებოდა. ფინანსთა სამინისტროს მიერ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსათვის გამოყოფილ . . . ლარის ნაცვლად რეალურად . .. ლარის ჩარიცხვის თაობაზე კასატორმა მიუთითა, რომ სს „ი-სა“ და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილ იქნა ვალდებულება მხოლოდ . . . ლარის გადარიცხვის მოთხოვნით და სხვა თანხის გადარიცხვაზე სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურში მოთხოვნა არ წარუდგენია. შესაბამისად, სხვა ოდენობით თანხის გადარიცხვა ვერ განხორციელდებოდა. ამასთან, კასატორის მითითებით, აღნიშნული საკითხი მიეკუთვნება ორ სამინისტროს შორის სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს და მოცემულ საქმესთან შემხებლობა არ აქვს.

კასატორმა მართებულად არ მიიჩნია სასამართლო კოლეგიის მითითება საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 390-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 391-ე მუხლზე, რადგან დასახელებული ნორმები ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც კრედიტორი არ იღებს მისთ-

ვის შეთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია, ხოლო სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შესრულების მიღების ვადა არ გადაუცილებია. გარდა ამისა, კრედიტორს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა უშუალოდ იმ მოვალის მიმართ, რომელმაც დაარღვია მის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, ხოლო ამ შემთხვევაში, კასატორის განმარტებით, ფინანსთა სამინისტრო არ წარმოადგენდა მოვალეს და შესაბამისად, არც ვალდებულება დაურღვევია. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის შესაბამისად, სს „ი-ნს" უფლება ჰქონდა მოეთხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა, რაც მას არ განუხორციელებია.

3. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ საკასაციო საჩივრით მოითხოვა რა გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სს „ი-ნის" სასარჩელო განცხადება და ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროებს სოლიდარულად დაეკისრათ . . . ლარის სს „ი-ნისათვის" გადახდა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, მოუთითა შემდეგ გარემოებებზე:

ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო სახელმწიფო ბიუჯეტში ენერგოსისტემისათვის გამოყოფილი ასიგნებების ოდენობის შემცირებით და იმ გარემოებით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სამინისტროსათვის გამოყოფა არ განხორციელდა.

კასატორის განმარტებით, ენერგეტიკის სამინისტრო მოქმედებდა მისთვის საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამიტომაც სამინისტრომ „.ი-ნს" სრულად გადაურიცხა ფინანსთა სამინისტროსაგან მიღებული . . . ლარი. ამასთან, ენერგეტიკის სამინისტრო არის საბიუჯეტო დაწესებულება და იგი ხელმძღვანელობდა „ბიუჯეტის შესახებ" კანონით, რომელიც მკაცრად აკონკრეტებს გამოყოფილი ასიგნებების ხარჯვის მიზნობრიობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, კასატორის მითითებით, ენერგეტიკისა და ფინანსთა სამინისტროები წარმოდგენდნენ სახელმწიფოს. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრო ვალდებული იყო, ეწარმოებინა ასიგნებით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა.

სამინისტროსათვის სს „ი. . .-ნის" სასარგებლოდ ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 3%-ის ოდენობით დაკისრება, კასატორის განმარტებით, მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. პირგასამტეხლო შეიძლება დადგინდეს განსაზღვრული ფულადი თანხით, რომელიც უნდა გადაიხადოს იმ მხარემ, რომელმაც არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ვალდებულება. ეს არის ჯარიმა, ხოლო პირგასამტეხლო ითვალისწინებს გადახდევინების ვალდებულების შესრულებას ყოველი გადაცდენილი დღისათვის და მას საურავი ეწოდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე და 418-ე მუხლების შესაბამისად, პირგასამტეხლო წარმოადგენს მხრეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას და შეთანხმება მის შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში მითითებული არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, სამინისტროს აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება არ გააჩნდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც სასამართლო კოლეგიამ მოიშველია, კრედიტორმა უნდა აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მოვალეს შესრულებული ვალდებულების მიღების ვადის ბრალეული გადაცილების გამო მიადგა. ამ მუხლში საუბარია ბრალეულობაზე, რომელსაც ადგილი არ ჰქონდა, რადგან საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევა გამოწვეული იყო მისთვის შესაბამისი თანხების გადარიცხვის განუხორციელებლობით.

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი სრულად, ხოლო საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ, დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2003 წლის 11 ივლისს ტენდერში გამარჯვებულ სს „ი-ნსა" და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება თბილისში გაზგამანაწილებელი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე, რომლის ფასი განისაზღვრა . . . ლარით. 2003 წლის 27 სექტემბერს შეტანილ იქნა ცვლილებები საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში და გაზგმანაწილებელი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროგრამის დაფინანსება შემცირდა . . . მილიონი ლარით. ასიგნებათა შემცირებასთან დაკავშირებით, სს „ი-ნსა" და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს შორის 2003 წლის 19 სექტემბერს გაფორმდა დამატებითი შეთანხმება, რომლითაც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ სს „ი-ნის" დააფინანსების ვალდებულება განისაზღვრა . . . მილიონი ლარით.

2004 წლის 25 თებერვლისათვის გაზგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროექტი დაფინანსებული იყო . .. ლარით, ხოლო ამ დროისათვის სააქციო საზოგადოებას შესრულებული ჰქონდა . .. მილიონი ლარის ღირებულების სამუშაო. დადგენილი იყო და თვით საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ადასტურებდა, რომ მისი ვალი მიმწოდებლის – სააქციო საზოგადოებისადმი შეადგენდა . . . ლარს.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსთვის . . . ლარის დაკისრების ნაწილში მოთხოვნა საფუძვლიანი იყო და საოლქო სასამართლომ მართებულად გამოიყენა საქართველოსსამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სასამართლო კოლეგიის მოსაზრება, რომ ფინანსთა სამინისტროსგან თანხის მიუღებლობა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს არ ათავისუფლებდა შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებისგან, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლის შესაბამისად, მოვალე პასუხისმგებელია შესრულებისათვის მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ ვერ მიუთითა ვერც ერთ სახელშეკრულებო თუ კანონისმიერ საფუძველზე, რომელიც მას, როგორც მოვალეს, გაათავისუფლებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ურთიერთშორის დადე-

ბული ხელშკრულება სს „. . .-ს", როგორც კრედიტორს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, აძლევდა უფლებას მოეთხოვა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, რის გამოც მისი მოთხოვნა . . . ლარის ანაზღაურების ნაწილში საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ფინანსთა სამინისტროსთვის მითითებული თანხის სოლიდარულად დაკისრების თაობაზე საკასაციო საჩივრის მოტივთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ არც სასამართლოს და არც სააქციო საზოგადოებას არ დაუსახელებია გარემოება, რომელიც ფინანსთა სამინისტროსთვის ვალდებულების სოლიდარულად დაკისრების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები დადებული იყო სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და სს „ი-ნს" შორის, ფინანსთა სამინისტრო არ წარმოადგენდა მის მხარეს და შესაბამისად, მას ვერც დაეკისრებოდა მისგან გამომდინარე ვალდებულების შესრულება.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ის გარემოება, რომ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო უფლებამოსილი იყო ფინანსთა სამინისტროსგან მოეთხოვა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გამოყოფა, თავისთავად არ ქმნიდა სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს კრედიტორების მიმართ ფინანსთა სამინისტროს ვალდებულების წარმოშობისა და ამ უკანასკნელის სოლიდარული პასუხისმგებლობის საფუძველს, რის გამოც, საკასაციო სასამართლომ ფინანსთა სამინისტროს მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლოდ მიიჩნია.

ზიანის ანაზღაურებისა და საბანკო მომსახურების პროცენტის დაკისრების ნაწილში საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქმე საჭიროებდა დამატებით გამოკვლევას, რის გამოც იგი უნდა დაუბრუნებულიყო ხელახალი სასამართლო განხილვისთვის. კერძოდ, მოპასუხეებისათვის ვალის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 390-ე და 391-ე მუხლებზე, რომლებიც თავის მხრივ, არეგულირებს კრედიტორის მიერ ვალის გადაცილებისთვის გამოწვეული ზია-

ნის ანაზღაურების პირობებს, თუმცა მათ არ გააჩნდათ არანაირი სამართლებრივი შემხებლობა სასარჩელო მოთხოვნასთან.

საკასაციო სასამართლომ ასევე, დაუსაბუთებლად მიიჩნია გადაწყვეტილება ბანკიდან აღებული კრედიტის სარგებლობისთვის დამატებით გადახდილი პროცენტის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში და ჩათვალა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ გამომდინარეობდა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებიდან.

საკასაციო პალატის მოსაზრებით სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო გადაწყვეტილება ბანკის პროცენტის დაკისრების ნაწილში, რაც, ასევე, თავის მხრივ, საქმის მითითებული ნაწილის ხელახალი სასამართლო განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს წარმოადგენდა.

5. ქონებრივ და არაქონებრივ სასარჩელო მოთხოვნების თაობაზე საქმის განხილვისას ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებისას, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს არაქონებრივი სასარჩელო მოთხოვნის ღირებულებაც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 9 თებერვლის №ბს-1330-1315(კ-11) გადაწყვეტილება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. 2007 წლის 16 თებერვალს შპს „ნ-ამ“ სარჩელი აღძრა განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებით მიყენებული ზიანის – . . . ლარის, იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარისა და საქმეზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – . . . ლარის ანაზღაურების მოითხოვნით.

შპს „ნ-ამ“ ახალი სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიმართ, საქალაქო სამსახურის ბრძანებისა და მისგან წარმოშობილი იურიდიული შედეგების ბათილად ცნობის მოითხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებით,საქართველოსსამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ორივე სასარჩელო განცხადება გაერთიანდა ერთ სასამართლო წარმოებად. საქმის განხილვის პროცესში სასამართლო კოლეგიის განჩინებით საქმეზე თანამოპასუხედ მიეთითა ქ. თბილისის მერია.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, შპს „ნ. . .ას" სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში. . . განთავსებულ უკანონო დროებითი ნაგებობის დემონტაჟის შესახებ; მოპასუხეებს – ქ. თბილისის მერიასა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს შპს „ნ-ას" სასარგებლოდ მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – . . . აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარში) და . . . ლარის, ასევე ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარის ანაზღაურება დაეკისრათ.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ნ-ამ", რომელმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა. აპელანტებმა გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით შპს „ნ-ას" სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სააპელაციო საჩივრე-

ბი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება მოპასუხეებისათვის შპს-ს სასარგებლოდ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის 1000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ქ. თბილისის მერიასა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს შპს „ნ. . ას“ სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 55 ლარის ანაზღაურება დაეკისრათ; გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადებაზე და განმარტა, რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებდა მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი ადვოკატიიღებდა ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებდა მეორე მხარეს, მაგრამ ეს ხარჯები არ უნდა ყოფილიყო დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტზე მეტი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში იგულისხმებოდა მოგებული დავის საგნის და არა ზოგადად, სარჩელში მითითებული დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტის დაკისრება. ამიტომაც, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, რადგან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა 825 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების ნაწილში, მოპასუხეებს შპს „ნ-ას“ მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 825 აშშ დოლარის 4 პროცენტის ეკვივალენტი ლარის ოდენობით ანაზღაურება უნდა დაკისრებოდათ.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ნ-ამ“, რომელმაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით

სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ის ფაქტი, რომ შპს „ნ-ას" თავდაპირველად ორი სარჩელი ჰქონდა წარდგენილი, რომლებიც მოგვიანებით ერთ საქმედ გაერთიანდა. პირველი სარჩელით შპს „ნ-ა" ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანების ბათილად ცნობას, ხოლო მეორე სარჩელით მოპასუხეების მიერ აღნიშნული ბრძანების საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ პირველი მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა, ხოლო მეორე – ნაწილობრივ. ამიტომაც, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოპასუხეთათვის მხოლოდ 825 აშშ დოლარის 4%-ის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით, შპს „ნ-ას" საკასაციო საჩივარი მისი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „ნ-ას" საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურისათვის შპს „ნ-ას" სასარგებლოდ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 55 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ნ. -ას" სარჩელი, მოპასუხეებისათვის ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ქ. თბილისის მერიასა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს დაეკისრათ შპს „ნ-ას" სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 300 ლარის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო შემდეგ გარემოებებზე მითითებით: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით –, შპს „ნ-ას" საკასაციო საჩივარი მისი სააპელაციო

საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუშვებლად, ხოლო საკასაციო საჩივარი ადვოკატისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების ნაწილში მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ამიტომაც საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს მხოლოდ მოპასუხეთათვის მოსარჩელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 1000 ლარის დაკისრების საფუძვლიანობა წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ ნორმით განსაზღვრულია ადვოკატის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ოდენობის გამოთვლის წესი, რომელიც უნდა იყოს გონივრული და შეესაბამებოდეს დავის საგნის ღირებულებას, კერძოდ დადგენილია, რომ ქონებრივი დავის დროს ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, მოპასუხეებისათვის შპს „ნ-ას“ სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს-ს სასარჩელო მოთხოვნას ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობა და მის საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა. ამიტომაც, მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო არაქონებრივი დავიდან წარმოშობილი ქონებრივი დავა.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, შპს „ნ-ას“ სარჩელი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, 825 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების ნაწილში.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადებაზე, რომლის თანახმად, არაქონებრივი დავის დროს განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას 2 000 ლარამდე ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არაქონებრივი დავიდან გამომდინარე ქონებრივი დავა და შპს „ნ-ას“ სასარჩელო მოთხოვნა არაქონებრივ დავაზე (ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე) დაკმაყოფილდა სრულად, ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების მოთხოვნაც.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. მათი არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ გაწეული ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია.

საქმის მასალებში წარდგენილ სალაროს შემოსავლის ორდერის თანახმად, შპს „ნ-ას“ დირექტორს იურიდული ფირმისათვის გადახდილი აქვს ადვოკატის მომსახურების საფასური – 1000 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულების და განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, მოპასუხეებს – ქ. თბილისის მერიასა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს შპს „ნ-ას“ სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდათ ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის – 300 ლარის ანაზღაურება.

6. ადმინისტრაციული ორგანოს, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ საიჯარო ხელშეკრულების გაუფორმებლობა და არასაცხოვრებელი ფართის გადაუცემლობა, წარმოადგენს მხარისათვის სამეწარმეო საქმიანობის განუხორციელებლობით მიყენებულ ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის
22 აპრილის ბს-394-378(კ-08) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ჯ-მა და სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოსაგან . . .ლარის ოდენობით მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ცნობილ იქნა გამარჯვებულად ქ. ქუთაისში, . . . ქუჩის № 32-ში მდებარე . . . კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის კონკურსის წესით იჯარით გაცემის შესახებ ჩატარებული აუქციონის შედეგებით. სამმართველომ არ შეასრულა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და არ მიეცა საიჯარო ფართით სარგებლობის შესაძლებლობა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისადა პრივატიზების სამმართველოს დაევალა ქ. ქუთაისში, . . .ქუჩის № 32-ში მდებარე . . . კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე მოსარჩელესთან კანონით დადგენილი წესით საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მოსარჩელის არაერთი მიმართვის მიუხედავად, მოპასუხეს არ შეუსრულებია სასამართლოს გადაწყვეტილება. ამ ხნის განმავლობაში მოსარჩელემ ვერ მოახერხა იჯარით აღებულ ფართში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება, რითაც განიცადა ... ლარის ზარალი. იჯარით აღებულ ფართში დაგეგმილი ჰქონდა ინტერნეტკაფეს გახსნა, რისთვისაც სესხის ხელშეკრულებით მიღებული თანხით შეიძინა კომპიუტერები. იმის გამო, რომ საიჯარო ფართი არ გადასცეს, გაცილებით დაბალ ფასად გაყიდა შეძენილი კომპიუტერები, რითიც განიცადა . . . აშშ დოლარის შესაბამისი ლარის ზარალი. მოპასუხის კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო საბოლოოდ მას მიადგა . . . ლარის ოდენობის ზიანი.

2. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. ჯ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს დაეკისრა . . . ლარის გადახდა გ. ჯ-ის სასარგებლოდ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ქ. ქუთაისში . . . ქ. № 32-ში მდებარე . . . კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის კონკურსის წესით იჯარით გაცემის შესახებ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის შესაბამისად გ. ჯ-იანთან ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ამავე გადაწყვეტილებით სამმართველოს დაევალა გ. ჯ-თან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ, მიუხედავად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობისა, საიჯარო ფართზე ხელშეკრულება არ გაფორმებულა და საიჯარო ფართი მოსარჩელეს თავისუფალ მდგომარეობაში არ ჩაბარებია. სასამართლომ არ გაიზიარა მონინააღმდეგე მხარის განმარტება იმის თაობაზე, რომ იჯარის ხელშეკრულება არ ფორმდებოდა გ. ჯ-ის ბრალით. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ მრავალჯერ მიმართა სამმართველოს, რაც ადასტურებდა მის ინტერესს ხელშეკრულების გაფორმებისადმი, თუმცა საიჯარო ფართი არ გამოთავისუფლებულა. სასამართლომ მიიჩნია, რომ იჯარის ხელშეკრულების გაუფორმებლობით გ. ჯ-ს მიადგა ზიანი.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, თუ ზიანის ანაზღაურება პირ-

ვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისთავის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება, ხოლო 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენდა ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან კონკურსში გამარჯვების დღიდან მოსარჩელე აღნიშნული ფართის გამოყენებით მოელოდა სულ მცირე . . . ლარის მოგებას, საფუძვლიანი იყო მოსარჩელის მოთხოვნა სავარაუდო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის სამხარეო სამმართველოს სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და გ. ჯ-იანს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქმეში არსებულ, მტკიცებულებების, კერძოდ, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს მიმართვების, ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამმართველო მიმართავდა გ. ჯ-იანს ხელშეკრულების გასაფორმებლად. სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტი სთავაზობდა გ. ჯ-ს ფართს და მას არ შეეძლო ევარაუდა, რომ მოსარჩელეს ზიანი მიადგებოდა.

სააპელაციო პალატის მოსაზებით, ვინაიდან გ. ჯ-ს არ უცნობებია სამმართველოსათვის, რომ აპირებდა იჯარით აღებულ ფართში ინტერნეტ-კაფეს გახსნას, მიყენებული ზიანი წარმოადგენდა მეწარმის რისკს. სასამართლომ მიუთითა, რომ გ.ჯ-თვის ცნობილი იყო სადავო ფართის სხვა პირის მფლობელობაში არსებობის ფაქტი, თუმცა არ მოუთხოვია მისთვის ფართის გამოთა-

ვისუფლება. იგი მხოლოდ განცხადებებით მიმართავდა სამმართველოს, მაგრამ ფაქტობრივად, ფართის დასაბრუნებლად არავითარ ზომებს არ იღებდა და მას ზიანი მისი მაღალი ხარისხის ბრალეული მოქმედებით მიადგა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ჯ-ს მოპასუხე ორგანიზაციასთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებით შეეძლო ზიანის თავიდან აცილება.

4. საკასაციო პალატის განჩინებით, გ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე დაბრუნდა ხელახალი სააპელაციო განხილვისათვის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 1999 წლის 17 მაისის ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით მართვის (გადაცემის) წესის შესახებ" დებულების 9.7 მუხლის თანახმად, ქონების სარგებლობის უფლება კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისათვის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები იფარება გამარჯვებულის მიერ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის თანახმად, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების კონტროლის განყოფილებას დაევალა გ. ჯ-თან . . . კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართზე კანონით დადგენილი წესით საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება. ამავე გადაწყვეტილებით ირკვეოდა, რომ ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს უფროსის ბრძანებით განისაზღვრა, რომ ქ. ქუთაისში, . . . ქუჩის № 32-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის აღებასთან დაკავშირებით გ. ჯ-თან საიჯარო ხელშეკრულება ფართის ფაქტობრივად ჩაბარების დღიდან უნდა გაფორმებულიყო. მიუხედავად ამისა, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ საიჯარო ხელშეკრულება სათანადო წესით არ დადებულა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს, თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, პრეიუდიციული მნიშვნელო-

ბა აქვს. ამიტომაც ხელშეკრულების გაუფორმებლობა დადგენილ ფაქტს წარმოადგენდა.

საქმეში წარდგენილ გ. ჯ.ის არაერთი განცხადების საფუძველზე, საკასაციო პალატამ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ გ. ჯ. მხოლოდ განცხადებებით და არა ფართის გადასაცემად კონკრეტული ქმედებებისათვის განსახორციელებლად მიმართავდა მოპასუხეს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაინტერესებული პირის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსადმი განცხადებით მიმართვა კანონიერი მიზნის მიღწევის ქმედით საშუალებას წარმოადგენს. ამასთანავე, სასამართლოს მიერ არ დადგენილა როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების მიღების, მისი განხილვის, ასევე სამმართველოს წარმომადგენლის მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი საიჯარო ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების პროექტების გ. ჯ-ისათვის გაცნობის, მის მიერ ხელშეკრულებების ხელმოწერაზე უარის თქმის ფაქტები. ამასთანავე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ამიტომაც, თავისთავად, საიჯარო ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტების არსებობა არ ადასტურებდა გ. ჯ-ნის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმას. ეკონომიური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების რაჭა-ლეჩხუმ-იმერეთის სამხარეო სამმართველოს უფროს მიერ 2007 წლის 26 აპრილს ხელმოწერილი ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტთან დაკვშირებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალები არ შეიცავდა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულების და მისი ნაწილის – მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერაზე უარის თქმის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებას. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი მეორე მხარეს მიუვა. იმისათვის, რომ მხარემ მიიღოს ოფერტი, ის ცნობილი უნდა იყოს აქცეპტანტისათვის. ოფერტის შესახებ ნების გამოხატვა ნამდვილია მაშინ, როდესაც იგი აქცეპტანტს – არა თანმყოფ პირს მიუვა. ამტიომაც, საქმეზე

დადგენას საჭიროებდა გ. ჯ-ისათვის ხსენებული დოკუმენტაციის წარდგენის ფაქტი.

საქმეზე დადგენილად იყო ცნობილი, რომ გ.ჯ-მა მიიღო მონაწილეობა კონკურსში და გაიმარჯვა. კანონმდებლობის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულის ნივთი მას უნაკლო მდგომარეობით უნდა გადასცემოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკააციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანი წარმოადგენდა მეწარმის რისკს და გ. ჯ-ს შეეძლო საიჯარო ხელშეკრულების დადებით აეცდინა ანდა შეემცირებინა იგი. გ. ჯ-ის მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა სწორედ სამმართველოს უმოქმედობა, კერძოდ, საიჯარო ხელშეკრულების გაუფორმებლობა და არასაცხოვრებელი ფართის გადაუცემლობა.

საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად არ იყო საკმარისად დასაბუთებული (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტი), რაც საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგნდა. სააპელაციო სასამართლოს საკასაციო წესით გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებული იყო სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს, რაც მისი გაუქმების და საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად გამოიკვლევისა და მათი სათანადო შეფასებისათვის, საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველს წარმოადგენდა.

7. მძღოლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის არარსებობა არ გამორიცხავს სამინისტროს საკუთრებაში მყოფი ავტომობილის მძღოლის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამინისტროსათვის დაკისრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 21 დეკემბრის №ბს-1275-1239(კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ბ. ნ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქართველოს თავდაცვის

სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის, ... ლარის ანაზღაურების დაკისრება შემდეგი საფუძვლით:

მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 1 სექტემბერს, 14 საათზე, ქ. თბილისში, ზემო ფონიჭალის დასახლებაში, თელეთის მხრიდან ქვემო ფონიჭალის მიმართულებით მოძრაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრების სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მართავდა მძღოლი რ. ბ. ამ უკანასკნელმა დაარღვია საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ" 27.1 მუხლის მოთხოვნები, გადაკვეთა ორმაგი უწყვეტი ღერძულა ხაზი და შეეჯახა საგზაო მოძრაობის წესების მოთხოვნათა დაცვით მოძრავ გ. ნ-ის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას.

შეჯახების შედეგად ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანებები მიიღეს ტ. ნ-მა და რ. ნ-მა, ავტომობილის სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა . . .ლარი, ავტომანქანის სპეციალურ ავტოსადგომზე გადაყვანის ხარჯმა . . . ლარი, ხოლო ევაკუატორის მომსახურების ხარჯმა – . . . ლარი.

ავტომანქანა გენერალური მინდობილობის საფუძველზე გადაცემული ჰქონდა ბ. ნ-ს, ხოლო სატვირთო ავტომანქანა წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის საოქმო განჩინებებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთვნენ რ. ბ. და გ.კ.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ბ. ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა . . . ლარის ოდენობით ავტომანქანის დაზიანებით მიყენებული ზიანის, ავტომანქანის სპეცავტოსადგომზე გადაყვანის თანხის . . . ლარის, ასევე . . . ლარის ოდენობით ევაკუატორის მომსახურების თანხის, სულ . . . ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურება. თავდაცვის სამინისტროს ბ. ნ-ნის სასარგებლოდ ასევე დაეკისრა . . . ლარის ოდენობით მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება.

გადაწყვეტილება დასაბუთებული იყო შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ავტო-

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში ბრალი მიუძღვოდა არა ბ. ნ-ს, არამედ რ. ბ-ს. საქალაქო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარმოდგენილ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ნახაზს (სქემას), ქ. თბილისის პროკურატურის დადგენილებას წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ, სადაც ცალსახად იყო აღნიშნული, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იყო მძღოლ რ. ბ-ის მიერ სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვით, რაც დასტურდებოდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ცნობით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სქემით, ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიურ-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მასალების ერთობლიობით. დადგენილების თანახმად, რ. ბ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" 27.1 მუხლის მოთხოვნათა დარღვევას. აღნიშნული დადგენილება არ გასაჩივრებულა და შესული იყო კანონიერ ძალაში.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208.1, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე, 326-ე, 412-ე, 155.2, 999.1, 999.4, 725.2, 728-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოწვეული იყო მძღოლ რ. ბ-ის მიერ სატრანსპორტო საშუალების არასწორი მართვით. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა რ. ბ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი და მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყვეტილი იყო, აღნიშნული არ გამორიცხავდა რ. ბ-ის ბრალეულობას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში. წინასწარი გამოძიება შეწყდა იმის გამო, რომ მისი ქმედება არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ დადგენილებით უდავოდ დასტურდება, რომ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დადგომაში ბრალი მიუძღვოდა სწორედ რ. ბ-ს.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც მართავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურე რ. ბ., წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ბ-ის ბრალეული ქმედებით ბ. ნ-ის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანისათვის მიყენებული ზიანის, მათ შორის ავტომანქანის სპეცავტოსადგომზე გადაყვანისა და ევაკუატორის მომსახურების თანხის ანაზღაურების ვალდებულება უნდა დაკისრებოდა სატვირ-

თო ავტომანქანის მფლობელს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ვინაიდან რ. ბ. წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეს და ავტოსაგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს იგი ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი, რომ ვინაიდან სატვირთო ავტომანქანა სამართავად გადაცემული ჰქონდა რ. ბ-ის, იგი წარმოადგენდა ავტომანქანის მფლობელს და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც უნდა დაკისრებოდა არა თავდაცვის სამინისტროს, არამედ მძღოლს. საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მფლობელის დასადგენად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვის სასარგებლოდ ხდება ნივთის ფლობა. განსახილველ შემთხვევაში, რ. ბ-ს თავდაცვის სამინისტროს მიერ სატვირთო ავტომანქანა სამართავად გადაცემული ჰქონდა არა როგორც კერძო პირს, პირადი სარგებლობისათვის, არამედ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. ამიტომაც, სატვირთო ავტომანქანის მფლობელს წარმოადგენდა არა რ. ბ., არამედ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის 1-ლ ნაწილსა და 999-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლებიც პირდაპირ ადგენენ, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს მისი ექსპლუატაციის დროს ამა თუ იმ პირის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის მოშლით გამოწვეული ზიანი. მოცემულ შემთხვევაში კი რ. ბ., რომელიც წარმოადგენდა თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეს, მართავდა სწორედ თავდაცვის სამინისტროს მფლობელობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას იმავე სამინისტროს ნებართვით.

საქალაქო სასამართლო ასევე დაეთანხმა მოპასუხის არგუმენტს, რომ ნ ბ. ნ-ს ავტომანქანა გადაცემული ჰქონდა საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე და იგი არ წარმოადგენდა ავტომანქანის მესაკუთრეს და უფლება არ ჰქონდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიემართა სასამართლოსათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 728-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

3. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი მოტივით:

აპელანტმა არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება, რომ ბ. ნ-ს გადახდილი ჰქონდა ავტომანქანის სპეცავტოსადგომზე გადაყვანისა და ევაკუატორის მომსახურებისხარჯები. აპელანტის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი შპს „სერვისცენტრის“ ცნობით და შემოსავლის ორდერით დასტურდებოდა, რომ გადამხდელი იყო არა მოსარჩელე, არამედ მისი ძმა. აპელანტმა ასევე არ გაიზიარა მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით სასამართლოს დასკვნა და მიუთითა, რომ მიყენებული ზიანი წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მითითებულზე ნაკლებ . . . ლარს.

გარდა აღნიშნულისა, აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლი, რომლის მიხედვით, მინდობილმა მესაკუთრემ გადანდობილი ქონება უნდა მართოს საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. ნივთის დაზიანების შემთხვევაშიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს საკუთრების მიმნდობის ინტერესი, მისი ნება. სასამართლოს სხდომის ოქმის მიხედვით, გ. კ. არ დაეთანხმა ბ. ნ-ის სარჩელს და არც მისი დაკმაყოფილება მოუთხოვია. მისივე განმარტებით, იგი არ აპირებდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მესაკუთრის ნება ეწინააღმდეგება მინდობილი მესაკუთრის ქმედებას, სამინისტროსაგან ზიანის მოთხოვნის მიზნით სარჩელის შეტანის თაობაზე.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები და დამატებით განმარტა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის მოწესრიგებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ

მიუთითა ამავე კოდექსის 207-208-ე, საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 992-ე, 999.1 მუხლებზე და მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის ფაქტი. შესაბამისად, არსებობდა ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომ ბ. ნ. არ იყო რა ავტომანქანის მესაკუთრე და იგი ავტომანქანას ფლობდა მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, არ წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს. ამიტომაც, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის განხილვის დროს გ. კ-მა დაადასტურა, რომ მან ბ. ნ-ს, მიჰყიდა ავტომანქანა, მასზე გასცა საკუთრების მინდობის ხელშეკრულება სრული უფლებამოსილებით და შესაბამისად, ავტომანქანის მესაკუთრეს წარმოადგენს ბ. ნ.

5. საკასაციო საჩივრით საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოითხოვა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა არსებითად, სააპელაციო საჩივარში დასახელებული მოტივებით[1].

6. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია რა საკასაციო საჩივარი დასაშვებად, მიუთითა, რომ მოცემულ საკითხზე საკასაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული დასკვნები და განმარტებები ხელს შეუწყობდა ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკასაციო პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საკასაციო პრეტენზია, რომ ევაკუატორის მომსახურების – . . ლარი და საჯარიმო სადგომის ხარჯი – . . ლარი, არ წარმოადგენდა მოსარჩელე ბ. ნ-ის მიერ გადახდილ თანხას, რის გამოც არ არსებობდა აღნიშნული თანხების, როგორც მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

---

1 იხ. შენიშვნა სქოლიოში – კრებულის გვ. 91

საქმეში არსებულ მტკიცებულებებით დასტურდებოდა ამ ხარჯის გაღების ფაქტი, ხოლო ის გარემოება, რომ თანხების შემტან პირს, სერვისცენტრსა და საბანკო დაწესებულებაში, არა უშუალოდ მოსარჩელე ბ. ნ., არამედ გ. ნ. წარამოდგენდა, არ გამორიცხავდა გაწეული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას, რადგანაც დადასტურებული იყო ის გარემოება, რომ გ. ნ. მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა მოსარჩელის სახელითა და ხარჯით.

საკასაციო სასამართლომ ასევე, არ გაიზიარა საკასაციო პრეტენზია, რომ ბ. ნ-ს ავტომანქანის საკუთრების მინდობის საფუძველზე, ფლობის გამო არ გააჩნდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირობებში, როდესაც ავტომანქანის მესაკუთრე არ გამოხატავდა ამგვარ ნებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის შესაბამისად, მინდობილი მესაკუთრე მოვალეა მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით. მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით. ამავე კოდექსის 728-ე მუხლის შესაბამისად, მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე.

ამიტომაც, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მინდობილი მესაკუთრე სარგებლობს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილებით და არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ მინდობილი მესაკუთრე მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობებში სარგებლობს მესაკუთრის უფლებებით, რაც მატერიალურ და არაპროცესუალურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მატერიალური მოთხოვნის რეალიზაციის სამართლებრივ-პროცესუალური ფორმა სწორედ სარჩელია.

საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებზე დაყრდნობით მართებულად მიიჩნია დადგენილად, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა განაპირობა მძღოლის – რ. ბ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკუთრებაში არსებული სატვირთო ავტომანქანის მართვის დროს საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ 27.1 მუხლის მოთხოვნის დარღვევამ, რის შედეგადაც შეეჯახა ბ. ნ-ის მართვის ქვეშ მყოფ

ავტომანქანას ხოლო შეჯახების შედეგად მიყენებულმა მატერიალ-ურმა ზარალმა კი შეადგინა . . . ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო ადმინისტრაციული ორგანოს მოსამსახურის ქმედებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

8. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აუნაზღაუროს ავტომობილის კეთილსინდისიერ მფლობელს, იმისდა მიუხედავად, რომ იგი მესაკუთრეს არ წარმოადგენს, კედლის ჩამონგრევის გამო, ავტომობილის განადგურებით მიყენებული ზიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის
6 აპრილის№ ბს-1421-1154-კ-04 განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ე. დ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების: ისანი-სამგორის რაიონის გამგეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ავტოსადგომზე დააყენა საკუთარი ავტომანქანა „ვაზ-2105“ და დაბრუნების შემდეგ ნახა, რომ კედელი, რომელიც ესაზღვრებოდა ავტოსადგომს და ეკუთვნის შინაგანი ჯარის ავტოფარეხს, ჩამონგრეულიყო და ავტომანქანაც ქვეშ იყო მოყოლილი.

მან მომხდარი ფაქტი დააფიქსირა და შეტყობინება გაუგზავნა შესაბამის ორგანოებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის სამმართველოს ისანსამგორის რაიონის სამსახურს, მაგრამ მათ ზემოთ დასახელებულ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება არ მოახდინეს.

მოსარჩელის განმარტებით, დაზიანებული ავტომანქანის შეკეთება აღარ შეიძლებოდა და მიყენებული ზიანი შეადგენდა ... აშშ დოლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა, მოპასუხეებს სოლიდარულად დაკისრებოდათ

მიყენებული ზიანის – . . . აშშ დოლარის ანაზღაურება.

2. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ე.დ-ას სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა მოსარჩელისათვის . . . ლარის გადახდა, ხოლო დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ კედლის ჩამონგრევის ფაქტმა განაპირობა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ანუ არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის გამოყენების პირობები. ამასთანავე, რაიონულმა სასამართლო განმარტა, რომ მოპასუხემ თავიდანვე არ გამოამჟღავნა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისაკენ მიმართული ნება, ამიტომაც, მოსარჩელე იძულებული გახდა ავტომანქანა ჯართში ჩაებარებინა და აქედან გამომდინარე, წარმოიშვა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურების ვალდებულება.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი.

აპელანტი სააპელაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ რაიონულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ე. დ. არ წარმოადგენდა სათანადო მოსარჩელეს, ვინაიდან იგი არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე. სასამართლომ არასწორად მიუთითა იმაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისივე უმოქმედებით მოისპო შესაძლებლობა, აღედგინა პირვანდელი მდგომარეობა. ამგვარი შესაძლებლობა სამინისტროს არ გააჩნდა იმიტომ, რომ მოსარჩელეს მოკლე ხანში ისე მიმართა სასამართლოს, რომ აღნიშნულის თაობაზე სამინისტროსათვის არ უცნობებია.

აპელანტის მითითებით, სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლი, კერძოდ ყურადღება არ მიაქცია გამონაკლისს აღნიშნული ნორმიდან, სათანადო შეფასება არ მისცა საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნას რომლითაც დადასტურდა, რომ კედლის ჩამონგრევა გამოწვეული იყო შენობის ნაკლით.

4. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ კედელი წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საკუთრებას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სწორედ დაზიანებული ავტომანქანის ჯართის სახით ჩაბარება ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მანქანა გამოსაყენებლად უვარგისი იყო და შეუძლებელი იყო მისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა რაიონული სასამართლოს მხრიდან საქართველოსსამოქალაქო კოდექსის 1004-ე მუხლის გამოყენებას და მიიჩნია, რომ სასამართლოს საქმის გადაწყვეტისას კანონი არ დაურღვევია.

5. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

კასატორი საჩივარში მიუთითებდა, რომ მოსარჩელე ე. დ. არ იყო დაზიანებული ავტომანქანის მესაკუთრე, ვინაიდან მას აღნიშნული ავტომანქანა გადაცემული ჰქონდა მინდობილობით, მატერიალური ზიანის მოთხოვნის უფლება კი გააჩნია მხოლოდ ნივთის (ავტომანქანის) მესაკუთრეს. ამრიგად, კასატორის მითითებით, ე. დ. წარმოადგენდა არასათანადო მოსარჩელეს. მართალია, აღნიშნულის შესახებ მათ მიერ არ იყო მითითებული სააპელაციო საჩივარში, მაგრამ ადმინისტრაციული დავის განმხილველი სასამართლო ვალდებული იყო, თავისი ინიციატივით გამოეკვლია ეს საკითხი.

კასატორის მოსაზრებით, ასევე არასწორია სასამართლოს მითითება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლზე, რომლის საფუძველზეც შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგი მიიჩნია ზიანის ანაზღაურებისათვის ვალდებულ პირად. საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ჩამონგრეული კედელი წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის საკუთრებას.

კასატორის მოსაზრებით, მოსარჩელის ავტომანქანა, როგორც თვითონ მიუთითებდა, დაზიანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარისა და ისანი-სამგორის გამგეობის ავტოსადგომს შორის არსებული კედლის ჩამონგრევის შედეგად.

ორივე მხარეს უფლება ჰქონდა და სარგებლობდა კიდეც აღნიშნული კედლით. ჯარი და ისან-სამგორის გამგეობა ვალდებული იყვნენ, თანაბრად გაეწიათ კედლის მოვლასა და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები. ამიტომაც, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად თანაბრად უნდა აგოს პასუხი ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამაც.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, როგორც უსაფუძვლო, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, . . . მდებარე ავტოსადგომზე, ჩამოინგრა მოსაზღვრედ მდებარე შინაგანი ჯარის ავტოფარეხის კედელი და ნანგრევებში მოჰყვა ე. დ-ას კუთვნილი ავტომანქანა.

საკასაციო სასამართლომ დაუსაბუთებლობის მოტივით არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია დამდგარი ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი ნორმების არასწორი გამოყენების თაობაზე იმ მოტივით, რომ კედელი არ წარმოადგენდა მის საკუთრებას.

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ დაზიანებული ავტომანქანის ჯართის სახით ჩაბარების ფაქტი წარმოადგენდა იმის უდავო საფუძველს, რომ ავტომანქანა დაზიანების შემდეგ უვარგისი გახდა და შეუძლებელი იყო მისი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენება.

პალატამ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია ე. დ-ას არასათანადო მოსარჩელეობის თაობაზე შემდეგი გარემოების გამო: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 161-ე მუხლის შესაბამისად, თუ კეთილსინდისიერ მფლობელს არ ჩამოერთმევა ნივთი, მაგრამ სხვაგვარად შეეშლება ხელი მისი მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას, მსგავსად მესაკუთრისა, შეუძლია მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა. ამასთან, მას შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაც.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია ამ უკანასკნელ დებულებას და განმარტა, რომ მითითებული ნორმის შესაბამისად, კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის მიმართ გააჩნია მესაკუთრის ტოლფასი ინტერესი, რაც ე. დ-ას აძლევდა უფლებას, შესაბამისი სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით,

საკასაციო სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას და ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მართებულად იქნა გამოყენებული საქართველოს სამოქალაქო კოდქსის 1004-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, შენობის მესაკუთრე ვალდებულია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც შენობის ან ცალკეული ნაწილების ჩამონგრევის შედეგად ნარმოიშვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი არ არის გამოწვეული შენობის არასათანადო მოვლით ან შენობის ნაკლით. ის გარემოება, რომ კედლის ჩამონგრევა გამოწვეული იყო მისი ნაკლით, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დადგენილი იყო ორივე ინსტანციის სასამართლოში და მის თაობაზეც კასატორის მხრიდან დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარდგენილი არ ყოფილა.

9. საჯარო რეესტრის ჩანაწერის გაუქმებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს მხოლოდ სათანადო წესით განხორციელებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის არსებობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის №ბს-335-319(კ-06) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. დ. ხ-მა სარჩელი აღძრა დუშეთის რაიონულ სასამართლოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დუშეთის სამმართველოს მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2004 წელს ე. ს-ამ გადასცა მიწის ნაკვეთი სახლით (ნაგებობით). მან გაარემონტა სახლი და იმავე წელს მიმართა დუშეთის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს, რომელმაც სათანადო სარეგისტრაციო გადასახადის გადახდის შემდგომ, ქონება რეგისტრაციაში მის სახელზე გაატარა და მიიღო საკუთრების საჯარო რეესტრის ამონაწერი, საკადასტრო რუკითა და საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობით. ამის შემდგომ, როდესაც მივიდა სახლში, იქ დახვდა სხვა მოქალაქე, რომელსაც სხვა ნუმერაციით შეუძენია იმავე მიწის ნაკვეთი.

მოსარჩელის მითითებით, ზემოაღნიშნულ ფაქტზე მიწის მართვის დუშეთის სამმართველომ პასუხი არ გასცა, დაბოლოს, და-

ჟინებული მოთხოვნის შემდეგ, დუშეთის მიწის მართვის სამმართველომ აცნობა, რომ მისი საკუთრების რეგისტრაცია არასწორად იყო წარმოებული, იგი გაუქმებას ექვემდებარებოდა და ეს პასუხი მიღებული უნდა ყოფილიყო ცნობის სახით. მან მიწის ნაკვეთსა და სახლში გადაიხადა . . .აშშ დოლარი, სახლს ჩაუტარა სარემონტო სამუშაოები და მთელი წლის განმავლობაში ცდილობდა აღნიშნული საკითხის გარკვევას.

მოსარჩელის განმარტებით, მიწის მართვის დუშეთის სამმართველოს უფროსის პასუხი არ შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის არც ერთი მუხლის მოთხოვნებს. სამმართველოში არსებულმა დარღვევებმა, არასწორმა ნუმერაციამ, საჯარო მონაცემების საფუძველზე მიღებულმა არასწორმა ინფორმაციამ მას მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე ითხოვდა მიწის მართვის დეპარტამენტის დუშეთის სამმართველოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებით მიღებული ზარალის . . . აშშ დოლარის მის სასარგებლოდ ანაზღაურებას.

დუშეთის რაიონული სასამართლოს განჩინებით, მოპასუხე – მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დუშეთის სამმართველო შეიცვალა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი.

2. დუშეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დ. ხ-ის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; მოპასუხეს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საქართველოს კანონის „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ მე-19 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მიწასა და სხვა უძრავ ქონებაზე გაიცემა მხოლოდ ერთი სარეგისტრაციო მოწმობა. ამავე კანონის 36-ე მუხლის თანახმად, არასრულყოფილი მონაცემების არსებობისას, რეგისტრატორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეასწოროს დოკუმენტი, თუ შესწორება ზეგავლენას არ ახდენს მესაკუთრის ინტერესებზე. სასამართლოს განმარტებით, დ. ხ-ს ისე გაუუქმეს საკუთრების უფლების რეგისტრაცია, რომ მისთვის არც უცნობებიათ. აღნიშნულის თაობაზე მოსარჩელისათვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც მას უკვე ჩატარებული ჰქონდა სარემონტო სამუშაოები, რის შედეგადაც მან განიცადა

მატერიალური ზარალი.

3. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ.

აპელანტის განმარტებით, რაიონული სასამართლო თავის გადაწყვეტილებას თანხის დაკისრების თაობაზე საფუძვლად უდებდა იმ ფაქტს, თითქოს რეგისტრაციის დ. ხ-სათვის გაუქმებით მას მატერიალური ზიანი მიადგა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, რადგან საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ განხორციელებულა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურში სააღრიცხვო ბარათი არ გახსნილა. საქართველოს კანონის „მიწის რეგისტრაციის შესახებ" მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ყოველ რეგისტრატურაში ინახება მიწისა და სხვა უძრავი ქონების სააღრიცხვო (სარეგისტრაციო) ბარათები და სარეგისტრაციო რუკები. სააღრიცხვო ბარათზე მოცემული ჩანაწერები არის აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრის ძირითადი იურიდიული საფუძველი. ამიტომაც, აპელანტის მითითებით, მოსარჩელეს საკუთრების უფლება არ წარმოშობია და, შესაბამისად, მისი გაუქმებაც უსაფუძვლო იყო. ამასთან, გადაწყვეტილებიდან არ ჩანს, რა მატერიალური ზარალი განიცადა მხარემ და არც საქმეში მოიპოვება შესაბამისი მტკიცებულებები.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა დუშეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დ. ხ-ის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის შესაბამისად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე, ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ნივთზე საკუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. ამავე კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად კი, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ე. ს-ზე საჯარო რეესტრში სადავო ქონება რეგისტრირებული არ ყოფილა, აქედან გამომდინარე, იგი არ წარმოადგენდა

სადავო მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად არ მიიჩნია, რომ დ. ხ. მესაკუთრედ იქნა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რადგან მის მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, იგი (ამონაწერი) თავად წარმოადგენდა ქსეროასლს, რომელზედაც, მართალია, დასმული იყო მრგვალი ბეჭედი, მაგრამ არ ჰქონდა რეგისტრატორის ხელმოწერა. ამ სავალდებულო რეკვიზიტის გარეშე ამონაწერი არ წარმოადგენდა დასრულებულ საბუთს. გარდა ამისა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განმარტების თანახმად, დ. ხ-ის სახელზე სააღრიცხვო ბარათი არ არსებობდა, მასალების მიხედვით იგი რეგისტრირებული არ ყოფილა, სააღრიცხვო ბარათი არ არსებობდა არც გაუქმებული სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ დ. ხ-ის სახელზე განხორციელდა საკუთრების რეგისტრაცია და გაიხსნა სააღრიცხვო ბარათი, მით უფრო, რომ საქმის მასალების თანახმად, ასეთი რეგისტრაციის განხორციელების არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

აქედან გამომდინარე, დ. ხ-ს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსაგან მატერიალური ზიანი ვერ მიადგებოდა და მას ზიანის არსებობის რაიმე დამადასტურებელი საბუთი სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

5. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დ. ხ-მა. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილების გამოტანის დროს სრულად გაიზიარა აპელანტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი იმის თაობაზე, რომ დ. ხ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია არ შესრულებულა, რადგან დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურში სააღრიცხვო ბარათი არ არის გახსნილი. კასატორის მოსაზრებით, ეს არგუმენტი სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან მის მიერ წარდგენილ სარჩელს საფუძვლად უდევს მაშინდელი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის დუშეთის სამმართველოს მიერ გაცემული მიწის სარეგისტრაციო მოწმობა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის არსებობა – გაუქმებას ადასტურებს სამმართველოს მაშინდელი ხელმძღვანელის წერილი, ხოლო, რაც შეეხება სააღრიცხვო ბარათს, ის უნდა შეევსო დუშეთის რაიონული სამმართველოს ხელმძღვანელს და არა მოსარჩელეს. ამასთან, მოსარჩელეს ჰქონდა რა

კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოსადმი, მიმართა მას საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაციის შესახებ და თუ მოსარჩელეს არ გააჩნდა საამისოდ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები, დუშეთის სარეგისტრაციო სამსახურს უარი უნდა ეთქვა რეგისტრაციაზე და განემარტა კანონის მოთხოვნები. მოპასუხეს მისი ნდობა ბოროტად არ უნდა გამოეყენებინა. მოსარჩელეს ეჭვი არ შეჰპარვია სარეგისტრაციო მოწმობის სისწორეში, ვინაიდან იგი გაცემული იყო სახელმწიფო მოხელის მიერ და არ იყო ვალდებული, შეემოწმებინა, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოება სახელმწიფო მოსამსახურეს და არა მოქალაქეს უნდა ჩაეტარებინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1005-ე მუხლი.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ დ. ხ-ის მოთხოვნას წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების საფუძველზე მისთვის ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი.

მიწის რეგისტრაციის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლომ დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მართებულობა და აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეიცავდა კანონით ამ სახის აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებს, შესაბამისად, იგი მხარისათვის არ წარმოშობდა არანაირ სამართლებრივ შედეგს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ კასა-

ტორის მიერ საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე წარმდგენილი არ ყოფილა თავად რეგისტრაციის სამართლებრივი საფუძველი, აღნიშნული საეჭვოს ხდიდა თვით საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის ფაქტს.

10. ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესების დარღვევა, თუ მან პირისათვის ზიანის მიყენება არ გამოიწვია, არ წარმოადგენს ნოტარიუსის ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 13 აპრილის №ბს-1338-1302(კ-10) განჩინება

რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ა მ ო ნ ა რ ი დ ი

1. ლ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე თ. ქ-ისა და ნოტარიუს ე. მ-ას მიმართ და მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების სახით . . . აშშ დოლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლ. ბ-ესა და ვ. შ-ას შორის 1999 წლის 15 ივნისს დაიდო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დაამოწმა ნოტარიუსმა ე. მ-ამ.

ვ. შ-ას გარდაცვალების შემდეგ მისმა ანდერძისმიერმა მემკვიდრემ თ. ქ-ემ სარჩელი აღძრა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. დავა 2003 წელს დასრულდა და სადავო ხელშეკრულება ბათილად იქნა ცნობილი. მის საფუძვლად უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია ის გარემოება, რომ საქმეში მესამე პირად ჩაბმულმა ნოტარიუსმა ე. მ-ამ დაარღვია საქართველოს კანონის „ნოტარიატის შესახებ" მე-7 და იმ დროს მოქმედი ინსტრუქციის მე-5 მუხლის მოთხოვნები, კერძოდ, ვ. შ-ას არ დაუნიშნა თარჯიმანი და არ განუმარტა ხელშეკრულების დადების შედეგები. მოსარჩელის მოსაზრებით, ნოტარიუს ე. მ-ას კანონის დაცვით რომ შეედგინა ნასყიდობის ხელშეკრულება, არ გაუქმდებოდა ლ. ბ-ის საკუთრება ქ. თბილისში, . . . ქ. №16-ში მდებარე ბინაზე, რის გამოც მოსარჩელის მოსაზრებით, არსებობდა მიზეზშედეგობრივი კავშირი ე. მ-ას

უკანონო ქმედებასა და ლ. ბ-თვის ბინის ჩამორთმევას შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით, ლ. ბ-ის სარჩელი განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა სარჩელში აღნიშნული ზიანის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ამიტომაც ვერ იქნა დადგენილი მიზეზობრივი კავშირი ნოტარიუსის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. მოსარჩელემ სასამართლოს ასევე ვერ წარუდგინა შესაბამისი სახისა და შინაარსის მტკიცებულებები იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მან უშუალოდ მოპასუხის – ნოტარიუს ე. მ-ას ბრალით, ნამდვილად განიცადა . . . აშშ დოლარის ღირებულების მატერიალური ზიანი.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-ემ.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებით ლ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებებს და დამატებით აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, ხოლო აპელანტის მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესი კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ვერ იქნა წარდგენილი რაიმე სახის მტკიცება, რომლითაც დადასტურდებოდა, ნოტარიუს ე. მ-ას განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით აპელანტისათვის . . . აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ზიანის მიყენება.

ნოტარიუსის მიერ აპელანტის მონაწილეობით სანოტარო მოქმედება შესრულდა 1999 წლის 15 ივნისს. დავა მისი გაუქმების მოთხოვნით მოსარჩელე თ. ქ-ესა (ვ. შ-ას ანდერძისმიერი მემკვიდრე) და მოპასუხე ლ. ბ-ეს (აპელანტს) შორის სამოქალაქო-სამართლებრივი წესით სხვადასხვა საფუძვლით მიმდინარეობდა 2000 წლის დეკემბრიდან, ხოლო ზიანის ანაზღაურების თაობაზე ლ. ბ-ემ სარჩელით სასამართლოს მიმართა 2005 წლის 28 ივნისს, რის გამოც სააპელაციო პალტამ მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნა ზიანის

ანაზღაურების თაობაზე ხანდაზმული იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. ბ-ემ და მისი გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილება მოითხოვა.

4. საკასაციო სასამართლოს განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ აწ გარდაცვლილ ვ. შ-ასა და ლ. ბ-ეს შორის 1999 წლის 15 ივნისს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება ქ. თბილისში მდებარე საცხოვრებელი ბინის თაობაზე. ხელშეკრულება ნოტარიულად დამოწმდა ნოტარიუს ე. მ-ას მიერ. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი აწ გარდაცვლილ ვ. შ-ასა და ლ. ბ- ეს შორის ქ. თბილისში, მდებარე საცხოვრებელი ბინის თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ვ. შ. არ ფლობდა ქართულ ენას, ხოლო ნოტარიუსს ხელშეკრულების დადების დროს არ მოუწვევია თარჯიმანი, არ განუმარტავს ვ. შ-ისათვის ხელშეკრულების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები.

კასატორი ნოტარიუსის მოქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირის დასადასტურებლად მიუთითებდა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და თვლიდა, რომ ნოტარიუსის ქმედებიდან გამომდინარე, მას საკუთრებაში არ გააჩნდა ბინა, რაშიც გამოიხატა მისთვის ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების არასწორად განხორციელებით მიყენებული ზიანი.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება საჭიროებს კონტრაჰენტთა ორმხრივი ნების გამოვლენას, რაც მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა.

საფუძვლს მოკლებული იყო ლ. ბ-ის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ზიანი აისახება იმ უძრავი ქონების ღირებულებაში, რომელიც საკუთრებაში ექნებოდა მას, ნასყიდობის ხელშეკრულება რომ არ

გაუქმებულიყო. პალატამ აღნიშნა, რომ ბათილ გარიგებას მისი დადების მომენტიდან არავითარი იურიდიული შედეგი არ მოჰყვება და მხარე, რომელმაც მიიღო ქონება, არ იძენს მასზე უფლებას. ამიტომაც, ლ. ბ-ის საკუთრებაში ბინის არარსებობა მის მიმართ რაიმე ზიანის მიყენების დამადასტურებელი არ იყო, რადგანაც გამყიდველი პირის ნების არანამდვილობის გამო მას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება არ მოუპოვებია. ზიანის არარსებობა კი გამორიცხავდა მიზეზშედეგობრივ კავშირს ნოტარიუსის ქმედებასა და ზიანს შორის.

ნოტარიუს ე. მ-ას მიერ მოსარჩელე ლ. ბ-თვის ზიანის მიყენება არ დასტურდებოდა თბილისის საოლქო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებითაც. საკასაციო პალატამ ყურადღებას გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კანონიერ ძალაში არსებულ თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინებით ე. მ-ას განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული, რის საფუძვლადაც დასახელებულ იქნა ის გარემოება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვდა განმცხადებელი, ე. მ-ას უფლებები და მოვალეობები რომელიმე მხარის მიმართ არ დადგენილა, უფრო მეტიც, გადაწყვეტილებაში იგი საერთოდ არ იყო მითითებული.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნების გამოვლენა გარიგების უმთავრესი ელემენტია, ადამიანის ცნობიერებიდან გამომდინარე, სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვის გარეგნული გამოვლენაა. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდებოდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისაკენ მიმართული ბინის მესაკუთრის ნება.

ის გარემოება, რომ ვ. შ. არ ფლობდა ქართულ ენას, რომელზედაც გაფორმებული იყო ხელშეკრულების ტექსტი, ხელშეკრულების დადებას არ ესწრებოდა თარჯიმანი, ვ. შ-ას არ განემარტა ხელშეკრულების შინაარსი, ადასტურებდა, რომ მას არ გამოუვლენია ბინის გაყიდვის ნება და არ მიუღია ხელშეკრულების კონტრაჰენტის თანხმობა ბინის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფასად შესყიდვაზე.

ამიტომაც, არ დასტურდებოდა, რომ გარეგნულად ხელშეკრულების ტექსტში ასახული ნება ემთხვეოდა პირის სურვილს – მოსარჩელისთვის მიეყიდა ბინა. ასევე, არ იყო დადასტურებული,

რომ ვ. შ-ას მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ტექსტის შინაარსის გაცნობა მისი მხრიდან უცილობლად გამოიწვევდა ბინის გაყიდვის ნების გამოვლენას, მყიდველის მიერ შეთავაზებული პირობის მიღებას. ამ მიმართებით მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ ჰქონდა წარდგენილი. ამიტომაც, სახეზე არ იყო თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე ბინის გაყიდვისაკენ მიმართული პირის ნამდვილი ნება, რის გამო, სახეზე არ იყო ზიანი, რომელიც ანაზღაურების დაკისრების სავალდებულო პირობას წარმოადგენდა. შესაბამისად, არ დასტურდებოდა უშუალოდ ნოტარიუსის ქმედებით მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება.

ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა წესების ყოველგვარი დარღვევა არ უკავშირდება ქონებრივ პასუხისმგებლობას. ამიტომაც, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ იყო დელიქტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების სავალდებულო პირობები – ზიანი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც გამორიცხავდა ზიანის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავდა შესაბამის დასაბუთებას, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორი იყო, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობას წარმოადგენდა.